ანგარიში

რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა | მაისი 2021

მითები და მცდარი მოსაზრებები რუსეთის შესახებ არსებულ დებატებში

მათი ზემოქმედება დასავლურ პოლიტიკაზე და სავარაუდო გამოსავალი

დანკან ელენი, ანეტ ბორი, მეთი ბულეგი, კაირ ჯაილზი, ნაიჯელ გაულდ-დევისი, ფილიპ ჰენსონი, ჯონ ლაუ, ორისია ლუცევიჩი, ქეით მალინსონი, ანაის მარინი, ჯეიმზ ნიქსი, ბენ ნოუბლი, ნიკოლაი პეტროვი, ეკატერინა შულმანი, ჯეიმზ შერი, კატარინა ვოლჩუკი და ენდრიუ ვუდი

CHATHAM HOUSE

GCSD

მითები და მცდარი მოსაზრებები რუსეთის შესახებ არსებულ დებატებში

მათი ზემოქმედება დასავლურ პოლიტიკაზე
და სავარაუდო გამოსავალი

Chatham House, საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი მდებარეობს ლონდონში და მსოფლიოს წამყვან პოლიტიკის ინსტიტუტს წარმოადგენს. ჩვენი მისიაა დავეხმაროთ მთავრობებსა და საზოგადოებებს მდგრადი, უსაფრთხო, მუდმივად განვითარებადი და სამართლიანი მსოფლიოს შენებაში.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არის მიუკერძოებელი და ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაცია. GCSD წარმოადგენს ერთ-ერთ მოწინავე ანალიტიკურ კვლევით ცენტრს საქართველოში. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის პრინციპებს. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება; მისი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა.

პუბლიკაცია შექმნილია Chatham House-ის ექსპერტთა გუნდის მიერ, რომელიც ოფიციალური თარგმანის უფლებით მოამზადა საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა (GCSD). წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს GCSD-ის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

თარგმანის ავტორი - ქეთევან გრძელიძე;

© The Royal Institute of International Affairs, 2021
ყველა უფლება დაცულია

სარჩევი

შეჯამება 5

შესავალი
ჯეიმზ ნიქსი 23

მითი 01: „რუსეთი და დასავლეთი ერთნაირად „ცუდია“
ჯეიმზ შერი 28

მითი 02: „რუსეთსა და დასავლეთს ერთნაირი მიზნები აქვთ“
კაირ ჯაილზი 35

მითი 03: „რუსეთს დაჰპირდნენ, რომ NATO აღარ გაფართოვდებოდა“
ჯონ ლაუ 41

მითი 04: „რუსეთი დასავლეთთან კონფლიქტში არ არის“
მეთიუ ბულეგი 47

მითი 05: "გვჭირდება ახალი პანევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც რუსეთსაც მოიცავს“
დანკან ალენი 53

მითი 06: „უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთთან ურთიერთობები, მაშინაც კი, თუ რუსეთი დათმობებზე არ წავა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია“
ენდრიუ ვუდი 59

მითი 07: „რუსეთი უფლებამოსილია ჰქონდეს თავდაცვითი პერიმეტრი - „პრივილეგირებული ინტერესების“ სფერო - მათ შორის, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზეც“
ქეით მალინსონი 65

მითი 08: „რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილება უნდა ჩამოვაგდოთ, რათა ხელი შევუშალოთ მათ ტანდემს დასავლური ინტერესების წინააღმდეგ“
ანეტ ბორი 71

მითი 09: „აუცილებელია რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია ჩინეთის გაძლიერების შესაჩერებლად“
ჯეიმზ ნიქსი 79

მითი 10: „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი ევროკავშირის ნამდვილი და მნიშვნელოვანი ეკვივალენტია“
კატარინა ვოლჩუკი 87

მითი 11: „უკრაინელები, ბელარუსიელები და რუსები ერთი ერია“
ანაის მარინი 97

მითი 12: „ყირიმი ყოველთვის რუსეთის იყო“
ორიცია ლუცევიჩი 103

მითი 13: „1990-იან წლებში ლიბერალური ბაზრის რეფორმა რუსეთისთვის არასახარბიელო აღმოჩნდა“
ფილიპ ჰენსონი 111

მითი 14: „სანქციები არასწორი მიდგომაა“
ნაიჯელ გაულდ დევისი 117

მითი 15: „მთავარი პუტინია - რუსეთი ერთი კაცის მიერ მართული, ცენტრალიზებული ავტოკრატიაა“
ბენ ნოუბლი და ეკატერინა შულმანი 123

მითი 16: „პუტინის შემცვლელი მასზე უკეთესი იქნება“
ნიკოლაი პეტროვი 130

დასკვნები
კაირ ჯაილზი და ჯეიმზ ნიქსი 136

სამადლობელი მიმართვა 147

შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში დეკონსტრუირებულია 16 ყველაზე გავრცელებული მითი, რომლებიც რუსეთის შესახებ დასავლეთის შეხედულებებს აყალიბებს და საზიანოდ ზემოქმედებს პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელების პროცესზე.

დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა პოლიტიკამ ჯერაც ვერ მიაღწია მოსკოვთან სტაბილური და კონტროლირებადი ურთიერთობის ჩამოყალიბების ძირითად მიზანს, რადგან ამ მიზნისკენ სწრაფვა ხშირად არარეალისტურ ან უბრალოდ მცდარ მსჯელობას ეფუძნება. წინამდებარე კვლევა დასავლურ მთავრობებსა და ინსტიტუტებს მოუწოდებს, გადააფასონ შეხედულებები და ვარაუდები რუსეთის შესახებ, რათა შეძლონ უფრო ეფექტური რეაგირება მზარდ გამოწვევებზე, რომლებსაც ეს ქვეყანა ქმნის. „ეფექტური“ ამ კონტექსტში ნიშნავს რუსეთის მიერ საკუთარ საზღვრებს გარეთ გამოვლენილი აგრესიის შეკავებას და, საბოლოო ჯამში, რუსეთთან ნაკლებკონფლიქტური ურთიერთობის მიღწევას ისე, რომ არ შეილახოს სუვერენულობისა და უსაფრთხოების პრინციპები და ის ფასეულობები, რომლებიც ამ პრინციპებს უდევს საფუძვლად.

ამ მიზნით, ამ ანგარიშში წარმოდგენილია 16 ყველაზე ფართოდ გავრცელებული „მითი“ (ფართო გაგებით), რომლებიც უარყოფითად აისახება რუსეთის შესახებ დასავლეთში მიმდინარე განხილვაზე. წიგნი აღწერს, თუ როგორ მოიპოვა უსაფუძვლო პოპულარობა კონკრეტულმა მცდარმა შეხედულებებმა „დასავლეთის“ (რომელიც აქ, ძირითადად, მოიაზრებს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას.) პოლიტიკის შემქმნელთა შორის; როგორ გავლენას ახდენს ეს მცდარი მოსაზრებები რუსეთისადმი დასავლეთის პოლიტიკაზე; ასევე, თითოეულ შემთხვევაში, შემოთავაზებულია, უფრო ინფორმირებული პოლიტიკის სავარუდო მოდელები.

მითების წარმოშობა და მიზეზები შეიძლება რამდენიმე ფართო კატეგორიად დაიყოს. ზოგიერთი წარმოდგება დასავლეთის იმ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის შემქმნელების დაუდევარი ვარაუდებიდან, რომელთა გამოცდილება პოლიტიკის ფორმირებაში შემოიფარგლება დასავლურ დემოკრატიულ სისტემებში ოპერირებითა და მსგავსი ან საერთო ღირებულებების

სახელმწიფოებთან ურთიერთობით. მაგალითად, რწმენა, რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობას საერთო საბოლოო მიზნები აქვს, წარმოიშობა მოსკოვზე ჩვენივე [დასავლეთის] ფასეულობების პროექციით, რის შედეგადაც ვასკვნით, რომ ორივე მხარეს (დასავლეთსა და მოსკოვს) თავისთავად ერთნაირად უნდა ესმოდეს ძირეული პრინციპები. იგივე ეხება არგუმენტს, რომ დასავლეთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დათმობებზე წასვლას კონკრეტულ საკითხებში რუსეთთან თანამშრომლობის მისაღწევად. ასევე, შეხედულება, რომ რუსეთთან ურთიერთობებში მთავარი პრობლემა დიალოგის ნაკლებობაა, თავისთავად გულისხმობს დიალოგის გააქტიურებით განსხვავებების შემცირებას მაშინ, როცა, ფაქტობრივად, რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლება, პირიქით, მოტივირებულია, რომ შეინარჩუნოს კონფრონტაციის პოლიტიკა, როგორც დასავლეთისგან დათმობების გამოძალვის საშუალება.

სხვა საყოველთაოდ გავრცელებული მითები უბრალოდ წარმოაჩენს რუსეთის შესახებ არასაკმარის ცოდნას. მაგალითად, გავრცელებული შთაბეჭდილება, რომ კრემლის რეჟიმი რეალურად ერთი კაცის შოუა (კონკრეტულად, ვლადიმერ პუტინის), ავლენს რუსეთის მმართველობის რეალური სტილისა და პოლიტიკის შექმნაში, შეჯერებასა და განხორციელებაში სხვა ცალკეული მოხელეებისა თუ მათ მიერ მართული ინსტიტუტების მნიშვნელოვანი როლის არასათანადო ცოდნას. მსგავსადვე, ვარაუდი, რომ პუტინის მემკვიდრეები აუცილებლად ამჟამინდელ ხელისუფლებაზე უკეთესები იქნებიან, ადამიანის ოპტიმიზმისკენ სწრაფვის გამოხატულებაა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს რუსეთის პოლიტიკისა და ისტორიის რეალურ სახეს.

ამასთან, მითების გარკვეული კატეგორია უკავშირდება რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს. მაგალითად, იდეა, რომ დასავლეთს - როგორც მთლიანობას - შეუძლია ჩინეთის წინააღმდეგ რუსეთთან მორიგება ან რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილების ჩამოგდება, სხვადასხვა მითისგან შეკოწიწებული ტკბილი ოცნებაა. კონკრეტულად, აღსანიშნავია მითები, რომლებიც უკავშირდება ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობის ხასიათსა და ევროატლანტიკურ სახელმწიფოებსა თუ ინსტიტუტებთან რუსეთის გრძელვადიანი ურთიერთობების ამოცანებს.

თუმცა, აქ წარმოდგენილი მითების უმეტესობა დასავლური პოლიტიკის დისკურსში დამკვიდრდა რუსული ინტერესების მიზნობრივი ლობირებისა და დეზინფორმაციის საშუალებით. ზოგიერთმა მითმა ფეხი მოიკიდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ სპონტანურად და კეთილი მიზნებით შეიქმნა, არამედ იმიტომაც, რომ მათი გაძლიერება-გამყარება კრემლის ინტერესებში შედის.

ბევრიც ასახავს იმ მისწრაფებებს, რომლებიც რუსეთს უკვე დიდი ხანია აქვს: პანევროპული უსაფრთხოების სისტემის რუსული სტრუქტურის (დიზაინის) დამკვიდრების მცდელობა სხვადასხვა ფორმით ჩნდება 1950-იანი წლებიდან მოყოლებული. ასევე, გარკვეულ მითებში ჩანს უფრო ფართო სტრატეგიული ნარატივები, რომლებიც ქმნიან რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების ლეგიტიმაციის ჩარჩოს: მაგალითად, აზრი, რომ რუსეთს შეუძლია მოითხოვოს პრივილეგირებული ინტერესების სფერო; ან მოსაზრება, რომ უკრაინელები და ბელარუსები რუსებთან ერთად ერთიანი სლავი ერის წარმომადგენლები არიან და მათ არ გააჩნიათ საკუთარი იდენტობა ან სახელმწიფოებრიობის ცალკეული ფორმები. სხვა დროს, რუსეთის მხრიდან მითის გავრცელების მიზანი შეიძლება დაკავშირებული იყოს საგარეო პოლიტიკის კონკრეტულ მიზანზე, როგორიცაა, მაგალითად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის, როგორც ევროკავშირის ანალოგიური ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტის პოპულარიზაცია.

ბევრი მითი - რუსეთის მიერ განზრახ თუ მის ჩაურევლად გავრცელებული და პოპულარიზებული - დასავლური აუდიტორიებისთვის მისაღებია, რადგან ისინი ადვილად დამაჯერებელია ხალხისთვის, რომლებიც მიუჩვევლები არიან ისტორიის რუსეთისეულ ინტერპრეტაციასა და ეროვნული ინტერესების კრემლისეულ განმარტებას. მითის რწმენამ შეიძლება ხანდახან გაამართლოს უმოქმედობა - შეგუების (კოპინგის) სტრატეგიები რუსეთის სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ ყოფნის შიშისმომგვრელი და უსიამოვნო აზრის ან, სულაც, რუსეთის იმ მოქმედებების ფონზე, რომლებიც სხვაგვარად მიუღებელი იქნებოდა. მითი, როგორც ასეთი, მეტად საშიშ ზეგავლენას ახდენს და დასავლეთის პოლიტიკაზე და ამრუდებს მას, რათა შესაძლებელი გახდეს ან ხელი შეეწყოს რუსეთისთვის, მაგრამ არა დასავლეთისთვის სასურველი მიზნების მიღწევას.

ამ ანგარიშის ერთ-ერთი მიზანია გამოვააშკარაოთ ეს მითები და დავეხმაროთ დასავლეთის იმ პოლიტიკის შემქმნელებს მათ გადაფასება-გადასინჯვაში, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობის ბუნებას უკვე საკმაოდ დიდი ხანია მცდარად აღიქვამენ. რუსეთის შესახებ არასწორი ვარაუდებისა და მათზე დაფუძნებული ხარვეზიანი პოლიტიკური არგუმენტების ეჭვქვეშ დაყენებით, ეს ანგარიში მოუწოდებს დასავლეთის პოლიტიკოსებსა და ოფიციალური თანამდებობების პირებს გადასინჯონ რუსეთთან დამოკიდებულებები და პოლიტიკაზე მათი ვარაუდებისა და შეხედულებების რეალური ზემოქმედება.

2021 წლის აპრილში, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გამოაცხადა რუსეთთან „პროგნოზირებადი და სტაბილური ურთიერთობების“

სურვილი. ეს არ წარმოადგენდა გადატვირთვისკენ გულუბრყვილო მოწოდებას. დეესკალაციისკენ ექსპლიციტური მოწოდება, რომელიც თან ახლავს ახალი სანქციების ზედმიწევნით მოზომილ პაკეტს, აჩვენებს რუსეთის რისკისა და სარგებლის ანალიზზე ზემოქმედებისა და, უფრო ზოგადად, რუსეთისთვის აშშ-სა და დასავლეთთან ნაკლებ დაძაბული ურთიერთობებისკენ მიმავალი გზის შეთავაზების აშკარა სურვილს.

რუსეთის მიერ ამ შეთავაზების მყისიერი და ემფატიკური უარყოფა ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა მისთვის ჩვეულ, არასტაბილურ გზას უბრუნდება. ამის გათვალისწინებით, ერთი მხრივ რუსეთთან ურთიერთობა უკვე პროგნოზირებადია: ამ ანგარიშში მოცემული ანალიტიკური შეფასებები მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ რუსეთი, უახლოეს მომავალში, განაგრძობს ქცევის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების გათელვას და, თუ არ შეაკავებენ, სხვა აგრესიულ ქმედებებსაც ჩაიდენს, გამოიყენებს რა ქვემოთ მოცემულ მითებს საქციელის გამართლებად.

რუსეთის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, კვლავ განაგრძობს გლობალური ძალაუფლების ბალანსის ხელახლა განსაზღვრას და ვაშინგტონთან დაზავების მცდელობებს რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელ კონტექსტში მოქცევას. აშშ-ის პოლიტიკის შემქმნელებისა და პარტნიორებისთვის, ასევე, მათი შესაბამისი პუბლიკისთვის, მითის რეალობისგან გამორჩევა რუსეთთან ურთიერთობებში არასოდეს ყოფილა ასეთი მნიშვნელოვანი.

მითები

მითი 01: „რუსეთი და დასავლეთი ერთნაირად „ცუდია“

ეს ფართოდ გავრცელებული და გავლენიანი შეხედულება უგულებელყოფს მნიშვნელოვან განსხვავებებს პოლიტიკისა და ქცევის თვალსაზრისით. „დასავლეთი“ წარმოადგენს საერთო ინტერესებისა და ფასეულობების მქონე საზოგადოებას; NATO-სა და ევროკავშირის გაფართოებას განაპირობებს შესაბამისი მოთხოვნის არსებობა. ამის საპირისპიროდ, რუსეთი ცდილობს „მტკიცე კეთილმეზობლობა“ თავს მოახვიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მათი სურვილისდა მიუხედავად; ამასთან, თვლის, რომ უფლება აქვს „პრივილეგირებული ინტერესების არეალი“ ჰქონდეს. დასავლეთის სამხედრო ინტერვენციების გარშემო ატეხილი აზრთა სხვადასხვაობა არც შეედრება ორმაგ სტანდარტებს, დიპლომატიური მიდგომების არარსებობას და ხელშეკრულებების უხეში დარღვევის ფაქტებს, რომლებიც წინ უძღოდა რუსეთის ინტერვენციებს საქართველოსა და უკრაინაში. მიუხედავად იმისა,

რომ შეიძლება დასავლეთი მართლაც უნდა ერიდოს ორაზროვნებას საკუთარი პოლიტიკის წარმოჩენა-განხორციელებისას, ამ ორის ეკვივალენტურობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

მითი 02: „რუსეთსა და დასავლეთს ერთნაირი მიზნები აქვთ“

რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების მიზნით შექმნილი დასავლეთის პოლიტიკა აუცილებლად მარცხისთვის იქნება განწირული, თუ დაეყრდნობა შეხედულებას, რომ, რაღაც თვალსაზრისით, რუსული და დასავლური ინტერესები შეიძლება თანხვედრი ან, სულ მცირე, ურთიერთგადამფარავი მაინც იყოს. ურთიერთობების ნორმალიზებისკენ სწრაფვა უთანხმოების ფუნდამენტური მიზეზების მოგვარების გარეშე არათუ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს კიდეც სიტუაციას. როგორც სტრატეგიული თვალსაზრისით, ასევე, უფრო კონკრეტულ დეტალებში, რუსეთის ამოცანები (და ის შეხედულებები, რომლებიც ამ ამოცანების საფუძველს წარმოადგენს) სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ხასიათის შესახებ სრულიად შეუთავსებელია დასავლურ საზოგადოებაში მიღებულ პრინციპებთან). იმის აღიარება, რომ დასავლური და რუსული ფასეულობები შეუთავსებელია და მათი შეჯერება ვერ მოხდება, ასევე, ამ რეალობასთან შეგუება კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების მოგვარების უმთავრესი წინაპირობაა.

მითი 03: „რუსეთს დაჰპირდნენ, რომ NATO აღარ გაფართოვდებოდა“

დღესდღეობით რუსეთის მიერ აქტიურად გავრცელებული ღალატის ნარატივის საპირისპიროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ-ისთვის არასოდეს მიუციათ ოფიციალური გარანტია 1990-იანების შემდგომ NATO-ს გაფართოების შეზღუდვის თაობაზე. მოსკოვი უბრალოდ ამახინჯებს ისტორიას, რათა თავად ქვეყნის შიგნით შეინარჩუნოს ანტიდასავლური კონსენსუსი. 1990 წელს, როცა მიხეილ გორბაჩოვმა თანხმობა განაცხადა გაერთიანებული გერმანიის NATO-ში გაწევრიანებაზე, მას არც მოუთხოვია და არც მიუღია რაიმე სახის ოფიციალური გარანტია, რომ NATO გაერთიანებული გერმანიის ტერიტორიის ფარგლებს არ გასცდებოდა. ვარშავის პაქტის დარღვევამ და სსრკ-ის დაშლამ შეცვალა ევროპაში უსაფრთხოების პირობები. რუსეთის ახალ ხელისუფლებას არც ევროპის ქვეყნების მიერ საკუთარი უსაფრთხოების პრიორიტეტების განკარგვის უფლება დაუყენებია ეჭვქვეშ. მსგავსადვე, 1997 წელს ხელმოწერილი NATO-რუსეთის დამფუძნებელი აქტით აღიარებული იქნა ყველა სახელმწიფოს

„თანდაყოლილი უფლება“, თავადვე „აერჩია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებები.“

მითი 04: „რუსეთი დასავლეთთან კონფლიქტში არ არის“

ევროატლანტიკური ქვეყნების პოლიტიკის შემქმნელებს შეიძლება დიდად არ უნდოდეთ ამის აღიარება, მაგრამ დასავლეთთან კონფრონტაცია მოსკოვის ბუნებრივი მდგომარეობაა. ამ კონფლიქტის მთავარი მახასიათებელია რუსეთის მიერ მეტად თავისებური მტრული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც, როგორც წესი, არღვევს სამშვიდობო აქტივობის დადგენილ ნორმებს, თუმცა საომარი მოქმედების ზღვარს არ სცდება. კრემლს სურს, ძირი გამოუთხაროს დასავლურ ინტერესებს უკვე მრავალგზის ნაცადი მეთოდების გამოყენებით, მათ შორის: არჩევნებში ჩარევა, მიზნობრივი, სახელმწიფოს მიერ დაკვეთილი მკვლელობები და საინფორმაციო ომი. რაც ყველაზე მთავარია, ეს თავისებური მტრული ღონისძიებები და არაპირდაპირი მოქმედებები ამ კონფლიქტის უბრალო *მახასიათებლები* არ არის: სწორედ ეს ფაქტორები წარმოშობს (მცდარ) განცდას, რომ კონფლიქტი არც არსებობს.

მითი 05: "გვჭირდება ახალი პანევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც რუსეთსაც მოიცავს“

რუსეთის ლიდერები მხარს უჭერენ და ავრცელებენ ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებული და მთელი კონტინენტის მომცველი ევროპული უსაფრთხოების სისტემის იდეას, რომელიც ჩაანაცვლებს არსებულ „ევროატლანტიკურ“ სტრუქტურებს, განსაკუთრებით კი - NATO-ს. ეს შემოთავაზება პრობლემურია: იგი უგულებელყოფს რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ბაზისურ განსხვავებებს სუვერენულობის საკითხებში. რუსეთს სურს „დიდი სახელმწიფოს“ პრივილეგიები თავისთვის, მეზობელი ქვეყნების სუვერენულობის შეზღუდვა და შეთანხმება, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს გაკიცხვა, თუ ის საშინაო საქმეებს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების შეუსაბამოდ წარმართავს. ეს პერსპექტივა ეჯახება ძირითად დასავლურ ინტერესებსა და ფასეულობებს. მაშინაც კი, თუ ახალი პანევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა ჩამოყალიბდება, ფუნდამენტური განსხვავებები ამ ორ მხარეს შორის ასეთი სისტემის ფუნქციონირებას თავისთავად შეუძლებელს ხდის. დასავლური პოლიტიკის შემქმნელებმა ნათლად უნდა გაიაზრონ და გააცხადონ, რომ რუსეთთან აზრთა სხვადასხვაობა ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ

ძირეულია და, დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში, ვერც გადაწყდება.

მითი 06: „უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთთან ურთიერთობები, მაშინაც კი, თუ რუსეთი დათმობებზე არ წავა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია“

ეს მითი ეყრდნობა ამოსავალ დებულებას, რომ რუსეთის თავისთავადი გეოპოლიტიკური წონა, საერთო ეკონომიკური ინტერესები და ცივ ომში დამარცხების შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაცია ის ფაქტორებია, რომლებიც ერთობლივად განაპირობებს რუსეთთან ურთიერთობებში გადატვირთვის აუცილებლობას. როგორც წესი, ეს გადატვირთვა ქმედითი და შედეგიანი ურთიერთობის წინაპირობად მოიაზრება, ხოლო ის ფაქტი, რომ ასეთი შეთანხმება „მცირე სახელმწიფოებს“ უფრო დაუცველს ტოვებს რუსული ზემოქმედებისა და საფრთხისადმი, ამ მითის მიმდევართა აზრით, საერთო მიზნისთვის გაღებული მსხვერპლი და / ან, უბრალოდ, სამწუხარო გვერდითი მოვლენაა. გარდა ღრმად ეთიკური ორაზროვნებისა, ასეთი გარიგება ჩანასახშივე წარუმატებელია, ნაწილობრივ იმიტომ, რომ დასავლეთის და, განსაკუთრებით აშშ-ის წარმოჩენა „ციხესიმაგრე რუსეთის“ მტრად კრემლს რუსეთის შიგნით უფრო და უფრო მკაცრი ავტორიტარული რეჟიმის გამყარებაში უწყობს ხელს. ძალიან ცოტა სფეროში თუ არსებობს რუსეთთან თანამშრომლობის რეალური პერსპექტივა. თანამშრომლობის ყველაზე ხშირად განხილულ სფეროებში, როგორებიცაა კიბერუსაფრთხოება, შუა აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა და ვაჭრობა - ჯერჯერობით ყველა მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა საკითხებისადმი რუსეთის არალიბერალური მიდგომის გამო. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მოსკოვი თვითონ არასოდეს გამოდის თანამშრომლობის ინიციატივით: პირიქით, სწორედ დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკოსები და დიპლომატები დგამენ ასეთ ნაბიჯებს. დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა გააცნობიერონ და ახსოვდეთ, რომ კრემლის შეხედულებების ქვაკუთხედი ყოველთვის იქნება რუსეთის ციხესიმაგრედ აღქმა, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი მბრძანებლის როლი ერგო, თუმცა კი გარე ძალები, განსაკუთრებით აშშ, ემუქრება და ხელს უშლის.

მითი 07: „რუსეთი უფლებამოსილია ჰქონდეს თავდაცვითი პერიმეტრი - „პრივილეგირებული ინტერესების“ სფერო - მათ შორის, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზეც“

მოსაზრება, რომ რუსეთს სხვა სახელმწიფოებში - უფრო კონკრეტულად, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში - ექსკლუზიური ზემოქმედების არეალი ეკუთვნის, მეტად პრობლემურია და სრულიად შეუთავსებელია სახელმწიფოების სუვერენულობისა და თვითგამორკვევის (საკუთარი ბედის გადაწყვეტის) შესახებ ევროატლანტიკური ქვეყნების მიერ აღიარებულ ფასეულობებთან. ამგვარი შეხედულება აზიანებს გეოპოლიტიკურ წესრიგსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას, რამდენადაც იგი თავისდაუნებურად ამართლებს რუსეთის მოქმედებებს - ტერიტორიულ აგრესიას, ანექსიასა და პირდაპირ ომსაც კი, რითაც საფრთხეს უქმნის არამხოლოდ რუსეთის სამეზობლოს, არამედ, უფრო ფართოდ - მთელი ევროპის სტაბილურობას. ეს მითი, ფაქტობრივად, რუსეთს უდასტურებს მეზობელ სახელმწიფოებზე გაბატონებისა და მათი ტერიტორიული მთლიანობის შელახვის უფლებას; არასწორად ინტერპრეტირებს თანამედროვე გეოპოლიტიკურ მოცემულობებს - მაგალითად, ფაქტს, რომ რუსეთი იძულებული გახდა (თუმცა კი, უხალისოდ) მიეღო სხვა მოთამაშე - ჩინეთი - საკუთარი საზღვრის პერიფერიებზე (განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ჩინეთის მზარდ გავლენას ცენტრალურ აზიაში.). პრინციპების ღალატიც რომ გვერდზე გადავდოთ, საეჭვოა, რომ დასავლეთს შეეძლოს რუსეთისთვის ზემოქმედების არეალის გადაცემა; ამასთან, საყოველთაოდ რომც აღიარონ, ასეთი შეხედულებები მაინც არ გაამართლებს. თუ არ მოხდება ამ თემასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური დოქტრინების კრიტიკულად გადასინჯვა, კვლავ გაჩნდება ცივი ომის დროინდელი პოზიციების განმეორების საფრთხე. და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოს (და მათ მოსახლეობაც კი) შეიძლება ერჩივნოს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობები, არც ერთს არ სურს ამ მიზნით საკუთარი სუვერენიტეტის მსხვერპლად გაღება.

მითი 08: „რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილება უნდა ჩამოვაგდოთ, რათა ხელი შევუშალოთ მათ ტანდემს დასავლური ინტერესების წინააღმდეგ“

შეხედულება, რომ დასავლეთს შეუძლია გამოიყენოს რუსეთსა და ჩინეთს შორის არსებული დაძაბულობა არამხოლოდ არასწორად ინტერპრეტირებს ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობის ბუნებას, არამედ, გადაჭარბებით აფასებს გარე ზემოქმედებისადმი

მათი ურთიერთობის მოწყვლადობას. ამ მითიდან გამომდინარეობს ვარაუდი, რომ რუსეთი და ჩინეთი უკვე ერთიან სტრატეგიულ ერთეულს წარმოადგენენ, რომლის ჩამოყალიბებაც შესაძლებელი გახდა დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელების დაუდევრობის შედეგად. დასავლეთს არ გაუერთიანებია რუსეთი და ჩინეთი, არც მათი დაცალკევება შეუძლია. ამ ორ სახელმწიფოს აქვს ბუნებრივი იდეოლოგიური თავსებადობა, ასევე, ურთიერთშემავსებელი ეკონომიკა და ურთიერთგადამფარავი ინტერესები საკმაოდ ბევრ სფეროში, ტექნოლოგიის, კიბერთანამშრომლობისა და თავდაცვის ჩათვლით. იმავდროულად, მითი ამახინჯებს ჩინურ-რუსული ურთიერთობების ბუნებას, როცა მას ქმედებათა ერთგვაროვნებასა და დიდ კონსპირაციულ ხასიათს მიაწერს, უგულებელყოფს რა ყოველი სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტურ საჭიროებას, შეინარჩუნოს სრული ავტონომია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორ ქვეყანას ამჟამად უფრო მეტის მიღება შეუძლია თანამშრომლობისგან, ვიდრე დაპირისპირებისგან, ორივემ, რუსეთმაც და ჩინეთმაც, დროებით გვერდზე გადადო განსხვავებები. თუმცაღა, ლატენტური ორმხრივი დაძაბულობა შეიძლება გამწვავდეს ჩინეთის აღმასვლასთან ერთად. მაშასადამე, „ავტორიტარიზმის ღერძის“ აღმოცენება ჯერ მოსალოდნელი არ არის.

მითი 09: „აუცილებელია რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია ჩინეთის გაძლიერების შესაჩერებლად“

ჩინეთის წინააღმდეგ სტრატეგიული გაერთიანების მიზნით რუსეთთან ურთიერთობების ჰარმონიზაცია, სავარაუდოდ, მხოლოდ კრემლის პირობებით შეიძლება განხორციელდეს, რაც ნიშნავს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუვერენულობის მსხვერპლად გაღებას. უფრო მეტიც, ამ მითის რწმენა გულისხმობს ვარაუდს, რომ კრემლს ნამდვილად სურს დასავლეთთან ნორმალიზებული ურთიერთობა, ასევე, უგულებელყოფს, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება (ნებისმიერ შემთხვევაში) ჩინეთის გაძლიერებას ვერ შეაჩერებს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევისა და ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტები რუსეთისაზე არანაკლებ მიუტევებელია, კრემლთან ალიანსი თავისთავად გამორიცხავს ჩინეთსა და დასავლეთს შორის მდგრადი ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივას. დასავლეთის სახელმწიფოებს არ აქვთ მხოლოდ ჩინეთის მიერ შექმნილ გამოწვევებზე ფოკუსირების და რუსეთის აგრესიულ ქცევაზე თვალის დახუჭვის ფუფუნება.

მითი 10: „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი ევროკავშირის ნამდვილი და მნიშვნელოვანი ეკვივალენტია“

რუსეთი ცდილობს ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EAEU) ევროკავშირის პარტნიორად წარმოაჩინოს მის მიერვე შემოთავაზებულ თავისუფალი ვაჭრობის არეალში, რომელიც „ლისაბონიდან ვლადივასტოკამდეა“ გადაჭიმული. სინამდვილეში, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი წარმოადგენს პოლიტიკურ პროექტს, რომელსაც საერთო ბაზრის დამახასიათებელი ყველა თვისება აკლია. რუსეთი თვითონვე უგულებელყოფს იმ ორგანიზაციის წესებსა და ნორმებს, რომლის საშუალებითაც განამტკიცებს საკუთარ ძალაუფლებას და რომელთან თანამშრომლობისკენაც ევროკავშირს მოუწოდებს. სავაჭრო პოლიტიკა რუსეთის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელი, არაპოლიტიზებული მიმართულება არ არის; პირიქით, სწორედაც რომ მისი პოლიტიკის ნაწილია. ეკონომიკური დიპლომატიის ინსტრუმენტული გამოყენებისა და ღრმა პოლიტიზაციის შედეგად, ევრაზიის ეკონომიკური კავშირს ფუნქციურად არ შეუძლია ევრაზიის ინტეგრაციის ორგანოს წარმოადგენდეს, კონკრეტულად კი იმიტომ, რომ რუსეთის ეკონომიკურ ინტერესს არ წარმოადგენს ვაჭრობის ლიბერალიზაცია, იქნება ეს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შიგნით თუ ევროკავშირთან ვაჭრობის თავისუფალ სივრცეში.

მითი 11: „უკრაინელები, ბელარუსიელები და რუსები ერთი ერია“

კრემლის მიერ ისტორიის მიზნობრივად დამახინჯება ემსახურება მისი პრეტენზიის ლეგიტიმაციას, რომლის თანახმადაც, უკრაინა და ბელარუსი რუსეთის „ბუნებრივი“ ზემოქმედების არეალს წარმოადგენენ. ფაქტობრივად, ორივე ქვეყანას უფრო ძლიერი ევროპული ფესვები აქვს, ვიდრე კრემლს უნდა რომ აღიაროს. ისტორიულად არაზუსტია იმის მტკიცება, რომ რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი ოდესმე წარმოადგენდნენ ერთ ეროვნულ მთლიანობას (მართლაც, ამ ორ ქვეყანას ძირეულად ევროპული პოლიტიკური და კულტურული ფესვები აქვთ, მაგალითად, ლიეტუვის საჰერცოგო). კრემლის ნარატივი ემსახურება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის რუსეთის *primus inter pares* (თანასწორთა შორის პირველის) სტატუსის გამყარებას და ასაბუთებს რუსეთის უფლებას მუდმივად (დღესაც და ყოველთვის) ერეოდეს მეზობლების საშინაო საქმეებში. „სამსახოვანი“ რუსი ერის იდეა ბღალავს ისტორიულად თვითმყოფადი კულტურების უნიკალურობას. უფრო მეტიც, უკრაინული იდენტობის და „ბელარუსიელობის“

პერსპექტიულობის, როგორც სახელმწიფოებრიობის საშენი მასალის ავთენტურობის ეჭვქვეშ დაყენებით, რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებას შთაუნერგოს სტერეოტიპები, რომლებიც არ გაართულებს უკრაინისა და ბელარუსის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესს.

მითი 12: „ყირიმი ყოველთვის რუსეთის იყო“

კრემლი ავრცელებს ტყუილებს, რომ ყირიმი ლეგიტიმურად და ნებით „გამოეყო“ უკრაინას და „დაუბრუნდა“ რუსეთს 2014 წელს. თუ ეს მითი არ გაბათილდება, იგი ხელს შეუწყობს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შესუსტებას და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ექსპანსიონისტური ძალების გააქტიურებას. ყირიმის ანექსიის შემდგომ პერიოდში რუსეთის მიერ ყირიმის რადიკალური მილიტარიზაცია და აზოვის ზღვაში უკანონო შეზღუდვების დაწესება ზრდის როგორც შავი ზღვის აუზის, ასევე, ხმელთაშუაზღვისპირეთის დაუცველობას რუსული საფრთხეებისადმი.

სინამდვილეში, ყირიმი რუსეთის ხელში იყო მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში: ისტორიულად (2014 წლამდე) რუსეთი ყირიმს აკონტროლებდა ჯამში 168 წლის განმავლობაში, ანუ რაც ნახევარკუნძულის დოკუმენტირებული ისტორიის 6 პროცენტს არ აღემატება. 1991 წელს უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ყირიმში არ უარსებია არც ერთ მსხვილ სეპარატისტულ მოძრაობას. უკრაინელები, რუსები და ყირიმელი თათრები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ფართო ავტონომიის ფარგლებში. რუსეთის მიერ 2014 წლის 16 მარტს ორგანიზებული „რეფერენდუმი“ განხორციელდა ზეწოლის პირობებში და წარმოადგენდა ნახევარკუნძულის უკანონო ოკუპაციის შენიღბვის ოფიციალურ ფორმას.

მითი 13: „1990-იან წლებში ლიბერალური ბაზრის რეფორმა რუსეთისთვის არასახარბიელო აღმოჩნდა“

ამ მითის თანახმად, 1990-იანი წლებში დაწყებულმა ლიბერალური ბაზრის რეფორმამ რუსეთში ხანგრძლივი რეცესია გამოიწვია. მართლაც, არსებობდა ლიბერალური რეფორმის მცდელობა, რომლის შედეგები მძიმედ დააწვა ქვეყნის ეკონომიკას მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები რეფორმამ შექმნა. ლიბერალური რეფორმა რუსეთში არასოდეს განხორციელებულა ისე, როგორც თავდაპირველად ჩაფიქრებული

იყო. ამის საპირისპიროდ პოლონეთში, სადაც რეფორმა ჩატარდა, წარმოება უმნიშვნელოდ და მოკლე პერიოდით შემცირდა; რუსეთში, პოლიტიკურად სუსტმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ბოლომდე მიეყვანა ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესი (მათ შორის, ინფლაციის კონტროლი და საჯარო ფინანსების მართვა), ხოლო რეფორმის მეორე ძირითადი მიმართულება - პრივატიზაციის პროცესი - კორუფციამ გაამრუდა. მცდარი შეხედულება, რომ რუსეთში შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება უარყოფითად მოქმედებს დასავლეთის პოლიტიკაზე.

მითი 14: „სანქციები არასწორი მიდგომაა“

ეკონომიკურმა სანქციებმა, როგორც რუსეთის მიუღებელ ქცევებზე რეაგირების მეთოდმა, არაერთხელ დაამტკიცა პრაქტიკული და ნორმატიული ღირებულება. თუმცა, საჭიროა მოცდა, რადგან სანქციები დასახულ მიზანს მაშინვე ვერ მიაღწევს. მათი ეფექტიანობა არ უნდა შეფასდეს შეუძლებელი კრიტერიუმებით. მიუხედავად გავრცელებული მტკიცებისა, რომ სანქციები უშედეგოა, უკვე ცხადია მათი ზემოქმედება რუსეთის ქცევაზე, მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, რომლებიც უკავშირდება სანქციების გამოყენებას რუსეთის მსგავსი დიდი და სტაბილური სამიზნის წინააღმდეგ. სანქციები ასევე, დემონსტრაციულად გმობს მიუღებელ ქცევას და განამტკიცებს საერთაშორისო წესრიგის ნორმებისა და პრინციპებისადმი კოლექტიურ ერთგულებას.

მითი 15: „მთავარი პუტინია - რუსეთი ერთი კაცის მიერ მართული, ცენტრალიზებული ავტოკრატიაა“

რუსეთის მმართველობა ერთი კაცის დადგმული შოუ არ არის. საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებების მიუხედავად, ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში მრავალ სხვადასხვა აქტორსა თუ ინსტიტუტს აკისრია გადამწყვეტი როლი. პრეზიდენტის პიროვნების მნიშვნელობა ხშირად გაზვიადებულია, რამდენადაც გარე დამკვირვებლები უგულებელყოფენ ან მცდარად აღიქვამენ კოლექტიური ორგანოების ჩართულობას (მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ან უშიშროების საბჭო), გადაჭარბებულად აფასებენ მმართველობითი კომპეტენციისა და დისციპლინის ხარისხს (პრეზიდენტის ბრძანებები, მაგალითად, ხშირად ვერ სრულდება) და ვერ ითვალისწინებენ პუტინის გარშემომყოფთა პირადი ინტერესების გავლენას. პუტინის ძალაუფლება და შესაძლებლობა, ჩაერიოს ყველა ტიპის

გადაწყვეტილებაში, თავისთავად არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის ასე იქცევა ან უნდა, რომ მოიქცეს. რუსეთის მართვის სტილის სიღრმისეულად გასააზრებლად უნდა გავითვალისწინოთ რუსული ბიუროკრატიის ძალაუფლება და კომპლექსურობა, რომელიც მომავალში არათუ შემცირდება, არამედ მკვეთრად გაიზრდება.

მითი 16: „პუტინის შემცვლელი მასზე უკეთესი იქნება“

ეს მითი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, თუ როგორც დაჯაბნის ხოლმე ოპტიმიზმი გამოცდილებასა და ანალიტიკურ დასკვნებს. რუსეთს აქვს სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც სცდება პუტინის მმართველობასთან ასოცირებულ სირთულეებს. შედეგად, ალბათობა, რომ რუსეთი პუტინის შემდეგ დაიწყებს რეალურად პერსპექტიული და ჯანსაღი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შენებას ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე 1990-იანებში იყო. კონკრეტულად, ანგარიშვალდებული და ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად ქვეყანას დასჭირდება ელიტური ბიუროკრატებისა და პოლიტიკის შემქმნელების ახალი პროფესიული კადრი. თუმცა, ასეთი კადრის გამოზრდის პირობები დღევანდელ რუსეთში არ არსებობს. მიუხედავად იმისა, თუ ვინ შეცვლის პუტინს, რუსეთის პოლიტიკური კულტურა კვლავ ხელს შეუშლის დასავლეთთან უფრო კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

რეკომენდაციები

ამ წიგნის თითოეულმა ავტორმა კონკრეტული მითის ანალიზს დაურთო უფრო უკეთესი და რეალისტური პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ეყრდნობა აქ წარმოდგენილი ანალიტიკოსების მრავალწლიანი გამოცდილების ერთობლიობას - გამოცდილების, რომელიც, განსხვავებით პოლიტიკოსებისგან, არ იზღუდება საარჩევნო პირობებით ან პოლიტიკური მოდის ცვალებადობით. თვალსაჩინოებისთვის, ქვემოთ თემატურად დაჯგუფებული და ჩაშლილია ყველა რეკომენდაცია (რუსეთთან უფრო ეფექტურად და რაციონალურად გამკლავების 10 მოკლე პრინციპი, რომლებიც შეირჩა ავტორებისეული სპეციფიკური რეკომენდაციებიდან და ქვემოთ მოცემული საკითხებიდან, ასევე, წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის „დასკვნის“ ნაწილში).

ავტორები დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკის შემქმნელებს სთავაზობენ შემდეგ რეკომენდაციებს:

პირველი პრინციპი: ურთიერთობის ხასიათის გაცნობიერება

- აღიარება, რომ რუსეთი ამჟამად არ არის დასავლეთის პარტნიორი და უთანხმოება რეალურია. არსებობს საფუძვლიანი მიზეზები იმისა, თუ რატომ ვერ ხერხდება რუსეთთან საერთო ენის გამონახვა ბოლო 25 წელია: **მოსკოვისა და დასვლეთის სტრატეგიული ინტერესები დღესდღეობით შეუთავსებელია.**
- **არ შეიძლება ამოსავალ დებულებად ჩაითვალოს, რომ რუსეთს აინტერესებს დაძაბულობის შემცირების მიზნით თანამშრომლობა** ან დასავლეთის ქვეყნებს შეუძლიათ აზრი შეაცვლევინონ რუსეთის ხელმძღვანელობას. დასავლეთთან კონფრონტაცია ამჟამად ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით კრემლის რეჟიმის შენარჩუნებას.
- იმ ფაქტის მიღება, რომ **რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა ტრაგედია არ არის, თუ მიმდინარე ვითარებაში არ არსებობს მისი გაუმჯობესების გზები.** რუსეთის ამჟამინდელი სისტემის რეალური ბუნების აღიარებას გარდაუვალად მოჰყვება დიპლომატიური დაძაბულობა.

რუსეთის ლიდერებთან ურთიერთობა

- **განისაზღვროს, რა არის რუსეთთან ურთიერთობების სასურველი და რეალისტური სტატუსი** – რას უნდა ელოდეს დასავლეთი *რუსეთისგან*, რას შეიძლება შეეგუოს და ვერ შეეგუოს?
- **განისაზღვროს „მიუღებელი“ ქმედებები** და უზრუნველყოფილი იყოს, რომ რუსეთის მიერ საერთაშორისო კანონებისა და ნორმების დარღვევას შესაბამისი შედეგები მოჰყვება.
- **პუტინის გარშემომყოფებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების როლის აღიარება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.** დასავლეთმა უნდა გააცნობიეროს და იცოდეს პუტინის ძალაუფლების ზღვრები, ასევე, იმ მრავალი აქტორის როლი, რომლებიც ზოგჯერ ზღუდავს ან განაპირობებს მის საქციელს.
- იმავდროულად, **პოლიტიკის ამოსავალი დებულება არ უნდა იყოს რუსეთში ვითარების გამოსწორების იმედი ამჟამინდელი ხელისუფლების წასვლის შემდგომ**. პუტინი და მისი ანტურაჟი მისდევს ხანგრძლივად დამკვიდრებულ პოლიტიკის პრინციპებს და არ უნდა ითვლებოდეს, რომ რუსეთის დესტრუქციული საგარეო პოლიტიკა ანომალიური ან მოულოდნელია.

აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის მხარდაჭერა

- **აუცილებელია მყარი პოზიცია, რომ რუსეთს არ აქვს ზემოქმედების ექსკლუზიური არეალი** მისი მეზობლების სუვერენულობის ხარჯზე. საჯაროდ უნდა დაიგმოს რუსული ვეტო მის პერიფერიაზე მყოფი დამოუკიდებელი ქვეყნების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, არამხოლოდ იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება დასავლურ ღირებულებებს და პრიორიტეტებს, არამედ იმიტომაც, რომ ევროპის დესტაბილიზაციის საფრთხესაც მოიცავს.
- **უკრაინელებისა და ბელარუსების მომცველი ერთიანი რუსი ერის ცნების უარყოფა**. რუსეთის პრეტენზია, რომ ძირითადი სლავური ერები „ერთი ხალხია“, წარმოადგენს ამ ხალხის შიდა საქმეებში ჩარევის ლეგიტიმაციის მექანიზმს. აუცილებელია ამ იდეის გაბათილება, რადგან იგი ორივე ქვეყნის სტაბილურ განვითარებას სერიოზულად აბრკოლებს.
- რუსეთის მეზობლების (უკრაინის ჩათვლით) დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და **სუვერენულობის უწყვეტი ერთგულება** და რუსეთისთვის ამის მკვეთრად ხაზგასმა. ყირიმის ოკუპაციისა და ანექსიის უკანონობაზე საუბარი არ უნდა მიჩუმდეს ან შეწყდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმეს ართულებს.
- ბალტიისპირეთში **NATO-ს უსაფრთხოების პროგრამების წარმატების** განვრცობა შავი ზღვის რეგიონში. ეს ღონისძიებები უნდა მოიცავდეს გაძლიერებულ და პირდაპირ წარმომადგენლობას ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში, ასევე, უკრაინისთვის ახალი გაძლიერებული შესაძლებლობების პროგრამას შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

საერთაშორისო უსაფრთხოება

- **რუსეთის მტრული ქმედებების სისტემატურად დისკრედიტაცია, გამომჟღავნება, რუსეთის ბრალეულობის ხაზგასმა.** ეს უნდა იყოს უწყვეტი მრავალეროვნული ძალისხმევა, საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრაცია და დადასტურება.
- **სიმშვიდის შენარჩუნება**. რუსეთის პოლიტიკის შემქმნელები ეცდებიან დასავლეთის აუდიტორიების გაღიზიანებასა და ევროპის უსაფრთხოების ინსტიტუტებისადმი მათი ნდობის შესუსტებას, მაგალითად, ომისა და არასტაბილურობის საფრთხეების გაზვიადებულად წარმოჩენით. რუსეთს უნდა, რომ მის მოწინააღმდეგეებს ესკალაციის ეშინოდეთ.
- **ისტორიის მნიშვნელობისა და** რუსეთის მიერ ფაქტების გამიზნულად დამახინჯების **აღიარება.** ამისთვის დასავლეთის ქვეყნების წამყვანი თანამდებობების პირები არა მხოლოდ კარგად უნდა იცნობდნენ ფაქტებს და დამაჯერებლად საუბრობდნენ მათ

შესახებ, არამედ, ასევე, უნდა შეძლონ დიალოგისას რუსულ მხარესთან შეკამათება ამ უკანასკნელთა მიერ ყალბი ნარატივის შემოტანისას.

რუსეთი და ჩინეთი

- იმის აღიარება, რომ არსებულ მდგომარეობაში **რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილების ჩამოგდების მცდელობები ამაო და საპირისპირო შედეგის მომტანი იქნება.** მრავალეროვნულ ან რეგიონულ ორგანიზაციებთან უფრო ეფექტური ალიანსის დამყარების მცდელობა შეიძლება დასავლეთის მთავრობებისა და ინსტიტუტებისთვის რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან (ერთობლივად თუ ცალ-ცალკე) რეგიონული ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის უკეთესი საშუალება იყოს.
- საჭირო არ არის ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობას დიდი კონსპირაციული ხასიათი მივაწეროთ; უმჯობესი იქნება **სპეციფიკური საფრთხეებისა და გამოწვევების პრიორიტეტებად დასახვა**, რომლებთან ბრძოლაც დასავლეთს რეალურად შეუძლია. ამ ორი ქვეყნის ნებაყოფლობით პარტნიორობაზე ფოკუსირება გადაფარავს და აბუნდოვნებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა რუსეთის მიერ დამოუკიდებლად შექმნილი საფრთხეები და გამოწვევები.
- იმის უზრუნველყოფა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები **შეძლებენ ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე გაუმკლავდნენ გამოწვევებს**. საგარეო პოლიტიკის მიმართვა ჩინეთზე არ უნდა უტოლდებოდეს რუსეთის იგნორირებას.

სანქციები

- **სანქციების,** როგორც დასავლეთის ხელთ არსებული ყველაზე ძლიერი მექანიზმის **გამოყენება უნდა შენარჩუნდეს**. სანქციები შეიძლება იყოს ის ზუსტი იარაღი, რომელიც უმიზნებს ინდივიდებსა და სექტორებს და ნაკლებად ზემოქმედებს ფართო მოსახლეობაზე, განსაკუთრებით შიდა სტრუქტურულ ფაქტორებთან შედარებით. დასავლეთს აქვს ესკალაციის ბერკეტები და შეიძლება უფრო მკაცრი ზომებიც დააწესოს, თუ რუსეთი განაგრძნობს მიუღებელ ქცევას.
- **სანქციები არ უნდა შეფასდეს ისეთი კრიტერიუმებით, რომლებთან შესაბამისობაც შეუძლებელია.** სანქციებს თავისთავად არ შეუძლია რუსეთი აიძულოს, მაშინვე უარი თქვას განხორციელებულ მოქმედებებზე. მაგრამ საგარეო პოლიტიკის ვერცერთი ინსტრუმენტი ვერ აღწევს თავის ყველა მიზანს. სანქციები

ზემოქმედებს რუსეთის შესაძლებლობებსა და არჩევანზე და რამდენიმე შემთხვევაში ხელიც კი შეუშალა რეჟიმს კონკრეტული სიტუაციების ესკალაციაში.

ბიზნესსაზოგადოება და რუსეთის ეკონომიკა

- **რუსეთს არ უნდა მიეცეს საშუალება, გამოიყენოს დასავლეთის ბიზნესინტერესები პოლიტიკის პრინციპების ჩამოსაშლელად.** „ნორდსტრიმ 2-ის“ მილსადენთან დაკავშირებული კრიზისი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწინააღმდეგება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ბიზნესის პრიორიტეტად ქცევა („ბიზნესი უპირველეს ყოვლისა“) პოლიტიკურ ამოცანებს და ასუსტებს სოლიდარობას.
- **აუცილებელია ცალსახად შევეწინააღმდეგოთ აზრს, რომ დასავლურმა იდეებმა განაპირობა რუსეთის ეკონომიკურ პრობლემები.** პოსტსაბჭოთა პერიოდში გავრცელებული რუსული ნარატივი დასავლეთის მიერ რუსეთის „დამცირებისა“ და „ექსპლუატაციის“ შესახებ დამაჯერებელი, თუმცა საშიშია. ამ მითის გაბათილება აუცილებელია მომავალში ჯანსაღი პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.
- გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი სავაჭრო დიპლომატიას პოლიტიკის ინსტრუმენტად იყენებს, **ევროკავშირის ჩართულობა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან უნდა შემოიფარგლოს მიმდინარე ტექნიკური დიალოგით.** ნებისმიერი ასეთი ჩართულობის წინაპირობა უნდა იყოს რუსეთის მიერ გარკვეული პირობების შესრულება, მაგალითად, უკრაინის კონფლიქტთან ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

დასავლეთში მცდარ მოსაზრებებთან გამკლავება

- **გამჭვირვალობის ურყევი მხარდაჭერა**. დასავლეთმა არათუ უნდა განაგრძოს რუსული მტრული ღონისძიებების გასაჯაროება იმისთვის, რომ მისი პოლიტიკოსები და აუდიტორიები სათანადოდ ინფორმირებულები იყვნენ რეაგირების შესაფერის პოლიტიკაზე მსჯელობისას, არამედ თავად რეაგირება უნდა იყოს საჯაროდ განმარტებული და დასაბუთებული. პოლიტიკის განმარტება პოლიტიკის შექმნის ნაწილია.
- **რუსეთის მხრიდან ფარისევლობის ბრალდებების აქტიური პრევენცია.** თუ დასავლეთის მთავრობები მათ მიერვე აღიარებული ფასეულობების დაცვით იმოქმედებენ, მათ მეტი პატივისცემით

მოუსმენენ, რაც ხელს შეუწყობს და უფრო ეფექტურად დაიცავს დასავლურ ინტერესებს.

— **რუსეთთან დაკავშირებული სპეციალიზებული და ექსპერტული ცოდნის ხელშეწყობა (ინვესტირება).** უპირველეს ყოვლისა, ამ ნაშრომის მიზანია, აჩვენოს რუსეთის კარგად ინფორმირებული (შესაფერის ცოდნა გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული) ანალიზის კრიტიკული და უწყვეტი მნიშვნელობა. რუსეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის სპეციალისტების აღზრდაში განხორციელებული ინვესტიცია რუსეთის მიმართ ეფექტური პოლიტიკისა და, შესაბამისად, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მომავალი უსაფრთხოებისთვის გაწეულ ინვესტიციას უტოლდება.

შესავალი

რუსეთთან დაკავშირებული დასავლეთის პოლიტიკა ხშირად ავლენს კრემლის სტრატეგიული დღის წესრიგისა თუ საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის შესახებ მცდარ დასკვნებსა და ვარაუდებს.

ჯეიმს ნიქსი

> თუ ადამიანი დგება ფაქტის წინაშე, რომელიც მის ინსტინქტებს ეწინააღმდეგება, სკურპულოზულად დააკვირდება ყოველ დეტალს და, თუკი არგუმენტი მართლაც შეუვალი არ არის, არც დაიჯერებს. მეორე მხრივ, აუცილებლად ირწმუნებს ნებისმიერ მოვლენას ან ფაქტს, რომელიც საკუთარი ინსტინქტების მიხედვით მოქმედების საბაბს მისცემს, სულ უმნიშვნელო დასაბუთების საფუძველზეც კი. ასე შეიძლება ავხსნათ მითის წარმოშობაც.
>
> ბერტრან რასელი

რა განაპირობებს რუსეთის შესახებ ჩვენს შეხედულებებს? რატომ ხდება, რომ მის პოლიტიკას ზოგი დიდი მოწონებით, ზოგიც ზიზღით ან ნაკლებ რადიკალური, უფრო ნეიტრალური განწყობით ვხვდებით? ამ ქვეყნის შესახებ მკვეთრად განსხვავებული და კონტრასტული მოსაზრებების არსებობას ბევრი სხვადასხვა მიზეზით ხსნიან, თუმცა, წინამდებარე ანგარიში ეხება იმ მყარად ფესვგადგმულ და დამკვიდრებულ შეხედულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება და ამახინჯებს ფაქტობრივ მტკიცებულებებს. მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთის შესახებ ბევრი მოსაზრება უბრალოდ უსაფუძვლო და მცდარია. მაგალითად, „რუსეთი და დასავლეთი ერთნაირად „ცუდია“ საკუთარი ტერიტორიის გარეთ ძალაუფლების გამყარებისა და / ან საერთაშორისო სამართლის დარღვევის თვალსაზრისით. „ეკონომიკური სანქციები არ მუშაობს, ასე რომ, აზრი არ აქვს მათ ხანგრძლივ გამოყენებას უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის პასუხად.“ ასეთი შეხედულებები არა მხოლოდ გავრცელებულია მედიაში, არამედ ამ წიგნის ავტორებს თავადაც ხშირად მოუსმენიათ წლების განმავლობაში პოლიტიკის შემქმნელებსა თუ მთავრობის მოხელეებთან არაერთი საუბრისას. ჩვენი ანგარიში ეჭვქვეშ აყენებს ყველაზე გავრცელებულ მითებსა და მცდარ მოსაზრებებს რუსეთის სახელმწიფოს დღის წესრიგის შესახებ. ასევე, შემოთავაზებულია იდეები უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

რუსეთის საკითხზე მსჯელობისას სრული ობიექტურობა შეუძლებელია, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი საკითხის განხილვისას. ყველა მეტნაკლებად მიდრეკილნი ვართ ცრურწმენებისა თუ ნაჩქარევი და მცდარი დასკვნებისკენ. ამასთან, კონკრეტული შეხედულების განმაპირობებელი ფაქტორები თავისთავად მოიცავს პირად პრინციპებს, გამოცდილებებსა და აღზრდას - ასევე, ინტელექტუალებისგან, გავლენიანი კომენტატორებისა და, უფრო ზოგადად, მედიისგან მიღებულ ცოდნას. რუსეთთან დაკავშირებით სპეციფიკური მცდარი დასკვნები, იქნება ეს

დადებითი თუ უარყოფითი, შეიძლება, ასევე, წარმოშვას მსოფლხედვითმა შეუსაბამობამ ან ინდივიდისა თუ ინსტიტუტისთვის გარკვეულ პოზიციასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა და ფინანსურმა სარგებელმა. მაშასადამე, უკვე არსებულ მენტალიტეტსა და მრწამს ხშირად ზრდის, კვებავს ან ააქტიურებს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მძლავრი ნაკადი, რომელსაც რუსეთი ასხივებს. საერთაშორისო მედიაგარემოს გათვალისწინებით, რომელში ცირკულირებადი ინფორმაციის თავისთავადი მოცულობაც შესაძლებელს ხდის საეჭვო და მცდარი იდეების შეუმოწმებლად გავრცელებას, მითებმა შეიძლება უფრო მეტად განაპირობოს კონკრეტული ქმედებები, ვიდრე ფაქტებმა.

საგარეო ურთიერთობების შემთხვევაში, მცდარი ინფორმაციისა და მითების შედეგი არასათანადო პოლიტიკაა, რომელმაც შეიძლება დააზარალოს საერთაშორისო უსაფრთხოება. კანადელი ფილოსოფოსის, მარშალ მაკლუჰანის დაკვირვებით, "თვალსაზრისი შეიძლება სახიფათო ფუფუნება აღმოჩნდეს, როდესაც სიღრმისეულ ცოდნასა და გააზრებას ანაცვლებს." 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულში აღარ უნდა გვჭირდებოდეს ხალხის დარწმუნება, რომ რუსეთის საკითხში ცოდნა-გამოცდილების ნაცვლად მეორეულ და მცდარად ინტერპრეტირებულ შეხედულებებსა და დოგმაზე დამოკიდებულება ყველას საფრთხეში გვაგდებს. ასე, მაგალითად, როდესაც საქართველოში, სირიასა თუ უკრაინაში რუსული ინტერვენციების შემდგომ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ, მათ თითქმის აქსიომად ჩათვალეს, რომ რუსეთს, როგორც თავად დასავლეთს, კონფლიქტის დასრულება ენდომებოდა. სინამდვილეში რუსეთის მთავარი მოტივია საკუთარი პოზიციების გამყარება და, ზოგიერთ შემთხვევაში, უბრალოდ კონფლიქტის გაყინვა იყო. სამწუხაროდ, ბევრი სიცოცხლე ემსხვერპლა იმის არასათანადო შეფასებას, თუ რაზეა წამსვლელი რუსეთი თავისი ინტერესების (უფრო კონკრეტულად, რასაც საკუთარ ინტერესად მოიაზრებს.) დასაცავად. მაგალითად, დონბასში კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც რუსეთმა გულმოდგინედ მოამზადა და სრულყო, როგორც უკრაინის დამოუკიდებლობის დასუსტების მექანიზმი, დასავლეთში ვარაუდობენ, რომ შეიძლება გამოიძებნოს ოქროს შუალედი - ბედნიერი დასასრული, როცა ძირეული პრობლემა გადაიჭრება და ყველა მხარე მეტნაკლებად კმაყოფილი იქნება. იმავდროულად, საფრანგეთი და გერმანია სამშვიდობო მოლაპარაკებებში რუსეთის ჩართულობას შეეგუენ, რამაც თავისთავად დაასაბუთა რუსეთის მტკიცება, რომ კონფლიქტის მხარე კი არა, მშვიდობის ხელშემწყობი შუამავალი იყო.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ რუსეთის შესახებ მითები ყოველთვის ბოროტი ან მავნე განზრახვით არ მეორდება. როგორც მაკლუჰანის ამერიკელი თანამედროვე უილ დურანტი აღნიშნავდა, „ხალხის უმეტესობის პრობლემაა, რომ აზროვნებენ არა გონებით, არამედ იმედებით, შიშებითა და სურვილებით." ამ ნაშრომში რუსეთის შესახებ მცდარი შეხედულებების თავმოყრა სულაც არ გულისხმობს იმ ხალხის შეურაცხყოფას, რომლებიც ამ მითებს დამაჯერებლობას მატებენ - არც მათსას, ვის მიერაც ამ მითების გამეორებასა თუ ციტირებას, ზოგიერთ შემთხვევაში, დამანგრეველი შედეგები მოჰყვა - არამედ, უბრალოდ

ცხადყოფს, რომ ეს მოსაზრებები ნამდვილად ღრმად ფესვგადგმული და გავრცელებულია.

ცხადია, რომ დასავლურ დისკურსში ასეთი მითების სიჭარბე კრემლისათვის არამხოლოდ მოსახერხებელია, არამედ პირდაპირ მის წისქვილზე ასხამს წყალს. მითები დამკვიდრებულია დასავლეთის ქვეყნებისა თუ თავად რუსეთის მოსახლეობის ცნობიერებაში და ხელს უშლის მეზობლებისა და საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ რუსეთის მტრული მოქმედებების აღიარებას, რითაც, თავისთავად ზღუდავს სათანადო პოლიტიკურ რეაგირებას. რუსეთის შესახებ ილუზიები რომ ასე ფართოდ გავრცელებული არ იყოს, სამყაროს და, განსაკუთრებით, რუსეთის მეზობლებს, ბევრად ნაკლები პრობლემა ექნებოდათ. დეზინფორმაცია და მცდარი ინფორმაცია საერთაშორისო ასპარეზზე კრემლის გავლენის, ხოლო ქვეყნის შიგნით - რუსეთის პოლიტიკური ელიტის ძალაუფლების შენარჩუნების უმთავრესი საშუალებებია. მაშასადამე, მოსკოვი ზედმიწევნით იცავს და უფრთხილდება მითებს რუსეთის, მისი ისტორიისა და, განსაკუთრებით, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობის შესახებ.

ამ კრებულში არ შედის კიდევ ერთი მეტად გავლენიანი და გავრცელებული მითი - „რუსოფობია“ - ბრალდება, რომელსაც, როგორც წესი, უყენებენ არარუსებს (და ხანდახან თვითონ რუსებსაც კი), რომლებსაც არ მოსწონთ, რასაც რუსეთის სახელმწიფო აკეთებს. თუმცა, თავად რუსოფობიის ბრალდების მთელი არსი ეყრდნობა ვარაუდს, რომ სახელმწიფოს მიერ მიუღებელი მოქმედებების გაკრიტიკება - კიდევ ერთხელ, იქნება ეს სახლში თუ სამშობლოში - ნიშნავს რასობრივ დისკრიმინაციას რუსი ხალხის წინააღმდეგ. ეს თავისთავადი აბსურდია. რუსული სახელმწიფო არ უტოლდება რუს ხალხს. აქვე ისიც უნდა ითქვას, არც პუტინის რეჟიმია ზუსტად იგივე, რაც რუსეთის სახელმწიფო.

რუსეთის საკითხში დასავლელი სპეციალისტების უმეტესობას სურს, რომ ეს ქვეყანა აყვავდეს და საერთაშორისო საზოგადოების ჭეშმარიტად პასუხისმგებლიან წევრად იქცეს. თუმცა, თუ ეს ოცნება გულისხმობს სურვილსაც, რომ რუსეთი ნაკლებავტორიტარულ ქვეყანად იქცეს (რომელიც იცავს საერთაშორისო ვალდებულებებს, პატივს სცემს მისი მეზობლების სუვერენულობასა და საკუთარი მოქალაქეების ადამიანის უფლებებს), შერიგების მომხრეები და რუსი ნაციონალისტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ეს „ანტირუსული“ პოზიციაა, რაც გონივრულობის ყოველგვარ ფარგლებს სცდება - როგორც წესი, ყოველთვის ასეთი მწვავეა რუსეთისთვის უკეთესი მომავლის მსურველი ხალხისადმი მიმართული კრიტიკა. გარდა იმისა, რომ ამ ნაშრომის ავტორებიდან ორი რუსია, ყველა მათგანმა თავისი პროფესიული ცხოვრება მიუძღვნა რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სირთულეების შესწავლას. ნამდვილად უცნაური იქნებოდა, რომ მათი არჩევანი პირად ცრურწმენებს ეყრდნობოდეს. პირიქით, ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ავტორების პროფესიონალურ შეფასებებს და მათ პირად შეშფოთებას ფაქტების დამახინჯების გამო.

ქვემოთ მოცემულ 16 ძირითად თავში მოცემული ფაქტებისა და მსჯელობის მიზანია, ეჭვქვეშ დააყენოს რუსეთის შესახებ ბევრი

საყოველთაოდ გავრცელებული ვარაუდი. ბრიტანელი ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინზის (John Maynard Keynes) სიტყვების არ იყოს, „ფაქტები რომ იცვლება, მეც ვიცვლი აზრს - და თქვენ რას აკეთებთ, სერ?“

ამ ანგარიშის შესახებ

თითოეული თავი ერთგვაროვანი სტრუქტურისაა და, ამ წიგნის მიზნების შესაბამისად, მოკლე და ლაკონიურია - მოცულობით 1500-3500 სიტყვას შორის მერყეობს და ერთი და იმავე ხუთი კითხვის (ან მათ ვარიანტების) გარშემო აიგება: რას გულისხმობს ეს მითი? ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები? რატომ არის ეს მითი არასწორი? როგორ ზემოქმედებს პოლიტიკაზე? როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა? ბოლო თავში მოცემულია ავტორების მიერ მითების გაქარწყლების შედეგად გამოტანილი ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, შემოთავაზებულია რუსეთის მიმართ უფრო რაციონალური და ინფორმირებული დასავლური პოლიტიკის შექმნის სახელმძღვანელო პრინციპები.

აქვე საჭიროა ვახსენოთ რამდენიმე დეტალიც:

პირველი, ჩვენ გამოვიყენეთ ტერმინ „მითის“ ფართო განმარტება. ზოგიერთი ესე ავლენს და გამოკვეთს ფაქტობრივ უზუსტობებს. უბრალოდ არასწორია, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა გაფუჭდა მხოლოდ და მხოლოდ NATO-ს გაფართოების გამო;[1] ან რომ რუსი, უკრაინელი და ბელარუსი ხალხი სინამდვილეში ერთი ერია.[2] სხვა ესეებში ხაზგასმულია მცდარი მსჯელობა, არა უშუალოდ ფაქტობრივი შეცდომები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დებულება A შეიძლება სწორი იყოს ან, სულ მცირე, მისი მცდარობა ვერ დასტურდებოდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დებულება B აუცილებლად მისგან გამომდინარე სწორი დასკვნა იქნება. მაგალითად, რუსეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ავტომატურად ვერ ამართლებს დასავლეთის მცდელობებს, გააუმჯობესოს მასთან ურთიერთობა, როცა მოსკოვი ძირითად საკითხებში დათმობებზე არ მიდის.[3]

მეორე, „რუსეთს“ ხანდახან მოიხსენებენ, როგორც ერთ, ერთგვაროვან ერთეულს: „რუსეთი ამბობს“, „რუსეთი აკეთებს“ და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, საქმეს ამარტივებს და, იმავდროულად, ფარავს სიტყვის საკმაოდ ვრცელ შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ მეტონიმიის გამოყენება მოსახერხებელია და კითხვას აადვილებს, ავტორები, სადაც შესაძლებელია, ცდილობენ გამოიყენონ „კრემლი“, „რუსეთის ხელისუფლება“ ან „მოსკოვი“, ცენტრალური მთავრობის ამბიციებისა და პოლიტიკური ქცევების აღსანიშნად (თუმცაღა, ეს სიტყვებიც მეტ-ნაკლებად

[1] მითი 3: „რუსეთს დაპირდნენ, რომ NATO აღარ გაფართოვდებოდა.“
[2] მითი 11: „უკრაინელები, ბელარუსები და რუსები ერთი ერია.“
[3] მითი 6: „რუსეთთან ურთიერთობები უნდა გავუმჯობესოთ მაშინაც კი, თუ რუსეთი დათმობებზე არ წავა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“

განზოგადებულია). ჩვენ, როგორც წესი, არ ვიყენებთ ტერმინს „რუსეთი“ მისი მთლიანობის ან რუსეთის 146 მილიონი მოქალაქის მნიშვნელობით.

მესამე და ბოლო, „დასავლეთიც“ მეტონიმიაა, რომელიც მოიცავს რუსეთისადმი სხვადასხვა ეროვნულ და ინსტიტუციურ მიდგომას. არ არსებობს სხვა მოსახერხებელი გზა, მაგალითად, რითაც შეიძლება ერთ სიტყვაში გააერთიანო ავსტრალიის, ესტონეთის, იაპონიისა და აშშ-ის (განსაკუთრებით აშშ-ის წინა ადმინისტრაციის, პრეზიდენტ ტრამპის მმართველობის ქვეშ) სხვადასხვა შესაბამისი მიდგომა. „დასავლური სახელმწიფოები“ და „წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი“ ასევე, თავისებურად, შეუფერებელი ტერმინებია. თუმცა, დასავლური ქვეყნების უმეტესობას - ტერმინის განსაზღვრებისდა მიუხედავად, აერთიანებს ერთი უმნიშვნელოვანესი ინტერესი - თავიდან აირიდოს რუსეთთან კონფრონტაციის ამჟამინდელი მდგომარეობის გადაზრდა ღია დაპირისპირებაში.[4]

ამ ანგარიშში გამომჟღავნებული მითები, რომლებიც არჩეულია დამთრგუნველად ვრცელი ჩამონათვალიდან, ავტორების აზრით, ყველაზე საფრთხილოა და ხელს უშლის რუსეთის მიმართ ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას. ისეთი ინსტიტუტების მიზანი, როგორიცაა Chatham House, არის პოლიტიკაზე დადებითი ზემოქმედება, რაც, ჩვენს შემთხვევაში, მოიცავს „სტაბილურად უსაფრთხო, მუდმივად განვითარებად და სამართლიან სამყაროს,“ რის ერთ-ერთ მცდელობასაც წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს.

[4] განსაკუთრებული მადლობა კაირ ჯაილზსა (Keir Giles) და ბრუქინგსის ინსტიტუტს წყალობით, რომლებმაც ნება დაგვრთეს ეს ორი აბზაცი შეგვედგინა შემდეგზე დაყრდნობით: Giles, K. (2019), Moscow Rules: What Drives Russia to Confront the West, London: Royal Institute of International Affairs and Washington, DC: Brookings Institution, https://www.chathamhouse.org/2019/01/moscow-ruleswhat-drives-russia-confront-west.

მითი 01

„რუსეთი და დასავლეთი ერთნაირად „ცუდია“

მტკიცება, რომ რუსეთი საგარეო პოლიტიკაში ისევე მოქმედებს, როგორც სხვა დიდი სახელმწიფოები, ნიშნავს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობისადმი რუსეთის კატეგორიული და ძალადობრივი მიდგომისა და მის მიერ საერთაშორისო კანონებისა და ნორმების ცინიკური უპატივცემულობის უგულებელყოფას.

ჯეიმს შერი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

ეს მითი შეიძლება მოკლედ აღიწეროს შემდეგნაირად:

რუსეთის საგარეო პოლიტიკა შეიძლება იმსახურებდეს კრიტიკას და დასაგმობიც კი იყოს. მაგრამ რუსეთი ზუსტად ისევე იქცევა, როგორც სხვა ძლიერი სახელმწიფოები. დასავლეთი რუსეთზე არანაკლებ არღვევს საერთაშორისო სამართალს და მასხრად იგდებს მის მიერვე აღიარებულ ნორმატიულ სტანდარტებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, აშშ ერთპოლუსიან (უნიპოლარულ) მსოფლიოს საკუთარ სამფლობელოდ აღიქვამს. აშშ არამხოლოდ არღვევს საერთაშორისო კანონებს, არამედ საკუთარ თავს მათზე მაღლა აყენებს. NATO-ს სამხედრო ინტერვენცია იუგოსლავიაში თავისი ბუნებით არ განსხვავდებოდა უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებებისგან. აშშ ისევ ხელმძღვანელობს მონროს დოქტრინით, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე გარე ძალების ინტერვენციას განმარტავს, როგორც აშშ-ისადმი საფრთხე. შესაბამისად, მას უფლება არ აქვს, რუსეთს მორალი უკითხოს ყოფილი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს შესახებ. ევროკავშირიც, სახელის გარდა, იმპერიის ყველა ნიშანს ატარებს.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები?

ნომინალურ „დასავლეთში“ (NATO-სა და ევროკავშირის წევრები)[5] ეკვივალენტობის არგუმენტი ორი ურთიერთსაპირწონე პერსპექტივიდან განიხილება. „რეალისტური“ არგუმენტი, რომელიც ჯონ მირშაიმერმა (John Mearsheimer) მეტად ეპიგრამული ფორმით

5 „დასავლეთი“ პოლიტიკური, მაგრამ არა სამართლებრივი ტერმინია და, აქედან გამომდინარე, მას რამდენიმე განმარტება აქვს. ამ ტერმინში ბევრი, ასევე, მოიაზრებს „ხუთი თვალის“ (Five Eyes) ქვეყნებს (ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო და აშშ), რომელთაც მჭიდრო სადაზვერვო ურთიერთობები აქვთ. ზოგმა შეიძლება მოიაზროს იაპონია, სამხრეთ კორეა და ტაივანიც.

შემოგვთავაზა, გულისხმობს, რომ „ყველა სახელმწიფოს ამოძრავებს ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდის სურვილი.“[6] უკრაინის შემთხვევაში რუსეთმა[7] ისევე იმოქმედა, როგორც ნებისმიერი დიდი სახელმწიფო უპასუხებდა მტერს, რომელიც „უკანა ეზოში შემოეპარა და მის ძირითად სტრატეგიულ ინტერესებს ემუქრება“.[8] აქტიური კონსერვატორი კომენტატორი (ექსპერტი) პიტერ ჰიჩენსი (Peter Hitchens), რომელიც კიცხავს ღირებულებების როლს დასავლურ პოლიტიკაში, არა მხოლოდ იზიარებს ამ შეხედულებას რუსულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, არამედ ევროკავშირს ხედავს, როგორც პოტენციურ ჰეგემონს - „გერმანიის გაგრძელებას ყველა მახასიათებლით, გარდა სახელისა“ და აგრესიულ ლიბერალურ-ინტერნაციონალისტურ ძალას.[9] ამ შეხედულებას იზიარებს „ბრექსიტის“ ბევრი მომხრე, ევროპის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ჯგუფები ევროკავშირში და ის ევროფილები, რომლებსაც არ მოსწონთ გერმანიის, აღქმული დომინანტური როლი.

ამის საპირისპიროდ, ისინი, ვინც უფრო პატივს სცემს ლეგიტიმურობასა და საერთაშორისო ნორმებს, გმობს კულტურულ უმეცრებას, „ჯვაროსნულ მენტალიტეტს“ და ორმაგ სტანდარტებს, რომლებსაც დასავლური პოლიტიკა ეყრდნობა - ან, სულ მცირე, მისი ანგლო-ამერიკული ფრთა. როგორც რიჩარდ საკვა (Richard Sakwa) ისე ანატოლ ლივენი (Anatol Lieven) ფიქრობენ, რომ რუსეთთან მიმართებით აშშ-ის პოლიტიკაზე საშინაო ფაქტორები, სულ მცირე, ისეთივე გავლენას ახდენს, როგორსაც რუსეთის მოქმედებებზე. საკვას აზრით, „კლინტონისტი ლიბერალი ინტერნაციონალისტებისა და ნეო-კონსერვატიული გლობალისტი ინტერვენციონისტების გაერთიანებამ“ წარმოშვა რუსეთთან დაკავშირებული „ცრურწმენა“ და „პარანოია“.[10] ლივენი ყურადღებას ამახვილებს აშშ-ის პოლიტიკაში ორი ტრადიციის ურთიერთქმედებაზე: „მესიანური“ („წავედით და მთელი მსოფლიო ამერიკად ვაქციეთ“) და შოვინისტური. ორივე ერთიანდება „აბსოლუტური სამხედრო უპირატესობის საშუალებით მსოფლიოზე ცალმხრივი ბატონობის“ ნეოკონსერვატიულ რწმენაში. ის, ასევე, ფარისევლობაში ადანაშაულებს მათ, ვინც უგულებელყოფს, რომ „ცენტრალური ამერიკა და კარიბის აუზი ნამდვილად წარმოადგენს ამერიკის გავლენის არეალს.“[11] ცნობილი ისტორიკოსი ვიქტორ ბალმერ-თომასი (Victor Bulmer-Thomas),[12] უფრო შორსაც მიდის და აშშ-ს აღწერს,

6 Schaffner, T. (2019), ‘John Mearsheimer on Russia: Insights and Recommendations’, Russia Matters, 26 September 2019, https://www.russiamatters.org/analysis/john-mearsheimer-russia-insights-and-recommendations (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).
7 აქ, „რუსეთი“ აღნიშნავს მის სახელმწიფო მეთაურებს, ასევე, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მმართველ რგოლებს, რომლებიც ამ სახელით ერთიანდებიან.
8 Mearsheimer, J. (2014), ‘Why the Ukraine Crisis is the West’s Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin’, Foreign Affairs, September/October 2014, https://www.foreignaffairs.com/articles/russia-fsu/2014-08-18/why- ukraine-crisis-west-s-fault (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).
9 Maitra, S. (2017), ‘“The EU is Essentially a German Empire”: Peter Hitchens on Geopolitics and the Future of Europe’, Quillette, 19 May 2017, https://quillette.com/2017/05/19/eu-essentially-german-empire-peter-hitchens-geopolitics-future-europe (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).
10 Sakwa, R. (2017), ‘Clinton and Russia: Who is Ms Hillary?’, Valdai Discussion Club, 9 October 2017, https://valdaiclub.com/a/highlights/clinton-and-russia-who-is-ms-hillary (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).
11 Asia Society (2004), ‘America and the Imperial Project: A Talk with Anatol Lieven’, https://asiasociety.org/ america-and-imperial-project-talk-anatol-lieven (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).
12 ასევე, „ჩეთჰემ ჰაუსის“ (Chatham House) ყოფილი დირექტორი (2001–06).

როგორც იმპერიულ პროექტს თავისი არსით. ლუიზიანის, ტეხასისა და სამხრეთ-დასავლეთის შემოერთებიდან, იგი იქცა „ტერიტორიულ იმპერიად“, რომელმაც, საბოლოო ჯამში, საზღვრებს გარეთ გაფართოება დაიწყო. მეოცე საუკუნეში აშშ-მა საკუთარი გავლენა გააფართოვა მის მიერვე ჩამოყალიბებული საერთაშორისო

ინსტიტუტების საშუალებით.[13]

რუსეთის სახელმწიფოს მმართველი რგოლები არაპირდაპირ ამყარებენ ამ მითს - არა იმ ეკვივალენტობის ხაზგასმით, რომელიც ზემოთ იყო განხილული, არამედ, ამის ნაცვლად, დასავლეთის მიერ საერთაშორისო ნორმების ხელყოფაზე აქცენტირებით. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ოფიციალური საფუძველი არის გაეროს ქარტია (რომელიც, ცხადია, მას უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებას აძლევს), საერთაშორისო სამართალი და სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმიანობაში ჩაურევლობის პირობა. მისი გადმოსახედიდან, დასავლეთი მისდევს პოლიტიკას, რომელიც „აშშ-ის დიქტატს“, დემოკრატიის ხელშეწყობას, სამხედრო ინტერვენციასა და რეჟიმების ცვლას ეყრდნობა.[14] ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, რუსეთი ითხოვს „პრივილეგირებული ინტერესების სფეროს“ და „უფლებას, რომ დაიცვას თანამემამულეები სადაც არ უნდა იყვნენ.“ მოსკოვის თვალთახედვით, რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკა ძალიან განსხვავებულია; ისინი ექვივალენტური არ არის.

თუ ევროკავშირი იმპერიაა, მაშინ მხოლოდ მოწვევის საფუძველზე. NATO-ს გაფართოება არანაკლებაა განპირობებული მოთხოვნების შესაბამისად. გარეთ მყოფნი ითხოვენ ინტეგრაციას; შიგნით მყოფნი „პირობებს“ აწესებენ. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ინტეგრაციის სქემა გულისხმობს სხვა სახელმწიფოებისთვის „მყარი და კეთილი მეზობლობის“ იძულებას.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ის ღიად არ უწყობს ხელს მითს - „ისინი ერთნაირად ცუდია“ - რუსეთი, ფაქტობრივად, ხელს უწყობს ამ მითის გავრცელებას იმის მტკიცებით, რომ დასავლეთი მიუღებლად იქცევა.

რატომ არის ეს არასწორი?

ამ კრიტიკულ მოსაზრებათა უმეტესობა მნიშვნელოვან სიმართლეს მოიცავს. დასავლეთი ღირსების განსხეულება ნამდვილად არ არის. ერაყში აშშ-ის მეთაურობით განხორციელებულ ომს (რომელსაც, უნდა ითქვას, რომ რამდენიმე დასავლური სახელმწიფოს მთავრობა ეწინააღმდეგებოდა) არ ჰქონდა გაეროს უშიშროების საბჭოს (UNSC) თანხმობა, რამაც წარმოშვა ბევრი არგუმენტი, რომ ეს ომი საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდა. ზოგი უფრო შორსაც წავიდა და ომის მეტად უარყოფით ჰუმანიტარულ და გეოპოლიტიკურ შედეგებზე პასუხისმგებლობა მთლიანად აშშ-ს დააკისრა. თუმცა, არც გაეროს უშიშროების საბჭოსა და არც გაეროს გენერალურ ასამბლეას არ დაუგმიათ ოპერაცია „ერაყის თავისუფლება“ (Operation Iraqi Freedom). უფრო მეტიც, მეტად საკამათოა თუ რამდენად იყო ამ ომის შედეგები უმეტესად უარყოფითი. მიუხედავად იმისა, რომ

13 Lockhart, J. (2018), ‘Lockhart on Bulmer-Thomas, ‘Empire in Retreat: The Past, Present, and Future of the United States’’, H-Diplo, https://networks.h-net.org/node/28443/reviews/2279827/lockhart-bulmer-thomas- empire-retreat-past-present-and-future-united (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).
14 იხილეთ, მაგალითად, ვლადიმერ პუტინის სიტყვა „ვალდაის კლუბის“ მე-9 სესიაზე: Kremlin.ru (2014), ‘Meeting of the Valdai International Discussion Club’, 24 October 2014, http://en.kremlin.ru/events/president/news/46860 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს).

რუსეთის მიერ სირიის აღიარებული მთავრობის მხარდაჭერა თავისთავად არ წარმოადგენს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევას, გაერომ ბრალი დასდო რუსეთს ომის დანაშაულებების ჩადენაში, ხოლო მიმდინარე კონფლიქტის [უარყოფითმა] ჰუმანიტარულმა შედეგებმა გადააჭარბა ერაყისას.[15] „ვინ უარესია“ ალბათ დავის საგანია. ამ კონკრეტული თვალსაზრისით, არ არსებობს რაიმე მითი, რომლის დეკონსტრუქციაც საჭირო იქნებოდა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი უფრო ფართო სურათს ვერ ასახავს. ფაქტობრივად, ევროპისა და აშშ-ის შედარება რუსეთთან საკვანძო განსხვავებებს უსვამს ხაზს. პირველ რიგში, თუ ევროკავშირი იმპერიაა, მაშინ მხოლოდ მოწვევის საფუძველზე. NATO-ს გაფართოება არანაკლებაა განპირობებული მოთხოვნების შესაბამისად. გარეთ მყოფნი ითხოვენ ინტეგრაციას; შიგნით მყოფნი „პირობებს“ აწესებენ. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ინტეგრაციის სქემა გულისხმობს სხვა სახელმწიფოებისთვის „მყარი და კეთილი მეზობლობის“ დაძალებას, რომელთაგან ბევრს სერიოზული ზარალი მიადგა (და უკრაინის შემთხვევაში, ეს ომი იყო) ამ ინიციატივებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. ზოგიერთი ქვეყანა, რომელმაც ნებით არჩია რუსეთთან ინტეგრაცია (მაგ., ბელორუსი და სომხეთი), შემდეგ გაუსაძლისი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა და სუვერენიტეტის მეტად დათმობა მოუწიათ, ვიდრე აპირებდნენ. როდესაც 2010 წელს უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მიატოვა NATO-ში ინტეგრაციის პროცესი რუსეთის საამებლად, რუსეთმა მაშინვე მიმართა რისხვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შეთავაზებაზე, რომელზეც პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ბოლოს უარი თქვა უკიდურესი მუქარისა და საფრთხეების გამო.

მეორე, ყველა ძლიერი სახელმწიფო ერთნაირი არ არის. მათ შეუძლიათ შიშის თესვა ან კომფორტის შეთავაზება. პოლონეთს, ბალტიისპირეთსა და რუმინეთს ცენტრალურ ევროპაში აშშ-ის სამხედრო ძალის ზრდა ურჩევნიათ, ნაცვლად მისი შემცირებისა. უმთავრესი წუხილი, ფრანგ გოლისტებს შორისაც კი, მხოლოდ აშშ-ის ზედმეტი მბრძანებლურობა თუ დომინანტობა კი არ არის, არამედ ისიც, რომ აშშ მათ გვერდით არ იდგება, როცა დასჭირდებათ. ისინი შეიძლება მასხრად იგდებდნენ კონსენსუსის პრინციპს NATO-ს შიგნით, თუმცა მათ ეს პრინციპი ნებისმიერ სხვაზე უკეთ გამოიყენეს. NATO რომ აშშ-ის დიქტატით იმართებოდეს, საფრანგეთი და გერმანია ვერ შეძლებდნენ წევრობის სამოქმედო გეგმების დაბლოკვას უკრაინისა და საქართველოსთვის 2008 წელს, ხოლო ერაყში ომი იქნებოდა NATO-ს ოპერაცია და არა აღსრულებული უშუალოდ აშშ-ის მართული კოალიციის მიერ.[16] ის არგუმენტი, რომელიც ევროკავშირს „გერმანიის იმპერიად“ მიიჩნევს, არანაკლებ სუსტია. გერმანია ევროკავშირის მშპ-ის 25%-ს ფლობს, გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდეგაც კი (ამის საპირისპიროდ,

15 სირიის მოსახლეობის რაოდენობა ომამდე 22 მილიონი იყო; 2020-ში - 17.5 მილიონი. ლტოლვილების რაოდენობა 5 მილიონს უტოლდება (3.5 მილიონი - თურქეთში). 6 მილიონზე მეტი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირია. აშშ-ს ანგარიში გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიისთვის (2021), 'Syria Refugee Crisis Explained', 5 Feb. 2021, https://www.unrefugees.org/news/syria-refugee-crisis-explained (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 5 მარტს); და Borger, J. (2020), 'Russia committed war crimes in Syria, finds UN report', Guardian, 2 March 2020: https://www.theguardian.com/world/2020/mar/02/russia-committed-war-crimesin-syria-finds-un-report (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს)

16 თავისი არსებობის ზენიტში, აშშ-ის მიერ მართული კოალიცია აერთიანებდა 23 სახელმწიფოს, მათ შორის, NATO-ს 16 წევრს.

რუსეთის წილი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მშპ-ში 87 პროცენტია).[17]

რატომ სურდა პოლონეთს, რომელმაც უმოწყალო და გენოციდის მომწყობი გერმანული იმპერიის ხელში ეროვნული გადარჩენის გამოცდა გაიარა, ევროკავშირის წევრობა? რატომ არ მიჰყვება გაერთიანებული სამეფოს მაგალითს და არ ტოვებს კავშირს? რატომ არ იქცევიან ასე სხვა ქვეყნები, რომლებსაც ასეთივე დიდი წარსული და საამაყო ისტორია აქვთ (მაგ., შვედეთი, ფინეთი და საბერძნეთი)?

მესამე, ისტორიული ანალოგები უფრო ადვილად ივლება, ვიდრე საბუთდება. ძალიან რთული იქნება უფრო შეუსაბამო ანალოგიის პოვნა, ვიდრე არსებობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში რუსეთის „მემკვიდრეობითი“ გავლენის სფეროსა და ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ ბრალდებებს შორის. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნები ერთი იურისდიქციის ქვეშ არასოდეს მოქცეულან და აშშ-ს არც არასდროს უცდია მსგავსი რამ. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირი იყო თავისებურად უპრეცედენტო იურისდიქცია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია არ კისრულობს პასუხისმგებლობას საბჭოთა და იმპერიული მემკვიდრეობის სისხლიან ნაწილზე, ის მაინც მხარს უჭერს შემადგენელი ხალხების „საერთო ისტორიას“, იცავს საბჭოთა ოკუპაციის კანონიერებას და ანტი-საბჭოთა კრიტიკას ანტირუსულად აღიქვამს.

ძალიან რთული იქნება უფრო შეუსაბამო ანალოგიის პოვნა, ვიდრე ის, რომელიც ივლება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში რუსეთის „მემკვიდრეობითი“ გავლენის სფეროსა და ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ ვარაუდებს / ბრალდებას შორის. ამერიკის კონტინენტის ქვეყნები ერთი იურისდიქციის ქვეშ არასოდეს მოქცეულან და აშშ-ს არც არასოდეს უცდია მსგავსი რამ.

დაბოლოს, საერთაშორისო კანონმდებლობის ყველა დარღვევა ერთნაირად აღმაშფოთებელი არ არის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - სერგეი ლავროვი - რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას ადარებს NATO-ს ინტერვენციას იუგოსლავიაში, რომელიც განხორციელდა მუხლი 42-ისა და მუხლი 53-ის აშკარა დარღვევით. თუმცა, ოპერაცია „კოალიციურ ძალებს“ (Allied Force) წინ უძღოდა ინტენსიური დიპლომატიური ძალისხმევა, რომელშიც რუსეთი ცენტრალურ როლს თამაშობდა. 1999 წლის ინტერვენციას, ასევე, წინ უძღოდა გაეროს უშიშროების საბჭოს სამი რეზოლუცია, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდა ბელგრადს, ასევე, 230,000-ზე მეტი ადამიანის იძულებით გადაადგილების საკითხთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, შედარებაც არ შეიძლება რუსეთის მიერ ყირიმში განხორციელებულ ოპერაციასთან. 17 წლის განმავლობაში - 1997 წლის მაისში რუსეთ-უკრაინის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მოყოლებული 2014 წლის თებერვალში იანუკოვიჩის გადადგომამდე, რუსეთს უკრაინის მიმართ არ გამოუთქვამს რაიმე ოფიციალური უკმაყოფილება უკრაინის მიერ რუსეთის „თანამემამულეებისადმი“ მოპყრობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ ომის გასამართლებლად სწორედ ეს მოჩვენებითი მიზეზი დაასახელა. ყირიმის ანექსიას წინ არ უძღოდა არანაირი დიპლომატიური პროცესი. მისი ოკუპაცია სწრაფად და მალულად მოხდა. ანექსირების შემდგომ თვეებში, რუსეთმა უარი განაცხადა 1994

17 მონაცემები ევროკავშირის შესახებ აღებული ევროსტატიდან (2021), ‘GDP and main components (output, expenditure and income)’, https://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=nama_10_gdp&lang=en (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 25 მარტს); ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შესახებ მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის წყაროდან (2021), ‘GDP (current US$) – Russian Federation, Armenia, Belarus, Kazakhstan, Kyrgyz Republic’, World Bank Data, https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP. CD?locations=RU-AM-BY-KZ-KG (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 7 მარტს).

წლის ბუდაპეშტის მემორანდუმისა და 1997 წლის რუსეთ-უკრაინის ზავის პირობების შესრულებაზე, ასევე, 1997 წლის შავი ზღვის ფლოტთან დაკავშირებულ შეთანხმებებზე. მან, ამასთან, უარყო ხარკოვის შეთანხმებები, რომლებიც უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩსა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შორის გაფორმდა 2010-ში და, ამასთან, ფაქტობრივად გააბათილა (ანულირება გაუკეთა) 2003 წლის ხელშეკრულებას აზოვის ზღვასა და ქერჩის სრუტეში თანამშრომლობის შესახებ. გაეროს მხოლოდ ხუთმა წევრმა სცნო რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის კანონიერება, მაშინ, როცა კოსოვოს სახელმწიფოებრიობა 97-მა სახელმწიფომ სცნო.[18]

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

ზედაპირულად - ძალიან უმნიშვნელოდ. ევროკავშირისა და NATO-ს მთავრობები არ აპირებენ თავი დაიდანაშაულონ ორმაგ სტანდარტებში, ფარისევლობასა და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაში. სანქციების ან რუსეთთან „გარიგების“ შესახებ აზრთა სხვადასხვაობა გამომდინარეობს სხვა მიზეზებიდან - მაგ., ეკონომიკური ინტერესი, მრწამსი, რომ კომპრომისი უნდა იყოს მიღწეული, დიდ პრიორიტეტებთან გამკლავების საჭიროება, უკრაინის დამღლელი თემა (‘Ukraine fatigue’) და დანაშაულის შეგრძნება 1990-იანებში რუსეთის „დამცირების“ გამო. ეს არის ანარეკლი სხვა მითებისა, არა - ამ კონკრეტული მითის.

თუმცა, აკადემიური სფეროს, ექსპერტების, მედიის, ხელოვანებისა და ეროვნული პარლამენტების ნაწილში, „ზნეობრივი ეკვივალენტობა“ თითქმის ურყევი რწმენაა. იგი, ასევე, დომინირებს იმ აშკარად ლიბერალურ წრეებს შორის, რომლებიც შეიძლება ოდესმე რუსეთის სათავეში მოვიდნენ: ხალხი, რომელიც ვლადიმერ პუტინის რეჟიმს გმობს ცინიზმის გამო, თუმცა, არ აღიარებს, რომ აშშ-ის ან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ფუნდამენტურად განსხვავებულია. ამ ფაქტების გათვალისწინებით, მითი უფრო გავლენიანია, ვიდრე გარედან შეიძლება ჩანდეს.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

ეკვივალენტობის მითი იმდენ ხანს შენარჩუნდება, რამდენ ხანსაც იარსებებს არგუმენტი, რომ დასავლეთი არ ერთგულებს იმ სტანდარტებს, რომლებსაც სხვებს სთხოვს. წლების განმავლობაში, ევროკავშირისა და NATO-ს მთავრობები ვარაუდობდნენ, რომ სხვები მათ კეთილ განზრახვებს პირდაპირ მიიღებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად დასავლეთს იმაზე არანაკლები ძალისხმევის ჩადება მოუწევს პოლიტიკის განმარტებაში, რამდენსაც მისი განხორციელებისთვის ხარჯავს. რუსეთმა ბევრი იშრომა პოლიტიკური ნარატივების ფორმირებისთვის და დასავლეთის მთავრობებმაც არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა ამ ნარატივების გასაბათილებლად, როდესაც ისინი დამახინჯებული ან ყალბია. იმავდროულად, დასავლეთმა ცხადად უნდა წარმოაჩინოს თავიანთი

18 სამმა სხვა სახელმწიფომ - ავღანეთმა, სომხეთმა და ვენესუელამ გამოხატა „მხარდაჭერა რუსეთის პოზიციისადმი“ ან „პატივისცემა“ რეფერენდუმისადმი მისი კანონიერად ცნობის გარეშე.

ამოცანები, ისევე, როგორც კომპრომისები და დილემები, რომელთა წინაშეც დგანან. როგორც გერმანიის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, იოშკა ფიშერმა (Joschka Fischer) უთხრა აშშ-ის თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდს (Donald Rumsfeld) 2003 წელს ერაყის ომის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, „დემოკრატიაში არგუმენტების მოშველიებაა საჭირო.“[19] საბოლოო ჯამში, დასავლეთმა ბოდიში არ უნდა მოიხადოს იმ ფაქტის გამო, რომ იგი წესებითა და ღირებულებით განსაზღვრულ საზოგადოებას წარმოადგენს. მას აქვს პასუხისმგებლობა, რომ იქცეოდეს, როგორც ასეთი საზოგადოება.

19 Fraser, N. (2003), ‘The many faces of Joschka Fischer’, BBC, February 2003, http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/2926157.stm (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 15 სექტემბერს)

მითი 02

„რუსეთსა და დასავლეთს ერთნაირი მიზნები აქვთ“

ისინი, ვინც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობენ, ხშირად ვერ ან არ აღიარებენ, რომ ამ ქვეყნის ხელმძღვანელთა ფასეულობები შეუსაბამოა დასავლურ ღირებულებებთან. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბუნება მტრულია და არა თანამშრომლობითი.

კაირ ჯაილზი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

დასავლელ პოლიტიკოსებს შორის ზოგადად გავრცელებულია მეტად საფრთხილო და საზიანო მცდარი შეხედულება რუსეთის შესახებ, რომლის თანახმადაც, შესაძლებელია, რომ სადღაც - სიღრმეში - რუსული და დასავლური ინტერესები თანხმდებოდეს - სულ მცირე, იკვეთებოდეს - და შესაძლებელი იყოს საერთო ენის გამონახვა სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით; ამ ორ მხარეს, წესით, ისეთი ურთიერთობის სურვილი უნდა ამოძრავებდეთ, რომელიც ეყრდნობა ურთიერთნდობასა და მშვიდობიან თანამშრომლობას საერთო კეთილდღეობისთვის.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები ?

როგორც წესი, თანამდებობაზე მოსვლისას დასავლელ ლიდერებს ყოველთვის აქვთ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ამბიცია. ისინი ცდილობენ ურთიერთობების ნორმალიზაციის გზების ძიებას, ნაწილობრივ - მოსკოვისთვის ცოდვების პატიების გზით. მაგრამ ასეთი ქცევა, უთანხმოების ძირეული მიზეზების მოუგვარებლად, მეტად საზიანოა, რადგან ამ ყველაფრის შედეგად რუსეთი კიდევ ერთხელ რწმუნდება, რომ მას არა მხოლოდ მიუტევებენ აგრესიულ პოლიტიკას, არამედ დააჯილდოებენ კიდეც. რუსეთს არაერთხელ უჩვენებია, რომ ის არ აპირებს მეგობრულ ინიციატივებს მეგობრულადვე უპასუხოს.[20] უსაფუძვლო ოპტიმიზმის შენარჩუნება

20 Jankowski, D. (2019), ‘With Russia, Transparency No Silver Bullet’, Berlin Policy Journal, 4 September 2019, https://berlinpolicyjournal.com/with-russia-transparency-no-silver-bullet (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს)

მუდმივად საპირისპიროზე მეტყველი ფაქტების ფონზე იწვევს „გადატვირთვებს“ და, შედეგად, მუდმივ იმედგაცრუებას. გადატვირთვის ყოველი ციკლის თანმდევი იმედგაცრუება კი კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს.

2017 წლის დეკემბერში ბორის ჯონსონი - გაერთიანებული სამეფოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მდივანი - მოსკოვს ეწვია ურთიერთობათა გადატვირთვის მცდელობით. მან რუს კოლეგას, სერგეი ლავროვს, უთხრა, რომ გაერთიანებულ სამეფოსა და რუსეთს „საკმაოდ დიდი საერთო ინტერესები ამოძრავებთ“. 2018 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, ჯონსონმა ამ ნაბიჯს მის კარიერაში ყველაზე დიდი შეცდომა და „ამაო გარჯა“ უწოდა.

გადატვირთვების ამჟამინდელი ჩემპიონი საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონია. ისღა დაგვრჩენია ვიმედოვნებდეთ, რომ ეს აშკარა ილუზია ევროპულ უსაფრთხოებას ზედმეტად ძვირი არ დაუჯდება.[21]

რატომ არის ეს მითი არასწორი?

რუსეთის ამოცანები, ისევე, როგორც მათ საფუძველში მდებარე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებული დებულებები, სრულიად შეუსაბამოა იმასთან, რასაც დასავლური საზოგადოება სასურველად, საჭიროდ და მისაღებად თვლის.

როგორც სტრატეგიულ დონეზე, ასევე, უფრო დეტალურად - კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რუსეთის ამოცანები, ისევე, როგორც მათ საფუძველში მდებარე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებული დებულებები, სრულიად არ შეესაბამება იმას, რასაც დასავლური საზოგადოება სასურველად, საჭიროდ და მისაღებად თვლის. მრავალი მაგალითი ცხადყოფს, რომ მორალის, ფასეულობებისა და ეთიკის ბაზისური დებულებების თვალსაზრისით, ძალიან მცირეა თანხვედრა რუსეთსა და ევროპას შორის.[22] რუსეთი, ისტორიულად, ყოველთვის ზომავდა საკუთარ უსაფრთხოებასა და სტატუსს უხეშ სამხედრო ძალაზე დაყრდნობით. ის კვლავ დებს უზარმაზარ თანხებს მაღალტექნოლოგიური რაკეტების შემუშავებაში, რითაც პრიორიტეტს ანიჭებს მსოფლიოს მეორე მხარეს ქალაქების ნგრევის შესაძლებლობას და არა გზების დაგებას და წყალგაყვანილობის თუ კანალიზაციის სისტემის გაუმჯობესებას საკუთარი მოქალაქეებისათვის.[23]

ამასობაში, მოსკოვი განაგრძობს ისეთი მექანიზმების ძიებას, რომლებითაც დააზარალებს ან ტაქტიკურად დაჯაბნის მოწინააღმდეგეებს კონფლიქტში ისე, რომ ამ მოწინააღმდეგეებმა შეიძლება ვერც გაიგონ ამ მექანიზმების მოსალოდნელი გამოყენების

21 Nixey, J. and Boulègue, M. (2019), ‘On Russia, Macron Is Mistaken’, Chatham House Expert Comment, 5 September 2019, https://www.chathamhouse.org/expert/comment/russia-macron-mistaken (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).
22 ბოლოდროინდელი მაგალითია ხანგრძლივი და მწვავე დაპირისპირება რუსეთში იმის შესახებ, თუ რამდენად არის ოჯახში ძალადობის ამკრძალავი კანონის შემოღება სწორი. Mukhamedzhanov, B. (2020), ‘The ongoing fight for protection from domestic violence in Russia’, Riddle Russia, 15 January 2020, https://www.ridl.io/en/the-ongoing-fight-forprotection-from-domestic-violence-in-russia (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).
23 Moscow Times (2019), ‘Indoor Plumbing Still a Pipe Dream for 20% of Russian Households, Reports Say’, 2 April 2019, https://www.themoscowtimes.com/2019/04/02/indoor-plumbing-still-a-pipe-dream-for-20-ofrussian-households-reports-say-a65049 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).

შესახებ.[24] რუსეთთან „ნორმალური“ ურთიერთობები ნიშნავს მოსკოვის მხრიდან განხორციელებული მტრული მოქმედებების ფართო სპექტრის არიდებას; ეს რუსეთის ისტორიაში ყოველთვის სტანდარტული მდგომარეობა იყოს. მაგრამ მაინც, დესტრუქციული რუსული ხელობა - იქნება ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა, მკვლელობები და დაკვეთილი მკვლელობები, შეუნიღბავი ელექტრონული ომი ან „ცრუ დროშის ქვეშ“ (False Flag) განხორციელებული კიბერშეტევები - მაინც გაკვირვებას იწვევს ყოველ ჯერზე.[25]

ალბათ ყველაზე საშიშია დისონანსი სუვერენიტეტის შესახებ რუსულ და დასავლურ წარმოდგენებს შორის. ძირითადი სხვაობა არის რუსული შეხედულება, რომ მხოლოდ დიდი სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ სრულად სუვერენულნი; და რომ პატარა, ნაკლებ ძლიერი სახელმწიფოები, როგორიცაა უკრაინა ან გაერთიანებული სამეფოც, მაგალითად, უბრალოდ რუსეთისა და აშშ-ის მსგავსი დიდი სახელმწიფოების მხრიდან სხვადასხვა ხარისხით ზემოქმედების ობიექტებს წარმოადგენენ. რუსეთი გამუდმებით მოითხოვს ჩართულობას მის ფარგლებს გარეთ არსებული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში[26] იმ ფორმით, რომელიც საერთოდ შეუთავსებელია ევრო-ატლანტიკურ ფასეულობასთან, რომ პატარა ქვეყნები უნდა იყვნენ სუვერენულნი და დამოუკიდებელნი. მოკლედ, მაშინ, როცა დასავლეთს სურს საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფო სუვერენიტეტისადმი პატივისცემას, რუსეთს უნდა და ელოდება, რომ საშუალებას მისცემენ შეზღუდოს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი.

ამ შეუთავსებლობის ყველაზე უშუალო გამოსახულებად ფრონტის ხაზზე მყოფი ევროპის ქვეყნები რჩებიან. რუსეთი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მას აქვს უფლება ლეგიტიმური ინტერესების სფერო ჰქონდეს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ზემოხსენებულ ქვეყნებს არ სურთ ამ სფეროში ყოფნა. რუსეთის მხრიდან არაპროგნოზირებადი ქცევების საფრთხე დარჩება მანამ, სანამ დასავლეთი მხარს დაუჭერს იმ ქვეყნების დამოუკიდებლობასა და უპირობო სუვერენიტეტს, რომელსაც რუსეთი მოიაზრებს თავის ფეოდალურ სამფლობელოდ.

რუსეთი არ არის დაინტერესებული ისეთი საერთაშორისო წესრიგის აღიარებით, რომელიც დასავლეთში დაარსებულ ინსტიტუტებსა და პრინციპებს ეყრდნობა და რომლებსაც დასავლური ინტერესების ხელშემწყობად აღიქვამს. კონკრეტულად, მოსკოვს დაჟინებული აქვს, რომ ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შენებაში როლი არ

24 Jonsson, O. (2019), The Russian Understanding of War: Blurring the Lines between War and Peace, Washington, DC: Georgetown University Press.
25 რუსეთსა და მის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის დიდი გამოცდილების მიუხედავად, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ისევ განაწყენებული და აღშფოთებულია, როდესაც, როგორც თავადვე ამბობს, „ერთი მხრივ, ყოველდღიურად ვცდილობ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, როცა, მეორე მხრივ, აშკარაა დამამტკიცებელ ფაქტები იმისა, რომ რუსული ძალები ასე იქცევიან.“ Von der Burchard, H. (2020), ‘Merkel blames Russia for ‘outrageous’ cyberattack on German parliament’, Politico, 13 May 2020, https://www.politico.eu/article/merkel-blames-russia-for-outrageous-cyber-attack-ongerman-parliament (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).
26 Hill, F. and Jewett, P. (1994), Back in the USSR: Russia’s Intervention in the Internal Affairs of the Former Soviet Republics and the Implications for United States Policy toward Russia, Occasional Paper, Strengthening Democratic Institutions Project, Cambridge, Mass.: Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School, https://www.belfercenter.org/sites/default/files/files/publication/Back%20in%20the%20USSR%20 1994.pdf (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს)

მისცეს დასავლურმა სახელმწიფოებმა და ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით - NATO-მ. ეს ნამდვილად მართალია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ NATO-ს როლიც ეს არის: დაიცვას წევრი ქვეყნები ისეთი მოქმედებებისგან, რომლებსაც რუსეთი განახორციელებდა იმ ყველაფრის აღსასრულებლად, რასაც საკუთარ უფლებად თვლის. სხვა სიტყვებით, ან იქნება ისეთი ევროპული უსაფრთხოების წესრიგი, რომელიც ითვალისწინებს და პატივს სცემს ყველა ევროპული სახელმწიფოს უფლებებს, ან ის, რომელიც რუსეთს პრივილეგიებს მიანიჭებს; ორივე ერთდროულად შეუძლებელია.

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

იმის გაუთვალისწინებლობა, რომ რუსეთის გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო აგებულია ისტორიის, გეოგრაფიის, სოციალური პოლიტიკისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობების სრულიად განსხვავებულ გააზრებაზე, ნიშნავს, რომ მოსკოვის გადაწყვეტილებები მუდმივად გააკვირვებს და შეაშფოთებს დასავლეთს.

იმის გაუთვალისწინებლობა, რომ რუსეთის გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო აგებულია ისტორიის, გეოგრაფიის, სოციალური პოლიტიკისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობების სრულიად განსხვავებულ გააზრებაზე, ნიშნავს, რომ მოსკოვის გადაწყვეტილებები მუდმივად გააკვირვებს და შეაშფოთებს დასავლეთს. ეს იწვევს არა მხოლოდ დროდადრო ატეხილ პანიკას რუსეთის სავარაუდო სტრატეგიული განზრახვების გარშემო, არამედ, ასევე, დასავლური ძალების მიერ ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნის (შეიქმნა მოსკოვში) განმეორებით დაწესებას რუსეთის აგრესიის მსხვერპლებისთვის, როდესაც კრიზისი მწვავდება შეირაღებული კონფლიქტის დონემდე. იქნება ეს 2008 წელს საქართველოს შემთხვევა თუ უკრაინისა და სირიის უფრო ბოლოდროინდელი შემთხვევები, დასავლეთმა დააწესა ისეთი პირობები, რომლებმაც შეზღუდა მსხვერპლი, ხოლო აგრესორს - რუსეთს - მოქმედების უწყვეტი თავისუფლება მიანიჭა (და, უკრაინის შემთხვევაში, საერთოდ უარყო, რომ რუსეთი ამ კონფლიქტის მხარეა). ეს გამომდინარეობს ამოცანების ბაზისური შეუთავსებლობიდან: დასავლეთს უნდა, საომარი მოქმედებები შეწყდეს, რუსეთს უნდა, რომ ომი მოიგოს. განსაკუთრებით ცხადი მაგალითია დასავლეთში ფართოდ გავრცელებული მტკიცება, რომ უკრაინის ომის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა უკრაინის მიერ დათმობებზე წასვლა და არა რუსეთის მხრიდან აგრესიული მოქმედების შეწყვეტა.[27]

კონსენსუსის ან შემორიგების მცდელობებს სხვა მეტად დამღუპველი შედეგებიც აქვს. ზნეობრივი ეკვივალენტობა, რომელიც თავისთავად იგულისხმება რუსეთის მტრული მოქმედებების თავშეკავებულ უგულებელყოფაში, აზიანებს იმ ფასეულობებსა და ეთიკას, რომლებიც ისტორიულად განსაზღვრავდნენ დასავლეთს, რადგან კონსენსუსი იმათთან, ვინც ცდილობს დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს ძირი გამოუთხაროს, [აგრესორის] წისქვილზე ასხამს წყალს. ამას გარდა, საუკეთესო მოტივების მიუხედავად, განმეორებითი მარცხის შედეგად იწყება დამნაშავეების ძიება და, ხშირად, ყველაფერს შეცდომით აბრალებენ დასავლეთის წარსულ თუ მიმდინარე მოქმედებებს და არა ნებისმიერ ზემოხსენებულ ძირეულ

27 Atlantic Council (2020), 'Flawed peace plan for Ukraine doesn't pass muster', 14 February 2020, https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/flawed-peace-plan-for-ukraine-doesnt-pass-muster (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).

წინააღმდეგობას ან, მართლაც, რუსულ საქციელს.

რუსეთს მართავს საკუთარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი მსოფლიო და არა ის, რასაც დასავლური ლიბერალური დემოკრატია მოიაზრებდა რაციონალურად. მაგალითად, ეს შეხედულება იწვევს რუსეთის მხრიდან მტკიცებას (ან, ალბათ, გულწრფელად სჯერათ) რომ ქვეყნები NATO-სა და ევროკავშირს უერთდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ამას აიძულებს ვაშინგტონი ან ბრიუსელი, და არა იმიტომ, რომ ასეთი გაწევრიანება მათსავე ინტერესებში შედის. ეს ვრცელდება უახლესი და უფრო შორეული ისტორიის ბაზისურ ფაქტებზე შეთანხმების მიღწევის უუნარობაზე. რუსეთის მტკიცება იმის თაობაზე, რომ 1990 წელს NATO-მ პირობა დადო, არ მიეღო ახალი წევრები აღმოსავლეთ ევროპიდან და თავად NATO-ს პოზიცია, რომ ასეთი ვალდებულება არასოდეს აუღია ალბათ ვერასოდეს შეჯერდება. კამპანია, რომელიც ცდილობს გაამყაროს ისტორიის საბჭოთა ინტერპრეტაცია თავად რუსებს შორის ბოლო დროს კვლავ გააქტიურდა და რუსეთის ფარგლებს სცდება. მეორე მსოფლიო ომის შესახებ უკვე გაქარწყლებული საბჭოთა მითების გაცოცხლების გარდა, რუსეთმა ხელი მიჰყო საბჭოთა კავშირის როლის უარყოფას ნაცისტურ გერმანიასთან 1939-40 წლებში აღმოსავლეთ ევროპის გაყოფასთან დაკავშირებულ გარიგებაში, ასევე, ამ რეგიონის სახელმწიფოებისთვის დამოუკიდებლობის არაადამიანური მეთოდებით წართმევაში ომის შემდგომ პერიოდში. ამ პროცესმა ყოფილი საბჭოთა კავშირის აგრესიისა და ოკუპაციის მსხვერპლი სახელმწიფოები ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში დაუქვემდებარა უწყვეტ საინფორმაციო ნაკადს, რომელიც მიზნად ისახავს მოსკოვის საქციელის გამართლებას და თვითონ მსხვერპლების დადანაშაულებას როგორც ომში, ასევე, მის შედეგებშიც.

ამას გარდა, თუ ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს სჭირდება ლეგიტიმაციის მოპოვება საგარეო თავგადასავლებით, მართლები არიან, მაშინ რუსეთში შიდა სტაბილურობის აუცილებელი წინაპირობაა საზღვარგარეთ კიდევ უფრო მეტი არასტაბილურობის გამოწვევა. შედეგად, მთლიანი ევროპა იქცა გადაუწყვეტელი კონფლიქტის სცენად.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

ვარაუდები იმის შესახებ, რომ რუსეთი დასავლეთის პარტნიორი იყო და მის ინტერესებს იზიარებდა, დომინირებდა ორ ათწლეულზე დიდხანს ცივი ომის დასრულების შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ სამხილების მზარდი რაოდენობა საწინააღმდეგოზე მეტყველებდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ვარაუდები ახლა გაქარწყლდეს და უთანხმოების არსებობა აღიარებული იქნას. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ეს, თავისთავად, იწვევდეს პირდაპირ მტრობას. ცივი ომის ერთ-ერთი გაკვეთილი ის არის, რომ თანაარსებობა შესაძლებელია მაშინ, როცა მიღებული და აღიარებულია მოსკოვისა და დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების შეუთავსებლობა.

ამასობაში, მომრავლდა საუკეთესო მოტივებზე აგებული სტრატეგიები რუსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად.[28] თუმცა, ყველა მათგანს ერთი ნაკლი აქვს: ამ სტრატეგიების განსახორციელებლად აუცილებელია მოსკოვის თანამონაწილეობა. ფუნდამენტური შეცდომაა თავიდანვე იმის დაშვება, რომ რუსეთი დაინტერესებულია თანამშრომლობით ან დაძაბულობის შემცირებით, ან რომ დასავლეთის სახელმწიფოებს შეუძლიათ გააუმჯობესონ სიტუაცია ამგვარი თანამშრომლობის გარეშე. რუსეთის ხელმძღვანელობა, ამის ნაცვლად, დათმობებს და კომპრომისებს აღიქვამს, როგორც სისუსტეს, რომელიც თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს. რუსეთისა და NATO-ს საბრძოლო ხომალდებსა და თვითმფრინავებს შორის საფრთხის შემცველი ინციდენტების პრევენცია არ მოითხოვს ახალი შეთანხმების დადებას; ეს მხოლოდ მოითხოვს, რომ რუსეთმა შეასრულოს არსებული უსაფრთხოების წესები. მსგავსადვე, შეიარაღების კონტროლის შესახებ ახალი შეთანხმებების შეთავაზება იმათ ნაცვლად, რომლებიც ბოლო წლებში გაბათილდა, შედეგს ვერ მოიტანს, თუ უგულებელყოფილი იქნება ფაქტი, რომ რუსეთმა წინა ხელშეკრულებების შესრულებაზე განზრახ თქვა უარი, მკვეთრად განსაზღვრული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.[29] ტერორიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობა, ასევე, მიმზიდველი ჩანს - სანამ რუსეთი, მაგალითად, ჩეჩნეთსა თუ სირიაში ცხადად არ აჩვენებს, რომ, მისი აზრით, კონტრტერორისტული ოპერაციისთვის გამოყენებული მეთოდები სრულიად დაუშვებელია დასავლეთისთვის.[30]

დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებს, პოლიტიკოსებსა და მოსახლეობას მუდმივად სჭირდებათ არა მხოლოდ იმის შეხსენება, რომ ხალხი, ვინც რუსეთს მართავს, მათნაირი არ არის, არ მოსწონთ ისინი და არ უნდათ, რომ მათნაირები იყვნენ, არამედ იმისაც, რომ არსებობს საფუძვლიანი მიზეზებიც, რომელთა გამოც რუსეთთან საერთოს პოვნის მცდელობები გამუდმებული მარცხით სრულდება. იმის აღიარება, რომ დასავლური ღირებულებები და ინტერესები არ შეესაბამება რუსეთისას და შემდეგ ამ რეალობასთან შეგუება გრძელვადიან პერსპექტივაში ურთიერთობების წარმართვისას გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება კონფლიქტებისა და დაპირისპირებების მართვისთვის, ამ კონფლიქტების გაქრობაზე ოცნების ნაცვლად. ეს, თავის მხრივ, იქნება არა მხოლოდ რუსული განცხადებების და მოქმედებების გაანალიზების საფუძველი, არამედ, ასევე, მომავალი ევროპული მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი.

28 აღსანიშნავია, მაგალითად, „ევროატლანტიკური უსაფრთხოების“ გვერდი „ევროპის ლიდერთა ქსელიდან“ (European Leadership Network), https://www.europeanleadershipnetwork.org/programmes/euro-atlantic-security
29 UK Parliament (2019), Missile Misdemeanours: Russia and the INF Treaty: Government response to the Committee's Fifteenth Report of Session 2017-19, London: UK Parliament, https://publications.parliament.uk/pa/ cm201719/cmselect/cmdfence/2464/246402.htm (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).
30 Benjamin, D. (2017), 'Russia is a Terrible Ally Against Terrorism', New York Times, 23 January 2017, https://www.nytimes.com/2017/01/23/opinion/russia-is-a-terrible-ally-against-terrorism.html (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).

მითი 03

„რუსეთს დაჰპირდნენ, რომ NATO აღარ გაფართოვდებოდა“

განსხვავებით ღალატთან დაკავშირებული ნარატივისგან, რომლის გავრცელებასაც რუსეთი უწყობს ხელს, საბჭოთა კავშირისთვის არასოდეს მიუციათ ოფიციალური გარანტია NATO-ს გაფართოების შეზღუდვაზე 1990-იანი წლების შემდგომ. მოსკოვი უბრალოდ ისტორიას ამახინჯებს, რაც ეხმარება ქვეყნის შიგნით ანტიდასავლური კონსენსუსის შენარჩუნებაში.

ჯონ ლაუ

რაში მდგომარეობს ეს მითი?

ამ კონკრეტული მითის მიხედვით, დასავლეთმა მოატყუა რუსეთი, როცა მან დაარღვია „ცივი ომის“ შემდგომ დადებული პირობა, რომ NATO აღარ გაფართოვდებოდა, არჩია ხელიდან გაეშვა ევროპის უსაფრთხოების ახალ ჩარჩოში რუსეთის ინტეგრირების შანსი და, ამის ნაცვლად, აიძულა მოსკოვი დაბრუნებოდა აშშ-სა და მის მოკავშირეებთან კონფრონტაციის გზას. ეს ნარატივი, რომელიც დასავლეთს რუსეთის მოტყუებაში ადანაშაულებს, მნიშვნელოვან აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს NATO-ს ქვეყნებს შიგნით. ეს ხელს აძლევს მოსკოვს, კონკრეტულად კი - ხელს უწყობს რუსეთის ძალისხმევას, რომ უსამართლო მოპყრობის მსხვერპლად წარმოაჩინოს თავი NATO-ს წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის წინაშე.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები?

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სანქტ-პეტერბურგში 2018 წელს გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დისკუსიისას განაცხადა შემდეგი:

> ვფიქრობ, შეცდომა, რომელსაც ვუშვებდით ბოლო 20 წლის განმავლობაში, იყო ის, რომ ჩვენ, NATO-ს წევრებმა, ვერ შევძელით სრულად შეგვესრულებინა ყველა ის ვალდებულება, რომლებიც ვიკისრეთ და ამან გამოიწვია გარკვეული შიშები - და საკმაოდ საფუძვლიანადაც. ჩვენ ნამდვილად არ გვქონდა რუსეთის

> ნდობა, რომელსაც ის სამართლიანად ელოდა.[31]

ამერიკელი მკვლევარი, მაიკლ მენდელბაუმი (Michael Mandelbaum) 2016 წელს აცხადებდა, რომ:

> მათი წინააღმდეგობის მიუხედავად NATO-ს გაფართოებამ რუსებს ასწავლა ორი გაკვეთილი, რომელთა რუსეთის მიერ ათვისებაც საერთოდ არ შედიოდა ამერიკის ინტერესებში: ამერიკული დაპირებების ნდობა არ შეიძლება; და დასავლეთი აუცილებლად დაჩაგრავს სუსტ და დათმობებზე წამსვლელ რუსეთს.[32]

NATO-ს გაფართოების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე საუბრისას, წამყვანმა გერმანელმა ჟურნალისტმა და ავტორმა გაბრიელე კრონე-შმალცმა (Gabriele Krone-Schmalz) 2015-ში აღნიშნა, რომ „რუსეთთან, როგორც სრულუფლებიან პარტნიორთან ურთიერთობის“ შეუძლებლობამ შეაკავა „ნორმალიზაციის პროცესები“ ქვეყანაში.

2014-ში, ამერიკელმა აკადემიკოსმა ჯონ მირშაიმერმა (John Mearsheimer) რუსეთის აგრესია უკრაინაში მიაწერა კლინტონის ადმინისტრაციის მხრიდან NATO-ს გაფართოების მცდელობებს. მირშაიმერმა გაიმეორა ეს არგუმენტი იმხანად ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეებთან მიმართებითაც: არ იყო აუცილებლობა შეეკავებინათ „დეგრადირების პირას მყოფი დიდი სახელმწიფო, დაბერებული მოსახლეობით და ერთგანზომილებიანი ეკონომიკით.“[33] მირშაიმერის სათქმელი ის იყო, რომ NATO-ს ქვეყნებმა არასაჭირო მოქმედებებით მოახდინეს მოსკოვის პროვოცირება და ის სხვაგვარად უფრო მეგობრული იქნებოდა თავისი მეზობლებისადმი.

რატომ არის ეს მითი არასწორი?

1990 წლის ივლისში საბჭოთა კავშირის ლიდერმა მიხაილ გორბაჩოვმა თანხმობა განაცხადა გაერთიანებული გერმანიის შეყვანაზე NATO-ში. აშშ-ის იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა მანამდე გორბაჩოვს უთხრა, რომ NATO-ს იურისდიქცია არ გავრცელდებოდა გერმანიის შიდა საზღვრის მიღმა, თუმცა ვაშინგტონმა უარი განაცხადა ამ პოზიციაზე, მას შემდეგ, რაც შეისწავლა გერმანიის ნაწილის ალიანსს გარეთ დარჩენის პრაქტიკული ასპექტები. გარიგების ფარგლებში, რომელიც გორბაჩოვსა და დასავლეთ გერმანიის კანცლერ ჰელმუთ კოლს შორის დაიდო, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) ტერიტორიაზე არ შევიდოდა NATO-ს სხვა ქვეყნების ძალები საბჭოთა ძალების სრულად გაყვანამდე და ამის შემდეგ - მხოლოდ დროებით. ასევე, არ მოხდებოდა ბირთვული იარაღის განლაგება. მოსკოვმა მიიღო ფინანსური „ჯილდოებიც,“ რაც მოიცავდა 12 მილიარდ გერმანულ მარკას დაბრუნებული სამხედროებისთვის შესაფერისი პირობების უზრუნველსაყოფად.

თუმცა, გორბაჩოვს არც უთხოვია და არც მიუღია რაიმე სახის ოფიციალური გარანტია, რომ NATO აღარ გაფართოვდებოდა გაერთიანებული გერმანიის ფარგლებს გარეთ.[34] ეს საკითხი NATO-ში იმ დროს არც განიხილებოდა, რამდენადაც ორივე - ვარშავის პაქტი და საბჭოთა კავშირი - ჯერ კიდევ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის პაქტის დღეები აშკარად

31 Kremlin.ru (2018), ‘St Petersburg International Economic Forum plenary session’, 25 May 2018, http://en.kremlin.ru/events/president/news/57556 (საიტზე წვდომა განხორციელდა 11 Sep. 2020)
32 Mandelbaum, M. (2016), Mission Failure: America and the World in the Post-Cold War Era, New York: Oxford University Press, p. 73.
33 Mearsheimer, J. (2014), ‘Why the Ukraine Crisis Is the West’s Fault’, Foreign Affairs, 93(5): p. 83.
34 Sarotte, M. (2014), ‘A Broken Promise? What the West Really Told Moscow About NATO Expansion’, Foreign Affairs, 93(5): p. 96.

დათვლილი იყო, დასავლურ დედაქალაქებში 1990 წლის შემოდგომაზე არავინ ელოდა, რომ საბჭოთა კავშირი ერთ წელიწადში ჩამოიშლებოდა.

საბჭოთა კავშირის რუკიდან გაქრობამ შექმნა სრულიად განსხვავებული გეოპოლიტიკური რეალობა, რომელმაც სწრაფადვე გამოავლინა განსხვავებები დასავლურ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ევროპის უსაფრთხოების მართვის ფორმებსა და, კონკრეტულად, NATO-ს როლზე. 1993 წლის ბოლოდან, რუსული დიპლომატია უფრო და უფრო მკვეთრად გამოხატავდა წინააღმდეგობას NATO-ს დამატებით გაფართოებასთან დაკავშირებით, თუმცა აღიარებდა, რომ ამ პროცესის შეჩერება არ შეეძლო. რუსების მთავარი საჩივარი ის იყო, რომ NATO-ს ქვეყნების რამდენიმე ლიდერმა 1990-იანი წლების დასაწყისში გამორიცხა NATO-ს გაფართოების შესაძლებლობა, ხოლო დასავლეთმა შეცდომაში შეიყვანა რუსეთი. როგორც მოგვიანებით რუსეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა დანანებით აღნიშნა, დასავლელი ლიდერების განცხადებებს იურიდიული ძალა არ ჰქონდა, თუმცა, მისი აზრით, სამართლებრივი საფუძვლის მქონე ვალდებულებების დაწესება შესაძლებელი იქნებოდა იმ დროს.[35]

NATO-ს გაფართოების მითი, ასევე, მოიცავს ფაქტების მნიშვნელოვან დამახინჯებას: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ფედერაცია მისი *დე ფაქტო* სამართალმემკვიდრე გახდა, რუსეთი სხვა საზღვრების ფარგლებში არსებობს და მისი უსაფრთხოების ინტერესები არ არის სინონიმური საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ინტერესებისა. მართლაც, რუსეთის იმდროინდელ ლიდერებს იმ დროს არ უნდოდათ, რომ დასავლეთს რუსეთი ჩაეთვალა საბჭოთა კავშირის შეკუმშულ ფორმად, არამედ, როგორც ქვეყნად, რომელმაც დაიბრუნა სუვერენიტეტი და უბრუნდებოდა ევროპულ ფესვებს ბოლშევიზმის ტრაგედიის შემდგომ. ამას გარდა, საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა პარიზის ქარტიას 1990 წლის ნოემბერში, სადაც იკისრა ვალდებულება, რომ „სრულად ეღიარებინა სახელმწიფოთა თავისუფლება თავად განესაზღვრათ უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები.“ NATO-რუსეთის თანამშრომლობის დამფუძნებელი აქტი, რომელიც 1997 წელს იქნა ხელმოწერილი, იგივენაირად ავალებს მხარეებს პატივისცემას ყველა სახელმწიფოს „მემკვიდრეობითი უფლებისა“, რომ „თავად აირჩიონ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებები“.

უფრო მეტიც, 1999 წელს NATO-ს კამპანიამ კოსოვოში უფრო მეტი გააკეთა რუსეთში ანტიდასავლური განწყობების ჩამოსაყალიბებლად, ვიდრე NATO-ს გაფართოებამ. დაემთხვა რა რუსეთში განსაკუთრებული სისუსტის პერიოდს, იგი წარმოადგენდა საშინელ მარცხს რუსული დიპლომატიისთვის.

უფრო მეტიც, 1999 წელს NATO-ს კამპანიამ კოსოვოში უფრო მეტი გააკეთა რუსეთში ანტიდასავლური განწყობების ჩამოსაყალიბებლად, ვიდრე NATO-ს გაფართოებამ. დაემთხვა რა რუსეთში განსაკუთრებული სისუსტის პერიოდს, იგი წარმოადგენდა საშინელ მარცხს რუსული დიპლომატიისთვის, რომელმაც იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი დაარწმუნა, რომ რუსეთი სერბეთს - მის სავარაუდოდ ტრადიციულ მოკავშირეს - ვერ დაიცავდა NATO-სგან. რუსეთის ლიდერებმა არჩიეს ამ ეპიზოდის გამოყენება დასავლეთის მხრიდან რუსეთისადმი განახლებული მუქარის დასასაბუთებლად – მაგრამ მაინც სიფრთხილე გამოიჩინეს და NATO ევროკავშირისგან გამიჯნეს. ევროკავშირთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება ტრანსატლანტიკური ურთიერთობების შესუსტების საშუალებას იძლეოდა. თუმცა, მიუხედავად აშშ-ის ხელმძღვანელობით 2003 წელს ერაყში განხორციელებული ოპერაციის კრახისა და ვაშინგტონსა და ევროპას შორის ურთიერთობების

35 პრიმაკოვი, ე. მ. (1999), Годы в Большой Политике [„წლები დიდ პოლიტიკაში“], Издательство “Совершенно секретно” [გამომცემლობა „სრულიად საიდუმლოდ“], გვ. 234

დაძაბულობისა, ევროკავშირმა რუსეთი მაინც არ მიიღო.

NATO-ს 2008 წლის სამიტზე, მოსკოვი ნათლად ხედავდა, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ ხელი შეუშალეს ვაშინგტონის მცდელობას, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრობის გზაზე დაეყენებინა. მიუხედავად იმისა, NATO-მ ნაჩქარევად და წინდაუხედავად დაარწმუნა ორივე ქვეყანა სამიტის კომუნიკეში, რომ ისინი NATO-ს შეუერთდებოდნენ, რეალურად ამის პერსპექტივა თითქმის არ არსებობდა მოსკოვის *დე ფაქტო* თანხმობის გარეშე. თუმცა, მიუხედავად გაფართოებასთან დაკავშირებული კრიზისის არიდების მცდელობებისა, პარიზმა და ბერლინმა შემდეგ ნახეს, როგორ შეიჭრა რუსეთი საქართველოში 2008 წელს და გაზი გადაუკეტა ევროპას 2009-ში უკრაინასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო. მოსკოვს რომ ნდომოდა იმის დემონსტრირება, რომ მას შეუძლია ევროკავშირისთვის სანდო პარტნიორი იყოს, მაშინ ასე ნამდვილად არ უნდა მოქცეულიყო.

2013 წლისთვის, რუსეთი უკვე სრულად გადავიდა კონსერვატიულ ნაციონალიზმზე. საკუთარ თავს ახალი ეპოქის ევროპული ღირებულებების დამცველად მოიაზრებდა და მტრულად განწყობილი იყო არა მხოლოდ NATO-ს, არამედ ევროკავშირის მიმართაც. 2009 წლიდან ამოქმედებულმა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკულმა პაკეტმა და მისივე დაკვეთით 2011 წელს „გაზპრომის“ საქმიანობის ანტიმონოპოლიურმა გამოძიებამ შეცვალა ბრიუსელთან ურთიერთობის ტონი. ეს ყველაფერი წარმოადგენდა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული მოქმედებების ფონს და საბოლოოდ ამტკიცებდა, რომ რუსეთი თავის მეზობელს არ თვლიდა ბოლომდე სუვერენულ სახელმწიფოდ (ამ შემთხვევაში, ევროკავშირთან ურთიერთობების დამოუკიდებლად წარმართვის უფლების მქონედ). რუსეთი კვლავ ატარებდა იმ მახასიათებლებს, რომლებიც მირშაიმერმა 1990-ში გამოკვეთა, თუმცა ამ სისუსტეებს მისთვის ხელი არ შეუშლია აღედგინა სამხედრო ძლიერება და თავდაჯერებულობა ევროკავშირის მნიშვნელოვან მეზობელ სახელმწიფოში თავისი ძალაუფლების გასამყარებლად.

საუკუნოვანი ისტორია მოწმეა იმისა, რომ რუსეთი საკუთარ უსაფრთხოებას მეზობელ ქვეყნებზე ზემოქმედებით უზრუნველყოფს. მის სამხედრო მმართველობას კარგად აქვს გათავისებული, რომ რუსეთის თავდაცვითი ომები ყოველთვის მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ უნდა წარმოებდეს. არ არსებობს იმის დასაბუთება, რომ ევროკავშირისა და NATO-სა არარსებობის პირობებში, რუსეთი უარს იტყვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ხედვებზე. იმავდროულად, ორივე ორგანიზაციის გაფართოების გარეშე, ევროპას კვლავ მოუწევს ბრძოლა სტაბილურობის შესანარჩუნებლად. აღმოჩნდება, რომ გერმანიასა და მის მეზობლებს ცენტრალური ევროპიდან ორი მიმართულებით ექაჩებიან, რასაც უფრო მძიმე შედეგები მოჰყვება მთლიანი რეგიონისთვის. რუსი პოლიტიკის შემქმნელები, რომლებიც ამბობენ, რომ NATO-ს გაფართოებამ დააზარალა რუსეთის უსაფრთხოების ინტერესები არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ არასტაბილური ევროპა არათუ შეარბილებს, არამედ გაზრდის კიდეც რუსეთის უსაფრთოხების პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე საჯაროდ ეწინააღმდეგებოდა NATO-ს გაფართოებას, ანდრეი კოზირევმა (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1996 წლამდე) ბოლო დროს განაცხადა: „შეერთებული შტატები და NATO ისტორიის სწორ მხარეს იდგნენ, როცა ალიანსში ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები შეუშვეს და რუსეთთან საერთოს გამონახვა სცადეს. თავად მოსკოვმა უპასუხა NATO-ს

ანტაგონიზმით.“[36]

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

რუსეთის მხრიდან გამუდმებით აქცენტირება იმისა, თუ როგორ შელახა დასავლეთმა რუსეთის ნდობა ხელს უწყობს რუსეთში ანტიდასავლური კონსენსუსის შენარჩუნებას. ამასობაში, NATO-ს ლიდერების მხრიდან რბილი პასუხები წლების განმავლობაში აძლიერებდა მითს და „ფაქტად“ ჩამოყალიბების საშუალებას აძლევდა.

ამგვარი პასიურობა, როგორც ზოგადი ტენდენცია, აშკარაა 2014 წლიდან მოყოლებული. დასავლეთი ერიდებოდა რუსეთთან კონფრონტაციას იმ რწმენით, რომ NATO-ს გაფართოება მოსკოვისთვის რთული მისაღები იყო და არ იქნებოდა გონივრულ ძველ ჭრილობებზე მარილის მოყრა. მოსკოვთან ღიად საუბრის შეუძლებლობა სრულიად შეუთავსებელი იყო გერმანიისა და სხვების მიერ რუსეთთან დიალოგზე - როგორც ნდობის შენების ხელშემწყობ ღონისძიებაზე - გაკეთებულ აქცენტებთან.

დასავლეთის მიერ რუსეთის მოტყუების ნარატივთან შესაბამისობაშია რუსეთის მიერ დასავლეთის სანქციების „ანტირუსულად“ მონათვლა, რაც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმოჩინდება რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკა, როგორც უსამართლო და საპირისპირო შედეგის მომცემი. მათი მიზანია დაარწმუნონ NATO-ს ევროპელი წევრები, რომ მოსკოვთან კარგი ურთიერთობა უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო ფასეულია, ვიდრე იმის ერთგულება, რასაც რუსეთი 1990-იანი წლების მოძველებულ უსაფრთხოების პრინციპებად თვლის. გერმანიის ძალისხმევა, რომ რუსეთიდან პირდაპირ მომხდარიყო ბუნებრივი გაზის მიწოდება, ცენტრალური ევროპიდან მისი მოკავშირეების მკვეთრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ზემოხსენებულის ერთი კონკრეტული მაგალითია. პრეზიდენტი მაკრონის სურვილი, რომ „შეამსუბუქოს და დაალაგოს ურთიერთობები“ რუსეთთან - მეორე.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

რუსი პოლიტიკის შემქმნელები ისტორიას უფრო ითვალისწინებენ, ვიდრე მათი დასავლელი კოლეგები, ნაწილობრივ იმიტომ, რომ რუსებს კარგად ესმით ისტორიული ნარატივის მართვისა და საკუთარი მიზნებისთვის მისი გამოყენების მნიშვნელობა. მაგალითად, ბოლო წლებში მოსკოვი იმეორებს სტალინსა და ჰიტლერს შორის 1939 წელს თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმების მიზეზების ძალიან მიკერძოებულ ვერსიას,[37] რაც საშუალებას აძლევს მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში დაადანაშაულოს სხვა ქვეყნები - კონკრეტულად კი - პოლონეთი, რომლის ისტორიული ნარატივი იმ პერიოდის შესახებ რუსეთისას ეწინააღმდეგება.

NATO-ს ქვეყნების მთავრობებმა უნდა აღიარონ ის ფაქტი, რომ ისტორია მნიშვნელოვანია და რომ რუსეთი მიზნობრივად მანიპულირებს NATO-ს შესახებ არსებული ისტორიული ფაქტებით. დასაწყისისთვის საკმარისი იქნებოდა ამ მითების სიყალბეზე ყურადღების გამახვილება. აუცილებელია,

36 Kozyrev, A. (2019), ‘Russia and NATO Enlargement: An Insider’s Account’, in Hamilton, D. S. and Spohr, K. (eds) (2019), Open Door NATO and Euro-Atlantic Security After the Cold War, Washington, DC: Foreign Policy Institute.
37 მაგალითად, Putin, V. (2020), ‘The Real Lessons of the 75th Anniversary of World War II’, The National Interest, 18 June 2020, https://nationalinterest.org/feature/vladimir-putin-real-lessons-75th-anniversary-world-warii-162982 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 17 თებერვალს).

რომ მაღალი თანამდებობის პირები არა მხოლოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი და დარწმუნებულნი მათთვის ცნობილი ფაქტების სიმართლეში, არამედ მზად იყვნენ შეეწინააღმდეგონ რუს თანამოსაუბრეებს, როდესაც ისინი ყალბი ნარატივის შემოტანას ეცდებიან. იმავდროულად, NATO-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე პირების განათლებაზე და არ უნდა ელოდონ, როდის გააკეთებს NATO ყველაფერს მათ ნაცვლად. თავდაცვა დეზინფორმაციის წინააღმდეგ შინიდან იწყება.

მითი 04

„რუსეთი დასავლეთთან კონფლიქტში არ არის“

მოსკოვის ბუნებრივი მდგომარეობაა დასავლეთთან კონფრონტაცია. ამ კონფლიქტის ძირითადი მახასიათებელი არის უჩვეულო მტრული ღონისძიებები, რომლებიც ნარჩუნდება, სცდება სამშვიდობო აქტივობის ზღვარს, თუმცა არა - საომარი მოქმედებებისას.

მეთიუ ბულეგი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

დასავლეთის პოზიციიდან, რუსეთთან ურთიერთობები ხშირად აღიწერება, როგორც „გამოწვევა,“[38] მაგრამ ევროპელი და ჩრდილოეთ ამერიკელი პოლიტიკის შემქმნელები თავს იკავებენ კონფლიქტის, როგორც ასეთის, აღიარებისგან. თუმცა, კრემლის დღევანდელი ხელმძღვანელობა საკუთარ თავს აშკარად აღიქვამს დასავლეთის მიერ მართული, წესებზე დამყარებული ლიბერალური მსოფლიო წესრიგის მოწინააღმდეგედ.[39] ეს კონფრონტაცია გაჭიანურებული, პოლიტიკური და ზნეობრივი ხასიათისაა - და, ალბათ, ცივილიზაციასთან დაკავშირებულიც. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ღიად არ ეომება დასავლურ სახელმწიფოებს, მისი მოქმედებები ნამდვილად ექცევა კონფლიქტის უზოგადესი განმარტების ფარგლებში, კონფლიქტის, რომელიც სხვადასხვა საშუალებით იწარმოება მრავალი სხვადასხვა სამიზნის წინააღმდეგ - მოსკოვის საგარეო პოლიტიკის მიზნების შესასრულებლად.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები ?

ხშირად ამბობენ, პოლიტიკის განხილვის დროსაც კი, რომ „დასავლეთის მოქმედებები კრემლის პროვოცირებას ახდენს,“ რომ „მოსკოვი მხოლოდ და

38 Wemer, D. A. (2019), ‘Don’t be fooled: Russia is still NATO’s greatest challenge’, Atlantic Council, 3 December 2019, https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/dont-be-fooled-russia-is-still-natos-greatest-challenge (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).
39 რუსეთის მოქალაქეები ყოველთვის არ იზიარებენ ამ განცდას, რამდენადაც მათთვის დასავლეთი თავისთავად „მტერს“ არ წარმოადგენს. Levada-Center (2020), ‘Отношение к странам’ [დამოკიდებულება ქვეყნებთან], https://www.levada.ru/2020/02/18/otnoshenie-k-stranam-6 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

მხოლოდ კანონიერად იცავს თავს დასავლეთის გაფართოებისგან“, რომ „დასავლეთი არის პასუხისმგებელი რუსეთის დაუცველობის განცდაზე“ ან რომ რუსეთის მტრული ღონისძიებები დასავლეთის მოქმედებების მსგავსია.[40]

ამ მითებს უამრავი ინდივიდი იჯერებს და ითვალისწინებს, უფრო კონკრეტულად კი ისინი, ვისაც არასწორად ესმის რუსეთის რიტორიკა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;[41] დათმობის მომხრეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რუსეთი უფლებამოსილია „ზემოქმედების სფერო“ ჰქონდეს;[42] ცნობილი პოლიტიკოსები, რომლებსაც სურთ უკრაინის ენერგოუსაფრთხოება დათმონ გაზსადენის შენების სანაცვლოდ;[43] და ევროპული ქვეყნების ის პარლამენტარები, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებულ ვიზიტებს ახორციელებენ ოკუპირებულ ყირიმში.[44] ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მთავრობებს კრემლთან „დიალოგის“ განუწყვეტელი მცდელობები თვითმიზნად აქვთ ქცეული.[45]

რატომ არის ეს მითი არასწორი?

რუსეთი არ წარმოადგენს უბრალოდ „კიდევ ერთ გამოწვევას“ წესების საფუძველზე მოქმედი ლიბერალური მსოფლიო წესრიგისთვის. მოსკოვისთვის დასავლეთთან ხანგრძლივი მტრობა და კონფრონტაცია ბუნებრივი მდგომარეობაა. კრემლი დარწმუნებულია, რომ დასავლეთმა, რომელსაც ტრანსატლანტიკური ალიანსი განასახიერებს, წამოიწყო კონფლიქტის ახალი ფაზა ჯერ კიდევ ცივი ომის დასრულებისთანავე. რუსეთი ვარაუდობს, რომ ეს კონფლიქტი წარიმართებოდა ინფორმაციისა და ზემოქმედების ოპერაციების გამოყენებით, ასევე, რეჟიმის შეცვლისკენ მიმართული „ფერადი რევოლუციების“ გავრცელებით რუსეთის პერიფერიაზე - ერთი სიტყვით, უზარმაზარი, აშშ-ის მიერ მართული „ტროას ცხენის“ ოპერაციის გამოყენებით, რომელიც რუსეთის შიგნიდან დანგრევას ლამობს.[46]

---

40 იხილეთ, მაგალითად, Taylor, E. (2020), ‘Defender of Europe 2020: a Dangerous Provocation on Russia’s Border’, CounterPunch, 9 March 2020, https://www.counterpunch.org/2020/03/09/defender-of-europe-2020-adangerous-provocation-on-russias-border (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

41 Foy, H. (2017), ‘Valery Gerasimov, the general with a doctrine for Russia’, Financial Times, 15 September 2017, https://www.ft.com/content/7e14a438-989b-11e7-a652-cde3f882dd7b (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს); and McKew, M. K. (2017), ‘The Gerasimov Doctrine: It’s Russia’s new chaos theory of political warfare. And it’s probably being used on you’, Politico, September/October 2017, https://www.politico.com/magazine/story/2017/09/05/ gerasimov-doctrine-russia-foreign-policy-215538 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

42 ეს არგუმენტი გაბათილებულია მე-7 მითში: „რუსეთი უფლებამოსილია ჰქონდეს თავდაცვითი პერიმეტრი– „პრივილეგირებული ინტერესების“ სფერო, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ჩათვლით.“

43 The Economist (2019), ‘The Nord Stream 2 gas pipeline is a Russian trap’, 16 February 2019, https://www.economist.com/leaders/2019/02/16/the-nord-stream-2-gas-pipeline-is-a-russian-trap (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

44 Goncharenko, R. (2016), ‘Controversial visit to Crimea by French politicians’, Deutsche Welle, 28 July 2016, https://www.dw.com/en/controversial-visit-to-crimea-by-french-politicians/a-19433406 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

45 5 Nixey, J. and Boulègue, M. (2019), ‘On Russia, Macron Is Mistaken’, Chatham House Expert Comment, 5 September 2019, https://www.chathamhouse.org/expert/comment/russia-macron-mistaken (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

46 Sviridova, A. (2019), ‘Векторы развития военной стратегии’ [სამხედრო სტრატეგიის განვითარების ვექტორები], Krasnaya Zvezda, 4 March 2019, http://redstar.ru/vektory-razvitiya-voennoj-strategii (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს); და Eckel, M. (2020), ‘Putin Opens The Door – Wide – To Staying On As President Past 2024’, Radio Free Europe/ Radio Liberty, 10 March 2020,

რუსეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ამას თავის სასარგებლოდ იყენებს დასავლეთზე თავდასხმისთვის. რუსეთის შესახებ გაერთიანებული სამეფოს 2020 წლის ივლისის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, კრემლის ხედვა გულისხმობს, რომ „ყველა მოქმედება, რომელსაც განახორციელებს დასავლეთის საზიანოდ, რუსეთისთვის თავისთავად კარგი იქნება.“[47] ეს სიტუაცია რთულდება ორი ურთიერთხელშემწყობი ფაქტორის გავლენით: რუსეთის მიერ საკუთარი თავის აღქმა, როგორც „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრისა“; და რეჟიმის გადარჩენის აუცილებლობა, განსაკუთრებით, რამდენადაც პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, დიდი ალბათობით, გეგმავს ძალაუფლების შენარჩუნებას 2024 წლის შემდეგაც. მართლაც, კრემლი დასავლეთის წინააღმდეგ უსაფრთხოებასა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ ერთსა და იმავე საჩივრებს იმეორებს საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული.

კრემლის სტრატეგიული ამოცანები არ იცვლება. მისი მიზანია, რუსეთის დიდ სახელმწიფოდ აღიარება და შემდეგ მის მიერვე „ახლო სამეზობლოდ“ გამოცხადებული ტერიტორიის, როგორც საკუთარი ზემოქმედების სფეროს, კონტროლი. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, კრემლს უკვე აქვს საკუთარი განზრახვების სისრულეში მოყვანის უნარი. მოსკოვი ახლა ღიად დესტრუქციულ მეთოდებს მიმართავს, რომელთა მიზანია არსებული საერთაშორისო წესრიგის მოშლა ან, შეიძლება, მისი ძირეულად შეცვლა. 2007 წელს მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციაზე პრეზიდენტ პუტინის მიერ წარმოთქმული, ხშირად ციტირებადი სიტყვა, წესით, განგაშის სიგნალი უნდა ყოფილიყო დასავლეთისთვის, რომ რუსეთის განზრახვები არსებული წესრიგის მიმართ კეთილშობილური ნამდვილად არ არის.[48]

მოსკოვის ალყის მენტალიტეტი, როგორც რუსეთის მოსახლეობის მხარდაჭერის ზრდის საშუალება, ასევე, ასაზრდოებს შიდა პოლიტიკას და რეჟიმის გადარჩენის აუცილებლობის ნარატივს. რუსეთი ძლიერად მაშინ წარმოჩინდება, როცა მისი მტრები სუსტები არიან. მოსკოვს უნდა, რომ შეზღუდოს დასავლური გავლენა და NATOს-ს საზღვრების სავარაუდო მოახლოება, რასაც ეროვნული უსაფრთხოების საშიშროებად აღიქვამს. დასავლეთის მონათვლა როგორც ზნეობრივად გარყვნილ და რუსეთის მიერ გაცხადებული სასიცოცხლო ინტერესებისადმი ანტაგონისტურად განწყობილ რეგიონად, ასევე, ამყარებს ეროვნული გადარჩენის ნარატივს.

კრემლს სურს, რომ წყალი შეუყენოს დასავლურ ინტერესებს მრავალგზის გამოცდილი ინსტრუმენტების ფართო სპექტრის გამოყენებით - იქნება ეს უპირობო მტრული ღონისძიებები თუ არაპირდაპირი მოქმედებები, რომლებიც სამშვიდობო აქტივობის დასაშვებ ზღვარს სცდება, მაგრამ არა - ომისას.[49] ეს მეთოდები სხვაობს საზღვარგარეთის ქვეყნების არჩევნებში

https://www.rferl.org/a/putin-opens-the-door----wide----to-staying-on-aspresident-past-2024/30480215.html (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).
47 Intelligence and Security Committee of Parliament (2020), Russia, London: Intelligence and Security Committee of Parliament, p. 1, https://isc.independent.gov.uk/wp-content/uploads/2021/03/CCS207_ CCS0221966010-001_Russia-Report-v02-Web_Accessible.pdf (საიტზე წვდომა განხორციელდა 2021 წლის 16 თებერვალს).
48 8 Kremlin.ru (2007), 'Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy', 10 February 2007, http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).
49 Giles, K. (2016), Russia's 'New' Tools for Confronting the West: Continuity and Innovation in Moscow's Exercise of Power, Research Paper, London: Royal Institute of International Affairs, https://www.chathamhouse.org/sites/ default/files/publications/2016-03-russia-new-tools-giles.pdf (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

ჩარევიდან დაწყებული მიზნობრივი, სახელმწიფოს მიერ სანქცირებული დაკვეთილი მკვლელობების ჩათვლით. ამგვარი აქტივობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წილი საინფორმაციო ომზე მოდის, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიან პერიოდში ფსიქოლოგიური და ქცევითი გარემოებების გარდაქმნას რუსეთის სასარგებლოდ. ბუნდოვანების გამოყენებით და ისეთი აქტივობების წარმართვით, რომელთა უარყოფაც შესაძლებელია (დამაჯერებლად თუ არადამაჯერებლად), ზემოხსენებული ინსტრუმენტები ცდილობს დასავლეთის პრინციპულობის შერბილებას და პოლიტიკური და დიპლომატიური გადაწყვეტილების მიღების პროცესების შერყევას, რაც, საბოლოოდ, გამოიწვევს რუსეთის მიზნების ბუნების შესახებ წარმოდგენის სრულად შეცვლას.

ამასთან, უფრო მნიშვნელოვანია, რომ უპირობო თუ არაპირდაპირი ზომების გამოყენება უბრალოდ რუსეთისა და დასავლეთის კონფლიქტის მორიგ *მახასიათებელს* არ წარმოადგენს: რეალურად, სწორედ ეს უწყობს ხელს კონფლიქტის არარსებობის ილუზიის შექმნას.

უპირობო თუ არაპირდაპირი ზომების გამოყენება უბრალოდ რუსეთისა და დასავლეთის კონფლიქტის მორიგ *მახასიათებელს* არ წარმოადგენს: რეალურად, სწორედ ეს უწყობს ხელს კონფლიქტის არარსებობის ილუზიის შექმნას.

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

დასავლეთში ბევრი მიიჩნევს, რომ კრემლთან კონფლიქტის არსებობის აღიარება შეიძლება საკმაოდ საშიში და არასასურველი იყოს. თუმცა, კონფლიქტის არაღიარება წარმოშობს მცდარ შეხედულებებს დასავლეთთან მიმართებით რუსეთის მიზნების შესახებ როგორც პოლიტიკოსებს, ასევე, ფართო საზოგადოებას შორის, რაც მთავრობებს უზღუდავს რუსეთის მტრული ქმედების არიდების ან საპასუხო შეტევის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთ მოქმედებებთან გამკლავების პროცესში დასავლეთის მიერ საკუთარი თავის შეზღუდვის მაგალითები მრავლადაა, რაც დასტურდება, მაგალითად, 2006 წელს ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობასთან დაკავშირებული სუსტი რეაგირებიდან.[50]

დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთის სტრატეგიის საფუძველი ნათელია ექსპერტებისთვის, მაგრამ ხშირად უგულებელყოფილი - პოლიტიკის შემქმნელების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მტრულ საქმიანობას მძიმე შედეგები მოჰყვება დასავლური უსაფრთხოებისა და შიდა მოწყვლადობის თვალსაზრისით. ასეთი მცდარი გააზრება იწვევს პოლიტიკის არასწორი მიმართულებით წაყვანას. მაგალითად, ამ თვალსაზრისით ფუნდამენტური შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ კრემლი დაინტერესებულია თანამშრომლობით. არ არის. მოსკოვი პატივისცემასა და სტატუსს უტოლებს ძალაუფლებას, არა თანამშრომლობას. დასავლელი პოლიტიკის შემქმნელები, როგორც წესი, მუდმივად ხაფანგში ებმებიან, როდესაც მოლაპარაკებებზე მიდიან და კრემლი იმედებს უცრუებს.[51] აშშ-ის ინიციატივით მოსკოვთან ურთიერთობების „გადატვირთვას“2009 წელს - საქართველოში რუსული ტანკების შეჭრიდან რამდენიმე თვის შემდეგ - საერთოდ არ შეუშლია კრემლისთვის ხელი 2014 წელს ყირიმის ანექსიაში.

50 Crace, J. (2016), 'Theresa May pulls all punches with Putin over Litvinenko killing', Guardian, 21 January 2016, https://www.theguardian.com/politics/2016/jan/21/theresa-may-pulls-all-punches-with-putin-overlitvinenko-killing (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).
51 Giles, K. (2019), Moscow Rules: What Drives Russia to Confront the West, Washington, DC: Brookings Institution Press and London: Royal Institute of International Affairs.

მოსკოვთან „დიალოგი“, როგორც თვითმიზანი, ხშირად ნიშნავს კრემლის შემოსარიგებლად ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების კომპრომეტირებას.

დაბოლოს, კრემლის განზრახვებთან დაკავშირებული საფრთხეების დამახინჯებით შეფასება ზრდის არასწორი გამოთვლების რისკს, დაწყებული მარტივი კონცეპტუალური გაუგებრობიდან და უსაფრთხოების მცდარი გააზრებიდან, უნებლიე სამხედრო ესკალაციის საშიშროების ჩათვლით. სამხედრო თვალსაზრისით მოსკოვის მტკიცე და შეუპოვარი ქცევა ზრდის მოწინააღმდეგის ტაქტიკური შეცდომების რისკს. რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის მომხდარი ბევრი საჰაერო თუ საზღვაო ინციდენტი წარმოადგენს არა სამხედროებს შორის გაუგებრობის შედეგს, არამედ გამიზნულ პროვოკაციას რუსეთის მხრიდან, რომელსაც სურს დასავლეთს დათმობებზე წასვლა აიძულოს და, იმავდროულად, მოახდინოს ძალაუფლების დემონსტრირება. ასეთ კონფრონტაციული პოლიტიკით, რუსეთი შეისწავლის დასავლეთის რეაგირებებს, რაც მეტად სამწუხარო ამბავია, რამდენადაც რუსული დესტაბილიზაციის ძალისხმევა ხშირად არ სცდება იმ ზღვარს, რომელიც დასავლეთს განსაზღვრული აქვს რეაგირებისა და კლასიკური შეკავების ღონისძიებებისთვის.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

კრემლის მოქმედებებზე რეაგირება არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ესკალაციური ან საზიანო და მიზნად უნდა ისახავდეს დასავლეთის სანდოობის აღდგენას.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ დასავლეთი შეძლებს მოსკოვს ქცევა შეაცვლევინოს - სულ მცირე იმიტომ, რომ დასავლეთის მოქმედებები კრემლში პირდაპირ გაიგება, როგორც ორმაგი სტანდარტების დემონსტრირება და გამოიყენება რუსეთის მსოფლხედვისა და ქცევის გასამართლებლად. უფრო გონივრული იქნება, თუ დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელები შეიცვლიან აზროვნების სტილს და აღიარებენ რუსეთთან გაჭიანურებული და ფარული კონფლიქტის მდგომარეობაში ყოფნის მოცემულობას. ამ აღიარებამ არ უნდა გამოიწვიოს ზედმეტი თვითშეზღუდვა: კრემლის მოქმედებებზე რეაგირება არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ესკალაციური ან საზიანო და მიზნად უნდა ისახავდეს დასავლეთის სანდოობის აღდგენას.

ევროპულმა მთავრობებმა და NATO-ს წევრებმა მეტი პრინციპულობით უნდა უპასუხონ რუსეთს. პოლიტიკის დონეზე ეს შეიძლება გაკეთდეს რუსეთის მტრული მოქმედებების სისტემატურად და გადამწყვეტად გამომჟღავნებაში, მის ბრალეულობის გამოაშკარავებასა და დისკრედიტაციაში. აღშფოთების გამოხატვა საკმარისი არ არის.[52] შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის შესახებ გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო ანგარიშის ბოლოდროინდელი პუბლიკაცია,

52 რუსეთის მტრული ქმედებების წინააღმდეგ დეკლარაციული პოლიტიკის მაგალითები მრავლადაა, დაწყებული გაერთიანებული სამეფოს პრემიერის ტერეზა მეის ცნობილი გამონათქვამიდან - „ვიცით, რასაც ცდილობთ“ - დაწყებული საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის მხრიდან ვლადიმერ პუტინის მისამართით გაჟღერებული კრიტიკის ჩათვლით, რომელიც უცხოურ მედიაზე ზემოქმედებას ეხებოდა. Mason, R. (2017), ‘Theresa May accuses Russia of interfering in elections and fake news’, Guardian, 14 November 2017, https://www.theguardian.com/politics/2017/nov/13/ theresa-may-accuses-russia-of-interfering-in-elections-and-fake-news (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს); და Serhan, Y. (2017), ‘Macron, Standing Alongside Putin, Says Russian Media Spread ‘Falsehoods’’, The Atlantic, 30 May 2017, https://www.theatlantic.com/news/archive/2017/05/macron-rt-supnik-are-agents-of-influence/528480 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს).

რომელშიც პუტინი კლასიფიცირდება, როგორც „ოფიციალური“ საფრთხე[53], პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

გონივრული პოლიტიკა უნდა ცდილობდეს, მოსკოვს შეუზღუდოს ძირგამომთხრელი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს რისკი, რომ კრემლის მტრული საქმიანობა დასავლეთის მიმართ კიდევ უფრო გააქტიურდება. დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელების მიერ ამ რისკის აღიარება და შემდეგ მისი შერბილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რუსეთის მოქმედებების უარყოფითი შედეგების მნიშვნელობაზე აქცენტირებას უნდა ახლდეს აქტიური საქმიანობა. ამ დროს საჭიროა სიფრთხილე, რომ ეს ყველაფერი კონკრეტული მიზნისკენ მიმართული ღონისძიებების ნაცვლად ფორმალურ ბიუროკრატიად არ იქცეს. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ დასავლეთი არასოდეს წავა დათმობაზე თავისი ფასეულობებისა და პრინციპების ხარჯზე.

დასაწყისის სახით, კიდევ ერთი მეტად სასარგებლო აქტივობა იქნებოდა რუსეთთან ურთიერთობების სასურველი ფორმის იდენტიფიცირება: კონკრეტულად რას უნდა ელოდეს დასავლეთი რუსეთისგან? გამოდის, რომ აუცილებელია პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელს გახდის რუსეთის ქცევის მართვას. რაც არ უნდა იყოს დასავლეთის მიზნები კრემლის დღევანდელ თუ მომავალ ხელმძღვანელობასთან მიმართებით, მათი მიღწევის ერთადერთი საშუალებაა თანმიმდევრულობა და ერთხმად აღიარება იმ ფაქტისა, რომ „რუსეთის გამოწვევა“ - და პირველ რიგში, კრემლის მხრიდან დასავლეთისადმი მტრული და კონფლიქტური დამოკიდებულების შენარჩუნება - პროგნოზირებადი მომავალია. მაქსიმუმი, რისი იმედიც (ან რეალურად მიღწევის საშუალება) პოლიტიკის შემქმნელებს შეიძლება ჰქონდეს, ზარალის კონტროლია.

53 Intelligence and Security Committee of Parliament (2020), Russia.

მითი 05

„გვჭირდება ახალი პანევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც რუსეთსაც მოიცავს“

რუსეთი ამტკიცებს, რომ უსაფრთხოების არსებული არქიტექტურა ქმნის გეოპოლიტიკურ სირთულეებს და უნდა ჩანაცვლდეს მთელი კონტინენტის მომცველი სისტემით. სინამდვილეში ამ სირთულეებს იწვევს რადიკალურად შეუთავსებელი შეხედულებები, რომელთა გამოც ამ ახალი სისტემის ფუნქციონირებაც შეუძლებელი გახდება.

დანკან ალენი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული,[54] რუსეთის ყოველი მომდევნო მმართველი და მაღალი თანამდებობის პირები ამტკიცებენ, რომ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის ინსტიტუციური ელემენტები - კონკრეტულად კი NATO და, ასევე, ევროკავშირი, რომელმაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უფრო და უფრო გაამლიერა პოზიციები - ემსახურება უშუალოდ წამყვანი ევროპული ქვეყნების ინტერესებს. მათ არგუმენტი შემდეგია:

[54] თანამედროვე რუსული აზროვნების ფესვების მიკვლევა შესაძლებელია საბჭოთა კავშირის დროინდელ ინიციატივებში, რომელთა ერთ-ერთი მაგალითია საბჭოთა კავშირის მინისტრის - ვიაჩესლავ მოლოტოვის „ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების“ პროექტი, 1954 წლის 10 თებერვალი. ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ წყაროში: Baehler, D., Bernbaum, J. and Sampson, C. (eds) (1986), ‘Proposal of the Soviet Delegation. General European Treaty on Collective Security in Europe’, Foreign Relations of the United States, 1952–1954, Germany and Austria, Volume VII, Part 1, Washington, DC: United States Government Printing Office, Document 517, https://history.state.gov/historicaldocuments/frus1952-54v07p1/d517 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 31 მარტს).

- რუსეთის მარგინალიზებითა და მისი ინტერესების უგულებელყოფით, ეს „ევრო-ატლანტიკურად განწყობილი“ სტრუქტურები აღრმავებს ევროპის სახიფათო და არასტაბილურ გეოპოლიტიკურ დაყოფას.
- ეს სტრუქტურები უნდა ჩაანაცვლოს საზავო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით შექმნილმა და მთლიანი კონტინენტის მომცველმა სტრუქტურამ, რომელშიც ინტეგრირებულია რუსეთიც და სრულად გათვალისწინებულია მისი სასიცოცხლო ინტერესები.
- რუსეთთან ინკლუზიური და თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბების საშუალებით, ასეთი სტრუქტურა ევროპაში გრძელვადიანი სტაბილურობისა და უსაფრთხოების საფუძველი გახდება.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები ?

1990-იან წლებში კრემლმა მოუწოდა დანარჩენ ქვეყნებს, რომ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) გარდაქმნილიყო ევროპის უსაფრთხოების წამყვან ინსტიტუტად.[55] 2008-09 წლებში, პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ევროპას შესთავაზა პანევროპული ხელშეკრულება, რომლითაც უნდა შემოეღოთ კოლექტიური უსაფრთხოების ახალი რეგიონული სისტემა.[56] აქედან მოყოლებული რუსი მაღალჩინოსნები განაგრძობენ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის წინააღმდეგობას, რომელიც, მათი აზრით, დასავლური ცენტრიზმითა და ანტირუსული ორიენტაციით ხასიათდება.[57]

მიუხედავად იმისა, რომ დასავლელი გადაწყვეტილების მიმღებები უარით პასუხობენ მოწოდებებს ევროპის უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების გადასინჯვის შესახებ, რუსეთის ზოგიერთმა ნარატივმა მაინც გამოიწვია გარკვეული ჯგუფების მხარდაჭერა. მართლაც, პარიზსა და ბერლინში ზოგიერთი მიმომხილველი და პოლიტიკის შემქმნელი დადებითად შეხვდა ევროპული უსაფრთხოების ხელშეკრულების მედვედევისეულ პროექტს,[58] მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რეაგირება ნაწილობრივ ასახავდა გერმანიისა და საფრანგეთის მაშინდელ წინააღმდეგობას აშშ-ის ინიციატივით დაწყებული ძალისხმევისადმი, რომელიც მიზნად ისახავდა NATO-ს წევრობის სამოქმედო გეგმების მინიჭებას უკრაინისა და საქართველოსთვის. ასევე, 2019 წელს, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გააკეთა მოწოდება „ახალი არქიტექტურის“ შესახებ, „რომელიც დაეყრდნობა ნდობასა და

[55] Hill, W. (2018), No Place for Russia. European Security Institutions Since 1989, New York: Columbia University Press, pp. 153–57.
[56] Website of the President of the Russian Federation (2009), ‘Проект Договора о европейской безопасности’ [ევროპული უსაფრთხოების ხელშეკრულების პროექტი], 29 November 2009, http://www.kremlin.ru/events/president/news/6152 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 31 მარტს).
[57] მაგალითად, რუსეთის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სტატია. იხილეთ: Lavrov, S. (2016), ‘Историческая перспектива внешней политики России’ [რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიული ხედვა], Россия в глобальной политике [რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკაში], 2, March/April 2016, https://globalaffairs.ru/ articles/istoricheskaya-perspektiva-vneshnej-politiki-rossii-2 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 31 მარტს).
[58] Hill (2018), No Place for Russia, p. 288.

უსაფრთხოებას ევროპაში“ რუსეთთან სტრატეგიული მორიგების პროცესის ფარგლებში.[59]

რატომ არის ეს მითი არასწორი?

პანევროპული უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებით რუსეთის მოწოდებები უგულებელყოფს ძირეულ განსხვავებებს რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სუვერენიტეტის საკითხთან მიმართებით.

პანევროპული უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებით რუსეთის მოწოდებები პრობლემურია სამი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ის უგულებელყოფს ძირეულ განსხვავებებს რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სუვერენიტეტის საკითხთან მიმართებით. რუსეთის შეხედულება სუვერენიტეტზე წინა ეპოქისეულია და მოიაზრებს განსაკუთრებულ პოზიციას მხოლოდ თავისთვის (და სხვა „დიდი სახელმწიფოებისთვის“) ამ რეფორმირებულ არქიტექტურაში. ეს რუსეთს ვეტოს უფლებას მისცემს, რითაც საშუალება ექნება დაბლოკოს მისთვის არასასურველი ინიციატივები (მაგალითად, NATO-ს გაფართოება), შეზღუდოს მეზობლად მდებარე პატარა ქვეყნები (მაგალითად, არ მისცემს NATO-ში გაწევრიანების უფლება ან დააბრკოლოს ევროკავშირში მათი ინტეგრაცია). რამდენადაც რუსეთი სახელმწიფოთა შიდა საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპს წმინდათა წმინდად მოიაზრებს, მის ხედვას სუვერენიტეტზე ასევე არ აქვს ნორმატიული განზომილება. ამის საპირისპიროდ, დასავლური აზროვნების დადგენილი ფორმა დიდ სახელმწიფოებს პრივილეგიებს არ ანიჭებს, გამორიცხავს „ზემოქმედების სფეროებს“ და - მიუხედავად არასტაბილური პრაქტიკული განხორციელებისა - უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ფასეულობებს.[60]

მეორე, რუსეთის წინადადებები პანევროპულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ალოგიკურია. ისინი გულისხმობს, რომ ინკლუზიური, მთელი კონტინენტის მომცველი უსაფრთხოების სისტემა აღმოფხვრის არსებულ გეოპოლიტიკურ სირთულეებს. რეალურად, ეს სირთულეები გამოწვეულია ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რადიკალურად შეუთავსებელი ხედვებით, რომელიც ამ სისტემას არც მისცემს ფუნქციონირების საშუალებას.

მესამე, პანევროპული უსაფრთხოების შესახებ რუსული წინადადების დეტალები ხშირად ბუნდოვანია. გარდა იმისა, რომ ამ წინადადების რეალურად და შინაარსიანად განხილვა გართულებულია, დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებს უჩნდებათ ეჭვი, რომ რუსეთი უფრო ნაკლებ არის დაინტერესებული თამაშის ახალი წესების შემოღებით ვიდრე დასავლეთის ორგანიზაციებს

[59] Website of the President of the Republic of France (2019), ‘Discours du Président de la République à la conférence des ambassadeurs’ [რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვა ელჩების კონფერენციაზე], 27 August 2019, https://www.elysee.fr/emmanuel-macron/2019/08/27/discours-du-president-de-larepublique-a-la-conference-des-ambassadeurs-1 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 31 მარტს).
[60] მაგალითად, როგორც მოცემულია 1990 წლის პარიზის ქარტიაში. OSCE (1990), ‘Charter of Paris for a New Europe’, 21 November 1990, https://www.osce.org/mc/39516 (საიტზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 31 მარტს).

შორის განხეთქილების შეტანით და, შედეგად, არსებული წესების გაუქმებით - უფრო კონკრეტულად, NATO-ს პარალიზებით.

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

ზოგადად რომ ითქვას, დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელები ყოველთვის სკეპტიკურად აღიქვამდნენ რუსულ მოთხოვნებს პანევროპული უსაფრთხოების არქიტექტურასთან დაკავშირებით.[61] ამისდა მიუხედავად, რუსეთის შემოთავაზებების საფუძველში მდებარე ცენტრალური დებულება - რომ ახალი უსაფრთხოების სისტემა აღმოფხვრის გეოპოლიტიკურ დაყოფას ევროპის შიგნით - კვლავ მაცდური ჩანს. როგორც აღნიშნული იყო, ამ შემოთავაზებამ წარსულში დაიმსახურა ზოგიერთი დასავლელი გადაწყვეტილების მიმღების მხარდაჭერა, რომლებიც საკმაოდ საფუძვლიანად არიან შეწუხებულები რუსეთთან რთული ურთიერთობების შედეგად გამოწვეული ზარალითა და პოტენციური საფრთხეებით. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთთან არსებულ დაძაბულობას მეტად არასასურველი პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს, პანევროპული უსაფრთხოების სისტემისკენ მოწოდებებმა შეიძლება წაახალისოს დასავლეთის დედაქალაქებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იმედი, რომ შესაძლებელია რუსეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. შედეგად, იშლება ზღვარი ევროპის უსაფრთხოებისადმი რუსულ და დასავლეთის მიერ აღიარებულ მიდგომებს შორის. საბოლოოდ, მითს შეუძლია დასავლელი გადაწყვეტილების მიმღებებს გადააფიქრებინოს იმ კომპლექსური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც საჭიროა რუსულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

პირველ რიგში, პოლიტიკის შემქმნელებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ რუსეთთან უთანხმოება, ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ, მომდინარეობს სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებული ფუნდამენტური უთანხმოებისგან. რუსეთს სურს პრივილეგიები მხოლოდ თავისთვის, შეზღუდვები მეზობელი ქვეყნებისთვის და შეთანხმება, რომ სახელმწიფო არ უნდა გააკრიტიკონ, თუ ის საკუთარ საშინაო საქმეებს წარმართავს დემოკრატიულ ფასეულობებთან, ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობასთან შეუსაბამოდ. ეს არსობრივად მეცხრამეტესაუკუნისეული თვალთახედვა არ შეესაბამება დასავლურ ინტერესებსა და ფასეულობებს.

მეორე, დასავლეთის დიპლომატებმა და პოლიტიკოსებმა უნდა გააცნობიერონ, რომ როდესაც ევროპულ უსაფრთხოებასთან

[61] მართლაც, დასავლურმა ქვეყნებმა მოახდინეს ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულების შესახებ მედვედევისეული პროექტის ნეიტრალიზაცია 2008-09 წლებში მის შესახებ დისკუსიის გადამისამართებით ეუთო-ს ინიციატივით შექმნილ „კორფუს პროცესში“ - ფორუმში, რომელსაც ნულოვანი პრაქტიკული ზემოქმედება აქვს.

დაკავშირებით რუსეთთან მოლაპარაკება წარმოებს, პოლიტიკის გამოწვევას წარმოადგენს მხარეების განსხვავებული შეხედულებების (მსოფლხედვის) მართვა და არა ახალი ინსტიტუტების შექმნა, რომლებმაც შეიძლება (თუმცა კი ჯერ არავის განუმარტავს და დაუკონკრეტებია, როგორ და რა გზით) მათ შორის განსხვავებები აღმოფხვრას. პირველი რთულია, მაგრამ რეალისტური და მიღწევადი; ხოლო მეორე - ქიმერის დევნის ტოლფასია.

მესამე, დასავლეთის მთავრობებმა უნდა აღიარონ, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის ევროპული უსაფრთხოების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ძირეულია და ნაკლებ სავარაუდოა მისი გადაწყვეტა, რასაც უნდა სდევდეს შეთანხმებული მოქმედება, რომ ეს განსხვავებები გარკვეულწილად მოერგოს მათსავე ინტერესებს (მაგ., პრაქტიკული ნდობის აღდგენის ღონისძიებები, შეიარაღების კონტროლის ინიციატივების განახლება, ფოკუსირებული პოლიტიკური დიალოგი), რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაშინაც კი, თუ ეს ყველაფერი დღეს მხოლოდ რუსეთთან უთანხმოებას ნათელყოფს, საბოლოოდ ასეთი აქტივობა მაინც სარგებლიანი იქნება. მცდარად აღქმის, გაუგებრობისა და არასწორი გათვლების რისკის შემცირება ბევრად უკეთესია, ვიდრე იმის ილუზია, რომ ძირეული სხვაობები საერთოდ არ არსებობს ან საერთოდ შეიძლება უგულებელყოფილი იყოს; ამ უკანასკნელის შედეგად, პოლიტიკის შემქმნელები იძულებულები იქნებიან თავი მოიტყუონ თანამშრომლობის პერსპექტივების თაობაზე, რაც წარმოშობს რისკს, რომ რუსი ლიდერების თვალში დასავლეთისთვის აზროვნების რუსული სტილი უფრო მისაღებად წარმოჩნდება, ვიდრე სინამდვილეშია.

მეოთხე, დასავლეთის პოლიტიკოსებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნონ. რუსი პოლიტიკის შემქმნელები მუდმივად განაგრძობენ დასავლეთის აუდიტორიების გაღიზიანებას და ამ უკანასკნელთა მხარდაჭერის შერყევას არსებული ევროპული უსაფრთხოების ინსტიტუტებისადმი არასტაბილურობისა და ომის საფრთხეების გადაჭარბებულად წარმოჩენით, რაშიც შემდეგ დასავლურ სტრუქტურებს ადანაშაულებს. თავისთავად, რუსეთთან ცუდი ურთიერთობა ტრაგედია არ არის; არც ძირს უთხრის დასავლეთის ინტერესებს. ის უბრალოდ არის შეხსენება, რომ ეს ინტერესები ეჯახება რუსეთისას - და რომ შედეგად წარმოქმნილი განხეთქილება უნდა იყოს აღიარებული და შესაფერისად მართული.

რუსი პოლიტიკის შემქმნელები მუდმივად განაგრძობენ დასავლეთის აუდიტორიების გაღიზიანებას და ამ უკანასკნელთა მხარდაჭერის შერყევას არსებული ევროპული უსაფრთხოების ინსტიტუტებისადმი არასტაბილურობისა და ომის საფრთხეების გადაჭარბებულად წარმოჩენით, რაშიც შემდეგ დასაველურ სტრუქტურებს ადანაშაულებს.

მეხუთე, დასავლეთი ვალდებულია „მეტი გააკეთოს.“ როგორც აღნიშნული იყო, ზოგიერთი ფასეულობა ცენტრალურია ევროპული უსაფრთხოების დასავლური კონცეფციისთვის. რუსი პოლიტიკის შემქმნელები ამას საკმარისად სერიოზულად არასოდეს აღიქვამდნენ – ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათი თვალთახედვაა სხვა, მაგრამ ნაწილობრივ იმიტომაც, რომ დასავლეთი ხშირად არ აკეთებს იმას, რასაც ამბობს. არარეალისტურია მოლოდინი, რომ შესაძლებელია ინტერესებისა და ფასეულობების სრული თანხვედრა. მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთის ქვეყნებმა, სულ მცირე, შეძლონ უფრო აღმაშფოთებელი და აშკარა შეუსაბამობების აღმოფხვრა, რისი ერთ-ერთი მაგალითიცაა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა „იძულებით რენდიციაში“ (მარტივად: გატაცება და წამება) მონაწილეობის ან მისი ხელშეწყობის პარალელურად. ამ შეუსაბამობების აღმოფხვრა გაანელებს ბრალდებებს ფარისევლობისა და ორმაგი სტანდარტების შესახებ, რაც დასავლეთის საერთაშორისო პოზიციას ასუსტებს. მათ მიერვე აღიარებული ფასეულობების შესაფერისი საქმიანობის განხორციელება გაზრდის დასავლეთის მთავრობების ავტორიტეტსა და მათდამი პატივისცემას, რის შედეგად, საკუთარი ინტერესების უფრო ეფექტურად ხელშეწყობასა და დაცვას შეძლებენ.

დაბოლოს, დასავლეთის მთავრობები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ეს საკითხი კვლავ უთანხმოებას წარმოშობს. დიდი ალბათობით, რუსეთი კიდევ წარადგენს განსახილველად ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შორსმიმავალი რეფორმის წინადადებებს. რუსული აზროვნების ძირითადად უცვლელი სტილი მიუთითებს, რომ მომდევნო ჯერზეც (უსაფრთხოების წინადადებების შემოტანისას) სუვერენიტეტის საკითხი წარმოშობს მწვავე უთანხმოებას და, კიდევ ერთხელ გამოიწვევს არაკომფორტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ, დაე, ასე იყოს. დასავლეთის მთავრობები უნდა გაუმკლავდნენ რუსეთს, როგორიც ის დღეს არის და არა ისეთს, როგორიც მათ უნდათ რომ იყოს.

მითი 06

„უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთთან ურთიერთობა მაშინაც კი, თუ რუსეთი დათმობებზე არ წავა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია“

დასავლეთის ქვეყნებისადმი რუსეთის კონფრონტაციული პოლიტიკისა და, შედეგად, ქვეყნის შიგნით მზარდი რეპრესიის გათვალისწინებით, აშკარად ნაკლებსავარაუდოა, რომ პუტინის კრემლი კონსტრუქციულად უპასუხებს ტრანსატლანტიკური ქვეყნების ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ ძალისხმევას, რომელიც მიზნად ისახავს მოსკოვთან თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

ენდრიუ ვუდი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

დასავლეთის ქვეყნების ლიდერები დრო და დრო გამოდიან ამბიციური განცხადებებით რუსეთთან თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენის შესახებ, რაც ეყრდნობა ამ უკანასკნელის თავისთავად მნიშვნელობას, ბოლო ათწლეულების განმავლობაში რუსეთის განვითარების ფორმების მიუხედავად. ამ ყველაფრის ერთადერთი შედეგი იმედისა და იმედგაცრუების უწყვეტი ციკლია, რომელიც ყოველ ჯერზე თავიდან იწყება.

პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ორმხრივად კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარების განმეორებად მცდელობებს დასავლეთის ლიდერები შემდეგი მეტად საკამათო ვარაუდებით ასაბუთებენ:

— რუსეთს ისეთი გეოპოლიტიკური წონა აქვს, რომ დასავლეთის ლიდერებმა პატივი უნდა სცენ მისი ამჟამინდელი მმართველობის ხედვებს სახელმწიფო ინტერესებთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ინტერესები მისი სამეზობლოს ინტერესებზე მაღლა

უნდა დადგეს. ამ ვარაუდის ლოგიკით, ურთიერთნდობა და უსაფრთხოება ყველასთვის სასურველ შედეგებს მოიტანს.

- რუსეთსა და დასავლეთს საერთო ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებთ.[62]
- რუსეთის უნდობლობა დასავლეთისადმი გამომდინარეობს იქიდან, რომ წარსულში დასავლეთმა მოსკოვი დაამცირა.
- რუსეთის ამჟამინდელი ცენტრალიზებული სისტემა მისთვის ბუნებრივია და დიდხანს შენარჩუნდება.

ვინ არიან ამ მითის მხარდამჭერები და მიმდევრები?

ასეთი დამოკიდებულებები, რომლებიც შეესაბამება რუსეთის მმართველ წრეებში ფესვგადგმულ შეხედულებებს, კიდევ უფრო მაცდურად ჟღერს ისედაც ასე განწყობილი დასავლელი პოლიტიკოსებისა და მიმომხილველებისთვის. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ რუსეთსა და მის ლიდერებს, ხოლო რუსეთსა და დასავლეთს შორის ნდობის შენება უნდა იყოს ახალი და უფრო უსაფრთხო ურთიერთობის ჩამოყალიბების ცენტრალური მიზანი. თეორიულად, კონკრეტულ საკითხებში წარმატების მიღწევამ შეიძლება ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას. შეიძლება ასეც მოხდეს - მაგრამ სათქმელად უფრო ადვილია, ვიდრე გასაკეთებლად.

ბოლო პერიოდში, ყველაზე იმედიანი ნოვატორი საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონია, რომელიც ამტკიცებს, რომ ევროკავშირმა - ისევე, როგორც საფრანგეთმა - მეგობრობის ხელი უნდა გაუწოდოს რუსეთს.[63] მანამდე, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ცდილობდა „გადატვირთვის“ მიღწევას მსგავსი განზოგადებული მოტივებით. 2010 წლის 8 აპრილს ობამამ რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან ერთად ხელი მოაწერა ახალ „სტარტს“ - „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შეთანხმებას“ (START), მაგრამ რუსეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ ნაბიჯები არ გადადგმულა. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოთქვა პრეზიდენტ პუტინთან მჭიდრო პირადი ურთიერთობის სურვილი, თუმცა არასოდეს დაუზუსტებია, რა მიზნით. დასავლეთის თანამედროვე ლიდერების თუ მათი წინამორბედების ამ მიდგომებიდან მხოლოდ რამდენიმემ იქონია რეალური გავლენა -და ისიც, დროებითი და წარმავალი - რუსეთის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკაზე.[64] ამან ვერც საერთო ევროპული უსაფრთხოების სტაბილური გაუარესება შეაჩერა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ახალ პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს, სურს გაახანგრძლივოს 2010-ში „სტარტის“ - შეიარაღების კონტროლის შესახებ რუსეთთან დადებული შეთანხმება, მისი მიდგომა რუსეთისადმი მაინც ნაკლებ კომპრომისულია ამ

[62] იხ., ასევე, მითი 2: „რუსეთსა და დასავლეთს ერთნაირი მიზნები აქვთ“.

[63] აღსანიშნავია, მაგალითად, მაკრონის დისკუსია პუტინთან ბრეგანსონის ციხესიმაგრეში (Fort de Brégançon) 2017 წლის აგვისტოს „დიდი შვიდიანის“ სამიტამდე საფრანგეთში. იხ., Mallet, V., Shotter, J. and Peel, M. (2019), 'Emmanuel Macron's pivot to Russia sparks EU unease', Financial Times, 11 September 2019, https://www.ft.com/content/00ac54f4-d30f-11e9-8367- 807ebd53ab77 (საიტზე წვდომა: 29 მარტი, 2021).

[64] Vershbow, A. and Fried, D. (2020), 'How the West should deal with Russia', Atlantic Council, 23 November 2020, https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/russia-in-the-world/#h-what-wentwrong-russia-s-dilemma (საიტზე წვდომა: 9 აპრილი, 2021); and Bond, I. (2020), 'Will Courting Putin Always End in Tears?', Centre for European Reform, 3 March 2020, https://www.cer.eu/insights/will-courting-putin-always-end-tears (საიტზე წვდომა: 9 აპრილი, 2021).

რეალობის ფონზე.

რატომ არის ეს არასწორი?

პრინციპში, მართალია, რომ რუსეთსაც და ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც ხელს აძლევთ უფრო მდგრადი უსაფრთხოების სტრუქტურები და კონცეფცია, რომელსაც ეს სტრუქტურები შეიძლება დაეყრდნოს. ასევე, ფაქტია ისიც, რომ ცივი ომის დროს ნამდვილად არსებობდა პროგრესი ასეთი ინსტრუმენტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რასაც დრო და დრო ხელს უშლიდა სხვადასხვა სახის კრიზისი. თუმცა, ის უხერხული ბალანსი, რომელიც ნარჩუნდებოდა დასავლურ და საბჭოთა ბლოკებს შორის ვარშავის პაქტის გაუქმებამდე, აღარ არსებობს. შედეგად, დროთა განმავლობაში მოიშალა ზემოხსენებული უსაფრთხოების სტრუქტურები და მაშინდელმა კონცეფციებმაც აზრი დაკარგა.

ევროპაში ვერ იარსებებს უსაფრთხოება სანამ რუსეთი - რომელსაც დიდ სახელმწიფოდ ყოფნის პრეტენზია აქვს - ითხოვს მის სამეზობლოში მყოფი მცირე ქვეყნების კონტროლის უფლებას, რომელსაც დაიცავს სამხედრო ძალის გამოყენებისა თუ გამოყენების მუქარის საშუალებით. არგუმენტი, რომ რუსეთს ასეთი სამოქმედო არეალი დასავლეთისგან თავის დასაცავად[65] სჭირდება თავისთავად ამართლებს შეხედულებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი აუცილებლად სამხედრო ძალა უნდა იყოს და რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა პირველ რიგში სამხედრო ძალა უნდა გაითვალისწინონ რუსეთთან გეოპოლიტიკური ბალანსის მართვისას. რუსეთის წარმოდგენით, დასავლეთი და განსაკუთრებით აშშ, თავს ესხმიან „ციხესიმაგრე რუსეთს“. სწორედ ეს შეხედულება განაპირობებს კრემლის შიდა ავტორიტარული მმართველობის საყრდენს.

იმ სავარაუდო საერთო ინტერესების ჩამონათვალი, რომლებსაც დასავლელი დიალოგის ინიციატორები შეიძლება დაეყრდნონ რუს კოლეგებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისას, უკიდურესად მწირია.

იმ სავარაუდო საერთო ინტერესების ჩამონათვალი, რომლებსაც დასავლელი დიალოგის ინიციატორები შეიძლება დაეყრდნონ რუს კოლეგებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისას, უკიდურესად მწირია. მაკრონმა, როგორც ბევრმა მანამდე, ახსენა საერთო ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ასევე, წამყვანი თემაა კიბერდანაშაულთან ბრძოლა. დასავლელი ლიდერების უმეტესობას, პრინციპში, სურს ვაჭრობისა და ინვესტიციის ხელშეწყობაც. სირთულე ისაა, რომ სავარაუდო თანამშრომლობის ნებისმიერი სფეროს შემოთავაზებისთანავე (როგორი ექსპერიმენტულიც არ უნდა იყოს) ცხადი ხდება მისი პრაქტიკული შეზღუდულობა არსებულ რეალობასთან მიმართებით. რუსეთი თვითონაც გმობს ტერორიზმს, მაგრამ ტერორიზმის და ტერორისტულ საფრთხეებზე პასუხისმგებლობის მისეული გაგება საერთოდ არ თანხვდება მისი სავარაუდო პარტნიორების შეხედულებებს. რუსეთს სამხედრო ძალები განთავსებული ჰყავს უკრაინაში, ლიბიასა და კიდევ სუბსაჰარული აფრიკის ნაწილებშიც კი, რომელთა კავშირიც მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებასთან საჯაროდ უარყოფილია. დასავლეთი და რუსეთი ასევე ვერ თანხმდებიან კიბერდანაშაულის საერთო განმარტებაზე. რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებსაც ართულებს მუდმივი სანქციები და, ასევე, კორუფცია (ოფიციალური თუ არაოფიციალური -

[65] იხ., ასევე, მითი 7: „რუსეთს უფლება აქვს თავდაცვითი პერიმეტრი ჰქონდეს - „პრივილეგირებული ინტერესების“ სფერო, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე.“

რომელიც ანადგურებს რუსეთის ეკონომიკას) და, ასევე, სასამართლო დამოუკიდებლობის არარსებობა.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვს თვითონ არ გაუკეთებია სერიოზული შემოთავაზებები მსგავსი საკითხების მართვის ახალი გზების ძიების მიზნით დასავლეთის ლიდერებთან შეხვედრის თაობაზე. 1990-იან წლებში და პუტინის მმართველობის საწყის ეტაპზე აშშ-ისა და ევროპის ურთიერთობა მოიცავდა ტრანსატლანტიკურ არასამთავრობო და, ასევე, სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც ევალებოდათ რუს კოლეგებთან მუშაობა სოციალური და ეკონომიკური საკითხების ფართო დიაპაზონზე. იმ დროიდან მოყოლებული, ეს ინიციატივები გაყინულია, ძირითადად, თავად რუსეთის ხელისუფლების სურვილით. მედვედევის პრეზიდენტობის დროს, აშშ-ის მთავრობამ რუსეთს შესთავაზა, რომ სოციალური დიალოგი გადატვირთვის პროცესის ძირეულ ნაწილად ექციათ.[66] ამას არანაირი სარგებლიანი შედეგი არ ჰქონია.[67] რუსეთმა ზემოხსენებული პოზიცია არ გაიზიარა იმ თანამშრომლობით ღონისძიებებთან მიმართებითაც კი, რომლებიც, წესით, მისი ბუნებრივი ინტერესი უნდა ყოფილიყო - მაგალითად, სამხედრო ინციდენტების არიდება ან რისკის შემცირება სამხედრო ძალების განთავსებისა და წვრთნების მიზეზების თაობაზე მხარეებს შორის ურთიერთგაგების საშუალებით.

რა გავლენას ახდენს დასავლეთის პოლიტიკა ამჟამად?

პუტინის რუსეთთან უფრო დაბალანსებული და კონსტრუქციული ურთიერთობების მიღწევის თაობაზე დასავლეთის იმედებს წყალი შეუდგა ბოლო 16 თვის განმავლობაში რუსეთის მმართველობაში რადიკალური ცვლილებების განხორციელების შედეგად. კონსტიტუციური შესწორებები, რომლებიც პუტინისა და მისი ადმინისტრაციის ჩარევით განხორციელდა 2020 წლის 1 ივლისს მეტად საეჭვო „სახალხო გამოკითხვის“ საფუძველზე, კიდევ უფრო გამყარდა რუსეთის სახელმწიფო დუმას მიერ რეპრესიული ზომების დაკანონებით. ეს შესწორება ისეა დაგეგმილი, რომ ხელი შეეწყოს რეჟიმის რამდენიმე მიზნის შესრულებას: სამომავლოდ, რუსეთში ჩატარებული არჩევნები - იქნება ეს ფედერალური, რეგიონული თუ მუნიციპალური - იქცევა მოსკოვის მიერ კონტროლირებულ ფორმალობად; საჯარო პროტესტები უნდა აიკრძალოს ან, საერთოდ, შეიზღუდოს პუტინის გარშემომყოფთა სურვილების პოლიტიკური ალტერნატივის განხილვის მცდელობები; რუსეთის „კანონი“ უპირატესია საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებზე; და პუტინი უფლებამოსილია დაბრუნდეს კრემლში მომდევნო ორი ექვსწლიანი საპრეზიდენტო ვადით 2024 წელს.

მარტო ეს უკანასკნელი პერსპექტივა - პუტინის მიერ ძალაუფლების შენარჩუნება 2036 წლამდე - თავისთავად აბათილებს ცალკეული ტრანსატლანტიკური ლიდერების ან ორგანიზაციების იმედს, რომ სამომავლო ურთიერთობების წარმართვის თაობაზე ახალი და

[66] Rojansky, M. (2010), ‘INDISPENSABLE INSTITUTIONS: The Obama-Medvedev Commission and Five Decades of U.S.-Russia Dialogue’, Carnegie Endowment for International Peace, 1 January 2010, p. 33, https://carnegieendowment.org/files/indispensable_institutions.pdf (საიტზე წვდომა: 9 აპრილი, 2021).
[67] Schreck, C. (2014), ‘Freeze Settles On U.S.-Russia Commission Amid Ukraine Standoff’, RadioFreeEurope/ RadioLiberty, 28 March 2014, https://www.rferl.org/a/us-russia-commission/25312837.html (საიტზე წვდომა: 9 აპრილი, 2014).

ორმხრივად თანამშრომლობითი შეთანხმების მიღწევის მიზნით რუსეთისთვის ხელის გაწვდენა რეალურ სარგებელს მოიტანს. 2021 წლის იანვარში რუსეთის მასშტაბით გავრცელებული საპროტესტო ტალღის ძალადობრივმა ჩახშობამ, რომელიც გამოწვეული იყო ოპოზიციის წარმომადგენელი ალექსეი ნავალნის დაპატიმრებით ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნებისთანავე (ნავალნი ბერლინში მკურნალობდა მას შემდეგ, რაც რუსეთში მისი მოწამვლით მკვლელობა სცადეს), ხაზი გაუსვა იმ რეჟიმის ბუნებას, რომელთან მოლაპარაკებასაც დასავლეთი ცდილობს. ამას ადასტურებს პატიმრობაში მყოფი ნავალნისადმი მოპყრობის ფორმები და ადეკვატურ სამედიცინო მზრუნველობაზე უარი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას.

ქვეყნის შიგნით კონტროლის შენარჩუნების თვალსაზრისით კრემლის მუდმივი დამოკიდებულება უსაფრთხოების ინსტიტუტებსა და სამხედრო ძლიერებაზე, კიდევ დიდხანს იქნება საგარეო პოლიტიკის ძირითადი საფუძველიც, რაც თვალნათლივ აჩვენა რუსეთის ბოლოდროინდელმა ზეწოლამ საქართველოსა და უკრაინაზე, ასევე, მხარდაჭერამ ბელარუსიის დისკრედიტირებული პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოსადმი. კრიტიკული გადაწყვეტილებების მიღება რუსეთში დამოკიდებულია პუტინის გარშემო შემოკრებილ მცირე და ჩაკეტილ ჯგუფზე,[68] რომლის აზროვნების სტილი და იდეები უკვე ღრმად ფესვგადგმულია. ამ წრის გარეთ, სისტემას ბუნებრივად უჭერენ მხარს ისინი, ვინც მისგან სარგებლობს ან ვისი გადარჩენაც მასზეა დამოკიდებული. რუსეთში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა სანდოობის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა. პუტინის ამჟამინდელი მხარდაჭერა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში დაახლოებით 65 პროცენტია და ბალანსდება 30 პროცენტით ან უფრო ნაკლებით, როცა საქმე ეხება მისადმი ნდობას.[69] გაურკვევლობა და შიში იმისა, თუ ვინ ან რამ შეიძლება ჩაანაცვლოს პუტინი, მისსავე სასარგებლოდ მოქმედი ფაქტორია. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რეჟიმმა წარმატებით გააქრო პუტინის ყველა რეალური და დამაჯერებელი ალტერნატივა. ჯერ-ჯერობით ეს მდგომარეობაა, გააჩნია, როგორ აფასებთ / დანარჩენი თავად განსაჯეთ. თუმცა, რეალურად, არავინ იცის, როდის ან როგორ წავა და მერე რა მოხდება. ლევადას საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით 2021 წლის მარტისთვის, რუსების 48 პროცენტი დარწმუნებულია, რომ მათი ქვეყანა სწორად ვითარდება, 42 პროცენტი ფიქრობს, რომ - არა, 10 პროცენტი კი არ არის დარწმუნებული. ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთში ძლიერი და საკმაოდ გავრცელებულია ცვლილებების სურვილი, განსაკუთრებით, ახალგაზრდა და შუა ხნის ხალხს შორის, თუმცა ისინი ნაკლებად აკონკრეტებენ, თუ რას უნდა მოიცავდეს ეს ცვლილება ან, კონკრეტულად, როგორ შეიძლება მისი განხორციელება.

დასავლელი პოლიტიკის შემქმნელების წინაშე იშლება შემდეგი პერსპექტივა: ძალაუფლებაში მყოფი პირები კიდევ უფრო გაამყარებენ უკვე ისედაც პერსონალიზებულ ავტოკრატიულ მმართველობას, რაც უცვლელი დარჩება უახლოესი პროგნოზირებადი მომავლის

[68] პუტინისა და რუსეთში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ მითი 15: „მთავარი პუტინია – რუსეთი ერთი კაცის ხელით მართული, ცენტრალიზებული ავტოკრატიაა.“
[69] Balforth, T. (2021), 'Putin's approval rating holds steady despite Navalny crackdown: poll', Reuters, 4 February 2021, https://www.reuters.com/article/us-russia-politics-navalny-idUSKBN2A429G (საიტზე წვდომა: 31 მარტი, 2021)

განმავლობაში. შესაბამისად, დასავლელი პოლიტიკის შემქმნელები უნდა ელოდნენ, რომ კრემლის ხედვა რუსეთზე, როგორც ციხესიმაგრეზე, რომელიც უფლებამოსილია მსოფლიოში მბრძანებლის როლი ჰქონდეს და რომელსაც ემუქრებიან გარე ძალები, და განსაკუთრებით აშშ, მისი რწმენა-წარმოდგენების ქვაკუთხედად დარჩება.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

მაშასადამე, ტრანსატლანტიკური პოლიტიკის შემქმნელები ვიწრო არჩევანის წინაშე დგანან. ეს არ ნიშნავს რუსეთთან კონკრეტულ საკითხებზე თანამშრომლობის შესაძლებლობის გამორიცხვას გარემოებების შესაბამისად, მაგრამ ცალკეული ქვეყნების უფრო ზოგადი ხასიათის მიდგომების შემთხვევაში, რუსეთის ამოცანა არ იქნება უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა ტრანსატლანტიკური დაძაბულობის შესუსტების მიზნით, არამედ ამ ქვეყნის გამოცალკევება NATO-სა და დანარჩენი ევროკავშირისგან. მეტწილად იგივე მიემართება უფრო ვიწრო ფოკუსის მქონე მიდგომებს. დღესდღეობით არ არსებობს პერსპექტივა, რომ პუტინის რუსეთი უარს იტყვის სამეზობლოზე - განსაკუთრებით, უკრაინაზე გაბატონების ამბიციასა თუ, უფრო ზოგადად, დასავლეთის ქვეყნებს შორის განხეთქილების ჩამოგდების მცდელობებზე. სხვაგვარად

მოქმედებისთვის საჭირო იქნებოდა, რომ კრემლს უარი ეთქვა თავის „დიდი სახელმწიფოობის“ ამბიციებზე და ეფიქრა ქვეყნის შიგნით შედარებით ლიბერალური პოლიტიკის გატარებაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებმა პატივი უნდა სცენ რუსეთის საზოგადოებას შიდა თუ გარე პოლიტიკაში, რუსეთსა თუ მის სამეზობლოში ხალხისადმი ანგარიშვალდებულებისა და კანონის უზენაესობაზე აგებული მმართველობის პრინციპების ერთგულებით

დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ ის, თუ როგორ აღიქვამს რუსი ხალხი დასავლეთის ქვეყნების მოქმედებებს. უცხოეთის მთავრობებს - სურვილისდა მიუხედავად - უწევთ იმათთან ურთიერთობა, ვინც სახელმწიფოს სათავეშია. მაგრამ არსებობს მიზეზი იმისა, თუ რატომ მიიჩნევს პუტინი და მისი კოჰორტა რუსი ხალხის გაძლიერებულ და, საჭიროების შემთხვევაში, ძალადობრივ კონტროლს პირველი რიგის ამოცანად. დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელები და ანალიტიკოსები უნდა ითვალისწინებდნენ უკვე დიდი ხნის განმავლობაში არსებულ და, შესაძლოა, მზარდ უთანხმოებას რუსეთის მმართველობასა და მოსახლეობას შორის.

რუსეთთან (როგორიც ჩვენ გვინდა, რომ იყოს და არა, როგორიც ახლა არის) ურთიერთობის გარდაქმნის კეთილშობილური ინიციატივები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებმა პატივი უნდა სცენ რუსეთის საზოგადოებას შიდა თუ გარე პოლიტიკაში, რუსეთსა თუ მის სამეზობლოში ხალხისადმი ანგარიშვალდებულებისა და კანონის უზენაესობაზე აგებული მმართველობის პრინციპების ერთგულებით - მათ შორის, კონკრეტულად, უკრაინასთან მიმართებით ამ პრინციპების მხარდაჭერით.

მითი 07

„რუსეთი უფლებამოსილია ჰქონდეს თავდაცვითი პერიმეტრი - „პრივილეგირებული ინტერესების“ სფერო - მათ შორის სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზეც“

ის აზრი, რომ რუსეთს სჭირდება ექსკლუზიური გავლენის სფერო მეზობელ სახელმწიფოებში, იმეორებს ცივი ომის დროინდელ მინიმალისტურ განწყობებს და უგულებელყოფს მცირე სახელმწიფოების მრავალმხრივ მოტივაციას რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

ქეით მალინსონი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

შეერთებულ შტატებსა თუ ევროპაში საგარეო პოლიტიკის უფროსი ანალიტიკოსები ემხრობიან და ავრცელებენ მცდარ შეხედულებას, რომ რუსეთი უფლებამოსილია ჰქონდეს საკუთარი ზემოქმედების სფერო - უფლება, რომლისაც, როგორც ჩანს, რუსეთის ხელმძღვანელობას გულწრფელად სწამს. ევრო-ატლანტიკური ქვეყნების პოლიტიკის შემქმნელების მხარდაჭერა უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ ევროპაში სტაბილური მშვიდობა შეიძლება მიღწეული იქნას, თუ დასავლეთი კანონიერად ცნობს რუსეთის ძალისხმევას საკუთარ თავდაცვით პერიმეტრში მოაქციოს ბუფერული სახელმწიფოები.

ზემოქმედების სფეროს ხსენება ამ ტერმინის ნათლად განმარტების გარეშე მოიცავს არა მხოლოდ ხარვეზიანი პოლიტიკის შექმნისა და ცივი ომისეულ გეოპოლიტიკურ მიდგომებთან დაბრუნების საშიშროებას, არამედ ამ ყველაფერს შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს ისეთი

ქვეყნების უსაფრთხოებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, უკრაინა, რომელის სუვერენულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას „დიდი სახელმწიფოების ურთიერთობის“ ეს მოძველებული მოდელი ემუქრება.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები?

ამ მითმა ფეხი მოიკიდა სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტის ანალიტიკოსებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის. მაგალითად, ლიბერტარიანული კატონის ინსტიტუტის (რომელიც დაარსა რესპუბლიკელების შეხედულებების მომხრე კოხის ფონდმა) უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ტედ გალენ კარპენტერმა (Ted Galen Carpenter) 2019 წლის მაისში განაცხადა, რომ „ვაშინგტონს უნდა სურდეს რუსეთის ზემოქმედების სფეროს პატივისცემა იმ რეგიონში [აღმოსავლეთ ევროპა და შავი ზღვის აუზი]“.[70] ბენ სტაილმა (Ben Steil), ნიუ იორკში საგარეო ურთიერთობების საბჭოს უფროსმა თანამშრომელმა 2018 წლის თებერვალში განაცხადა, რომ მარშალის გეგმამ (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ის განვითარების მხარდაჭერის ინიციატივა ევროპული ქვეყნებისთვის) „გაამართლა იმიტომ, რომ შეერთებულმა შტატებმა აღიარა რუსეთის ზემოქმედების სფეროს არსებობა, რომელშიც თავად ვერ შეაღწევდა.“[71]

რატომ არის ეს არასწორი?

ამ მითის შინაგანი ლოგიკა სამი ძირითადი თვალსაზრისით არის მცდარი: პირველ რიგში, გარკვეული სახელმწიფოების ჯგუფის, როგორც ზემოქმედების ექსკლუზიური სფეროს აღქმა საერთოდ არ შეესაბამება ევრო-ატლანტიკურ ღირებულებებს. იმ მოსაზრების გაზიარება, რომ „თავდაცვით პერიმეტრთან“ დაკავშირებული არგუმენტი რუსეთს უფლებას აძლევს გაბატონდეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ სახელმწიფოებზე და / ან მიითვისოს მათი ტერიტორია, ამ სახელმწიფოებს საერთოდ ართმევს მოქმედების თავისუფლებას და ხელყოფს მათ ინტერესებს. ასეთი აზროვნება ნიშნავს მცირე სახელმწიფოებისთვის ან მთლიანი რეგიონებისთვის საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლების წართმევას (აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მსჯელობა სწორი იქნებოდა მაშინაც, თუ ევრო-ატლანტიკური სახელმწიფოები ეცდებოდნენ, ძალით გამოეყვანათ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა თავისი ბუნებრივი „ჰაბიტატიდან“, დასავლეთთან მორიგება ეიძულებინათ და არ გაეთვალისწინებინათ შესაძლებლობა, რომ ეს ქვეყნები შეიძლება სარგებლობენ მოსკოვთან ურთიერთობით - თუნდაც ეს იყოს რუსული გავლენის ნარჩენი ფორმები).

[70] Carpenter, T. G. (2019), ‘Striking a Deal with Russia on Spheres of Influence’, Commentary, Cato Institute, 12 May 2019, https://www.cato.org/publications/commentary/striking-deal-russia-spheres-influence (საიტზე წვდომა: 29 ივნისი, 2020).
[71] Steil, B. (2018), The Marshall Plan: Dawn of the Cold War, Oxford: Oxford University Press.

ვარაუდი, რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს თავდაცვითი პერიმეტრი - ზემოქმედების სფერო მის უშუალო სამეზობლოში, რომელიც გამორიცხავს იქ სხვა ნებისმიერი რეგიონსგარეთა სახელმწიფოს გავლენის არსებობას, ჩარჩენილია ნეოკოლონიალისტურ მსოფლმხედველობაში.

რუსული პოლიტიკის შემქმნელებს მოსწონთ იმის გამეორება, რომ NATO-ს გაფართოება კომუნისტური ბლოკის დაშლის შემდგომ ბრიუსელის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და არ ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ყოფილი სატელიტი ქვეყნების მოსახლეობის ერთი ნაწილის ნებას. თუმცა, ეს მტკიცება უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ვიზეგრადის ჯგუფის[72] ქვეყნები სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ, რომლებიც ევროპულ ინსტიტუტებში ერთიანდებოდნენ უკვე 1990-იან წლებში და მათ მკვეთრად ჰქონდათ გამოხატული დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსში ინტეგრაციის სურვილი. უფრო მეტიც, როგორც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში უკრაინის დონბასის რეგიონში განვითარებულმა კონფლიქტმა ცხადყო, ზემოქმედების სფეროების კონცეფციაზე საუბრებს შეიძლება სერიოზული და გამანადგურებელი შედეგები მოჰყვეს. უკრაინამ ამ სამხედრო კონფლიქტის შედეგად უდიდესი ზარალი ნახა, დაკარგა ტერიტორია (რუსეთმა წაართვა) და მის სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეექმნა.

მეორე, უფრო ზოგადი პრობლემა ისაა, რომ მითი, არსებითად, ზედმეტად ამარტივებს და მცდარად წარმოაჩენს წარსულ და თანამედროვე გეოპოლიტიკურ დინამიკას. სტაილის ზემოთ მოხმობილი კომენტარი არამხოლოდ ისტორიულად არაზუსტია[73], არამედ მოიცავს საყოველთაოდ გავრცელებულ მცდარ შეხედულებასაც, რომ ცივი ომის დროინდელ სტაბილურობას განაპირობებდა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის მიერ ერთმანეთის ზემოქმედების სფეროების აღიარება. უფრო მეტიც, „დიდ სახელმწიფოებზე“ ორიენტირებული პოლიტიკის ორპოლუსიანობა იმ დროს მართლაც უფრო გამართლებული იყო, მაგრამ დღეს - უფრო და უფრო მრავალპოლუსიან სამყაროში - ასეთი კონსტრუქტი ვეღარ უზრუნველყოფს ურთიერთობების კონცეპტუალიზაციის რეალურად პერსპექტიულ / ეფექტიან ჩარჩოს.[74] ვარაუდი, რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს თავდაცვითი პერიმეტრი - ზემოქმედების სფერო მის უშუალო სამეზობლოში, რომელიც გამორიცხავს იქ სხვა ნებისმიერი რეგიონსგარეთა სახელმწიფოს გავლენის არსებობას, ჩარჩენილია ნეოკოლონიალისტურ მსოფლმხედველობაში.

დაბოლოს, ჩინეთის მზარდი ეკონომიკური და ახლა უკვე სამხედრო გავლენაც მანამდე საბჭოთა ზემოქმედების ქვეშ მყოფ ცენტრალურ აზიაში ხაზს უსვამს, რომ მოსკოვი, ფაქტობრივად, მზად ყოფილა კიდევ ერთი მოთამაშის მისაღებად თავის უკანა ეზოში. რუსეთის ტოლერანტულობა ცენტრალურ აზიაში ჩინეთის ექსპანსიისადმი ეყრდნობა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას საერთო მიზნის განხორციელებისას, რომ ძირი გამოუთხარონ აშშ-ის წამყვანი როლის ხელშემწყობ ბრეტონ ვუდსის ინსტიტუციურ არქიტექტურას, რომელიც ცივ ომს გადაურჩა. ის ფაქტი, რომ რუსეთი აშკარად ითვალისწინებს ჩინეთის ინტერესებს მათ საერთო სამეზობლოში, აბათილებს მოსკოვის პრეტენზიებს ექსკლუზიური ზემოქმედების სფეროსთან დაკავშირებით.

[72] ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი.
[73] ვაშინგტონმა ყველა ევროპული ქვეყანა მიიწვია, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი, რომ ჩართულიყვნენ მარშალის გეგმაში. უარი მხოლოდ პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ განაცხადეს სტალინის ჩარევის შედეგად.
[74] Walt, S. M. (2017), ‘Great Powers Are Defined by Their Great Wars’, Foreign Policy, 21 September 2017, https://foreignpolicy.com/2017/09/21/great-powers-are-defined-by-their-great-wars (საიტზე წვდომა: 29 ივნისი, 2020).

როგორ მოქმედებს მითი პოლიტიკაზე?

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირებს პირდაპირ არ დაუმტკიცებიათ რუსეთისთვის ზემოქმედების სფერო, ამ ტერმინის ხსენება, მისი მნიშვნელობის განმარტების გარეშე, ხელს უწყობს მცდარი შეხედულების გავრცელებას, რომ ზემოქმედების სფეროები ისევ - რაღაცნაირად - დაბრუნდა საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ ისინი არც არასოდეს გამქრალა. მაშინ, როცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამყაროს გაჭრა ორ მხარედ - აღმოსავლეთად და დასავლეთად - დღეს უკვე მოძველებული კონცეფციაა, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ, ორ ათასწლეულზე დიდი ხნის განმავლობაში ზემოქმედების სფეროები დომინირებდა დიდ სახელმწიფოებზე ორიენტირებულ პოლიტიკაში სხვადასხვა ფორმით. ახალი მრავალპოლუსიანი რეალობის, პოლიცენტრიზმის, კიბერნეტიკული ომისა და ციფრული გლობალიზაციის გათვალისწინების გარეშე ტერმინის განმარტების მცდელობით პოლიტიკის შემქმნელები რისკავენ ცივი ომისეული კონფრონტაციული დამოკიდებულებების გამოღვიძებას.

კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ რეალისტური პოლიტიკური დოქტრინები ხშირად ვერ ითვალისწინებს ძალაუფლების ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებს. როგორც რუსეთის, ასევე, ევროკავშირის საერთო სამეზობლოში მყოფ ქვეყნები არა მხოლოდ დაინტერესებულნი, არამედ დამოკიდებულნიც კი არიან ორივე მხარესთან თანამშრომლობაზე, იქნება ეს ეკონომიკური და უსაფრთხოების თუ სოციო-კულტურული მემკვიდრეობის მიზეზით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბერლინის საკმაოდ კატეგორიული დამოკიდებულება ენერგოუსაფრთხოებისადმი, რომელიც დამოუკიდებელია ბრიუსელისგან და ეყრდნობა გაზპრომის მფლობელობაში მყოფი „ნორდსტრიმ-2-ის“ მილსადენით გერმანიისთვის რუსული გაზის პირდაპირ მიწოდებას. ეს პოზიცია, რომელსაც მხარს უჭერენ გერმანიის რეგიონული და ფედერალური მთავრობები, არ უგულებელყოფს უკმაყოფილებას, რომელსაც ამგვარი გარიგება წარმოშობს აღმოსავლეთ სამეზობლოში.

კრემლის არალიბერალური მმართველობის მოდელის ერთპიროვნულად თავს მოხვევა მისი მეზობლებისათვის ნებისმიერი ფორმით მიუღებელი უნდა იყოს ევროპელი პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რომელთაგან უმეტესობა კვლავ ხელმძღვანელობს ლიბერალური ღირებულებებით.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

გარემოებების უფრო სერიოზული და გონივრული შეფასება ხელს შეუწყობს რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონსტრუქციულ შეფასებას. კრემლის არალიბერალური მმართველობის მოდელის ერთპიროვნულად თავს მოხვევა მისი მეზობლებისათვის ნებისმიერი ფორმით მიუღებელი უნდა იყოს ევროპელი პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რომელთაგან უმეტესობა კვლავ ხელმძღვანელობს ლიბერალური ღირებულებებით.

თუმცა, პრინციპული პოზიცია არ არის შეუთავსებელი იმ აზრთან, რომ რუს პოლიტიკის შემქმნელებს ამოძრავებთ შინაგანი უნდობლობა და დაუცველობის გრძნობა. როგორც ჯორჯ კენანმა (George Kennan) აღიარა თავის „ვრცელ ტელეგრამაში“ 1946 წლის თებერვალში, „მსოფლიო მოვლენებზე კრემლის ნევროზული ხედვის საფუძველში დევს რუსეთისთვის მეტად ტრადიციული და ინსტინქტური დაუცველობის

განცდა.“ დასავლეთს შეუძლია ასეთი პრობლემების აღიარება ისე, რომ არ სცადოს რუსეთის შემორიგება და არ მისცეს მეზობელი ქვეყნების უფლებების გათელვის საშუალება. საჭიროა, რომ დიპლომატიური საუბრებისას მკვეთრად გაიმიჯნოს და საჯაროდ გაცხადდეს რუსეთისა და დასავლეთის დღის წესრიგის განმაპირობებელი ფაქტორები, არავინ მოიტყუოს თავი ამ სხვაობების არარსებობის ილუზიით და ასე ეცადონ მათ შერბილებას, რაც, საბოლოოდ, ორმხრივი სარგებლით დასრულდება.

უფრო ზოგადად, ზემოქმედების სფეროების ცნება გადააზრებული და განახლებული უნდა იყოს, რათა ჩამოშორდეს „რეალპოლიტიკის“ მოძველებულ მოდელებს. ამის ნაცვლად, ზემოქმედების სფეროები უნდა ჩაითვალოს სოციალურ სტრუქტურებად, რომლებშიც ურთიერთობის წესები მუდმივად იცვლება (ხელახლა თანხმდება და ეჭვქვეშ დგება). ასეთი სტრუქტურები განვითარდა გლობალური პოლიტიკის კვალდაკვალ და, თავისი არსით, შორსაა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებებში რეგიონზე მატერიალური უპირატესობის საკითხისგან. როგორც დღესდღეობით ხშირად ესმით, ტერმინი „ზემოქმედების სფერო“ გულისხმობს, რომ პატარა სახელმწიფოებს საერთოდ არ აქვთ უფლებები; თუმცა, ასეთი სახელმწიფოების მმართველი ელიტა შეიძლება რეალურად მიმღებელი იყოს დიდ სახელმწიფოსთან იერარქიული ურთიერთობისა, თუ ის მცირე პარტნიორის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისთვის მომგებიანი იქნება. ორ ქვეყანას შორის ასიმეტრიული ურთიერთობა არ უნდა განიმარტებოდეს მხოლოდ კონტროლისა და ექსკლუზიური უფლებების მოპოვებით; მას შეუძლია, ასევე, ასახოს თანაბრად სარგებლიანი პარტნიორობა.

ამერიკის აკადემიური სფეროს წარმომადგენლებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა 2019 წლის ივლისში გაავრცელეს გაფრთხილება, რომ ზემოქმედების სფეროებზე ორიენტირებულმა აზროვნებამ ჩინეთთან მიმართებით შეიძლება თვითახდენადი წინასწარმეტყველება შექმნას. იმავეს გააზრება მოეთხოვებათ რუსეთთან ურთიერთობებზე მომუშავე საგარეო პოლიტიკის შემქმნელებს. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გააზრების ცივი ომისეულ ფორმატში დაბრუნება ხელს უშლის უფრო კონსტრუქციულ დიალოგსა და რეფლექსიას / აზროვნებას დასავლეთის პოლიტიკაზე. ჩვენ გვჭირდება მიდგომა, რომელიც:

1. აძლიერებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებას, რაც, ამ დროისთვის, არ მოიცავს სამხედრო ალიანსის შექმნას;

2. არიდებს ევროკავშირისა ან NATO-ს წევრობის უხალისო / გულგრილ დაპირებებს / ფიცს; და

3. იცავს ყველა ეროვნულ არჩევანს, რომელიც ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს უფლებაა.

რუსეთს არ ეკუთვნის ზემოქმედების ექსკლუზიური სფერო სხვა სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიებზე. თუმცა, ჩვენ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა მისი მეზობლებისადმი ყოველთვის თავისთავად ამ ქვეყნების ნების საწინააღმდეგოა. მცირე ქვეყნების სურვილებისა და, ასევე, დასავლეთის პოლიტიკისადმი რუსეთის ტრადიციული უნდობლობის

გათვალისწინება საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში ხელს შეუწყობს მოსკოვის საგარეო პოლიტიკის მოტივების შესახებ უფრო კონსტრუქციული საუბრების განვითარებას.

მითი 08

„რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილება უნდა ჩამოვაგდოთ, რათა ხელი შევუშალოთ მათ ტანდემს დასავლეთის ინტერესების წინააღმდეგ“

ის აზრი, რომ დასავლეთს შეუძლია სათავისოდ გამოიყენოს რუსეთსა და ჩინეთს შორის არსებული დაძაბულობა, არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებს შორს ურთიერთობის ბუნებას და, იმავდროულად, გადაჭარბებით აფასებს მასზე დასავლეთის ბერკეტების ზემოქმედებას.

ანეტ ბორი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

ამ მითის მიხედვით, შესაძლებელია, რომ დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებმა რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთს დაუპირისპირონ, რათა ხელი შეუშალონ მათ ტანდემს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ინტერესების წინააღმდეგ. აქედან (ამ მითიდან) უშუალოდ გამომდინარეობს დებულება, რომ რუსეთმა და ჩინეთმა შექმნეს ერთიანი სტრატეგიული ერთეული, რომლის ფორმირებაც "დაუშვა" დასავლელი პოლიტიკის შემქმნელების უგულისყურობამ.[75]

ეს „დაყავი და იბატონეს“ ნარატივი არამხოლოდ აზვიადებს დასავლეთის როლს მოსკოვისა და ბეიჯინგის დაახლოვებაში, არამედ,

[75] ეს განაცხადი წარმოადგენს მითის მომხრეების მიერ შემოტანილი მოსაზრების მაგალითს, რომლის მიხედვითაც დასავლეთი პასუხისმგებელია ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობის გაღრმავებაზე: 'Allowing Russia to drift fully into China's strategic embrace over the last decade will go down as the single greatest geostrategic error of successive US administrations' [„აშშ-ის ბოლოდროინდელი ადმინისტრაციების უდიდეს გეოსტრატეგიულ შეცდომად დარჩება ის, რომ ჩინეთს საშუალება მისცეს რუსეთი სტრატეგიულ პარტნიორად ექცია"]. Anonymous (2021), The Longer Telegram: Toward A New American China Strategy, Atlantic Council Strategy Papers, p. 10, https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2021/01/The-LongerTelegram-Toward-A-New-American-China-Strategy.pdf.

ასევე, გადაჭარბებულად აღწერს დასავლეთის უნარს, ჩამოაგდოს განხეთქილება ამ ორ სახელმწიფოს შორის, რადგან ასეთი ინტერპრეტაცია არ ითვალისწინებს ჩინურ-რუსული ურთიერთობების განმაპირობებელ ბუნებრივ სიმბიოზს და, ასევე, ამ ურთიერთობების შემზღუდავ ფაქტორებსაც.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები?

აშშ-ის ბოლო რამდენიმე პრეზიდენტის ადმინისტრაცია ცდილობდა შეეჩერებინა ჩინურ-რუსული სტრატეგიული თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას შორის განხეთქილების ჩამოგდებით.[76] პრეზიდენტმა ჯორჯ ვ. ბუშმა დაარწმუნა მოსკოვი 2001 წელს, რომ მისი სარაკეტო თავდაცვის სქემა არ იყო მიმართული კრემლის წინააღმდეგ, მაშინ როცა ბეიჯინგისთვის მსგავსი პირობის მიცემა ვერ შეძლო.[77] პრეზიდენტ ბარაკ ობამას სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა წამოიწყო რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა“ (სიმბოლურად, დიდი წითელი ღილაკიც კი გამოიყენა) 2009 წელს. 2020 წელს, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს „ზეთისხილის რტო“ გაუწოდა, მოუწოდა რა რუსეთს დაბრუნებულიყო „დიდი შვიდიანის“ ქვეყნებში (მანამდე - „დიდი რვიანი“, სანამ რუსეთი არ ჩამოშორდა ჯგუფს 2014 წელს) ჩინეთის მომავლის განსახილველად.[78]

პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მმართველობისას, სახელმწიფო მდივანმა ანტონი ჯ. ბლინკენმა გამოაცხადა, რომ აშშ „შეაკავებს და პასუხს აგებინებს ბატონ პუტინს აგრესიისა და სხვის საქმეში ჩარევის მცდელობების გამო;“ ამასთან, მიანიშნა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციას შეუძლია რუსეთსა და ჩინეთს შორის მზარდი ასიმეტრიისა და, ასევე, უფრო კონკრეტულად, ბეიჯინგზე მოსკოვის მზარდი დამოკიდებულების გამოყენება მათ შორის განხეთქილების დასათესად.[79] ანდრეა კენდალ-ტეილორმა (Andrea Kendall-Taylor), ბაიდენის თავდაპირველმა კანდიდატმა ეროვნული უშიშროების საბჭოში რუსეთისა და ცენტრალური აზიის საკითხების უფროსი დირექტორის თანამდებობაზე, აღიარა, რომ აშშ არ ფლობს საკმარის ბერკეტს რუსეთსა და ჩინეთს შორის დაძაბულობის გამწვავებისთვის, თუმცა, მაინც ემხრობა „მოსკოვსა და ბეიჯინგს შორის ასეთი მცირე

[76] კლინტონის ადმინისტრაცია გამონაკლისი იყო ამ მხრივ, რამდენადაც მას არ სჯეროდა, რომ რუსეთსა და ჩინეთს შეეძლოთ აშშ-ის საწინააღმდეგო ალიანსში გაერთიანება. რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილების შეტანის იდეა, ძირითადად, აშშ-ის პოლიტიკური დებატებიდან მომდინარეობს, თუმცა მან განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი საფრანგეთსა და ავსტრალიაში. იხ. მითი 9: „აუცილებელია რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ნორმალიზება ჩინეთის აღმასვლის შესაჩერებლად.“
[77] იხილეთ Galen-Carpenter, T. (2001), 'Bush Tries to Drive a Wedge Between Russia and China', Cato Institute, 3 August 2001, https://www.cato.org/commentary/bush-tries-drive-wedge-between-russia-china.
[78] Haberman, M. (2020), 'Trump Postpones G7 Summit and Calls for Russia to Attend', New York Times, 30 May 2020, https://www.nytimes.com/2020/05/30/us/politics/trump-g7-russia.html.
[79] ბლინკენმა (Blinken) თქვა, რომ "მოსკოვთან ურთიერთობას მეორე მხარეც აქვს," რამდენადაც პრეზიდენტი პუტინი „ცდილობს როგორმე შეასუსტოს ჩინეთზე რუსეთის მზარდი დამოკიდებულება," რომელმაც იგი „მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა." Sanger, D. E. (2020), 'The End of 'America First': How Biden Says He Will Re-engage With the World', New York Times, 9 November 2020, https://www.nytimes.com/2020/11/09/us/politics/biden-foreign-policy.html.

უთანხმოებების" ჩამოგდებას, რათა „ეჭვი დათესოს მათ ურთიერთობებში."[80]

აშშ-ში მდებარე ატლანტიკური საბჭოს ბოლოდროინდელ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ: „სამომავლოდ, რუსეთის და ჩინეთის დაცილება [გადამწყვეტი მნიშვნელობისაა]."[81] ეს ანონიმურად გამოქვეყნებული ანგარიში, რომელსაც „უფრო ვრცელი ტელეგრამა" (The Longer Telegram) ეწოდება, წარმოადგენდა ჯორჯ კენანის (1947 წელს „X" ფსევდონიმის გამოყენებით გამოქვეყნებული) ცნობილი „ვრცელი ტელეგრამის" თავისებურ რემინისცენციას, რომელმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის შეკავების დასავლურ პოლიტიკას. ბევრ პოლიტიკის შემქმნელსა და კომენტატორს, განსაკუთრებით აშშ-ში, გავუფრთხილებიათ იმის თაობაზე, რომ დასავლეთი „თავს საფრთხეში იგდებს" რუსეთ-ჩინეთის ავტორიტარული მმართველობის რევიზიონისტული ღერძის[82] უგულებელყოფით და მოუწოდებიათ ვაშინგტონისთვის, „ემოქმედა, ვიდრე გვიანი იქნებოდა".[83]

რატომ არის ეს არასწორი?

რამდენადაც დასავლეთს არ გაუერთიანებია ჩინეთი და რუსეთი, არც მათი დაშორება შეუძლია. „განხეთქილების ჩამოგდების" ნარატივი წარმოშობს მცდარ შეხედულებას, რომ ვაშინგტონსა და მის მოკავშირეებს აქვთ რუსეთ-ჩინეთის კავშირის („ანტანტის") დაშლის რეალური ბერკეტი ან უნარი, მით უმეტეს წარსულში უამრავი წარუმატებელი მცდელობისა და დასავლეთისადმი კრემლის ცალსახად მტრული პოზიციის გათვალისწინებით. რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობა, რომელიც ნამდვილად არ წარმოადგენს დასავლური პოლიტიკის წარუმატებლობის შედეგს, საკმაოდ კომპლექსურია და ემყარება ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმბიოზიდან გამომდინარე ლოგიკურ საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ურთიერთობების გაუარესებამ დასავლეთთან მართლაც დააჩქარა ჩინურ-რუსული პარტნიორობა გარკვეულ სფეროებში,[84] მათი თანამშრომლობის ასპექტების დიდი ნაწილი თავისთავად გამომდინარეობს საერთო ინტერესებისა და ტერიტორიული სიახლოვისგან. მოსკოვსა და ბეიჯინგს შორის ურთიერთობების ნორმალიზება 1980-იან წლებში დაიწყო, 2014 წელს ყირიმის ანექსიასა და დასავლეთის მიერ მოსკოვისთვის სანქციების დაწესებამდე

[80] Kendall-Taylor, A. and Shullman, D. (2021), Navigating the Deepening Russia-China Partnership, Center for a New American Security, 14 January 2021, p. 30, https://www.cnas.org/publications/reports/navigating-the-deepening-russia-china-partnership.
[81] Anonymous (2021), The Longer Telegram, p. 10.
[82]Anderlini, J. (2018), 'China and Russia's dangerous liaison', Financial Times, 9 August 2018, https://www.ft.com/content/1b4e6d78-9973-11e8-9702-5946bae86e6d.
[83] Kendall-Taylor, A. and Shullman, D. (2019), 'A Russian-Chinese Partnership is a Threat to U.S. Interests: Can Washington Act Before It's Too Late?', Foreign Affairs, 14 May 2019, https://www.foreignaffairs.com/articles/ china/2019-05-14/russian-chinese-partnership-threat-us-interests.
[84] უფრო კონკრეტულად, დასავლეთთან ურთიერთობის გაუარესებამ დააჩქარა და გაზარდა მოსკოვის დამოკიდებულება ბეიჯინგზე ენერგეტიკის სფეროში. წლობით გახანგრძლივებული გართულებული მოლაპარაკებების შემდგომ, 2014 წელს - ყირიმის ანექსიიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდგომ - რუსეთმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს 400 მილიარდიან ხელშეკრულებას ციმბირის გაზის მილსადენის მშენებლობის თაობაზე ბეიჯინგისთვის მეტად სასარგებლო პირობებით. ამ მილსადენის მშენებლობა დაიწყო 2019 წლის დეკემბერში. ასევე, დასავლურ ფინანსებზე წვდომის შეუძლებლობამ რუსეთი აიძულა ჩინეთი არქტიკის რეგიონში ერთ-ერთ მოთამაშედ ეღიარებინა. Perovic, J. and Zogg, B. (2019), 'Russia and China: The Potential of Their Partnership', CSS Analyses in Security Policy, Center for Security Studies, 2 October 2019, https://css.ethz.ch/en/center/CSS-news/2019/10/russland-und-china-potenzial-der-partnerschaft.html.

ათწლეულებით ადრე. პუტინსა და ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინს შორის ბოლო დროს გაფორმებული *დე ფაქტო* თავდაუსხმელობის პაქტი ასახავს ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპების ნაწილს და სრულიად არ ჰგავს ცივი ომის დროინდელ დაძაბულობის პერიოდს, როდესაც ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განხეთქილებამ ამ უკანასკნელს აიძულა შეირაღებული ძალების 40 დანაყოფის მუდმივი განთავსება სსრკ-ჩინეთის 4,2000-კილომეტრიანი საზღვრის გასწვრივ.

რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობა, რომელიც ნამდვილად არ წარმოადგენს დასავლური პოლიტიკის წარუმატებლობის შედეგს, საკმაოდ კომპლექსურია და ემყარება ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმბიოზიდან გამომდინარე ლოგიკურ საფუძველს.

ამ ორ სახელმწიფოს, ასევე, ურთიერთშემავსებელი ეკონომიკა და მრავალი საერთო ინტერესი აქვთ ტექნოლოგიის, კიბერთანამშრომლობისა და თავდაცვის სფეროებში. თავის მხრივ, მოსკოვი ჩქარობს ჩინეთისთვის სენსიტიური სამხედრო და სხვა სახის ტექნიკის მიყიდვას სანამ თავად ბეიჯინგის კვლევითი თუ ტექნოლოგიური მიღწევები ასეთ შესყიდვებს აზრს დაუკარგავს. რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი სინოლოგის, ალექსანდრ გაბუევის თქმით, მოსკოვს ესმის, რომ ეს მისთვის „საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის ნარჩენებით ფულის კეთების ბოლო შანსია," რამდენადაც „ჩინეთისათვის საინტერესო ტექნოლოგიის რაოდენობა ყოველ წელს მცირდება."[85]

უფრო კონკრეტულად, რუსეთსა და ჩინეთს აქვთ იდეოლოგიური თანხმობა და ამოძრავებთ ადამიანის უნივერსალური უფლებებისა და აშშ-ის გლობალური უპირატესობისთვის ძირის გამოთხრის საერთო ინტერესი. ჩინეთთან პარტნიორობა პირდაპირ ერგება რუსეთის მცდელობას, რომ მისი არსებობის ბოლოდროინდელ წლებში აღიდგინოს საერთაშორისო დონეზე წამყვანი გლობალური ძალის სტატუსი. თავის მხრივ, ჩინეთს ხელს აძლევს რუსეთის ძალისხმევა, მოშალოს აშშ-ის მიერ მართული საერთაშორისო წესრიგი,[86] მუხედავად იმისა, რომ იგი ნაკლებ არის დაინტერესებული რუსეთთან სრულფასოვანი პარტნიორობით - მისთვის მთავარია გარანტია, რომ მოსკოვი არ შეუშლის ხელს მის წინსვლას გლობალურ ტრაექტორიაზე.

გარდა ზემოთქმულისა, ეს მითი მცდარად წარმოაჩენს ჩინურ-რუსული ურთიერთობის ხასიათს იმითაც, რომ ამ ურთიერთობას ქცევით კონვერგენციას / ურთიერთმსგავსებასა და ფართომასშტაბიანი შეთქმულების თეორიას მიაწერს,[87] უგულებელყოფს რა თითოეული სახელმწიფოს მოქმედებების წარმმართველ პრინციპს, რომ შეინარჩუნონ სრული ავტონომია გადაწყვეტილებების მიღებისას.[88] ამას გარდა, მაშინ, როცა რუსეთი ცდილობს ისეთი ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას, სადაც ის აშშ-სა და ჩინეთს გაუტოლდება, ჩინელები კერძო საუბრებისას უფრო და უფრო ხშირად ახასიათებენ რუსეთს, როგორც სახელმწიფოს მზარდი კორუფციითა და შემცირებადი

[85] Gabuev, A. (2019), 'Дружба на расстояние руки' [მეგობრობა ერთი ხელის გაწვდენაზეა], Kommersant, 31 May 2019, p. 19, https://kommersant.ru/archive/online/57.

[86] 2021 წლის მარტში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვი ამტკიცებდა, რომ „აშშ-ის მიერ მართული მსოფლიო წესრიგი არ ასახავს საერთაშორისო საზოგადოების სურვილს." Kendall-Taylor, A. and Shullman, D. (2021), 'Russia and China's Convergence: How to Counter an Emerging Partnership', Foreign Affairs, 3 May 2021, https://www.foreignaffairs.com/articles/china/2021-05-03/china-and-russias-dangerous-convergence?utm_medium=newsletters&utm_source=fatoday&utm_campaign=China%20and%20Russia's%20Dangerous%20Convergence&utm_content=20210503&utm_term=FA%20Today%20-%20112017

[87]7 Lo, B. (2020), Global Order in the Shadow of the Coronavirus: China, Russia, and the West, Sydney: Lowy Institute, July 2020, p. 16, https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/global_order_coronavirus_lo.pdf.

[88] Lo, B. (2020), 'The Sino-Russian partnership and global order', China International Strategy Review, The Institute of International and Strategic Studies, Peking University, 8 December 2020, 2, p. 307, https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s42533-020-00063-7.pdf.

მოსახლეობით, რომელიც უკვე კარგა ხანია დეგრადაციის გზაზეა.[89] შედარებით სწრაფი ეკონომიკური აღმასვლა კოვიდ-19-ის პანდემიის შემდგომ გაამყარებს ჩინეთის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალის როლს მოსკოვთან ურთიერთობებში, რაც მოსკოვს ბეიჯინგზე ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების რისკის ქვეშ აყენებს. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, 2014-2019 წლებში ჩინეთის საგარეო ინვესტიციების მხოლოდ 2 პროცენტი განხორციელდა რუსეთში, რაც, მეტწილად, განპირობებული იყო რუსული ბიზნესგარემოს არასტაბილურობით.[90] უფრო მეტიც, ბეიჯინგისთვის მიუღებელია მოსკოვის საგარეო ავანტიურიზმი, რაც მათ შორის ოფიციალური სტრატეგიული ალიანსის დაარსების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს: ჩინეთს არ ხიბლავს უკრაინასა და შუა აღმოსავლეთში სამხედრო თუ კვაზისამხედრო / ნახევრად სამხედრო ინტერვენციებში ჩარევის პერსპექტივა - ასე, მაგალითად, ბეიჯინგს ჯერაც არ უღიარებია ოფიციალურად რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორი ძალა ამჟამად მეტს იღებს თანამშრომლობისგან, ვიდრე კონკურენციისგან, ჩინეთიც და რუსეთიც არჩევენ გვერდზე გადადონ განსხვავები ახლო მომავალში თანამშრომლობის განმავლობაში. განსაკუთრებით, მოსკოვი არ აპირებს ბეიჯინგის გამოწვევას უპირატესობისთვის ბრძოლაში, რომლის მოგების იმედიც ვერ ექნება. შეგუება-შერიგების ეს დინამიკა ამჟამად ვითარდება ცენტრალურ აზიაში, რომელსაც როგორც მიმომხილველები, ასევე, სპეციალისტები, ხშირად მოიხსენებენ მოსკოვისა და ბეიჯინგის დაპირისპირების ყველაზე სავარაუდო ასპარეზად, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ჩინეთს და რუსეთს ვერ ექნებათ ერთი და იგივე ზემოქმედების სფერო. თუმცა, უკვე სამ წელზე მეტია ნათელია, რომ კრემლმა გადაწყვიტა ცენტრალურ აზიაში ჩინეთის მზარდ გავლენას შეურიგდეს, ვიდრე მის დაბალანსებაზე იწვალოს - რამდენიმე წლის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ რუსეთი მწვავედ არ უპასუხებდა ბეიჯინგის ზედმეტ ხშირ შემოჭრებს მის „უკანა ეზოში.“

მაშინ, როცა რუსეთ-ჩინეთის ამჟამინდელი პარტნიორობა მეტად გამძლე აღმოჩნდა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ორი სახელმწიფოს შესაძლებლობებს შორის მზარდი სხვაობა, სავარაუდოდ, შეცვლის თამაშის წესებს, რაც გამოიწვევს ურთიერთობების ფუნდამენტურ ცვლას, როგორც კი შერიგება-დათმობის ამჟამინდელი დინამიკა თავის თავს ამოწურავს. ჩინეთის აღმასვლა გრძელდება, მოსკოვსა და ბეიჯინგს შორის ლატენტური დაძაბულობა და ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება ზედაპირზე ამოტივტივდეს, განსაკუთრებით, თუ რუსეთი ვეღარ იქნება აღქმული, როგორც აშშ-ის ჰეგემონიის ღირებული შემაკავებელი.[91]

---

[89]Gabuev, A. (2020), ‘The Pandemic Could Tighten China’s Grip on Eurasia’, Foreign Policy, 23 April 2020.

[90]Gabuev, A. (2019), ‘Ложное множество’ [False multitude], Kommersant, 7 June 2019, p. 7, https://kommersant.ru/daily/118142.

[91]როგორც ერთმა ანალიტიკოსმა დაწერა: ‘Why should China go to any trouble to massage the vanity of a fading Great Power?’ [„რატომ უნდა აიტკივოს ჩინეთმა თავი დეგრადაციის გზაზე მყოფი დიდი სახელმწიფოს პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად?“] Shevtsova, L. (2018), ‘The Russian Myth Machine’, The American Interest, 13 June 2018, https://www.the-americaninterest.com/2018/06/13/the-russian-myth-machine.

როგორ მოქმედებს მითი პოლიტიკაზე?

ამ პარტნიორობის კომპლექსურობის მიჩქმალვის მცდელობის გარდა, ეს მითი, ასევე, ნიღბავს დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებისთვის რელევანტურ საკითხებს. არის თუ არა ჩინეთთან ალიანსში მყოფი რუსეთი უფრო დიდი საფრთხე დასავლური ინტერესებისთვის, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედი მოსკოვი? და თუ პირველი მართალია, რამდენად აქვს დასავლეთს რეალური შესაძლებლობა შეასუსტოს ჩინურ-რუსული თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, რომელიც მის ინტერესებს აზიანებს, არათუ განხეთქილება შეიტანოს მათ პარტნიორობაში? მოასწავებს თუ არა მოსკოვსა და ბეიჯინგს შორის მზარდი ასიმეტრია გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ურთიერთობის ცვლილებას?

მოსკოვისა და ბეიჯინგის ურთიერთობებისა და მათი თანამშრომლობის შედეგად დასავლური ნორმებისა და ფასეულობების განადგურების შესაძლებლობის გადაჭარბება წარმოშობს ავტომატური რეაგირების პოლიტიკას, რომელიც დასავლეთის მთავრობებს აფიქრებინებს, რომ ჩინურ-რუსული თანამშრომლობის ყოველი აქტის წინააღმდეგობა აუცილებელია მაშინაც კი, როცა მას არ აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა დასავლეთის პოლიტიკი შემქმნელებისთვის. ამას გარდა, ამ მითის რწმენა ზრდის რისკს, რომ სტრატეგიის ფორმულირების პროცესში პოლიტიკის შემქმნელები ვერ შეძლებენ, სათანადოდ განასხვაონ ეს ორი ძალა ამ ორი სახელმწიფოს პოზიციების ერთიანობის გაზვიადების ფონზე. მაგალითად, ეს ნარატივი წარმოშობს ყალბ ვარაუდებს, რომ რუსეთი ავტომატურად ჩაერევა აშშ-ჩინეთის კონფლიქტში მაშინაც კი, თუ მოსკოვს ამის პირდაპირი ინტერესი არ ექნება.

უფრო კონკრეტულად, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ქცევაზე ჩინეთის გავლენის ხარისხის შელამაზებით, მითი აბუნდოვნებს რუსეთის დამოუკიდებელი მოქმედებების შედეგად დასავლური ინტერესებისთვის შექმნილ რისკებს. მაშინ, როცა რუსეთის პარტნიორობა ჩინეთთან ამყარებს მისი, როგორც დიდი სახელმწიფოს იდენტობას, სინამდვილეში რუსეთის მაღალრისკიან საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას განაპირობებს შეუსაბამობა მოსკოვის მისწრაფებებსა და მათი მიღწევის უნარს შორის, რასაც ხშირად ვუწოდებთ ხოლმე 'შესაძლებლობების ზღვარს მიღმა ქმედებას' (punch above its weight).

როგორც დამოუკიდებელმა მოთამაშემ, რუსეთმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ კარგად გამოსდის ძალაუფლების ვაკუუმის იდენტიფიცირება არსებული წესრიგის სისტემებისთვის ძირის გამოთხრის მიზნით, ასევე, კიბერშესაძლებლობებისა და დეზინფორმაციის საშუალებების გამოყენება სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის მოშლისა და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მისაღწევად. ჩინეთს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაში, უკრაინაში წარმოებულ ომში, სირიის პრეზიდენტის - ბაშარ ალ-ასადის ან ვენესუელის პრეზიდენტის - ნიკოლას მადუროს გადასარჩენად განხორციელებულ ღონისძიებებში. რაც შეეხება აშშ-ის უსაფრთხოებისთვის შექმნილ სპეციფიკურ საფრთხეებს, კენდალ-ტეილორმა აღნიშნა, რომ კრიტიკულად აუცილებელია რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივ ქმედებებზე აქცენტირება, იმის

გათვალისწინებით, რომ „ანალიტიკოსებს კარგად უნდა ესმოდეთ ის გამოწვევები, რომლებსაც თითოეული მათგანი - რუსეთი და ჩინეთი - უქმნის ამერიკის შეერთებულ შტატებს.[92] თუმცა, ერთი მაგალითი მაინც რომ მოვიყვანოთ ცალკეული ქვეყნის მიერ განხორციელებული უაღრესად საზიანო ოპერაციისა, 2020 წელს განხორციელებულმა SolarWinds-ის კიბერთავდასხმამ, რომლის ჩამდენადაც რუსეთი მოიაზრება, ძალიან უსიამოვნოდ გააკვირვა აშშ-ის კიბერუსაფრთხოების შტაბი. SolarWinds-ის თავდასხმა ბოლო პერიოდში უსაფრთხოების ხელყოფის ყველაზე მასშტაბურ შემთხვევას წარმოადგენს.[93]

ამ მითში ჩინეთ-რუსეთის პარტნიორობაში დაძაბულობის უგულებელყოფა თუ მიჩქმალვა ამ ურთიერთობის დასავლეთის წინააღმდეგ მიმართულ მასშტაბურ ალიანსად წარმოჩენასთან ერთად, ბეიჯინგსაც და მოსკოვსაც კოორდინირებული მოქმედებების სპექტრის გამოყენების საშუალებას აძლევს - განსაკუთრებით კი სამხედრო სფეროში - დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელების დაშინების მიზნით. პანიკის დათესვის ტაქტიკის წარმატებით გამოყენება და საერთო მოტივით გაერთიანებული ფრონტის ილუზია / წარმოდგენა აძლიერებს მოსკოვისა და ბეიჯინგის ხელთ არსებულ სტრატეგიულ ბერკეტებს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

უპირველეს ყოვლისა, კარგი პოლიტიკა მოითხოვს რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობის შედეგად შექმნილი იმ სპეციფიკური საფრთხეებისა და გამოწვევების პრიორიტიზებას, რომელთა მისამართითაც შესაძლებელია კონკრეტული ზომების გატარება. დასავლეთის მთავრობებმა უნდა გადაიაზრონ დიდი სახელმწიფოების შეჯიბრის ცნებები[94] იმისთვის, რომ პრაგმატულად მიმართონ ძალისხმევა მოსკოვისა და ბეიჯინგის თანამშრომლობის იმ ასპექტებზე, ა) რომლებიც მომავალში გავლენას იქონიებს დასვლეთის უსაფრთხოებაზე და ბ) რომელთა რეალურად არიდებაც შესაძლებელია.

ამ იმპერატივის უკან სამხედრო რესურსების ფაქტორიც დგას. მსოფლიო პირველობის შენარჩუნების ამოცანა ვაშინგტონისგან მოითხოვს მუდმივი საბრძოლო მზაობის უზრუნველყოფას მსოფლიოს უამრავ საომარ თეატრში, რაც, დიდი ალბათობით, გამოიწვევს კლასიკურ შეუთავსებლობას სტრატეგიის მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს შორის იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი ისედაც გადატვირთულია. მართლაც, რუხი ზონის ოპერაციებზე საუბრისას, რომლებიც შესაძლოა რუსეთმა და ჩინეთმა ერთდროულად წამოიწყოს ბალტიისპირეთსა და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, კენდალ-ტეილორმა აღნიშნა, რომ „აშშ-ის შეირაღებული ძალებისთვის დიდი ზეწოლა იქნება ორივესთან გამკლავება“ და რომ „ორივე თეატრში საბრძოლო მოქმედებების

[92] Kendall-Taylor and Shullman (2021), Navigating the Deepening Russia-China Partnership, p. 1.
[93] Jibilian, I. and Canales, K. (2021), 'Here's a simple explanation of how the massive SolarWinds hack happened and why it's such a big deal', Business Insider, 25 February 2021, https://www.businessinsider.com/solarwindshack-explained-government-agencies-cyber-security-2020-12?r=US&IR=T.
[94] 4 Lo (2020), Global Order in the Shadow of the Coronavirus, pp. 23–24

წარმოებისთვის საჭირო რესურსები ძვირი ჯდება."[95] შესაძლოა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები წინასწარ გეგმავდნენ რუსეთისა და ჩინეთის კოორდინირებულ მოქმედებებთან გამკლავებას მათი მოხდენის ალბათობის მიუხედავად, რაც ხელს უშლის ეფექტურ და ეფექტიან საგარეო პოლიტიკას.

მეორე, დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებმა ბოლომდე უნდა აღიარონ, რომ მათ არ აქვთ ისეთი პოლიტიკის შემუშავების რეალური მექანიზმები, რომლებიც დრამატულად გარდაქმნის რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობას. ბაიდენის პოლიტიკის შემქმნელების მიერ განსაზღვრულ „მცირე განხეთქილებებსაც" კი, რომლებიც მიზნად ისახავს „ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების მორღვევას"[96] შეზღუდული ზემოქმედება ექნება ამ ორ ქვეყანას შორის უთანხმოების გამოყენების თვალსაზრისით.

მესამე, დასავლეთი უნდა ეცადოს ჩინეთ-რუსეთის პარტნიორობის დაბალანსებას მრავალმხრივ და რეგიონულ ორგანიზაციებთან უფრო ეფექტური თანამშრომლობის საშუალებით. აუცილებელია ალიანსის გაძლიერება ისეთ ძირითად პარტნიორებთან, როგორებიცაა ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და ვიეტნამი.

რუსეთის ჩინეთისაგან ჩამოშორების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. დასავლეთის წარმოდგენა ჩინურ-რუსულ რევიზიონისტულ ალიანსზე, რომელიც „მსოფლიო სისტემასა და მასში ამერიკის გავლენას"[97] ნგრევით ემუქრება, წყალს ასხამს რუსეთისა და ჩინეთის ხედვას აშშ-ზე, როგორც დეგრადირებად ძალაზე, რომელიც შეზღუდული უპირატესობით ცდილობს აღიდგინოს ბატონობა.

[95] Kendall-Taylor and Shullman (2021), Navigating the Deepening Russia-China Partnership, p. 24
[96] Ibid, p. 2.
[97] US Department of Defense (2019), Russian Strategic Intentions: A Strategic Multilayer Assessment (SMA) White Paper, May 2019, p. iv, https://www.politico.com/f/?id=0000016b-a5a1-d241-adff-fdf908e00001 (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

მითი 09

„აუცილებელია დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია ჩინეთის გაძლიერებისის შესაჩერებლად“

ჩინეთის აღქმული საფრთხის წინააღმდეგ რუსეთთან ალიანსი ძირს გამოუთხრის დასავლურ ღირებულებებს და მოსკოვში არც ერთ შემთხვევაში არ აღმოჩნდება სანდო პარტნიორი. ეს მიდგომა, ასევე, ხელს უშლის იმ გამოწვევის სათანადოდ შეფასებას, რომელსაც რუსეთი დამოუკიდებლად უქმნის საერთაშორისო წესრიგის სტაბილურობას.

ჯეიმს ნიქსი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

თვითონ დებულება, ერთი შეხედვით, მიმზიდველი ჩანს: თუ ჩინეთი მოახლოვებული ქარიშხალია, მაშინ დასავლური ძალები უნდა დაუზავდნენ რუსეთს, რათა ერთობლივად ებრძოლონ ან, სულ მცირე, გაუძლონ მაინც მის რისხვას. ჩინეთის, როგორც გლობალური აქტორის ძლიერების ზრდასთან ერთად, სრულიად გასაგებია მის შესაძლებლობებსა და დღის წესრიგთან დაკავშირებული შიშები თუ ვარაუდები. სწორედ ამიტომ, გარკვეულ წრეებში გავრცელებული არგუმენტის თანახმად, ჩინეთი წარმოადგენს ბევრად უფრო სერიოზულ სისტემურ გამოწვევას გრძელვადიან პერსპექტივაში, ვიდრე რუსეთი და, ამიტომ, პირველთან გამკლავება უნდა იყოს დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელების პრიორიტეტი - ასევე, ამ

მიზნითვე უნდა იქნეს გამოყენებული რუსეთის არსებული ურთიერთობა ჩინეთთან და მისი, როგორც დეგრადირების გზაზე მყოფი სახელმწიფოს ოდნავ უფრო შემრიგებლური ქცევა. ამ თავში არ ვცდილობთ ჩინეთის გამოწვევის ეჭვქვეშ დაყენებას, თუმცა დასკვნა, რომ ევრო-ატლანტიკური ქვეყნების პოლიტიკოსები და პოლიტიკის შემქმნელები უნდა ეყრდნობოდნენ ზემოხსენებულ არგუმენტს - უფრო კონკრეტულად, რუსეთთან მოკლევადიანი თანამშრომლობის პერსპექტივასთან მიმართებით - მცდარია.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები?

რუსეთთან დაზავებასა და ჩინეთის გაბატონების ხელშეწყობას შორის არჩევანი მუდმივად ხაზგასმულია საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სპეციალისტების, განსაკუთრებით, „რეალისტური“ დოქტრინის მომხრეების ნაშრომებში, რომლებიც რუსეთს დეტალურად არ შეისწავლიან, მაგრამ ამტკიცებენ, რომ კარგად ხედავენ ერთიან სურათს.[98] მართლაც, მაგალითად, ამ მითს (ან მის სხვადასხვა ვარიანტს), როგორც წესი, ხშირად იმეორებენ ანალიტიკური ცენტრების სათავო ხელმძღვანელები, ასევე, წამყვანი ბიზნეს ლიდერები, რომელთათვისაც რუსეთი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოსკოვთან ხელსაყრელი გარიგებების მხარდაჭერის მოტივაცია საკმაოდ საკამათოა.

პოლიტიკოსებისა და საგარეო პოლიტიკის გავლენიანი კონსულტანტების ნაწილი, ასევე, წლებია, რაც ალიანსის მხარდამჭერ არგუმენტს დამარწმუნებლად მიიჩნევს და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. მათგან ალბათ ყველაზე გამორჩეულია ჰენრი კისინგერი (Henry Kissinger), რომელიც უკვე დიდი ხანია ხაზს უსვამს ბეიჯინგიდან მომდინარე საფრთხეს[99] და უპირატესობას ანიჭებს მოსკოვისადმი „პრაგმატულ“ მიდგომას. ბოლო წლებში, ამ არგუმენტის არსი ისაა, რომ ცივი ომი დასრულდა და სწორედ ჩინეთი იქნება ის ძალა, რომელიც დაჯაბნის აშშ-ს. ეს, განსაკუთრებით საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ აშშ-ის ბოლოდროინდელი ადმინისტრაციების უმრავლესობაში საგარეო პოლიტიკაზე კისინგერის შეხედულებების გავლენას.

---

[98] ეს ორი ავსტრალიური სტატია 2020 წლის ივნისსა და ივლისში მოიცავს მხარდაჭერისა და ნორმალიზაციის კარგ მაგალითებს. See Dal Santo, M. (2020), 'Yes, to balance China, let's bring Russia in from the cold', The Interpreter, Lowy Institute, 7 July 2020, https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/yes-balance-china-bring-russia-in-from-cold (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021); და Sharma, D. (2020), 'Reach out to Russia to manage the rise of China', Sydney Morning Herald, 13 June 2020, https://www.smh.com.au/world/north-america/reach-out-to-russia-to-manage-the-rise-of-china-20200612-p551xr. html (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021). ასევე, ალბათ უახლესი - ამ წიგნის წერის თანადროული აშშ-დან: Schake, K. (2021), 'The U.S. Doesn't Know How to Treat Its Allies', The Atlantic, 28 March 2021, https://www.theatlantic.com/ideas/ archive/2021/03/the-us-doesnt-know-how-to-treat-its-allies/618441 (საიტზე წვდომა: 3 აპრილი, 2021).

[99] 'I think in 20 years your successor, if he's as wise as you, will wind up leaning towards the Russians against the Chinese. For the next 15 years we have to lean towards the Chinese against the Russians. We have to play this balance of power game totally unemotionally. Right now, we need the Chinese to correct the Russians and to discipline the Russians' [„მე ვფიქრობ 20 წელიწადში თქვენი მემკვიდრე - თუ თქვენსავით გონიერი იქნება - საბოლოო ჯამში რუსებისკენ გადაიხრება ჩინეთის საწინააღმდეგოდ. მომდევნო 15 წლის განმავლობაში, ჩვენ ვიხრებით ჩინეთისკენ რუსეთის პირისპირ. მოგვიწევს ამ ძალაუფლების ბალანსით თამაში ყოველგვარი ემოციების გარეშე. ახლა გვჭირდება ჩინელები, რომ გამოვასწოროთ და ჭკუა ვასწავლოთ რუსებს"]. Kissinger, H. (1972), '192. Conversation Between President Nixon and his Assistant for National Security Affairs' in Keefer, C. E. and Phillips, E. (eds) (2006), Foreign Relations of the United States, 1969–1976, VOLUME XVII, CHINA, 1969–1972, Washington, DC: United States Government Printing Office, https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v17/d192 (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

როგორც ამ ანგარიშში მოცემულ სხვა თავებშიც აღინიშნა, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ტრადიციულად ემხრობა რუსეთის ევროპულ ოჯახთან დაახლოებას და უგულებელყოფს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბნელ მხარეს. მაკრონიც - სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც - ფიქრობს, რომ რუსეთის საერთაშორისო დარღვევების მიზეზი დასავლეთის პროვოკაციაა. ის არა მხოლოდ ყველაზე აქტიური დასავლელი ლიდერია, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობის მოწოდებების გაკეთებისას იმედს გამოცდილებაზე მაღლა აყენებს, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, არ აკონკრეტებს ასეთი შეთანხმების ზემოქმედებას რუსეთის მოწყვლად სამეზობლოზე. საფრანგეთის პრეზიდენტის თვალსაზრისი არ არის განპირობებული შედარებითი საფრთხის ან საგანგებო აუცილებლობის მოტივით, არამედ იმით, რომ რუსეთის ჭეშმარიტი ადგილი ევროპაშია და არ უნდა ვაიძულოთ ის დაუზავდეს ჩინეთს.[100]

რატომ არის ეს არასწორი?

გამოწვევები, რომელთა წინაშეც რუსეთი აყენებს კანონებით მართულ მსოფლიო წესრიგს, ბევრად უფრო ძველია, ვიდრე დღევანდელი ჩინეთის მიერ შექმნილი საფრთხეები. თუმცა, დრომ ვერაფერი დააკლო რუსეთის მოქმედებების შინაარსსა თუ მნიშვნელობას.[101] სიმართლე რომ ითქვას, დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელების დადანაშაულებაც შეიძლება შედარებით თავდაჯერებულობაში, უსაფრთხოების, საერთაშორისო მმართველობის, პოლიტიკისა თუ ეკონომიკის სფეროებში ჩინეთთან დაკავშირებულ ახალ პრობლემებზე ფოკუსირების ცდუნებას თუ გავითვალისწინებთ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი საერთაშორისო წესრიგისთვის სისტემურ, გრძელვადიან გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც, საერთო ჯამში, უფრო სხვა მასშტაბისაა, ვიდრე რუსეთის დესტრუქციული ქცევები, რაც, მეტწილად, განპირობებულია ამ უკანასკნელის დაკნინებით და წამყვანი სახელმწიფოს სტატუსის კარგვით. ასევე სწორია ისიც, რომ ჩინეთის აღმასვლა შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს მშვიდობიანი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ბეიჯინგის ბოლოდროინდელ თავდაჯერებულობას კოვიდ-19-ისა და ახალი ჰონგ-კონგის ხანაში. შეუძლებელია თვალი დახუჭო სამხრეთ ჩინეთის ზღვაში იაპონიისა და ინდოეთის კუთვნილი მცირე თუ დიდი ტერიტორიების მიტაცების მცდელობებზე; არც პოლიტიკურად არასასურველი ინდივიდების გატაცება-დაპატიმრების გამართლება შეიძლება, არც ბეიჯინგის მიერ ჰონგ კონგის პროტესტის ჩახშობის ან, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეის მმართველების დინასტიის

[100] Momtaz, R. (2020), 'Emmanuel Macron's Russian roulette', Politico, 14 February 2020, https://www.politico. eu/article/emmanuel-macron-russian-roulette-vladimir-putin-security-partner (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[101] მაგალითად, 2021 წლის მარტში გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „უსაფრთხოების, თავდაცვის, განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის ინტეგრირებულ მიმოხილვაში" ჩინეთი აღწერილია, როგორც „სისტემატური კონკურენტი", ხოლო რუსეთი - როგორც „მწვავე საშიშროება." სხვა სიტყვებით, თავისებურად, ორივე პრობლემურია. იხ., HM Government (2021), Global Britain in a Competitive Age: The Integrated Review of Security, Defence, Development and Foreign Policy, policy paper, 16 March 2021, https://www.gov.uk/government/publications/global-britain-in-a-competitive-age-the-integrated-review-ofsecurity-defence-development-and-foreign-policy/global-britain-in-a-competitive-age-the-integrated-reviewof-security-defence-development-and-foreign-policy (საიტზე წვდომა: 3 აპრილი, 2021).

მხარდაჭერის. ამ საკითხების შელამაზება არასწორი და არასაჭიროა. მაგრამ თავად საფრთხე განსხვავდება ამჟამად რუსეთის მიერ შექმნილი საფრთხეებისგან და პირველის აღიარება თავისთავად არ უნდა ამართლებდეს მოსკოვისადმი დამოკიდებულების შერბილებას.

სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, რუსეთისა და ჩინეთის მოქმედებების შედეგად შექმნილი გამოწვევების თანაარსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთს აქვს ფუფუნება, ერთს მიხედოს და მეორე უგულებელყოს. უფრო კონკრეტულად, „ჩინეთის წინააღმდეგ გაერთიანების“ არგუმენტს სულ მცირე ოთხი პრობლემა აქვს. პირველი, არასათანადოდ ფასდება რუსეთი და ზარალი, რომელიც მან შეიძლება მოგვაყენოს მაშინაც კი, როცა ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში იძირება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ღირსების ეტალონისგან შორს არის, დებულება, რომ ის რეგიონული თუ საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის უფრო სერიოზულ, გრძელვადიან საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე რუსეთი - და თანმხლები ვარაუდი, რომ კრემლის, როგორც პოტენციური მოკავშირის შემორიგება ნებისმიერ ფასად უნდა მოხდეს ამ საშიშროების წინააღმდეგ - ვერ ამართლებს რუსეთის მიერ საერთაშორისო წესებისა და ნორმების შელახვის კარგად დოკუმენტირებული ფაქტების უგულებელყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ მომავალში შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს, ამ ეტაპზე ჩინეთი არ არის ის სახელმწიფო, რომელიც გაბრაზებული კვეთს საერთაშორისო ზღვრებს მისი მეზობლების ანექსიის ან დესტაბილიზაციის მიზნით (რაც რუსეთმა გააკეთა უკრაინაში). ჩინეთის მთავრობის ამჟამინდელი უკომპრომისო საგარეო პოლიტიკა ნაწილობრივ დამოკიდებულია ბოლო წლებში სამხედრო ძალის გამოყენების ღია თუ ფარულ მუქარაზე და არა მის უშუალო დემონსტრირებაზე (რომელიმე დონეზე). განსხვავებით რუსეთისგან, ჩინეთისთვის ჯერ არ დაუმტკიცებიათ საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების ან სხვების მკვლელობის (ან მკვლელობის მცდელობის) ფაქტები. ამასთან, ჩინეთი დიდად არ ინტერესდება საზღვარგარეთ არჩევნების მანიპულირებით[102] - განსხვავებით რუსეთისგან, რომელიც სწორედ ამას აკეთებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით - იქნება ეს აშშ-ში, მადაგასკარსა თუ მონტენეგროში. ჩინეთი ისეთი სერიოზულობით არც ცდილობს დიქტატორების მხარდაჭერას, როგორც რუსეთი, რომელიც აქტიურად განაგრძობს ბელარუსში, სირიაში, ვენესუელასა თუ სხვა ქვეყნებში ასეთი მმართველების შენარჩუნებას.[103]

ჩინეთის წინააღმდეგ რუსეთის გამოყენების მცდელობასთან დაკავშირებული მეორე პრობლემა ისაა, რომ ეს ნაადრევად გამორიცხავს დასავლეთის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის მდგრადი ურთიერთობების პერსპექტივას. დასავლეთსა და ჩინეთს, დიდი ალბათობით, ხშირი და, ალბათ, საკმაოდ მწვავე უთანხმოება ექნებათ სხვადასხვა საკითხზე, თუმცა ეს ავტომატურად არ გულისხმობს, რომ შეუძლებელია ბეიჯინგთან რეალური თანამშრომლობა ისეთ

[102] ტაივანი, აშკარად, გამონაკლისია – თუმცა ეს ის ტერიტორიაა, რომელსაც ჩინეთი თავისად მოიაზრებს.
[103] შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით, კონტრასტი რუსეთის და ჩინეთის ქცევებს შორის ნაკლებად მკვეთრია, სინძიანში ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებების უხეში შელახვის ფაქტებს.

საკითხებზე, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, გლობალური სამხრეთის ქვეყნების ეკონომიკის განვითარება ან საერთოდაც, რადგან სიტყვამ მოიტანა, მოსკოვთან გამკლავება.

მესამე შეცდომა უბრალოდ ისაა, რომ ეს დიდი გარიგება, დიდი ალბათობით, არ იმუშავებს. ვლადიმერ პუტინის ამჟამინდელ რეჟიმთან რეალური ალიანსი შეუძლებელი აღმოჩნდა და დასავლელი დიპლომატების მიუღწეველ მიზნად დარჩება უახლოეს მომავალშიც, როგორც ამ ანგარიშის სხვა თავებში მოცემულმა მრავალმხრივმა განხილვებმა ცხადყო. მაშინაც კი, თუ დავუშვით, რომ რუსეთისთვის ზემოქმედების სფეროს დათმობა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის ნებაა, რა გარანტია არსებობს, რომ რუსეთი - შემორიგების შემდგომ (რასაც ზოგი მხარს უჭერს) - სანდო პარტნიორი გახდება და შეზღუდავს თავის დესტრუქციულ ქცევებს საერთაშორისო ასპარეზზე? და რა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ჩინეთთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარებაში დაგვეხმარება ან შეაკავებს ჩინეთის კონკრეტულ მოქმედებებს როგორებიცაა, მაგალითად, ტერიტორიული კონტროლის მოპოვება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ან ტაივანთან მიმართებით?

ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთი უფრო ბუნებრივად თანხვდება ჩინეთის შეხედულებებს კონკრეტულ საკითხებზე - მაგალითად, ადამიანის უფლებებზე - რამდენადაც ამ ქვეყანებს ბევრი საერთო აქვთ მმართველობის ავტოკრატიული სტილიდან გამომდინარე. მაგალითად ავიღოთ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის მარია ზახაროვას სიტყვები 2020 წლის ივნისში, როცა მან დანარჩენი სამყარო გაკიცხა ჰონგ კონგის მოვლენებთან დაკავშირებით ჩინეთის „საშინაო საქმეებში“ ჩარევისთვის. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩინეთი არ ცნობს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას, თუმცა ამის მიზეზია ტერიტორიულ მთლიანობაზე ბეიჯინგის პოზიციის ურყევად შენარჩუნება. რუსეთიც კარგად ხვდება, თუ როგორ განაპირობებს ტიბეტთან და სინძიანთან დაკავშირებული დღის წესრიგი ჩინეთის პოზიციას. მაგრამ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს არ გააკრიტიკებს ადამიანის უფლებების შელახვის გამო, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთის მოპყრობა სინძიანის უიღურ მოსახლეობასთან, ან რუსეთის ქცევა იმ პროტესტის მონაწილეებისადმი, რომელიც 2021 წლის იანვარში რუსეთში დაბრუნებული ალექსეი ნავალნის დაპატიმრებას მოჰყვა.მეოთხე და ბოლო შეცდომა არის იმის ვარაუდი, რომ მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზაცია ხელს შეუშლის რუსეთ-ჩინეთის ღერძის განვითარებას, რომელსაც შეუძლია - ალბათ, არაპირდაპირ - გაამლიეროს ჩინეთის მზარდი გავლენა და შესაძლებლობები. მაგრამ ასეთი ღერძი ბევრად ნაკლებ სავარაუდო პერსპექტივაა, ვიდრე ვარაუდობენ ხოლმე.[104] ის ფაქტი, რომ რუსეთი და ჩინეთი ერთად მუშაობენ საერთაშორისიო ინსტიტუტებში - მაგალითად, გაეროში - ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კიბერუსაფრთხოების მართვა და ადამიანის

[104] იხ. მითი 8: „ჩვენ უნდა ჩამოვაგდოთ განხეთქილება რუსეთსა და ჩინეთს შორის, რათა ხელი შევუშალოთ მათ ტანდემს დასავლეთის ინტერესების წინააღმდეგ.“

უფლებები,[105] თავისთავად არ ნიშნავს ამ ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობის გაღრმავებას, თუ, მაგალითად, პირველს (სტრატეგიული თვალსაზრისით) დასავლეთი გარიყავს კრიტიკის ან ეკონომიკური სანქციების საშუალებით. კოვიდ-19-ის წარმოშობის გამო, საერთაშორისო საზოგადოება ჩინეთის მიმართ ისედაც უარყოფითად განეწყო, რის ფონზეც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩინეთის მთავრობამ ამ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლად ისეთ პარიასთან დაახლოება მიიჩნიოს, როგორიც რუსეთია. დასავლეთის შიში, რომ ჩინეთი რუსეთს „წაართმევს“ ძირითადად განპირობებულია 2014 წლიდან რუსეთის ე. წ. აღმოსავლეთისკენ „შებრუნებით“. თუმცა ისიც საკითხავია, ეს შებრუნება მართლა მოხდა თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ურთიერთობა ჩინეთთან 1980-იანი წლებიდან უმჯობესდება, შემობრუნების ცნება მაინც ახალი ფენომენია. რეალურად, ეს არის კონსტრუქტი, რომელსაც რუსეთი დასავლეთის აუდიტორიების გასაღიზიანებლად იყენებს, ასევე, ცდილობს შექმნას ილუზია, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი არჩევანი აქვს. თუმცა, რეალობა ისაა, რომ რუსეთის ელიტა ლამის დაუჯერებლად დასავლურად ორიენტირებულია საგარეო პოლიტიკის რისკებისა და შესაძლებლობების განსაზღვრისას.

კოვიდ-19-ის წარმოშობის გამო, საერთაშორისო საზოგადოება ჩინეთის მიმართ ისედაც უარყოფითად განეწყო, რის ფონზეც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩინეთის მთავრობამ ამ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლად ისეთ პარიასთან დაახლოება მიიჩნიოს, როგორიც რუსეთია.

იმავდროულად, პოლიტიკა და პროტოკოლი მოსკოვში, ასევე, აბუნდოვნებს იმ ფაქტსაც, რომ რუსეთსაც ბევრი ფაქტორი უშლის ხელს ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებაში. რუსეთი, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, უფრთხის ჩინეთის ძალაუფლებას. კრემლის სიფრთხილე გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორიდან, იქნება ეს ორმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების აშკარა უთანასწორობა (ასიმეტრიულობა) თუ უკვე საუკუნოვანი შიში, რომელიც უკავშირდება ჩინეთ-რუსეთის საზღვრის ორ მხარეს მოსახლეობის მკვეთრ რაოდენობრივ სხვაობას.[106] რუსეთის უსაფრთხოების სამსახურების კულტურა და მენტალიტეტი ერთნაირად მიემართება მის მეზობლებს აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც: მაგალითად, რა უნდა ქნას ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა, როცა რუსეთი, რომელსაც თავად არ შეუძლია შესაფერისი ხარისხის ტექნოლოგიის წარმოება, იძულებულია გამოიყენოს ჩინური Huawei-ს 5G მოწყობილობები, განსაკუთრებით, როცა ბევრმა ქვეყანამ ეჭვქვეშ დააყენა შემდეგი თაობის ქსელებში Huawei-ს ტექნოლოგიის გამოყენების საკითხი კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო?

[105] მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოში, ორივე ქვეყანა ცდილობს ისეთი რეზოლუციების მხარდაჭერას, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებების ტრადიციულ ენას პრეზიდენტი სი ძინპინის „მოგება-მოგების“ მიდგომის სასარგებლოდ. ეს რუსეთს აწყობს. კიბერმმართველობის თვალსაზრისით, რუსეთმა და ჩინეთმა შეიმუშავეს გაეროში წარსადგენი წინადადება ახალი წესების შესახებ - შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის „ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქცევის კოდექსის პროექტის“ სახით (Draft Code of Conduct for Information Security) (გაეროს გენერალურ ასამბლეას წარედგინა 2011 და, შემდეგ, 2015 წლებში). ამ კოდექსის პროექტმა დიდი გამოხმაურება ვერ ჰპოვა, მაგრამ ეს ორი ქვეყანა კვლავ თანამშრომლობს კიბერუსაფრთხოების მიზეზით კიბერმმართველობიდან ადამიანის უფლებების კომპონენტის მოხსნის მიზნით (რაც მოიცავს „კიბერსუვერენულობის“ ხედვის ხელშეწყობას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მიერ ინტერნეტის კონტროლზე და ა. შ.).

[106] რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ფედერალური ოლქის მოსახლეობა 800 000 ადამიანია. მისი მოსაზღვრე ხეილუნძიანის პროვინციის (ჩინეთი) კი - დაახლოებით 28.3 მილიონი.

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

რუსეთთან მორიგება ნიშნავს იმ პოლიტიკასთან შეგუებას, რომელიც ეწინააღმდეგება დასავლეთის მიერ გაცხადებულ პრინციპებს და რომელიც მიუთითებს პოტენციურად სერიოზულ ზარალზე (კონფლიქტის მსხვერპლები, ტერიტორიების კარგვა და. ა.შ.) სხვა ქვეყნებში. რუსეთი მოითხოვს კონტროლს სუვერენულ სახელმწიფოებზე, რომლებიც უკვე 30 წელია დამოუკიდებლები არიან და რომლებისთვისაც (მიუხედავად ამ ანგარიშში გავრცელებული პრორუსული მითებისა) რუსეთის პრეტენზია უსაფუძვლოა. ისტორიულ ანალოგიას რომ დავესესხოთ, მოსკოვს სურს კიდევ ერთი „იალტის კონფერენცია“, რომელიც საშუალებას მისცემს მეზობელი ქვეყნების ტერიტორია თავის სასარგებლოდ „ჩამოჭრას.“ მაგრამ დასავლეთისთვის უკრაინის ჩაბარება ჩინეთის წინააღმდეგ თანამშრომლობის სანაცვლოდ არა მხოლოდ ღალატი იქნება უკრაინისადმი, არამედ სამომავლოდ ძირს გამოუთხრის დასავლეთის სანდოობას სხვა საერთაშორისო თეატრებში. საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეებს შეუერთდა მას შემდეგ რაც (როგორც იქნა) გაირკვა საერთო მტრის ვინაობა;[107] გრძელვადიან პერსპექტივაში აღმოსავლეთ ევროპისთვის ამას სავალალო შედეგები მოჰყვა. დღეს ჩინეთის წინააღმდეგ რუსეთთან შეთანხმება შეიძლება გამართლებული ჩანდეს, თუ დასავლეთი ჩინეთთან ომს დაიწყებს ან ჩიხში აღმოჩნდება. მაგრამ ჯერ ასეთი საჭიროება არ არსებობს.

ურთიერთობის ნორმალიზების მომხრეებს სურთ, რომ დააბრუნონ მე-19 საუკუნის გეოპოლიტიკის მსგავსი სიტუაცია, რომელშიც ძალაუფლების გამოყენება მოიცავს მუდმივ ცვალებადობას შეთანხმებებსა და ალიანსებში, ფასეულობების გაუთვალისწინებლად. გამოდის, რომ ამ მითის პოლიტიკური ზემოქმედება დასავლეთს უარს ათქმევინებს მის მიერვე დადგენილ წესებსა და ნორმებზე და, იმავდროულად, წაახალისებს რუსეთს, რომ წესების დარღვევას სასურველი შედეგები შეიძლება ჰქონდეს. დასავლეთის ქვეყნებში ფასეულობები შეიძლება იმაზე მეტად გაუფასურდეს, ვიდრე დღეს ხდება. ასე რომ, თუ დასავლეთი რუსეთს ხელს გაუწვდის, ამით უბრალოდ დაადასტურებს მოსკოვის შეხედულებას, რომ რუსეთი გეოპოლიტიკური „დამბალანსებელი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

დასავლეთის ძლიერი მხარეა მისი დემოკრატიული სისტემა, თუნდაც ასეთი მოშლილი, როგორიც ახლაა. რუსეთმა ეს იცის. პრინციპების კომპრომეტირება, რაც აუცილებელი იქნება რუსეთისთვის ხელსაყრელი გარიგების დადებისას, იმასაც მოსპობს, რაც ამ ძლიერებიდან დარჩა. რუსეთის შემორიგებით საკუთარ თავს დავასუსტებთ და განვაიარაღებთ.

[107] სსრკ ნაცისტური გერმანიის მოკავშირე იყო 1941 წლამდე, მას შემდეგ რაც გერმანია თავს დაესხა. უინსტონ ჩერჩილმა საბჭოთა კავშირთან ალიანსს ეშმაკთან გარიგება უწოდა.

როგორი იქნებოდა უკეთესი პოლიტიკა?

როგორც მანამდე ხშირად აღგვინიშნავს, უკეთესი პოლიტიკა იქნებოდა არსებული ფაქტების აღიარება და მათ საფუძველზე მოქმედება. ისტორია მოწმეა, რომ რუსეთი ცდილობს ძირი გამოუთხაროს დასავლურ ნორმებსა და ფასეულობებს აგრესიული გზებით; აუცილებელია ამასთან წინააღმდეგობა საქმით და არა მხოლოდ სიტყვებით. ამჟამად ეს ხდება მხოლოდ სანქციების საშუალებით, რაც უკმაყოფილების გამოხატვის საუკეთესო არაძალადობრივი საშუალებაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავარი რეაგირებაა და არა დარღვევების მონათვლა „ტიპურად“ და „სამწუხაროდ“ - სხვაგვარად, კრემლი ჩათვლის, რომ ასეთი ქცევა დასაშვებია და, მაშასადამე, მისი გამეორებაც შეიძლება.

წინა თავში ნაჩვენები იყო, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილების ჩამოგდების მცდელობები უშედეგო იქნება. შესაბამისად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ქვეყნებისადმი დამოკიდებულება განპირობებული უნდა იყოს მათი ღირსეული თუ უღირსი ქცევის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს დიდმა ნაწილმა უკვე თვალნათლივ დაინახა რუსეთის მიერ შექმნილი გამოწვევები, პოლიტიკის შემქმნელებს მაინც მუდმივად სჭირდებათ ამის შეხსენება. ჩინეთის აღმასვლაზე რეაგირება ნამდვილად კომპლექსური საკითხია, რომელიც დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებს კარგად უნდა ესმოდეთ, თუმცა, ამისდა მიუხედავად, საჭირო არ არის გადამეტებული რეაგირება და მდგრადი ურთიერთობის მიღწევის შანსის ნაადრევად დაკარგვა.

თავისთავად ნათელი უნდა იყოს, რომ ჩინეთის უფრო და უფრო ღრმა ნაკვალევი მსოფლიო რუკაზე და მისი დიპლომატიური თავდაჯერებულობა საკმაო საფიქრალს უჩენს დასავლეთს, რაც მოთხოვს საკითხების პრიორიტეტიზაციასა და მრავალ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლის უნარს. თუმცა ეს არ ცვლის შემდეგ მოცემულობას: რადაც არ უნდა იქცეს ჩინეთი, რუსეთის მოქმედებებთან ამას კავშირი არ აქვს.

მითი 10

„ევრაზიის ეკონომიკური კავშირი ევროკავშირის ნამდვილი და მნიშვნელოვანი ეკვივალენტია“

რუსეთი ცდილობს, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი ევროკავშირის პარტნიორად წარმოაჩინოს თავისუფალი ვაჭრობის მოსკოვის მიერვე შემოთავაზებულ ზონაში - „ლისაბონიდან ვლადივასტოკამდე. “ სინამდვილეში, ევეკ წარმოადგენს პოლიტიკურ პროექტს, რომელიც არ ხასიათდება ჭეშმარიტი საერთო ბაზრისთვის საჭირო ინსტიტუციური მდგრადობით.

კატარინა ვოლჩუკი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

რუსეთი ცდილობს ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (ევეკ)[108] ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან და სერიოზულ - ევროკავშირის დონის პროექტად წარმოაჩინოს - ევეკ-ის ხუთ წევრ სახელმწიფოსა და ევროკავშირს შორის პოტენციური თანამშრომლობის საშუალებად. ამ მტკიცების მთელი არსი ის არის, რომ ევეკ ევროკავშირის ევრაზიული ეკვივალენტია - სიღრმისეული ეკონომიკური ინტეგრაციის „ოქროს სტანდარტი,“ ევროკავშირისთვის

[108] ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (ევეკ) დაარსდა 2015 წლის იანვარში. იგი აერთიანებს რუსეთს - პროექტის მთავარ ინიციატორს ასევე, სომხეთს, ბელარუსს, კაზახეთსა და ყირგიზეთს. ევეკ მოიცავს ჯამში 180 მილიონი ადამიანისგან შემდგარ საერთო ბაზარს. მას წარმოაჩენენ, როგორც „შესაბამის მოთხოვნაზე დაყრდნობით“ შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც ეფექტურად მართავს რეგიონულ ეკონომიკას. ევრაზიული ინტეგრაციის საწყისების შესახებ, გთხოვთ, იხ., Dragneva, R. and Wolczuk, K. (eds) (2013), Eurasian Economic Integration: Law, Policy and Politics, Cheltenham: Edward Elgar.

დამახასიათებელი ხარვეზების გარეშე.[109] ამ პროექტის პოპულარიზაციის მიზნით, ევეკ (რეალურად, რუსეთი) ცდილობს ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ეკვივალენტურობაზე პრეტენზიის გასამყარებლად, რუსეთმა დასავლეთს შესთავაზა „ლისაბონი-ვლადივასტოკის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

ამ მითს რამდენიმე სხვადასხვა ასპექტი აქვს. პირველი - ევეკ-ს შეუძლია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასევე, ევროკავშირის *დე ფაქტო* ეკვივალენტურობაზე პრეტენზია ევეკ-სთან ურთიერთობას ღირებულ ინიციატივად წარმოაჩენს. მითის ბოლო ასპექტი გამომდინარეობს პირველი-ორიდან: თუ ევროკავშირსა და ევეკ-ს შორის თანაბარუფლებიანი შეთანხმება გაფორმდება, რუსეთი სერიოზულად დაადგება სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის გზას ზემოხსენებული ტრანსკონტინენტური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საფუძველზე და, უფრო მეტიც, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისთვის კეთილგანწყობილი პარტნიორი გახდება.

ვინ არიან მისი მხარდამჭერები და მიმდევრები?

დასავლეთში წამყვან მოთამაშეებს სჯერათ, რომ ევეკ-სთან ევროკავშირის პირდაპირი ურთიერთობების გაძლიერება და ამ ორი ბლოკის გამაერთიანებელი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა შეარბილებს გეოპოლიტიკურ დაძაბულობას. აზროვნების ეს სტილი თავს იჩენს რუსეთთან ურთიერთობებისადმი სხვადასხვა მიდგომაში 2014 წლიდან მოყოლებული. რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შემდგომ - იმავე წელს, ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობების გაუარესებამ ევროკავშირის პოლიტიკის შემქმნელებს დიდი თავსატეხი გაუჩინა - ჰქონოდათ თუ არა - ან რა გზებით უნდა ჰქონოდათ - ურთიერთობა რუსეთთან. ევროკავშირის ბევრმა ლიდერმა და ექსპერტმა ჩათვალა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა „შეუძლებელს შეძლებდა“ - ეს იქნებოდა დაძაბულობის შემცირების პრაგმატული საშუალება იმის მიუხედავად, რომ მთელი ამ დაძაბულობის მიზეზი უკრაინისადმი თავად რუსეთის აგრესია იყო.

2015 წელს ევროპის საგარეო მოქმედების სამსახურმა წარმოადგინა დოკუმენტი ევეკ-სთან დიალოგის ინიციატივის შესახებ რუსეთის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე მინსკის ხელშეკრულებებით[110] ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მომზადებული პაკეტის ფარგლებში. ეკონომიკური თანამშრომლობის მხარდაჭერას შემდეგ ხელი შეუწყო გარკვეულ ჯგუფებში გავრცელებულმა შიშებმა, რომ რუსეთთან არასაკმარისი თანამშრომლობა კარს გაუხსნიდა რეგიონში

[109] ამ შედარების თაობაზე მეტი ინფორმაცია, იხ., Dragneva, R. and Wolczuk, K. (2015), 'EU Emulation in the Design of Eurasian Integration', in Lane, D. and Samokhvalov, V. (eds) (2015), The Eurasian Project and Europe: Regional Discontinuities and Geopolitics, Houndmills and New York: Palgrave Macmillan, pp. 135–52.

[110] Foreign Affairs Council (2015), 'Issues Paper on Relations with Russia', https://blogs.ft.com/brusselsblog/ files/2015/01/Russia.pdf (წვდომა: 16 თებერვალი, 2021). იხ., also Liik, K. (2015), 'The real problem with Mogherini's Russia paper', European Council on Foreign Relations (ECFR), 20 January 2015, https://ecfr.eu/article/ commentary_the_real_problem_with_mogherinis_russia_paper402 (წვდომა: 8 აპრილი, 2021).

ჩინეთის გავლენის ზრდას. როგორც ცნობილია, 2019 წლის სექტემბერში მარკუს ედერერმა (Markus Ederer), ევროკავშირის ელჩმა რუსეთში, ევროპას მოუწოდა რუსეთსა და ევეკ-სთან „გაძლიერებული კოორდინაციისა“ და თანამშრომლობის მასშტაბური გაფართოებისკენ ჩინეთის მართულ „ევრაზიულ კონკურენციასთან“ წინააღმდეგობის მიზნით.[111]

გერმანია განსაკუთრებით აქტიურად უჭერს მხარს ამ ეკონომიკურ კავშირებს. 2014 წლიდან მოყოლებული, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი უპირატესობას ანიჭებს „ევროკავშირსა და ევეკ-ს შორის სავაჭრო საკითხებზე მოლაპარაკებებს“, რომელიც, პოტენციურად, ბლოკთაშორისი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წინაპირობაა და ზრდის საერთო ეკონომიკური სივრცის იდეის დამაჯერებლობას.[112] ასევე გერმანიაში, გერმანულ-რუსული ბიზნესსაზოგადოება (რომელიც მოიცავს გერმანულ Siemens-სა და რუსეთის Severstal-ს) ლობირებს მოლაპრაკებებს ევროკავშირსა და ევეკ-ს შორის, რომლის მიზანიც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევაა.[113] საფრანგეთიც ხელს უწყობს ამგვარ იდეებს: 2019 წელს პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა - დღესდღეობით მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზაციის ყველაზე აქტიურმა მხარდამჭერმა - განიხილა ბლოკთაშორისი ვაჭრობის დღის წესრიგი ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე.[114] უფრო მეტიც - გარდა იმისა, რომ სავაჭრო ინტეგრაციას ასეთი მაღალი დონის პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს, ექსპერტები და მეცნიერებიც თანხმდებიან, რომ ეს ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში არსებული კრიზისისა და უსაფრთხოების შეუქცევადი დილემის მოგვარების ერთადერთი საშუალებაა.[115]

ევეკ არ წარმოადგენს ევროკავშირის ევრაზიულ ანალოგს და რუსეთის მიერ მოშველიებული „ეკვივალენტურობის“ არგუმენტიც ხარვეზიანია. ევროკავშირისგან განსხვავებით, ევეკ არ იმართება ძლიერი და სახელმწიფოთაშორისი (საერთო) ინსტიტუტებით, რომლებსაც შეუძლია საერთო წესების კორპუსის შემუშავება და ამ წესების თავადვე აღსრულება.

რატომ არის ეს მითი არასწორი?

ნაკლებ მოსალოდნელია, რომ „ლისაბონი-ვლადივასტოკის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოაგვარებს რუსეთსა და ევროპას შორის არსებულ რეალურ პრობლემებს - პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ამოცანების შეუთავსებლობას დასავლეთთან (იხ. მითი 2: „რუსეთსა და დასავლეთს ერთნაირი მიზნები აქვთ“). მართლაც, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების პროცესში გერმანიასა და საფრანგეთს ავიწყდებათ ევეკ-ს ბუნება და არასწორად ესმით მოსკოვის განზრახვა. 2011-15 წლებში, რუსეთმა წარადგინა

[111] Foreign Affairs Council (2015), 'Issues Paper on Relations with Russia', https://blogs.ft.com/brusselsblog/ files/2015/01/Russia.pdf (წვდომა: 16 თებერვალი, 2021). იხ., also Liik, K. (2015), 'The real problem with Mogherini's Russia paper', European Council on Foreign Relations (ECFR), 20 January 2015, https://ecfr.eu/article/ commentary_the_real_problem_with_mogherinis_russia_paper402 (წვდომა: 8 აპრილი, 2021).
[112] Wagstyl, S. and Khalaf, R. (2014), 'Merkel offers Russia trade talks olive branch', Financial Times, 26 November 2014, https://www.ft.com/content/93e5e066-757a-11e4-b1bf-00144feabdc0.
[113] Kluge, J. and Richter, M. (2020), 'The Lisbon-Vladivostok Illusion', Riddle, 23 March 2020, https://www.ridl.io/en/the-lisbon-vladivostok-illusion (წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[114] თუმცა, ცხადი არ არის, კონკრეტულად რამდენად იზიარებენ ამ მოსაზრებებს ფრანგი საჯარო მოხელეები და დიპლომატები. იხ., Gressel, G., Liik, K., Shapiro, J. and Varma, T. (2019), 'Emmanuel Macron's very big idea on Russia', Commentary, ECFR, 25 September 2019, https://www.ecfr.eu/article/commentary_emmanuel_macrons_very_big_idea_on_ russia (წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[115] იხ., მაგალითად, Krastev, I. and Leonard, M. (2014), 'The New European Disorder', ECFR, November 2014, http://www.ecfr.eu/page/-/ECFR117_TheNewEuropeanDisorder_ESSAY.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021). ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Friedrich Ebert Stiftung)

„ინტეგრაციათა ინტეგრაციის“ ინიციატივა,[116] ფაქტობრივად - ამ ორი კავშირის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში გაერთიანების იდეა. თუმცა, 2021 წელს უკვე ცხადი ხდება, რომ რუსეთის ნამდვილი მიზანია, ევროკავშირს ეკონომიკური სანქციების მოხსნა აიძულოს.

მოსკოვის რიტორიკა თვითონაც შეუთავსებელია რეალობასთან: ევეკ არ წარმოადგენს ევროკავშირის ევრაზიულ ეკვივალენტს და რუსეთის მიერ მოშველიებული „ეკვივალენტურობის“ არგუმენტიც ხარვეზიანია. ევროკავშირისგან განსხვავებით, ევეკ არ იმართება ძლიერი და სახელმწიფოთაშორისი (საერთო) ინსტიტუტებით, რომლებსაც შეუძლია საერთო წესების კორპუსის შემუშავება და ამ წესების თავადვე აღსრულება. რუსეთი თვითონ ვერ ახერხებს ევეკ-ს შიგნით რეგიონული სავაჭრო ლიბერალიზაციის უზრუნველყოფას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევეკ ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური პროექტი არ არის და, შესაბამისად, სრული ილუზიაა თავისუფალი ვაჭრობა „ლისაბონიდან ვლადივასტოკამდე.“

ამ პრობლემის საფუძველი არის ფაქტი, რომ დასაწყისიდანვე მოსკოვმა შექმნა ევეკ, როგორც მექანიზმი, რომელსაც რეგიონში უნდა შეეჩერებინა რუსეთის ძალაუფლების შესუსტების პროცესი სსრკ-ის დაშლის შემდგომ. მისი მიზანი არ იყო უფრო მცირე ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაცია (რაც რუსეთის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოა).[117] მაშინაც კი, როცა ცდილობენ ევეკ წარმოაჩინონ საერთო ბაზრად და წესების შესაბამისად მოქმედ ერთეულად, ბლოკის არსებობის განმავლობაში, რუსეთმა არაერთხელ მიმართა ძალაუფლებით რიტორიკას სხვა წევრებთან მიმართებით. რუსეთის მიერ ევეკ-ს პოპულარიზების მცდელობების პარალელურად, დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა გაიაზრონ და აღიარონ ის ფაქტი, რომ ამ კავშირის მთავარი სარგებელი მოსკოვისთვის პოლიტიკური ხასიათისაა.[118] ევეკ რუსეთის ხელში სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ არჩევანზე ზემოქმედების მიღწევის მექანიზმია. ევეკ უზურნველყოფს თავისებურ „რბილ“ ჰეგემონიას, რომლის საშუალებითაც რუსეთი, რომელიც, ცხადია, ვერ მართავს სხვა წევრი ქვეყნების საშინაო ინსტიტუტებსა და პოლიტიკას, მაინც ახერხებს მათი საგარეო პოლიტიკის წარმართვას საკუთარი ინტერესების შესაფერისად, რაც რუსეთს ევრაზიის სტრატეგიული „კარიბჭის მცველის“ როლს ანიჭებს.

ქვემოთ მოცემული ორი ნაწილი უფრო დეტალურად აანალიზებს, თუ როგორ ძირეულად აბათილებს ევეკ-ს, როგორც მრავალი მხარის მომცველი ორგანიზაციის დამაჯერებლობას, პროექტის სტრუქტურა (დიზაინი) და ფუნქციონირება, ასევე, რუსეთის მიერ ვაჭრობის პოლიტიზირება:

განსაკუთრებით აქტიურად ლობირებს ევროკავშირისაა და ევეკ-ის თანამშრომლობას: მაგალითად, Dienes, A. (2020), Time to let down the drawbridge: Why engagement with the Eurasian Economic Union is in the EU's best interest, FES Perspective Paper, Vienna: Friedrich Ebert Stiftung, http://library.fes.de/pdf-files/bueros/ wien/15966.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[116] 6 van der Togt, T. (2017), The "Belarus Factor": From Balancing to Bridging Geopolitical Dividing Lines in Europe?, Clingendael Institute, pp. 5–13, http://www.jstor.org/stable/resrep05463.5 (წვდომა: 18 მარტი, 2021).

[117]რუსეთის ინტეგრაციის თავდაპირველი გეგმა უფრო პოლიტიკური გაერთიანების ხასიათს ატარებდა. თუმცა ბელარუსმა და ყაზახეთმა მოითხოვეს, რომ ევეკ შემოფარგლულიყო ეკონომიკური ინტეგრაციით, კონკრეტულად კი, რუსულ ბაზარზე წვდომის გაუმჯობესებით.

[118] იხ., Vinokurov, Ye. (2016), 'Евразийский экономический союз без эмоций' [ევრაზიის ეკონონომიკური კავშირი ემოციების გარეშე], Voprosy Ekonomiky (12): pp. 43–60

ევეკ-ის სტრუქტურა (დიზაინი) და ფუნქციონირება

ნებისმიერი საერთო ბაზრის შექმნა ეყრდნობა მძლავრ საშინაო და ზეეროვნულ ინსტიტუტებს: „ინსტიტუტებს, რომლებიც უფრო ძლიერია, ვიდრე მისი წევრი ნებისმიერი სახელმწიფო“, როგორც აღნიშნულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წესდებაში (EBRD).[119] წევრი სახელმწიფოებისგან, ასევე, მოითხოვება თანამშრომლობისა და ერთგულების მაღალი ხარისხი. ზედაპირულად, ევეკ დაჯილდოებულია ასეთი ინსტიტუტებით, ხოლო მისი წევრები გარეგნულად კისრულობენ ვალდებულებებს (რომელთა ხასიათი ძალიან განსხვავებულია ინტეგრაციის სხვადასხვა სფეროს მიხედვით). სინამდვილეში, ევეკ-სა და მის წევრ სახელმწიფოებში ძალიან რთულია სერიოზული და ეფექტიანი ინსტიტუციებისა და შესაბამისი ვალდებულებების პოვნა. ამის ერთ-ერთი ილუსტრაციაა სამართლებრივად გამყარებული პირობების ნაკლებობა ევეკ-ის ხელშეკრულებებსა და ვალდებულებებში, რაც ნიშნავს, რომ ინტეგრაცია ვრცელდება მხოლოდ პოლიტიკის ყველაზე ნაკლებ საკამათო, „ადვილ“ სფეროებზე (როგორიცაა, მაგალითად, მუშახელის თავისუფალი გადაადგილება). უფრო მეტიც, ინტეგრაცია, ასევე, დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოებს შორის დადებულ გარიგებებზე, რომელთაგან თითოეული ცდილობდა, უფრო ნაკლებ საკამათო სფეროებში მანევრირების სივრცე ეპოვა (როგორიცაა ევეკ-ს მასშტაბით ენერგეტიკული ბაზრის შექმნა).[120]

მაშინაც კი, როცა საერთო წესები დგინდება, შესაბამისობის საკითხი პრობლემური რჩება, რაც ხსნის, თუ რატომ გვარდება სავაჭრო კონფლიქტები ორმხრივი მოლაპარაკებებით და არა თავად ევეკ-ის მიერ შექმნილი ფორუმით. ევრაზიის ეკონომიკური კომისია, ევეკ-ის მუდმივმოქმედი საერთო ორგანო, არ განაგებს დღის წესრიგს და მისით ადვილად მანიპულირებენ წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით - რუსეთი.[121]

ევეკ-ის შიდა ვაჭრობის შესახებ არსებული მონაცემებით - თუ არ ჩავთვლით რუსეთსა და ბელარუსს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს - ჯერ კიდევ შორია რეალური ეკონომიკური ინტეგრაცია. მართლაც, ევეკ-ს შიგნით ვაჭრობა ჩავარდა ბლოკის შექმნისთანავე, რაც მიანიშნებს, რომ წევრების უმეტესობა ცდილობდა ვაჭრობის დივერსიფიცირებას მისი ინტეგრირების ნაცვლად. ევეკ-ის სხვა წევრებთან რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის ზოგადი მონაცემები აბსურდულად მწირია, მაგალითად, ჩინეთსა თუ ევროკავშირთან წარმოებული ვაჭრობის მაჩვენებლებთან შედარებით.[122] ევეკ-ის ვაჭრობის 80%-ზე მეტი წარმოებს გარე

[119] ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) (2012), Transition Report 2012: Integration Across Borders, London: EBRD, p. 65, https://www.ebrd.com/downloads/research/transition/tr12.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[120] ამ ინტეგრაციის შინაარსისა და მნიშვნელობის უფრო დეტალური მიმოხილვისთვის იხ., Dragneva, R. and Wolczuk, K. (2017), The Eurasian Economic Union: Deals, Rules and the Exercise of Power, Research Paper, London: Royal Institute of International Affairs, https://www.chathamhouse.org/2017/05/eurasian-economic-union (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[121] კომისიის ავტონომიურობა კომპრომეტირებული აღმოჩნდა თითოეული წევრი სახელმწიფოს უფლებით, რომ მოეთხოვა მისი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრების უპირატესობა - განსაკუთრებით, რუსეთის - ნიშნავს, რომ ეეკ-ს (ევრაზიის ეკონომიკურ კომისიას) და ევეკ-ის სხვა საერთო ინსტიტუტებს რეალურად არ შესწევთ ინტეგრაციის ძალა.

[122] ევეკ-ის შიდა ვაჭრობის 60 პროცენტზე მეტი წარმოებს რუსეთსა და ბელარუსს შორის. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ექსპორტში ყაზახეთის, ყირგიზეთისა და სომხეთის წილი 3.4, 0.4 და 0.3 პროცენტია (შესაბამისი თანმიმდევრობით). იხ., Giucci, R. (2018), 'The Eurasian Economic Union. Analysis from a trade policy perspective', presentation, https://berlin-economics.com/wp-content/uploads/2018-05-29_Presentation-EAEU_Moscow.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

პარტნიორებთან და არა თავად კავშირის წევრებს შორის; ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების მხოლოდ ერთი მესამედი უკავია გარე პარტნიორებთან ვაჭრობას.

მთავარი სტრუქტურული ხარვეზია რუსეთის სრული ეკონომიკური დომინანტურობა ევეკ-ზე, ასევე, ისიც, რომ მოსკოვს თავადაც დიდად არ სურს (ზემოხსენებული ეკონომიკური უპირატესობიდან გამომდინარე) მხოლოდ ამ კავშირით შემოიფარგლოს. 2019 წელს რუსეთის მშპ ევეკ-ის ერთიანი მშპ-ის 87 პროცენტს შეადგენდა[123] (ამის საპირისპიროდ, გერმანია და საფრანგეთი - ამჟამად ევროკავშირის ორი უდიდესი ეკონომიკა, 2019 წელს ევროკავშირის 27 ქვეყნის მშპ-ის 25 და 17 პროცენტს შეადგენდა (შესაბამისად), რაც მიუთითებს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ძალაუფლების უფრო დაბალანსებულ გადანაწილებაზე).[124] ეს ასიმეტრია ჩანს იმ ფაქტშიც, რომ ევეკ-ის შიდა ორმხრივი ვაჭრობის დიდი ნაწილი წარიმართება რუსეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა ბლოკზე ყველაზე ნაკლებ დამოკიდებულია. ეკონომიკის მოცულობის უთანასწორობა, ასევე, პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორები ნიშნავს, რომ რუსეთს შეუძლია ცალმხრივი და ერთპიროვნული მოქმედებები განახორციელოს ევეკ-ის შიგნით ისე, რომ არ გასწიოს არსებითი ხარჯი ან არ მოუწიოს შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება.[125]

რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა ევეკ-ის ფარგლებში

ევეკ-ის დაარსების დღიდან რუსეთმა არაერთხელ მიმართა სავაჭრო პოლიტიკას ისე, რომ ბლოკის წესები არაფრად ჩააგდო (რომლებიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იშვიათად არის იურიდიულად სავალდებულო). ზოგიერთ შემთხვევაში, რუსეთმა საერთოდ უგულებელყო მისი ცალმხრივი მოქმედების შედეგად კავშირის წევრი ქვეყნებისა და მთლიანად ევეკ-სთვის მიყენებული ზარალი. ასეთი ქცევა რუსეთისგან უპრეცედენტო სულაც არ არის: რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა უკვე დიდი ხანია, რაც პოლიტიზირებულია და პატივს არ სცემს საერთაშორისო სამართლებრივ - მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის[126] მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს. 2014 წელს, მაგალითად, რუსეთმა დაბლოკა ვაჭრობა უკრაინასთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი ევროკავშირიდან, დასავლეთის მიერ ფინანსურ-ეკონომიკური სანქციებზე შურისძიების სახით (საინტერესოა, რომ ახალბედა ეკონომიკური კავშირის სხვა წევრებმა არ მიბაძეს რუსეთის მაგალითს, მიუხედავად რუსეთის ზეწოლისა).[127] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთი თვითონვე არღვევს იმ ორგანიზაციის წესებს, რომლის საშუალებითაც ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობს და რომელთანაც, მისი აზრით, უნდა

[123] World Bank (2021), 'GDP (current US$) – Russian Federation, Armenia, Belarus, Kazakhstan, Kyrgyz Republic', World Bank Data, https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=RU-AM-BY-KZ-KG (წვდომა: 5 მარტი, 2021).
[124] Eurostat (2021), 'GDP and main components (output, expenditure and income)', https://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=nama_10_gdp&lang=en (წვდომა: 25 მარტი 2021)
[125] Buthia, S. (2019), 'Russia dominates Eurasian Union trade. Here are the numbers', Eurasianet, 18 October 2019, https://eurasianet.org/russia-dominates-eurasian-union-trade-here-are-the-numbers (წვდომა: 17 მარტი, 2021).
[126] Dragneva and Wolczuk (2013), Eurasian Economic Integration.
[127] Troitskiy, Ye. (2020), 'EEU: Ambitions larger than reality', Riddle, 9 March 2020, https://www.ridl.io/en/eeuambitions-larger-than-reality (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

ითანამშრომლოს ევროკავშირმა.[128] სავაჭრო პოლიტიკა არ წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკის დამოუკიდებელ, არაპოლიტიზირებულ მიმართულებას; სწორედაც რომ პირიქით ხდება.[129] კავშირში დიდი პოლიტიკური კაპიტალის ინვესტირებისა და მისი აქტიურად მხარდაჭერა-პოპულარიზაციის მიუხედავად, რუსეთი თვითონვე ზედმეტად ხშირად ახორციელებს იმ მოქმედებებს, რომლებიც ძირს უთხრის ევეკ-ს.[130]

რუსეთი თვითონვე არღვევს იმ ორგანიზაციის წესებს, რომლის საშუალებითაც ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობს და რომელთანაც, მისი აზრით, უნდა ითანამშრომლოს ევროკავშირმა.

გამომდინარე რუსეთის მიდრეკილებიდან, რომ ვაჭრობა პოლიტიკის იარაღად გამოიყენოს, ევეკ-სა და ევროკავშირს შორის ნებისმიერ შეთანხმებას ზედმეტად პრობლემურად წარმოგვიდგება. ძალიან შეზღუდულია პერსპექტივა, რომ რუსეთის არსებული ან თუნდაც მომავალი ხელისუფლება ამას შეცვლის.[131] მაშინ, როცა ევროკავშირი მისდევს მრავალშრიან, დიფერენცირებულ ეკონომიკურ ინტეგრაციას არაწევრებთან, ევეკ, რეალურად, იმართება რუსეთის საგანგებო პოლიტიკით, რომელიც ნიშნავს ერთგული სახელმწიფოებისთვის ხელსაყრელი გარიგებების შეთავაზებას და „მოღალატეების“ დასჯას.[132] საკუთარი საგარეო პოლიტიკის მიზნების შესრულებისთვის ევეკ-ის გამოყენების გარდა, რუსეთი ხელს უშლის ამ კავშირის წევრი სხვა ქვეყნების ინტეგრაციას გლობალური თავისუფალი ვაჭრობის ჩარჩოებში, რითაც გამოკეტილი ჰყავს ისინი რუსეთის მიერ მართულ სავაჭრო გარიგებებსა და ოპერაციებში.

ევეკ-ის სიღრმისეული პოლიტიზირების ასეთი გამოყენება რუსეთის მიერ ნიშნავს, ერთი სიტყვით, რომ ევეკ-ს არ შეუძლია ფუნქციონირება ევრაზიაში, როგორც ინტეგრაციის ორგანოს. ევეკ და ევროკავშირი ფუნდამენტურად განსხვავებულები და შეუთავსებლები არიან.

როგორ ზემოქმედებს მითი პოლიტიკაზე?

ევროკავშირის წევრებს შორის მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობაა სანქციების პოლიტიკის არიდების მიზნით რუსეთთან სავაჭრო ლიბერალიზაციის გამოყენების გონივრულობის თაობაზე. უბრალოდ ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე დავა არსებობს, უკვე თავისთავად აწყობს რუსეთს, რამდენადაც ევროპაში უთანხმოების პროვოცირება კრემლს საშუალებას აძლევს ისარგებლოს „დაყავი და იბატონეს“ ტაქტიკით.[133]

კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ ევროკავშირისა და ევეკ-ის თანამშრომლობისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხელშემწყობი ძალისხმევა ხშირად უგულებელყოფს ევრაზიული პროექტის ხარვეზებს და, სანაცვლოდ, ფოკუსირდება ურთიერთობების

[128] ევეკ-ის ფუნქციები მოიცავს სასაქონლო ვაჭრობის მოლაპარაკებებს, თუმცა არა საინვესტიციო თუ მომსახურების სფეროს გარიგებებს. თუმცა რუსეთი პრაქტიკულად ამასაც უგულებელყოფს, როცა საქმე ეხება მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ საკითხებს. იხ., Giucci (2018), ‘The Eurasian Economic Union’.
[129] ევეკ-ის საგრეო ურთიერთობებისა და რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებთან მათი თანხვედრის შესახებ ინფორმაციისთვის, იხ., Dragneva, R. (2018), The Eurasian Economic Union: Putin’s Geopolitical Project, Philadelphia: Foreign Policy Research Institute, https://www.fpri.org/article/2018/10/the-eurasian-economic-union-putins-geopolitical-project (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[130] Liik (2015), ‘The real problem with Mogherini’s Russia paper’ (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[131] იხ., მითი 16: „რაც პუტინს მოჰყვება, პუტინზე უკეთესი იქნება.“
[132] რუსეთს არ აინტერესებს ბარიერების დაწევა არაწევრ ქვეყნებთან და სჯის ყველას (მაგ., მოლდოვასა და უკრაინას), ვინც მის პრიორიტეტებს არ შეესაბამება. იხ., Dragneva, R. and Wolczuk, K. (2015), Ukraine between the EU and Russia: The Integration Challenge, Houndmills and New York: Palgrave Macmillan.
[133] 3 იხ., მაგალითად, Trenin, D. (2018), ‘Russia and Germany: From Estranged Partners to Good Neighbors’, Carnegie Moscow Center, 6 June 2018, https://carnegie.ru/2018/06/06/russia-and-germany-from-estrangedpartners-to-good-neighbors-pub-76540 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021)

ნორმალიზაციის სარგებლებზე.[134] ევროკავშირსა და რუსეთს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის წარუმატებელი მცდელობების მიუხედავად, ევროკავშირის ზოგიერთი წევრისთვის ევეკ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის იდეა მეტად მიმზიდველი ჩანს.[135] ეს ქმნის რისკებს, რომ შედეგად შექმნილი პოლიტიკაც ნაკლებ რეალისტური იქნება.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი სრულიად ვერ ამჩნევს ევეკ-სთან ეკონომიკური ინტეგრაციის უარყოფით მხარეებს. რაღაც თვალსაზრისით ამას თავად რუსეთის მოქმედებები განაპირობებს. მაგალითად, ევროკავშირისა და უკრაინის ასოცირების ხელშეკრულებაზე მისმა სამხედრო თუ ეკონომიკურმა რეაგირებამ ცხადყო, რომ მოსკოვი ვაჭრობის ლიბერალიზაციას და რეგულაციების ჰარმონიზების მცდელობას რუსეთისადმი საფრთხედ აღიქვამს. 2015 წლის დეკემბერში ასოცირების ხელშეკრულებაზე სამმხრივი მოლაპარაკების წარუმატებლობამ დაამტკიცა ევროკავშირის შეხედულება, რომ რუსეთს არც ფუნქციური გადაწყვეტილებები აინტერესებს და არც ვაჭრობის ლიბერალიზაცია; ცხადი გახდა, რომ მოსკოვი ფოკუსირებული იყო გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებზე და არა პრაგმატული გამოსავლის ძიებაზე.[136] იმ დროიდან ევროკავშირი შემოიფარგლება ევრაზიის ეკონომიკურ კომისიასა და ევეკ-ის ცალკეულ წევრებთან ოფიციალური დოკუმენტების მიმოცვლით, ტექნიკური და სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული ინტერაქციით. ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალი მხარის მომცველ წესრიგთან შესაბამისობის თვალსაზრისით ევეკ-ისადმი ევროკავშირის მიერ გამოვლენილი უნდობლობა სავსებით გამართლებულია.[137]

ყოველ შემთხვევაში, რუსეთთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის პერსპექტივა შესუსტდა 2014 წლიდან მოყოლებული. რუსეთს არ აქვს ევროკავშირთან ყოვლისმომცველი ვაჭრობის ლიბერალიზაციის ეკონომიკური ინტერესი, რამდენადაც ის ვერ ისარგებლებს ლიბერალიზაციისგან: რუსეთის ექსპორტის 82 პროცენტი ენერგეტიკული რესურსია, რომლებზეც დიდად არ მოქმედებს სავაჭრო ბარიერები. რუსეთის სხვა სექტორები

[134] იხ., მაგალითად, Friedrich Ebert Stiftung (2020), 'New publication: Time to let down the drawbridge: Why engagement with the Eurasian Economic Union is in the EU's best interest', 31 January 2020, https://www.fesvienna.org/e/new-publication-time-to-let-down-the-drawbridge-why-engagement-with-the-eurasian-economicunion-is-in-the-eus-best-interest (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[135] ევროკავშირი უკვე ძალიან დიდი ხანია ცდილობს რუსეთი თავისუფალ ვაჭრობაში ჩართოს. ეს მცდელობები წარუმატებლად დასრულდა იმიტომ, რომ ამ ორი მხარის მიზნები და პრიორიტეტები შეუთავსებელია. რუსეთიც არ იჩენს ინტერესს. წარსულში განცდილი მარცხის მაგალითები მოიცავს „ოთხი სივრცის" მოლაპარაკებებს ევროკავშირსა და რუსეთს შორის, რომელიც განიხილავდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობებს რამდენიმე სექტორში, ვაჭრობის ჩათვლით, ასევე, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ახალი შეთანხმების პერსპექტივებს. რუსეთის გაწევრიანებამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 2012 წელს ევროკავშირს ხელახლა გაუჩინა იმედი, რომ თავისუფალი ვაჭრობის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა. ამის ნაცვლად, ევროკავშირმა მიიღო რუსეთის მოთხოვნები ისეთი ზომების დაწესების თაობაზე, რომელიც შიდა პროდუქტსა და მომსახურებას ანიჭებდა უპირატესობას - რაც სრულიად ეწინააღმდეგება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სულისკვეთებასა და პრინციპებს. იხ., European Commission (2020), 'Countries and Regions: Russia', https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/russia/index_en.htm (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[136] Dragneva, R. and Wolczuk, K. (2015), 'No Economic Bright Spot in Tensions Between the EU, Ukraine and Russia', Chatham House Expert Comment, 17 December 2015, https://www.chathamhouse.org/2015/12/ no-economic-bright-spot-tensions-between-eu-ukraine-and-russia (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[137] ევროკავშირსა და ევეკ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შეიძლება იყოს მათ შორის შესაძლო გარიგების ძალიან სპეციფიკური და მოდერნიზებული ფორმა. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროგრესისა და პერსპექტივების შესახებ ევეკ-ის ფარგლებს შიგნით და მის გარეთ. იხ., Dragneva, R. and Hartwell, C. (2020), 'The Eurasian Economic Union: Integration Without Liberalization?', Post-Communist Economies, https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14631377.2020.1793586 (წვდომა: 16 თებერვალი, 2021).

კონკურენტუნარიანობით ვერ გამოირჩევა და რესტრუქტურიზაციის ძალიან მტკივნეული პროცესის გავლა მოუწევთ, თუ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში აღმოჩნდებიან.[138] ვაჭრობის ლიბერალიზაცია ხშირად საერთოდ არ წარმოადგენს ევეკ-სა და მესამე მსოფლიოს ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილს.[139]

ამისდა მიუხედავად, რუსეთი კვლავ ახმოვანებს ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ დაპირებებს, რათა დაიყოლიოს ევროკავშირის გავლენიანი წევრები რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების მოხსნაზე. მიუხედავად ზემოხსენებული პრაგმატული ცვლილებისა ევროკავშირის პოლიტიკაში, მოსკოვმა მაინც მოახერხა გერმანიის და საფრანგეთის მოხიბვლა, რომლებიც ევროკომისიას შეთანხმების გაფორმებისკენ მოუწოდებენ.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხს პოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებს, ევროკავშირის მხრიდან გონივრული იქნება ევეკ-სთან ურთიერთობებში მხოლოდ ტექნიკური ხასიათის დიალოგით შემოიფარგლოს. ევროკავშირმა უნდა აღიაროს, რომ მისი დაინტერესება სავაჭრო თანამშრომლობით რუსეთს, დიდი ალბათობით, პრიორიტეტებს ვერ შეაცვლევინებს ვერ პოსტსაბჭოთა სივრცეში და არც ევროკავშირთან მიმართებით. ამისთვის თვითონ რუსეთში უნდა განხორციელდეს ცვლილებები.

ევრაზიული პროექტის ბუნების გათვალისწინებით, ევეკ-სა და ევროკავშირს შორის ნებისმიერი სახით თანამშრომლობა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და უნდა ეყრდნობოდეს რუსეთის მიერ ნათელი და აშკარა წინაპირობების, მაგალითად, უკრაინასა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. დღესდღეობით ასეთ წინაპირობებთან შესაბამისობა მხოლოდ შორეული პერსპექტივაა და, ესეც - საუკეთესო შემთხვევაში.

ნებისმიერ დიალოგში, ასევე, მნიშვნელოვანი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ რუსეთი ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების დღის წესრიგის ერთადერთი წარმმართველი არ იქნება. დაუშვებელია ევროკავშირის აღმოსავლელი მეზობლების მარგინალიზაცია როგორც ევრაზიული ბლოკის შიგნით, ისე მის გარეთ.[140] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფო, მაგალითად, გერმანია, ეკონომიკური კავშირების

[138] როგორც კლუგემ და რიხტერმა (Kluge, Richter) აღნიშნეს: 'The current economic crisis and Western economic sanctions make it even less likely that Russia will bite the bullet and open up its economy' [ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისი და დასავლეთის ეკონომიკური სანქციები კიდევ უფრო ნაკლებსავარაუდოს ხდის, რომ რუსეთი თავს ხელში აიყვანს და ეკონომიკას გახსნის"]. Kluge and Richter (2020), 'The Lisbon-Vladivostok Illusion'.

[139] იხ., Dragneva and Hartwell (2020), 'The Eurasian Economic Union'. 2014 წლიდან მოყოლებული, ვაჭრობის სეკურიტიზაცია გაძლიერდა, როგორც აჩვენა რუსეთის მხრიდან იმპორტის ჩანაცვლების მცდელობებმა. უსაფრთხოების ინტერესების, სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტისა და რუსული ელიტის ინტერესების ურთიერთქმედება ვაჭრობის ლიბერალიზაციის წინააღმდეგ მოქმედებს. ველ შემთხვევაში, ყოვროკავშირთან სავაჭრო ბარიერების შემცირების პერსპექტივამ უფრო შორეულ მომავალში გადაინაცვლა.

[140] Dragneva-Lewers, R. and Wolczuk, K. (2015), 'Trade and geopolitics: should the EU engage with the Eurasian Economic Union?', EPC Policy Brief, Brussels: European Policy Centre, 2 April 2015, https://www.epc.eu/en/ Publications/Trade-and-geopolitics-should~252d94 (წვდომა: 8 აპრილი, 2021).

თვალსაზრისით, რუსეთთან და ევეკ-სთან „როგორც წესი, საქმიანი“ ურთიერთობების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული.

მოკლევადიან პერსპექტივაში პრაგმატული გარიგებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ვაჭრობის ხელშეწყობა - განსაკუთრებით, არასატარიფო ბარიერებთან - მაგალითად, სერტიფიკატებთან, სტანდარტებსა და რეგულაციებთან მიმართებით, შეიძლება უფრო წარმატებული აღმოჩნდეს (თუნდაც ასე უმნიშვნელო), ვიდრე შორსმიმავალი ინტეგრაციის მცდელობები.[141] ევროკომისიის ამჟამინდელი „დავიცადოთ და ვნახოთ“ სტრატეგია ევეკ-სთან მიმართებით ყველაზე გონივრულ მიდგომად რჩება.

[141] Giucci (2018), ‘The Eurasian Economic Union’. საერთო ჯამში, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ბუნების გათვალისწინებით, ევრაზიის ეკონომიკურ კომისია ვერ ჩაითვლება ევროკომისიის სრულფასოვან ანალოგად.

მითი 11

„უკრაინელები, ბელარუსიელები და რუსები ერთი ერია“

კრემლი მცდარად წარმოაჩენს რეგიონის ისტორიას, რათა ლეგიტიმური საფუძველი შეუქმნას მოსაზრებას, რომ უკრაინა და ბელარუსი რუსეთის „ბუნებრივი“ ზემოქმედების სფეროებია. თუმცა, ორივე ქვეყანას უფრო ძლიერი ევროპული ფესვები აქვს, ვიდრე კრემლს უნდა რომ აღიაროს.

ანაის მარინი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

მტკიცება, რომ უკრაინელები და ბელარუსები ე. წ. „სამსახოვანი რუსი ხალხის“ თუ „ერთიანი რუსი ხალხის“ (триединый/общерусский народ) ქვეერები არიან, წარმოადგენს იმპერიის დროინდელ, იდეოლოგიური მიზნებით შექმნილ ცნებას (კონსტრუქტს). ამ ცნების ამოსავალი დებულების თანახმად, პანრუსული ერი, რომელიც აღმოსავლეთ სლავების მართლმადიდებლური ქრისტიანობის აკვნიდან - კიევის რუსეთიდან წარმოდგება, მე-14 საუკუნიდან მოყოლებული ვითარდებოდა და ყვაოდა მოსკოვის სამთავროს გარშემო, რაც პრობლემურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ *ექსკლუზიურად* მოსკოვის მთავრებს მიეწერებათ კიევური მემკვიდრეობა და, შესაბამისად, დამაჯერებლობა ემატება რუსეთის სახელმწიფოებრიობის დაარსების დღემდე აქტუალურ მითს, არამედ, ასევე, დამახინჯებულია ისტორიაც რუსეთის ამჟამინდელი ირედენტისტული ამბიციების გასამართლებლად დასავლეთ სამეზობლოში.

ამ მითს თითქმის არავინ ეწინააღმდეგება (იხ., მომდევნო ნაწილი) რუსეთის ფედერაციაში და უკვე აქტიურად ცდილობენ მის პოპულარიზაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მხარი დაუჭირა ნეოიმპერიალისტურ დღის წესრიგს ე. წ. „ახლო საზღვარგარეთის“ თაობაზე. ამის საპირისპიროდ, დღესდღეობით უკრაინის ეროვნულობის საფუძველი სწორედ ამ მითის უარყოფაა, რაც ცხადყო 2004 წლის ნარინჯისფერმა რევოლუციამ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბელარუსიის ეროვნულობის აღორძინებაც შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც მსგავსი ანტიკოლონიალური

მცდელობა.[142]

ვინ არიან ამ მითის მხარდამჭერები და მიმდევრები?

ერთიანი რუსი ერის რუსოცენტრული ნარატივი ხელახლა გააქტიურდა ადრეული 2000-იანი წლებიდან კრემლის დეზინფორმაციული კამპანიის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო უკრაინისა და ბელარუსის რუსეთის „ბუნებრივი“ ზემოქმედების არეალად წარმოჩენა, რუსეთის გარეშე მათი გადარჩენის შეუძლებლობის ხაზგასმა და, შედეგად, ამ ორი ქვეყნის მიმართ რუსეთის პრეტენზიების ლეგიტიმაცია. მაშინ, როცა ამ მითს დასავლეთში ოფიციალური მხარდამჭერები არ ჰყავს (ან თითქმის არ ჰყავს), იგი მაინც გამჯდარია ბევრი დასავლური ქვეყნის საზოგადოებრივ არაცნობიერში, რაც ფარულად და არაპირდაპირ განაპირობებს „რუსული სამყაროს“ შესახებ სხვა მცდარი მოსაზრებების (მათ შორის, იმისაც, რომ უკრაინა და ბელარუსი ამ სამყაროს ნაწილია) საყოველთაო მიმღებლობას.

ერთიანი რუსი ერის რუსოცენტრული ნარატივი ხელახლა გააქტიურდა ადრეული 2000-იანი წლებიდან კრემლის დეზინფორმაციული კამპანიის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო უკრაინისა და ბელარუსის რუსეთის „ბუნებრივი“ ზემოქმედების არეალად წარმოჩენა და რუსეთის გარეშე მათი გადარჩენის შეუძლებლობის ხაზგასმა

ამ მითის გავლენა კვლავ საგრძნობია აღმოსავლეთ ევროპის გარეთ ბევრი არასპეციალისტის საერთო ხედვაში. სკოლის სახელმძღვანელოები თუ ეთნოგრაფიული რუკები მე-19 და მე-20 საუკუნეებში ავრცელებდა და ამყარებდა მითის ამოსავალ დებულებას, რომ უკრაინელები, ბელარუსები და რუსები ერთიანი რუსი ერის ნაწილებს წარმოადგენენ. უფრო მეტიც, ეს შეხედულება შენარჩუნდა დასავლეთის ზოგიერთი უნივერსიტეტის სილაბუსშიც, სანამ პოსტსაბჭოთა კვლევების სფერო არ ჩამოყალიბდა „ევრაზიულ კვლევებად“ - რაც ნიშნავს ყოფილი საბჭოთა კავშირის თითოეული მემკვიდრე ქვეყნის „სახელმწიფოებრიობის შენების“ პროცესის გათვალისწინებას. ფაქტობრივად, იმ ნარატივის არსებობა, რომელიც ცდილობს უკრაინისა და, განსაკუთრებით, ბელარუსის ისტორიის ალტერნატიულ რეპრეზენტაციას, თავისთავად მიუთითებს სამსახოვანი ერის მითის ფესვგადგმულობაზე დასავლელ არასპეციალისტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პირები არც კი ახსენებენ, მითი დროდადრო მაინც ამოტივტივდება ხოლმე საჯარო დისკუსიასა თუ მედიაში.[143]

ვარაუდი, რომ უკრაინელები და ბელარუსები საერთო რუსული ცივილიზაციის უბრალო ქვეჯგუფს წარმოადგენენ, ასევე, განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ორ სპეციფიკურ კონტექსტში. პირველი, ის მოქმედებს ტრადიციულად პრორუსული ქვეყნების ელიტასა და მოსახლეობაზე, რომლებიც თავისთავად არ ეწინააღმდეგებიან ერთიანი ერობის მითს. ამგვარ შეხედულებებს განსაკუთრებით ის ქვეყნები იზიარებენ, რომლებსაც რუსეთთან სლავური წარმოშობა და / ან მართლმადიდებლობა აკავშირებთ - უფრო კონკრეტულად, სერბეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი. მართლმადიდებელი ქრისტიანების უმრავლესობით დასახლებული

[142] Marin, A. (2019), ‘Belarusian nationalism in the 2010s, a case of anti-colonialism? Origins, features and outcomes of ongoing ‘Soft Belarusianisation’’, Journal of Belarusian Studies, 9(1): 27–50

[143] როგორც აღწერილი იყო ნაწილში „როგორ ზემოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?“, მითი, ასევე, ფეხმოკიდებულია აფრიკის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში და წყნაროკეანეთში.

თვითაღიარებული სეპარატისტული ქვეყნების (მაგ., აფხაზეთი და დნესტრისპირეთი) მმართველების დიდი უმრავლესობა, ასევე, პირდაპირ იჯერებს ამ მითს, რაც კარგად გამოჩნდა მათი ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა დროს (ძირითადად, 2000-იან წლებში) გაჟღერებულ განზრახვებში, რომ შეერთებოდნენ რუსეთისა და ბელარუსის ერთიან სახელმწიფოს, რომელიც იმ პერიოდში აღიქმებოდა საერთო სლავური კავშირის აღდგენის ჩანასახად.

მეორე, ულტრამემარჯვენე მოძრაობები და პოლიტიკური პარტიები დასავლეთ ევროპაში - მათ შორის, ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში - ზოგჯერ, ასევე, იზიარებენ სამსახოვანი რუსი ერის მითს. ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი პოზიცია ასახავს ამ მოძრაობებისა თუ პარტიების ზოგად შეხედულებებს. სხვა შემთხვევებში, იგი ემსახურება კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს და ხაზს უსვამს ნდობასა და მეგობრობას რუსეთთან. არსებობს კიდევ სხვა შემთხვევები, სადაც ამ მითს დამაჯერებლობა ემატება რუსეთის გავლენიანი აგენტებისა და ულტრამემარჯვენე ძალების თანამშრომლობის შედეგად.[144] მართლაც, დასავლეთის ულტრამემარჯვენე ლიდერების უმეტესობა (და ულტრამემარცხენე იდეოლოგებიც) დარწმუნებულები არიან, რომ უკრაინა და ბელარუსი არ წარმოადგენენ ცალკე ერებს. მხარდამჭერები, ასევე, მოიცავს ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს, რომლებიც ეთაყვანებიან „მარადიულ რუსეთს“, როგორც ზეაღმატებულ ცივილიზაციას, ასევე, ნეოევრაზიული იდეოლოგიის მიმდევრებს.

რატომ არის ეს მითი არასწორი?

ისტორიულად არასწორია იმის მტკიცება, რომ რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი ოდესმე ეროვნულ ერთიანობას წარმოადგენდა. 1240 წელს მონღოლების მიერ კიევის რუსეთის დაპყრობის დღიდან მოყოლებული, მოსკოვის მთავრები საკუთარ თავს კიევური მემკვიდრეობის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეებად მოიაზრებენ. მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებში ეს პერსპექტივა რუსეთის სამეფოს ოფიციალურ იდეოლოგიად იქცა, როცა ქვეყანა თანდათანობით კონტინენტურ იმპერიად ყალიბდებოდა. სამსახოვანი ერის მითი, უმთავრესად, ეყრდნობოდა დებულებას, რომ რუსული ისტორიოგრაფიის მიერ მოგვიანებით „მცირე რუსეთად“ („მალოროსია“) და „თეთრ რუსეთად“ („ბელარუსიას“) მონათლულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხი ე. წ. „დიდი რუსეთის“ გარშემო დაჯგუფებულ უბრალო ეთნოლინგვისტურ ქვეჯგუფებს წარმოადგენდა.

ეს ყველაფერი უარყოფს იმ ფაქტს, რომ კიევის რუსეთის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ლიტვინები (ლიეტუველები) და რუთენიელები მიეკუთვნებოდნენ ლიტვის საჰერცოგოს, ძლიერ და მრავალეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც მე-14 საუკუნეში - თავისი განვითარების ზენიტში - აკონტროლებდა დღევანდელი ლიტვის, ბელარუსის, მოლდოვისა და უკრაინის დიდ ნაწილს. საჰერცოგო დროთა განმავლობაში დასუსტდა და პოლონეთს შეუერთდა, პოლონეთის

[144] Shekhovtsov, A. (2017), Russia and the Western Far Right. Tango Noir, Abingdon: Routledge.

სამეფო ტახტთან საქორწინო კავშირის საფუძველზე, რასაც მოჰყვა 1569 წელს ორი ერის კონფედერაციული რესპუბლიკის დაარსება (რომელიც, ასევე, ცნობილია, როგორც პოლონურ-ლიტვური თანამეგობრობა). რესპუბლიკა საბოლოოდ გაიხლიჩა მეზობელ იმპერიებს შორის 200 წლის შემდგომ.

სამსახოვანი ერის მცდარი იდეა, მაშასადამე, უგულებელყოფს შინაგანად *ევროპულ* საფუძვლებს, რომელსაც უკრაინული და ბელარუსული ეროვნული იდენტობა ეყრდნობა, სანამ ეს „შუაში მდებარე მიწები“ არ დაიპყრო რუსეთმა მე-18 საუკუნის ბოლოს, მოახდინა მათი რუსიფიკაცია მეცხრამეტე საუკუნეში და გასაბჭოება - მეოცეში. მოსკოვის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მისაკუთრების მიუხედავად, კიევის რუსეთის ჭეშმარიტი და ფაქტობრივი მემკვიდრე ლიტვის საჰერცოგო იყო, რომელმაც გადმოიტანა კიევის რუსეთის საკანონმდებლო კოდექსი უკრაინულ და ბელარუსულ თემებში და ოფიციალურ სახელმწიფო ენად შეინარჩუნა ძველი ბელარუსული.

სამსახოვანი რუსი ერის იდეა, მაშასადამე, აკნინებს ცარისტული იმპერიის დასავლეთ პერიფერიაზე მცხოვრები ადგილობრივი კულტურების უნიკალურობას. ამასთან, ნიშანდობლივია მათი სპეციფიკური ლინგვისტური (რუთენიული) და რელიგიური (კათოლიკური და უნიატური) კომპონენტების უგულებელყოფაც.

თავისთავადი რუსულობის თუ რუსობის ნარატივი, ასევე, მცდარია, რადგან, გარდა აღმოსავლეთ სლავური ერთიანობის გულმხურვალე მხარდამჭერებისა, როგორიცაა, მაგალითად, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკა, უკრაინასა და ბელარუსში მისი თითქმის არავის სჯერა. სსრკ-ის დაშლის შემდგომ, სამსახოვანი რუსი ერის ცნება ძირითადად ემსახურებოდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის *primus inter pares (თანასწორთა შორის პირველი)* სტატუსზე რუსეთის პრეტენზიის ლეგიტიმაციას.

უკრაინა და ბელარუსი მოაზრებიან ნეოიმპერიალისტურ ჭრილში, რაც, ფაქტობრივად, ამყარებს რუსეთის პრეტენზიას მეზობელი სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევის უფლებაზე და, პოტენციურად, ლეგიტიმურად წარმოაჩენს კიდეც რუსულ ირედენტიზმს, მაგალითად, აღმოსავლეთ უკრაინის დონბასის რეგიონში.

როგორ ზემოქმედებს მითი პოლიტიკაზე?

ერთიანი რუსი ერის მითის რწმენას შეიძლება დღესაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს. პირველ რიგში, ეს ნიშნავს უკრაინისა და ბელარუსის მოაზრებას ნეოიმპერიალისტურ ჭრილში, რაც, ფაქტობრივად, ამყარებს რუსეთის პრეტენზიას მეზობელი სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევის უფლებაზე და, პოტენციურად, ლეგიტიმურად წარმოაჩენს კიდეც რუსულ ირედენტიზმს, მაგალითად, აღმოსავლეთ უკრაინის დონბასის რეგიონში. ვისაც თავი ერუდიციით მოაქვს და ხაზს უსვამს, რომ უკრაინა, როგორც მალოროსია ნიშნავს „მცირე რუსეთს“ ან ბელარუსს „ბელარუსიად“ (თეთრ რუსეთად) მოიხსენიებს, არაპირდაპირ უარყოფს ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუვერენულობისა და ტერიტორიული მთლიანობის უფლებას.

მეორეც, სამსახოვანი ერის მითს, როგორც წესი, ახლავს სხვა განცხადებებიც, რომელთა მიხედვითაც, საეჭვოა, რამდენად წარმოდგება ევროპის საერთო კულტურული ქსოვილიდან უკრაინული იდენტობა და „ბელარუსიელობის“ პერსპექტიულობა როგორც სახელმწიფოებრიობის საშენი მასალა. ეს სტერეოტიპები, როგორც წესი, ვრცელდება რუსოფილი პროპაგანდისტების მიერ და მიზნად ისახავს

არა მხოლოდ ისტორიკოსებს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მოგებას, არამედ რუსეთის გეოპოლიტიკური დღის წესრიგის მხარდაჭერას მატერიალური, სამართლებრივი და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მინიშნებებით, რაც იწვევს საზოგადოებრივი აზრის გაჯერებას მცდარი შეხედულებით, რომ უკრაინასა და ბელარუსს არ აქვთ უფლება, „დაუბრუნდნენ“ ევროპას (იმის საფუძველზე, რომ ისინი არც არასოდეს ყოფილან მისი ნაწილები) და რომ ისინი სამუდამოდ უნდა დარჩნენ ევროკავშირს, შენგენსა და NATO-ს გარეთ.

ხალხი, რომელიც მხარს უჭერს იმ აზრს, რომ 2014 წელს ყირიმი სამართლიანად „დაუბრუნდა“ ისტორიულ სამშობლოს, პრორუსულ პოზიციას ამართლებს სტერეოტიპული მტკიცებით: „ესენი მაინც ერთი ხალხია.“ პარლამენტის ბევრი ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე წევრი იზიარებს ამ შეხედულებას, რაც, ასევე, ზემოქმედებს მათ მიერ აღმოსავლელი მეზობლებისა და რუსეთისადმი ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების ფორმულირებაზე. ამ მითის მიმდევრებს, ასევე, როგორც წესი, სწამთ გაყალბებული რუსული ვერსია, რომ აღმოსავლეთ უკრაინის შეირაღებული კონფლიქტი სინამდვილეში სამოქალაქო ომს წარმოადგენდა, რომლის არიდებაც მანამდე შესაძლებელი იყო მხოლოდ უკრაინის ფედერალიზაციის საშუალებით. რა თქმა უნდა, ასეთი „გადაწყვეტა“ უფრო დაასუსტებდა კიევის კონტროლს ქვეყნის აღმოსავლეთ სასაზღვრო რეგიონებზე.

ბელარუსის შემთხვევაში, მითი, რომ ბელარუსიელები არ განირჩევიან რუსებისგან კიდევ უფრო ღრმად ფესვგამდგარია ზოგიერთ წრეში. ეს, თავის მხრივ, ამწვავებს შეხედულებას, რომ ბელარუსი უკვე არის ან, სულ მცირე, გადადის რუსეთის სრულ დაქვემდებარებაში. ბელარუსში (და ბელარუსის შესახებ) რუსეთის პროპაგანდის ეფექტურობის გათვალისწინებით, ასეთი დისკურსის გავრცელება პოტენციურად ზღუდავს სუვერენული ბელარუსის დამცველების შესაძლებლობას, შემოიკრიბონ საზღვარგარეთელი პარტნიორები მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად იმ შემთხვევაში, თუ კრემლმა გააძლიერა ბელარუსზე ზეწოლა „უფრო მჭიდრო ინტეგრაციის“ - ანუ, ერთ სახელმწიფოდ (ბელარუსისა და რუსეთის) გაერთიანების მიზნით.[145]

ასევე, როგორც აღნიშნულია 143-ე სქოლიოში, რუსეთი ცდილობს ამ მითის შენარჩუნებას ევრაზიის კონტინენტისგან მოშორებით მყოფი მცირე ან განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში - მაგალითად, აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნაროკეანეთში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამ ქვეყნებიდან თითოეულს აქვს ადგილი გაეროს გენერალურ ასამბლეაში, სადაც რუსეთს შეუძლია გამოიყენოს მათი ხმები საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების შესაფერისი რეზოლუციების დამტკიცების მიზნით. უკრაინელი დიპლომატის მიხედვით, ამ ქვეყნებიდან დელეგაციებს ნოსტალგიით ახსენდებათ საბჭოთა ხანა, როცა ცენტრალიზაცია ნიშნავდა მხოლოდ მოსკოვთან ლაპარაკს. ისინი, ასევე, ცდილობენ არსებული რუსულ-უკრაინული

[145] International Strategic Action Network for Security (iSans, მინსკი) (2019), 'Re-Building of the Empire: Behind the Facade of Russia-Belarus Union State', ანალიტიკური ანგარიშის შეჯამება, 2019 წლის დეკემბერი, https://isans.org/ en/re-building-of-the-empire-behind-the-facade-of-russia-belarus-union-state (წვდომა განხორციელდა: 17 თებერვალი, 2021).

კონფლიქტი წარმოაჩინონ რაღაც ტიპის უბრალოდ ოჯახურ უთანხმოებად.[146]

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

იმ რწმენის უწყვეტი ერთგულება, რომ უკრაინა და ბელარუსი „ეკუთვნის“ რუსეთს და არა ევროპას, უსამართლოდ უთხრის ძირს ორივე ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის ევროპულ მისწრაფებებს. დასავლეთის პოლიტიკის შემქმნელებმა და კომენტატორებმა უნდა უარყონ საერთო რუსი ერის ცნება და ის მცდარი შეხედულებები, რომლებიც მას ახლავს. ანალიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა ამ მითების გაქარწყლებისთვის და უფრო პროაქტიურად გამოკვეთონ უკრაინელი და ბელარუსი ხალხის სოციო-ისტორიული და ლინგვისტური უნიკალურობა. ამას გარდა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შენარჩუნება მისი მხრიდან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებამდე [ვიდრე არ შეწყვეტს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას], დასავლურ დემოკრატიებს საშუალებას მისცემს ხაზი გაუსვან რუსული რევიზიონიზმის მიუღებლობას. ბელარუსის სუვერენულობის მხარდასაჭერად მეტად სიმბოლური, თუმცა მნიშვნელოვანი აქტი იქნებოდა ტერმინი „ბელორუსიის“ ამოღება (Biélorussie ფრანგულად, Weißrussland [სიტყვა სიტყვით: „თეთრი რუსეთი“] გერმანულად და ა. შ.) ოფიციალური და დიპლომატიურ ენიდან. ეს რეფორმა უკვე დიდი ხანია გასატარებელია, რამდენადაც ზოგიერთი ევროპული მთავრობა განაგრძობს ტოპონიმიის კომისიის IGU/ICA[147] რეკომენდაციის უგულებელყოფას, რომელიც მოითხოვს ქვეყნისთვის ბელარუსის დარქმევას - ეს თხოვნა ბელარუსის რესპუბლიკამ გაეროში წარადგინა ჯერ კიდევ 1992 წელს.

[146] აშშ-ში უკრაინის ელჩის, ვოლოდიმირ იელჩენკოს პასუხი ავტორის კითხვაზე - „ვინ იჯერებს სამსახოვანი ერის მითს?“, რომელიც დაისვა ვირტუალური მრგვალი მაგიდის დროს (აშშ-ის ევროპული პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრის (CEPA) მიერ 2020 წლის 8 მაისს ორგანიზებული შეხვედრა - ‘The Fight for Freedom in Post-WWII Central and Eastern Europe’ [„თავისუფლებისთვის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში]).
[147] საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი / საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაცია [International Geographical Union/International Cartographic Association].

მითი 12

„ყირიმი ყოველთვის რუსეთის იყო“

ყირიმის ისტორიაში რუსეთის ბატონობა მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა. თუ მითს არ შევეწინააღმდეგებით, კრემლის გამონაგონი, რომ ყირიმი ნებაყოფლობით და ლეგიტიმურად „დაუბრუნდა“ რუსეთს, კიდევ უფრო წყალს შეუყენებს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და წაახალისებს სხვა ექსპანსიონისტურ ძალებსაც.

ორისია ლუსტევიჩი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

ამ მითის თანახმად, ყირიმი ყოველთვის რუსეთს ეკუთვნოდა და 2014 წლის მარტში რუსულმა ანექსიამ უბრალოდ ისტორიული უსამართლობა გამოასწორა. ამასთან, მითი ამტკიცებს, რომ რუსეთში დაბრუნება წარმოადგენდა ყირიმელი ხალხის მიერ „რეფერენდუმის“ საშუალებით გამოხატული ჭეშმარიტი ნების აღსრულებას, რამდენადაც მათი დიდი ნაწილი საერთოდაც ეთნიკურად რუსი და რუსულენოვანია.

თავდაპირველად, რუსეთის ხელისუფლება ყირიმის ანექსიას წარმოაჩენდა, როგორც ნახევარკუნძულის დიდი ხნის განმავლობაში ნანატრ და სამართლიან „დაბრუნებას“ ნამდვილ სამშობლოში. რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, მიხედვით, „ხალხის გონებაში, ყირიმი ყოველთვის იყო და არის რუსეთის განუყოფელი ნაწილი.“[148] მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის გასამართლებლად მოწყობილი რეფერენდუმი დიდი ზეწოლის ქვეშ წარიმართა და მხოლოდ ანექსიის პოსტფაქტუმ ფორმალობას წარმოადგენდა, პუტინმა განაცხადა: „ჩვენ გავმართეთ რეფერენდუმი

[148] 8 RT (2014), ‘Полный текст обращения Владимира Путина по Крыму’ [ყირიმის შესახებ ვლადიმერ პუტინის მიმართვის სრული ტექსტი], 18 მარტი, 2014, https://russian.rt.com/article/24532 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების მკაცრი დაცვით. ჩვენთვის საკითხი დახურულია.“[149]

ვინ არიან ამ მითის მხარდამჭერები და მიმდევრები?

საერთაშორისო საზოგადოებაში ბევრისთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა ნარატივი, რომ რუსეთმა უბრალოდ კუთვნილი დაიბრუნა - განსაკუთრებით, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელმაც 2018-ში დიდი შვიდიანის ლიდერებს განუცხადა: „ყირიმი რუსულია, იმიტომ რომ იქ მყოფი ყველა ადამიანი რუსულად საუბრობს.“[150] ტრამპის ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამებოდა მის უწინდელ ნათქვამს: „მსმენია, რომ ყირიმელ ხალხს ურჩევნია რუსეთთან ყოფნა და არა იქ, სადაც ახლა არიან.“[151]

საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსები რეალისტური და „დიდი გარიგების“ სკოლებიდან დასავლეთს სთავაზობენ, კეთილი ნების ჟესტის სახით, მიუტევოს რუსეთს ყირიმში საერთაშორისო სამართლის დარღვევა, ყირიმის განსაკუთრებული ისტორიისა და მისი მოსახლეობის მეტწილად რუსული ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით.

ევროპაშიც, ძირითადად, კრემლთან მჭიდრო კავშირების მქონე მემარჯვენე პოპულისტური პარტიებისა და პოლიტიკოსების ჯგუფი ავრცელებს „ყირიმი რუსეთისაა“ ნარატივს. გერმანიაში, Alternative für Deutschland (AfD) [„ალტერნატივა გერმანიისთვის“] ეთანხმება პუტინს, რომ ყირიმში განხორციელებული სვლა წარმოადგენდა „საზოგადოების ჭეშმარიტი სურვილის“ შესაბამის მოქმედებას. AfD-ის წარმომადგენლები, მათ შორის, ბუნდესტაგის წევრებიც, რეგულარულად სტუმრობენ ყირიმს, უკრაინის ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად.[152] საფრანგეთში, მარინ ლე პენი (Marine Le Pen), ეროვნული ერთობის (მანამდე ეროვნული ფრონტის) ლიდერი, ასევე, ციტირებდა რუსულ სცენარს, როცა მან განაცხადა, რომ „ყირიმი ყოველთვის რუსეთი იყო.“[153] მსგავსი რიტორიკა ისმოდა იტალიის პრემიერ მინისტრის მაშინდელი მოადგილის მატეო სალვინისგან (Matteo Salvini), რომელმაც უარყო, რომ 2014 წლის რეფერენდუმი ყალბი და ფასადური იყო და დასძინა, რომ „არის ისტორიულად რუსული ტერიტორიები, რუსული კულტურითა და ტრადიციებით, რომლებიც ლეგიტიმურად ეკუთვნის რუსეთის ფედერაციას.“[154]

ამას გარდა, საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსები რეალისტური და „დიდი გარიგების“ სკოლებიდან დასავლეთს სთავაზობენ, კეთილი ნების ჟესტის სახით, მიუტევოს რუსეთს ყირიმში საერთაშორისო სამართლის დარღვევა, ყირიმის განსაკუთრებული ისტორიისა და მისი

[149] Litvinova, D. (2018), ‘Putin proposed eastern Ukraine vote to Trump in Helsinki – report’, Guardian, 20 ივლისი, 2018, https://www.theguardian.com/world/2018/jul/20/putin-proposed-eastern-ukraine-vote-to-trump-in-helsinki-report (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[150] Nardelli, A. and Ioffe, J. (2018), ‘Trump Told G7 Leaders That Crimea Is Russian Because Everyone Speaks Russian In Crimea’, BuzzFeed.News, 14 ივნისი, 2018, https://www.buzzfeednews.com/article/albertonardelli/ trump-russia-crimea (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[151] Massie, C. and Kaczynski, A. (2016), ‘Trump Called Russia’s Invasion Of Ukraine “So Smart” In 2014’, BuzzFeed.News, 1 აგვისტო, 2016, https://www.buzzfeednews.com/article/christophermassie/trump-calledrussias-invasion-of-ukraine-so-smart-in-2014 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[152] Röpcke, J. (2019), ‘AfD-Abgeordnete zu „Putin-Kaffeefahrt“ auf der Krim’ [AfD-ის წევრი პარლამენტარები ყირიმში ყირიმში „ყავის დასალევად ჩასული პუტინის“], Bild, 20 აპრილი, 2019, https://www.bild.de/politik/ausland/politik-ausland/privat-unterwegs-afdhetzt-von-der-krim-gegen-deutschland-und-eu-61373546.bild.html (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[153] CNN (2017), ‘Marine Le Pen: There was no invasion of Crimea’, 1 თებერვალი, 2017, https://edition.cnn.com/ videos/world/2017/02/01/france-intv-amanpour-marine-le-pen-b.cnn (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[154] Weymouth, L. (2018), ‘‘Italy has done a lot — maybe too much’’, Washington Post, 19 ივლისი, 2018, https://www.washingtonpost.com/outlook/italy-has-done-a-lot--maybe-too-much/2018/07/19/dc81a292-8acf11e8-8aea-86e88ae760d8_story.html (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

მოსახლეობის მეტწილად რუსული ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით.[155] ზოგიერთი ავტორი ღიად მოუწოდებს დანარჩენებს ამგვარი გარიგებისაკენ, „თავად ნახევარკუნძულზე არსებული ცნობილი განწყობების“ გათვალისწინებით.[156]

რატომ არის ეს არასწორი?

ყირიმის ისტორიის შესახებ წერილობითი წყაროების ექვს პროცენტზე ნაკლები (ძვ. წ. IX საუკუნიდან დღემდე) ეთმობა რუსეთის გავლენას. 2014 წლამდე, ყირიმი რუსეთის დაქვემდებარებაში ჯამში სულ 168 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.[157] ფაქტობრივად, რუსეთი ერთ-ერთია იმ რამდენიმე სახელმწიფოთაგან, რომლებიც ნახევარკუნძულზე გაბატონებას ცდილობდნენ. მისი ისტორიის ადრეულ ეტაპზე, ყირიმი საბერძნეთს ეკუთვნოდა, შემდეგ კი, დიდი ხნის განმავლობაში, სხვადასხვა ცივილიზაციისა და იმპერიის გადაკვეთის წერტილად იქცა. მეთხუთმეტე საუკუნის შუა პერიოდში ნახევარკუნძულზე თანაარსებობდა ყირიმის სახანო, სანაპირო ზოლზე განთავსებული გენუის კოლონიები და სამხრეთ დასავლეთში მდებარე თეოდოროს სამთავრო (ბიზანტია). შემდეგ სახანო განივრცო და, მომდევნო 300 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, როგორც ოტომანთა იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფი პროტექტორატი. ყირიმი იყო მინიატურული აღმოსავლეთი, თურქულ-ისლამური კულტურით.

რუსეთმა ყირიმი დაიპყრო 1783 წელს, როცა ცდილობდა დასავლეთით გაფართოებას და ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შუა აღმოსავლეთზე კონტროლის მოპოვებას. ეკატერინე დიდის ამბიცია იყო ახალი ბიზანტიის დაარსება კონსტანტინოპოლში, რომლის იმპერატორიც მისი შვილიშვილი კონსტანტინე გახდებოდა. 1853–56 წლებში რუსეთი დამარცხდა ყირიმის ომში და, შედეგად, აეკრძალა შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლა, რამაც დროებით შეაკავა რეგიონში რუსეთის მუდმივი ტერიტორიული ამბიციები; თუმცა 14 წლის შემდეგ, რუსეთმა ცალმხრივად მაინც დაარღვია ხელშეკრულება და განაგრძო სამხედრო ძალების რაოდენობის ზრდა.

იმპერიული რუსეთი და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირიც არ ენდობოდნენ ყირიმელი თათრების ადგილობრივ მოსახლეობას. რუსული პოლიტიკა იყო იძულებითი გადასახლება, კოლონიზაცია და რუსიფიკაცია ბატონობისა და გავლენის გასამყარებლად და შესანარჩუნებლად. ნახევარკუნძულის დემოგრაფიამ დიდი ცვლილებები განიცადა 1783 წლის ანექსიისა და ყირიმის ომის მომდევნო პერიოდებში ყირიმელი თათრების იძულებითი გასახლების შედეგად. 1944 წელს დამატებითი გადასახლებები წარმოადგენდა ხანგრძლივი იმპერიალისტური პრაქტიკის გაგრძელებას, რომელიც გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობის გაძევებას და მათ მიწების მისაკუთრებას. 2001 წელს უკრაინის ბოლო ოფიციალური აღწერის

[155] O'Hanlon, M. (2017), Beyond NATO: A New Security Architecture for Eastern Europe, Washington, DC: Brookings Institution Press, https://www.brookings.edu/book/beyond-nato (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[156] Goldstein, L. J. (2019), 'The War in Ukraine Must End', National Interest, 24 November 2019, https://nationalinterest.org/feature/war-ukraine-must-end-99022 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[157] Yermolenko, V. (ed.) (2019), Re-Vision of History: Russian Historical Propaganda and Ukraine, Kyiv: K.I.S, https://ukraineworld.org/storage/app/media/Re_vision_2019_block%20eng.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

თანახმად, ყირიმის მოსახლეობის სამი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 60 პროცენტი - ეთნიკური რუსები, უკრაინელები- 24 პროცენტი, ხოლო ყირიმელი თათრები - 10 პროცენტი.

ყირიმი საბჭოთა უკრაინის ნაწილი უფრო დიდხანს იყო, ვიდრე საბჭოთა რუსეთის. კიდევ ერთი პოპულარული მითის თანახმად, ნახევარკუნძული უკრაინას საჩუქრად გადაეცა 1954 წელს „1654 წელს რუსეთთან მისი [უკრაინის] შეერთების“ აღსანიშნავად. სინამდვილეში, უკრაინისთვის ყირიმის გადაცემა მიზნად ისახავდა ნახევარკუნძულის ეკონომიკის გაუმჯობესებას, რომელიც იმხანად ძალიან დასუსტებული იყო წყლის მარაგისა და ფერმერების ნაკლებობის გამო.

ყირიმის ისტორიის ბოლო თავი 2014 წელს რუსეთის მიერ ანექსიამდე, იყო ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. ამ რესპუბლიკას (დამოუკიდებელი უკრაინის ნაწილი და ერთადერთი თვითმმართველი რეგიონი გაერთიანებული უკრაინის შიგნით) ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, ჰყავდა პრემიერ-მინისტრი და პარლამენტი. მიუხედავად იმისა, რომ ყირიმის კონსტიტუცია იცავდა რუსული ენის სპეციალურ სტატუსს, თავად რესპუბლიკა მხარს უჭერდა უკრაინის დამოუკიდებლობას (1991 წელს სსრკ-ისგან უკრაინის გამოყოფის თაობაზე გამართულ რეფერენდუმში ყირიმის მოსახლეობის 54-მა პროცენტმა ხმა მისცა დამოუკიდებელ უკრაინას, მათ შორის, 57-მა პროცენტმა - სევასტოპოლიდან).

1991 წლიდან მოყოლებული, ყირიმში არ არსებობდა მსხვილი სეპარატისტული მოძრაობა. დაძაბულობის პერიოდები კიევსა და სიმფეროპოლს შორის, ძირითადად, უკავშირდებოდა კრიმინალური ჯგუფების აქტივობის აღკვეთას და ეკონომიკური კონტროლის გამო კონკურენციას. ამ პერიოდის განმავლობაში, რუსეთი მუდმივად ჩართული იყო ამ დინამიკაში და აქტიურად აფინანსებდა პრორუსულ ჯგუფებსა და პოლიტიკოსებს. რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო სევასტოპოლში განლაგებული შავი ზღვის ფლოტის გაძლიერება და ეს მოახერხა კიდეც.[158]

რაც 2014 წლის მარტსა და თებერვალში მოხდა, სრულმასშტაბიანი (სრული სპექტრის) სამხედრო - საზღვაო და სახმელეთო - ოპერაცია იყო, რომელსაც, ასევე, ხელს უწყობდა მიზანმიმართული ანტიუკრაინული საინფორმაციო კამპანია.[159] დაბოლოს, როცა ყირიმის დაპყრობის ლეგიტიმაციის მიზნით რეფერენდუმი გაიმართა 2014 წლის 16 მარტს - ფაქტობრივად, იარაღის მუქარის ქვეშ - კრემლმა შელახა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. რუსეთის აგრესიულ დეზინფორმაციულ კამპანიამდე საზოგადოებრივი აზრი აშკარად

[158] ანექსიის დროს, რუსეთ-უკრაინას შორის მოქმედებდა კანონიერი შეთანხმება ყირიმში რუსული ფლოტის განთავსების შესახებ 2042 წლამდე.

[159] რუსეთმა დაარტყა უკრაინას ქვეყნისთვის ყველაზე რთულ პერიოდში, როცა კიევში ევრომეიდანის შემდეგ ძალაუფლების ვაკუუმი შეიქმნა. ანექსიის სტრატეგიას სამი მიმართულება ჰქონდა. პირველი, რუსეთმა განახორციელა მდგრადი და მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანია, რომელიც დაიწყო ევრომეიდანის რევოლუციის შემდგომ და გაგრძელდა ანექსიის პროცესის ჩათვლით. რუსეთი ავრცელებდა ანტიუკრაინულ განწყობას, ცდილობდა ჩაენერგა შიში კიევში მყოფი ახალი მთავრობის მიმართ და მოეხდინა ყირიმის მოსახლეობის პოლარიზება ყირიმელი თათრებისა და რუსეთის მიერ ნახევარკუნძულის დაპყრობის ყველა მოწინააღმდეგის დაპირისპირებით რუსულენოვან მოსახლეობასთან. მეორე, 2014 წლის 20 თებერვალს მან გამოიყენა როგორც სამხედრო, ისე გასამხედროებული (ნახევრად სამხედრო) დანაყოფები ადმინისტრაციული შენობების დასაკავებლად. სხვადასხვა დროს, 30000-ზე მეტი სამხედრო იყო ჩართული ოპერაციაში. ბოლოს, 2014 წლის 16 მარტს, რუსეთმა ჩაატარა იძულებითი რეფერენდუმი ოკუპაციის გასამართლებლად.

ემხრობოდა ყირიმის დარჩენას უკრაინის ფარგლებში.[160] თუმცა, ხმის მიცემის პროცედურამდე, მათ, ვინც უკრაინაში დარჩენას ემხრობოდნენ, ვერ შეძლეს თავისუფლად კამპანიის წარმოება. ხმის მიცემაში, ასევე, არ ფიქსირდებოდა ყირიმის უკრაინის ნაწილად (ავტონომიურ რესპუბლიკად, მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით) დარჩენის არჩევანი. უფრო მეტიც, კრემლმა არსებითად გააყალბა რეფერენდუმში მონაწილეთა საერთო მაჩვენებელიც. რუსული წყაროს მიხედვით, ამომრჩეველთა 82-მა პროცენტმა დააფიქსირა თავისი აზრი, ხოლო რუსეთის საპრეზიდენტო საზოგადოების ერთ-ერთი წევრისა და ადამიანის უფლებების საბჭოს მონაცემებით, გამოცხადებული ხალხის ჯამური რაოდენობა 30-50 პროცენტს შორის მერყეობდა.[161] მათი ინფორმაციით, ასევე, დაფიქსირდა არჩევნების გაყალბების ფაქტები (მაგალითად, მრავალჯერადი ხმის მიცემის შემთხვევები).

ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ დაასკვნა, რომ რეფერენდუმი უკანონო იყო, რამდენადაც იგი არღვევდა როგორც უკრაინის, ასევე, ყირიმის კონსტიტუციებს.[162] ეს პროცესი, ასევე, ვერ პასუხობდა ევროპული დემოკრატიის სტანდარტებს და ვერ უზრუნველყოფდა შინაარსიან მოლაპარაკებებს დაინტერესებულ მხარეებს შორის. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლების ორგანიზაციამ (ეუთო) არ გამოგზავნა დამკვირვებლები, რამდენადაც მან, ასევე, ბათილად ცნო რეფერენდუმი.[163] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციამ, ასევე, გამოკვეთა 16 მარტის ხმის მიცემის პროცესის უკანონობა.[164]

როგორ ზემოქმედებს მითი პოლიტიკაზე?

რუსული ყირიმის მითმა ბევრი დასავლელი პოლიტიკის შემქმნელი დაარწმუნა, რომ მისი ნამდვილობის მხარდაჭერა გონივრული იქნებოდა, განსაკუთრებით, თუ ეს უფრო დიდი და სარფიანი გარიგებების წინაპირობებს შექმნიდა. ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარება, ზოგიერთი გადმოცემით, ჰენრი კისინგერმა პრეზიდენტ ტრამპს შესთავაზა.[165] მსგავსადვე, მაიკლ ფლინს (Michael Flynn) ტრამპის მაშინდელ მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში,

[160] 2013 წლის მაისში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების 53 პროცენტს უნდოდა სტატუს კვოს შენარჩუნება და ნახევარკუნძულს უკრაინის ნაწილად თვლიდა. მხოლოდ 23-მა პროცენტმა თქვა, რომ სურდათ ყირიმის გამოყოფა უკრაინისგან და რუსეთთან გაერთიანება. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (2013), 'Public Opinion Survey Residents of the Autonomous Republic of Crimea May 16 – 30, 2013', https://www.iri.org/sites/default/files/2013%20 ოქტომბერი,%207%20Survey%20of%20Crimean%20Public%20Opinion,%20May%2016-30,%202013.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[161] Bobrov, Ye. (2014), 'Проблемы жителей Крыма' [ყირიმის მოსახლეობის პრობლემები], წევრების ბლოგები, რუსეთის ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭო სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების შესახებ, 22 აპრილი, 2014, http://president-sovet.ru/members/blogs/bobrov_e_a/problemy-zhiteley-kryma- (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[162] ვენეციის კომისია (2014), 'On "Whether The Decision Taken By The Supreme Council Of The Autonomous Republic Of Crimea In Ukraine To Organise A Referendum On Becoming A Constituent Territory Of The Russian Federation Or Restoring Crimea's 1992 Constitution Is Compatible With Constitutional Principles"', 21 მარტი, 2014: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)002-e (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[163] ეუთო (2014), 'OSCE Chair says Crimean referendum in its current form is illegal and calls for alternative ways to address the Crimean issue', 11 მარტი, 2014, https://www.osce.org/cio/116313 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[164] გაეროს გენერალური ასამბლეა (2014), 'General Assembly Adopts Resolution Calling upon States Not to Recognize Changes in Status of Crimea Region', 27 მარტი, 2014, https://www.un.org/press/en/2014/ga11493. doc.htm (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[165] Buncombe, A. (2016), 'Henry Kissinger has 'advised Donald Trump to accept' Crimea as part of Russia', Independent, 27 დეკემბერი, 2016, https://www.independent.co.uk/news/people/henry-kissinger-russia-trumpcrimea-advises-latest-ukraine-a7497646.html (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

შესთავაზეს „მშვიდობის გეგმა“, რომელიც რუსეთს იჯარით გადასცემდა ყირიმის ტერიტორიას 50 ან 100 წლის ვადით.[166]

განხორციელების შემთხვევაში, ასეთი ნაბიჯები უარესად შეასუსტებს ისედაც უკვე მყიფე საერთაშორისო წესრიგს. არგუმენტი, რომ ყირიმი კანონიერად ეკუთვნის რუსეთს უგულებელყოფს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის უხეში ხელყოფის ფაქტს, რითაც პანდორას ყუთს ხსნის საზღვრების გადახედვისა თუ მსოფლიოს სხვა ნაწილებში პოტენციური კონფლიქტების წარმოშობის თვალსაზრისით.[167] ამასთან, ასეთი ქცევა დაადასტურებს რუსეთის ნეოიმპერიალისტურ ხედვას და „ზემოქმედების არეალის“ ლოგიკას, რაც თავისთავად გულისხმობს არასწორ დებულებას, რომ რუსეთს უფლება აქვს ისე მოექცეს შედარებით მცირე და სუსტ მეზობელ სახელმწიფოებს, როგორც საჭიროდ ჩათვლის, განსაკუთრებით იქ, სადაც ეთნიკურად რუსი თუ რუსულენოვანი ხალხი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს.[168]

რუსეთის მიერ ყირიმის მიწის მიტაცების მიღება ნიშნავს მსოფლიოში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პერსპექტივისთვის წყლის შეყენებას.

ასეთი შეხედულებების ერთგულება ნიშნავს იმ საკმაოდ მნიშვნელოვანი უსაფრთხოების რისკების უგულებელყოფას, რომლებსაც რუსეთის ამჟამინდელი რეჟიმი უქმნის ევროპას; ილუზიის შენარჩუნებას, რომ პუტინის რუსეთი შეიძლება კარგი მოკავშირე აღმოჩნდეს კონტინენტზე ჩინეთის მზარდ ძალაუფლებასთან წინააღმდეგობის პროცესში; ასევე, ფაქტობრივად, რუსეთისთვის პოსტსაბჭოთა რეგიონის ხუთ გაყინულ კონფლიქტში აქტიური ჩართულობის (მთავარი მონაწილის სტატუსის) პატიებას. რეალპოლიტიკის არგუმენტების საყოველთაო დამაჯერებლობამ განაპირობა რუსეთის დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში 2019 წლის ივნისში, მიუხედავად იმისა, რომ კრემლს არც გამოუსწორებია და არც უარუყვია მის მიერვე ჩადენილი საერთაშორისო სამართლის ის დარღვევები, რომლებმაც თავდაპირველად მისი წევრობის შეჩერება გამოიწვია. რუსეთს დაუსჯელობა, თავის მხრივ, ძირს უთხრის PACE-ის მისიასა და დამაჯერებლობას, ასევე, მრავალმხრივობის, როგორც ასეთის, არსს.

ამ მითის გავრცელება, ასევე, ემუქრება სანქციების ამჟამინდელ რეჟიმს, რომელიც დაწესდა 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიის შემდგომ და ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას (ევროსაბჭოს მიერ). იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჯუზეპე კონტე (Giuseppe Conte) ღიად მუშაობდა სანქციების მოხსნაზე[169] (ამჟამინდელი პრემიერი მარიო დრაგი (Mario Draghi) იტალიისგან მომავალ რისკს ამცირებს,

[166] Twohey, M. and Shane, S. (2017), ‘A Back-Channel Plan for Ukraine and Russia, Courtesy of Trump Associates’, New York Times, 19 თებერვალი, 2017, https://www.nytimes.com/2017/02/19/us/politics/donaldtrump-ukraine-russia.html?_r=0 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[167] ევროპის ბევრმა ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები მე-20 საუკუნეში. უნდა დაიბრუნონ თუ არა ბულგარეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა და რუმინეთმა თავიანთი „ისტორიული“ მიწები? თუ ევროპა ვერ მოახერხებს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვისას თავისივე კონტინენტის გულში, როგორი იქნება გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებისთვის? ბეიჯინგი ყურადღებით აკვირდება, რა ფასის გადახდა მოუწევს რუსეთს მიწების მიტაცებისთვის. ყირიმის გამო დაუსჯელობამ შეიძლება ჩინეთს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში უფრო მკვეთრი ზომებისკენ უბიძგოს, ტაივანის თუ, პოტენციურად, მონღოლეთის წინააღმდეგ.

[168] თუ იმპერიული რუსეთის საზღვრები თანამედროვე რუსეთის ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველია, მაშინ, რატომ გავჩერდეთ ყირიმზე? მაგალითად, ესტონეთში ნარვას მოსახლეობის 80 პროცენტი ეთნიკური რუსია და ეს ტერიტორია სანქტ-პეტერბურგის გუბერნიაში შედიოდა. და ჩრდილოეთ ყაზახეთს რაღა ვუყოთ, რომლის მოსახლეობის 50 პროცენტი ეთნიკურად რუსია? სამხედრო ძალის გამოყენებით ჩატარებულმა პლებისციტმა რუსეთის ტერიტორიულ ექსპანსიას შეიძლება ლეგიტიმურობის იერი მისცეს და კრემლმაც თვითგამორკვევის (საკუთარი ბედის გადაწყვეტის) ნარატივი ბოლომდე თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

[169] Reuters (2019), ‘Italy PM says is working to try to end sanctions against Russia’, 8 მარტი, 2019, https://www.reuters.com/article/us-italy-conte-russia/italy-pm-says-is-working-to-try-to-end-sanctions-against-russia-idUSKCN1QP221 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

რამდენადაც ის, დიდი ალბათობით, ევროკავშირის ხელმძღვანელების პროსანქციურ უმრავლესობას დაუჭერს მხარს). ამასობაში, გერმანიაში ხელმძღვანელობის ცვლილებამ, რომელიც მოჰყვება 2021 წლის ფედერალურ არჩევნებს, შეიძლება გაზარდოს ქვეყნის მიმღებლობა რუსეთისთვის სანქციების მოხსნის საკითხში. უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა კი ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს პირდაპირ არაგონივრული უწოდა.

დაბოლოს, რუსეთის მიერ ყირიმის მიწის მიტაცების მიღება ნიშნავს მსოფლიოში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პერსპექტივისთვის წყლის შეყენებას. 1994 წელს, უკრაინამ უარი თქვა ბირთვულ სტატუსზე. ამის სანაცვლოდ, ბუდაპეშტის მემორანდუმმა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მიანიჭა ბირთვული სახელმწიფოების, განსაკუთრებით, რუსეთის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოსგან (თანახელმომწერები იყვნენ საფრანგეთი და ჩინეთი) გარანტიები. ეს გარანტიები დაირღვა 20 წლით გვიან. საერთაშორისო საზოგადოების უუნარობა, რომ დაიცვას ის ვალდებულებები, რომლებსაც კისრულობს, პროცესის დისკრედიტაციას ახდენს.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ ევროკავშირმა და აშშ-მა კვლავ უერთგულონ უკრაინის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას და ეს ცხადად გააგებინონ რუსეთს. ანექსიის უკანონობა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ. ერთა საერთაშორისო თანამეგობრობამ კვლავ უნდა შეინარჩუნოს რუსეთის ფედერაციის ნაწილად ყირიმის არაღიარების პოლიტიკა, ისევე, როგორც არ აღიარებდა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კონტროლს. ბალტიისპირეთის ქვეყნებს 50 წელი დასჭირდათ სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. არ არის გამორიცხული, რომ ყირიმის შემთხვევაშიც ასე იქნება.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში არაღიარების უწყვეტი პოლიტიკა აიძულებს რუსეთს შეწყვიტოს ყირიმის მილიტარიზაცია და დააბრუნოს ნახევარკუნძული სუვერენული უკრაინის შემადგენლობაში.[170] თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი პოლიტიკა დაეხმარება დასავლეთს კოლექტიურად დაიცვას და უერთგულოს 1945 წლის შემდგომი პერიოდის მსოფლიო წესრიგსა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.[171]

---

[170] 20,000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებულ პირს, რომელიც ყირიმიდან გამოიქცა, უნდა ჰქონდეს სახლში დაბრუნების უფლება. საერთაშორისო საზოგადოებამაც და რუსეთმაც უნდა ცნოს ყირიმელი თათრები კუნძულის აბორიგენ მაცხოვრებლებად და მოექცეს მათ შესაფერისად, ამ განსაკუთრებული სტატუსის საფუძველზე. რუსეთის მიერ ყირიმელი თათრების ინსტიტუციური დევნა უნდა შეწყდეს. საჭიროა მეტი ზეწოლა რუსეთზე, რომ აღსრულდეს საერთაშორისო სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილება ყირიმელი თათრების თვითმმართველობის ორგანოს - მეჯლისის - ფუნქციონირების ხელშეწყობის თაობაზე. საერთაშორისო სამართლის სასამართლო (ICJ) (2017), 'Application Of The International Convention For The Suppression Of The Financing Of Terrorism And Of The International Convention On The Elimination Of All Forms Of Racial Discrimination', მუხლი 106(1)(a), 19 აპრილი, 2017, ჰაააგა: ICJ, https://www.icj-cij.org/files/case-related/166/166-20170419-ORD-01-00-EN. pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021); და გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) (2019), ანგარიში უკრაინაში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, 16 თებერვალი - 15 მაისი, 2019, მუხლი 103, ნიუ-იორკი, ჟენევა: OHCHR, https://www.ohchr.org/Documents/Countries/UA/ReportUkraine16Feb-15May2019_EN.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[171] ანექსიის შემდგომ ნახევარკუნძულზე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების მკვეთრი გაუარესება დააფიქსირა ადამიანის უფლებებზე მომუშავე არაერთმა ჯგუფმა. იხ., მაგალითად, Unrepresented Nations and Peoples Organization (UNPO) (2017), 'Crimean Tatars', 19 ოქტომბერი, 2017, https://unpo.org/members/7871. რუსეთმა უნდა

პოლიტიკოსებმა რუსეთი უნდა მოიხსენიონ ყირიმის ოკუპანტ ძალად - ეს ფაქტია, რომელიც უკვე ცნო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ,[172] PACE-მ,[173] საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ, სხვა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.[174]

ყირიმთან დაკავშირებული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ უნდა შენარჩუნდეს და შესაფერისად გატარდეს სანამ რუსეთი არ შეწყვეტს ოკუპაციას; უნდა გაფართოვდეს, თუ შავ ზღვაზე სიტუაცია უფრო გამწვავდა. მეტად სამწუხარო იყო, რომ არ მოხდა ევროპული სანქციების არსებითი გამკაცრება როცა რუსეთმა სამი უკრაინული საზღვაო ხომალდი დაიკავა აზოვის ზღვის შესასვლელში 2018 წელს, ან კომერციული ნავიგაციისთვის მუდმივი ხელის შეშლისა და ქერჩის სრუტის ხიდის მშენებლობით გამოწვეული გარემო დაზიანებების გამო. აუცილებელია სანქციების ამჟამინდელი რეჟიმის გამკაცრება, რომელსაც ბევრი რუსული, საერთაშორისო და უკრაინული კომპანიაც კი არღვევს.

უკრაინის უსაფრთხოება უნდა გამყარდეს მისი საზღვაო შესაძლებლობების გაძლიერებით, ლოგისტიკით, კიბერუსაფრთხოების დაცვითა და უსაფრთხო კომუნიკაციებით. რუსეთის მიერ ყირიმის უკიდურესი მილიტარიზაცია და ამ უკანასკნელის მიერ თვითნებურად შემოღებული უკანონო შეზღუდვები აზოვის ზღვაში ნავიგაციაზე ზრდის როგორც შავი ზღვის, ასევე, ხმელთაშუაზღვის აუზის დაუცველობას რუსული საფრთხეებისადმი. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს წვდომის ხელშეშლისა და მანევრირების შეზღუდვის შესაძლებლობების გაზრდას, რათა შექმნას ექსკლუზიური ზონა და არ დაუშვას შავ ზღვაში NATO-ს წარმომადგენლობა. რუსეთი, ასევე, იყენებს ნახევარკუნძულს სირიაში სამხედრო ოპერაციების ბაზად. 2013 წლიდან მოყოლებული ყირიმის სამხედრო პერსონალის რაოდენობა გაიზარდა ლამის სამჯერ და არსებობს ნიშნებიც, რომ საბჭოთა დროის ატომური ინფრასტრუქტურის აღდგენაც დაიწყო. NATO-მ უნდა დაიწყოს ფიქრი შავ ზღვაში თავისი შემადგენლობის გაძლიერებაზე და გამოიყენოს უკრაინაში ახალი გაძლიერებული შესაძლებლობების პროგრამა, როგორც შავი ზღვის უსაფრთხოების გაზრდის საშუალება. უკრაინა, შეიძლება, ასევე, ჩართული იყოს ევროკავშირის PESCO-ს (მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობა) სქემაში.

გახსნას ყირიმი ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისარის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საველე მისიებისა და ადამიანის უფლებების მონიტორინგის სხვა სანდო მისიების მიერ შესაფერისი მოკვლევის ჩასატარებლად.

[172] მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეა (2019), 'Problem of the militarization of the Autonomous Republic of Crimea and the city of Sevastopol, Ukraine, as well as parts of the Black Sea and the Sea of Azov', გენერალური ასამბლეის მიერ 2019 წლის 9 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია, https://undocs.org/en/A/RES/74/17 (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[173] ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) (2018), 'Ukrainian citizens detained as political prisoners by the Russian Federation', რეზოლუცია 2231, 28 ივნისი 2018, http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/ Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=24994&lang=en (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

[174] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) (2019), Report on Preliminary Examination Activities 2019, მუხლი 270, 5 დეკემბერი, 2019, ჰააგა: ICC, https://www.icc-cpi.int/itemsDocuments/191205-rep-otp-PE.pdf (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

მითი 13

„1990-იან წლებში ლიბერალური ბაზრის რეფორმა რუსეთისთვის არასახარბიელო აღმოჩნდა“

რუსეთისთვის ლიბერალიზაცია თავისთავად შეუძლებელი არ ყოფილა და არც რეფორმებს გამოუწვევია მისი ეკონომიკური დაღმასვლა - სინამდვილეში, პრობლემა ის იყო, რომ ხელი შეუშალეს პოსტსაბჭოთა ეკონომიკიდან გადასვლის პროცესის სრულყოფილ განხორციელებას.

ფილიპ ჰენსონი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

„ისტორიის გადაწერა ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ნეოლიბერალურმა რეფორმამ [რუსეთში] შეუქცევადი ეკონომიკური დაღმასვლა გამოიწვია.“ ეს მითია, რომელიც რუსი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (გარდა ძალიან მცირე ჯგუფებისა) დაიჯერა და რომელსაც ყველაზე საგრძნობი გავლენა აღმოაჩნდა. რუსი ხალხის საერთო უნდობლობა და ანტიპათია 1990-იანი წლების რეფორმატორებისადმი საფუძვლად უდევს მათი გამგრძელებლების (ეკვივალენტური შეხედულებების მქონე თანამედროვე პოლიტიკოსების) არაპოპულარობასა და წარუმატებლობას არჩევნებში. ყველაზე წარმატებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, ალექსეი ნავალნი, დაპატიმრებამდე მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ იბრძოდა და არა - თავისუფალი ბაზრის რეფორმისთვის.

ვინ არიან ამ მითის მხარდამჭერები და მიმდევრები?

ზემოთ მოყვანილი სიტყვები წარმოადგენს ცნობილი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატ იოზეფ შტიგლიცის ციტატას 2003 წელს Guardian-ში გამოქვეყნებული სტატიიდან.[175] როგორც ბევრი მემარცხენე დასავლეთში, ისიც უარყოფითად იყო განმსჭვალული კომუნიზმის ნგრევის შემდგომ პირველ ათწლეულში რუსი რეფორმატორების პოლიტიკისადმი, რომელსაც პირდაპირ უკავშირებდა 1989-1999 წლებში რუსეთის ეკონომიკურ კრახს.

მითი, რომ სწორედ ლიბერალურმა რეფორმებმა დაღუპა რუსეთი 1990-იან წლებში, ზოგიერთ ევროპელ პოლიტიკის შემქმნელს მოსწონს კიდეც - მემარჯვენეებსა თუ მემარცხენეებს, რომლებიც ვლადიმერ პუტინის რეჟიმისადმი კეთილგანწყობილნი არიან - მაგალითად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი.

რატომ არის ეს მითი არასწორი?

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ფაქტებს, რომ ა) 1990-იანებში სცადეს ბაზრის რეფორმა და ბ) ეკონომიკა ჩამოიშალა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბ-ს გამომწვევი მიზეზია ა. ნეოლიბერალურ - უფრო ზუსტად, ლიბერალურ დღის წესრიგსა და განხორციელებულ ღონისძიებებს შორის შეუთავსებლობა საკმაოდ საგრძნობი გახდა. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მთავარი პრობლემა იყო შემდეგი: რეფორმები არ განხორციელდა ისე, როგორც დაგეგმილი და გათვალისწინებული იყო.

ეკონომიკის წარუმატებელი სტაბილიზაცია იყო მთელი რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი მარცხი და იგი განხორციელდა რეფორმატორების ნების საწინააღმდეგოდ.

დასავლეთის საკონსულტაციო მხარდაჭერა, რომელიც ძირითადად ხორციელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ეუთოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის საშუალებით, ზოგადად, ეყრდნობოდა, ე. წ. ვაშინგტონის კონსენსუსს. ამ სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვით, ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში უნდა დაეწყოთ ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციისა და პრივატიზაციის პროცესი. ეს ნიშნავს, რომ მათ მოუწევდათ ფასების ლიბერალიზაცია, ვალუტის კურსის ჩათვლით; ინფლაცია უნდა გაეკონტროლებინათ ფულის მარაგისა და საჯარო ფინანსების მართვის საშუალებით; და როგორღაც უზრუნველეყოთ საწარმოო აქტივების გადასვლა სახელმწიფოდან კერძო საკუთრებაში.

მაშინ ბევრს კამათობდნენ ამ ღონისძიებების სასურველ ტემპსა და თანმიმდევრობაზე. უმრავლესობის აზრით, პოლიტიკური რეფორმების მთელი წყება უნდა განხორციელებულიყო მაქსიმალურად სწრაფად, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით: „შოკური თერაპიით.“ და, მართლაც, ქვეყნებმა, რომლებმაც სწრაფად (მეტ-ნაკლები მოწესრიგებულობითა თუ თანამიმდევრულობით) წინსვლა არჩიეს, „გარდაქმნისთვის ჩვეული რეცესიის“ საკმაოდ მოკლე პერიოდები გაიარეს და შემდეგ სტაბილურად განაგრძეს ზრდა.

ეკონომიკის კომუნიზმიდან კაპიტალიზმად გარდაქმნის ეს ძირეული კომპონენტები 1992 წელს იგორ გაიდარის მთავრობის დღის წესრიგის ნაწილი იყო. თუმცა, ამ მთავრობას არ აღმოაჩნდა რეფორმების

[175] Stiglitz, J. (2003), 'The ruin of Russia', Guardian, 9 აპრილი, 2003, https://www.theguardian.com/world/2003/apr/09/russia.artsandhumanities (საიტზე წვდომა: 11 სექტემბერი, 2020).

ბოლომდე მიყვანის უნარი. „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“, რომლებიც საკუთარ თავს მხოლოდ მთავრობის „რეფორმების გამტარებელ“ ფრთად მოიხსენიებდნენ, ვერ გაითვალისწინეს ის შეზღუდვები, რომელთა ფარგლებშიც უწევდათ მოქმედება. მტრულად განწყობილმა პარლამენტმა იმდენი გააკეთა, რომ გაიდარი მხოლოდ ფორმალურ პრემიერად იქცა, რომლის მმართველობამ ერთ წელსაც კი ვერ გასტანა.

ფასების დიდი მოცულობა გათავისუფლდა 1992 წლის 2 იანვარს. შედეგი ძალიან უარყოფითი იყო და წლის ბოლოსკენ სამომხმარებლო ფასის ინდექსი 1500 პროცენტით გაიზარდა.[176] მთავრობას რომ თავისი გაეტანა, მოხდებოდა ბევრად უფრო მცირე მოცულობებით ერთჯერადი ზრდა. მაგრამ მთავრობა ვერ აკონტროლებდა ცენტრალურ ბანკს; პარლამენტი - კი. მან დანიშნა ცენტრალური ბანკის დირექტორი, რომელმაც გაზარდა ფულის მარაგი. ამან არა მხოლოდ გააუარესა და გაახანგრძლივა ინფლაცია, არამედ გადადო არაკონკურენტუნარიანი ფირმების გაცხრილვის პროცესი სესხების გაცემით ისეთ შემთხვევებში, როცა, წესით მწარმოებლებს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები უწესდებათ. ფულის მარაგის გამო ბრძოლა გაგრძელდა წლების განმავლობაში. ინფლაციის განაკვეთი მხოლოდ 1996 წელს დავიდა 25 პროცენტამდე. ეკონომიკის წარუმატებელი სტაბილიზაცია იყო მთელი რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი მარცხი და იგი განხორციელდა რეფორმატორების ნების საწინააღმდეგოდ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ყველაზე დიდი ყურადღება მაინც პრივატიზაციის ნაკლოვანებებს დაეთმო. აქ პოლიტიკურმა სიტუაციამ აიძულა რეფორმატორები წასულიყვნენ საკმაოდ მავნე კომპრომისებზე. მსხვილი კომერციული საწარმოების უმეტესობისთვის, გეგმა გულისხმობდა მასობრივი პრივატიზაციის ჩეხოსლოვაკიური მოდელის გამეორებას, სადაც მოქალაქეებს გადაეცათ ვაუჩერები, რომლებითაც შეეძლოთ ნებისმიერი კომერციული საწარმოს წილების ყიდვა. ამასობაში რუსი მენეჯერები კომერციული საწარმოების კონტროლს იტაცებდნენ და უნდოდათ, რომ პრივატიზაციის პროცესს კვლავ მიეცა მათთვის ამის საშუალება. ანატოლი ჩუბაისი, რომელიც მასობრივ პრივატიზაციაზე იყო პასუხისმგებელი, იძულებული გახდა დაეშვა ვარიანტი, რომლითაც კომერციული საწარმოს მუშახელს შეეძლო ხმის მიცემით გადაეწყვიტა ვაუჩერების გამოყენება მათივე სამუშაო ადგილას (იმ საწარმოებში, სადაც მუშაობდნენ). ამ ძალიან პოპულარული ნაბიჯის შედეგად მოხდა ისე, რომ საბჭოთა პერიოდის დირექტორები და მმართველები ქარხნების მეპატრონეებად იქცნენ.

ზემოთქმული შეიძლება სულაც არ ყოფილიყო ცუდი, როგორც გარდამავალი ეტაპის გარიგება. სინამდვილეში, რუსული პრივატიზაციის პროცესის რეპუტაცია მნიშვნელოვნად შეასუსტა ნავთობისა და ფოლადის რამდენიმე გიგანტის - ეკონომიკის დიდი შემომტანების „გირავნობის აუქციონებმა“ (ბუნებრივი აირის სამინისტრო, რომელიც ბუნებრივი აირის მთელ დარგს განკარგავდა, გაზპრომად გადაკეთდა). გაყალბებულ აუქციონებში წინასწარ განსაზღვრული შედეგებით, Yukos Oil-ისა და Norilsk Nickel-ის მსგავსი

[176] Yasin, Ye. (2002), Российская экономика [რუსული ეკონომიკა], Moscow: Higher School of Economics, გვ. 199.

კომპანიები ახალშექმნილ ბანკებს მიყიდეს რეტროსპექტივაში ძალიან მიზერულ თანხებად.[177]

მიუხედავად იმისა, რომ ჩუბაისმა ასეთი მოქმედებების მეორე რაუნდი აღარ დაუშვა; მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა კომუნისტების მთავრობაში კვლევ არჩევის რისკი; უკვე 1995 წელს ასეთი საწარმოების მფლობელებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ კონტროლი პარლამენტზე. რუსეთის პრივატიზაციის პროცესის რეპუტაცია საბოლოოდ განადგურდა.

ლიბერალიზაცია რეფორმის დღის წესრიგის ერთადერთი ნაწილი იყო, რომელიც შესრულდა, თუმცა, სტაბილიზაციის არარსებობის ფონზე, ტოქსიკური აღმოჩნდა. თავისებური პრივატიზაცია ნამდვილად განხორციელდა, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელმაც დაამახინჯა რეფორმატორების საწყისი ხედვა და დატოვა გრძელვადიანი პრობლემები. მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესის არასწორად და დარღვევით წარმართვამ სახელმწიფო ოლიგარქების ხელში ჩააგდო.

ამ ცვლილებებს ერთი დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა, რომელიც ხშირად დაუფასებელი რჩება. 1998 წელს საერთო რუსული ფინანსური კრიზისის ფონზე, რუბლი კატასტროფულად გაუფასურდა: 1 აშშ დოლარი ექვსი რუბლის ნაცვლად უკვე მალე 20-მდე რუბლს უდრიდა. იმპორტის ფასებმა ელვის სისწრაფით აიწია. რუსულ ფირმებს გაუჩნდათ ბაზარზე შემოსვლისა და იმპორტული პროდუქციის ჩამნაცვლებლების წარმოების შესაძლებლობა. ბევრ მიმომხილველს ეჭვი ეპარებოდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ძველი ეკონომიკა - 1992 წლის მოცემულობით - ისეთი საწარმოებისგან შედგებოდა, რომლებსაც არც სტრუქტურა და არც სტიმული არ მისცემდა მოთხოვნის შესაბამისად მიწოდების ზრდის საშუალებას. მაგრამ ამ შემთხვევაში, ბევრმა რესტრუქტურირებულმა ფირმამ არჩია იმპორტის შემცვლელების წარმოება, რამაც ეკონომიკის აღდგენას შეუწყო ხელი. მოგვიანებით, ნავთობის ფასების აწევამ კიდევ უფრო გაამყარა ეკონომიკის ზრდის ტემპი.

მეტად საინტერესოა რუსეთის სირთულეების შედარება პოლონეთის რეფორმის გამოცდილებასთან. პოლონეთში, 1989 წლის ბალცეროვიჩის გეგმა (Balcerowicz Plan) ისეთივე შინაარსის იყო, როგორიც რუსი რეფორმატორების - მართლაც, გაიდარის გუნდი სწორედ ამ გეგმას დაეყრდნო. მაგრამ პოლონეთის „შოკური თერაპია“ წარმატებული აღმოჩნდა: მშპ მხოლოდ ორი წლის განმავლობაში დაეცა და შემდეგ მყარად გაიზარდა. რუსეთში 1992 წლიდან მოყოლებული მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში წარმოების მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა - საერთო ჯამში, დაახლოებით 40 პროცენტით და ის ათწლეული რუსეთისთვის ნამდვილად უმძიმესი აღმოჩნდა. იმუშავებდა კი „შოკური თერაპია“ რუსეთში? ვერასოდეს გავიგებთ, რადგან ის არც არასოდეს გამოუყენებიათ.

რუსეთში სოციალურმა და პოლიტიკურმა ოპოზიციამ დაბლოკა რეფორმა. იქნებ ასეთი ოპოზიციის არსებობა მცდელობას თავისთავად შეუსრულებელ მისიად აქცევდა? პოლონურმა რეფორმამ მოიშორა გარე ძალის მიერ თავსმოხვეული უცხო სისტემა. რუსეთისთვის კი

[177] Rutland, გვ. (2013), 'Neoliberalism in Russia', Review of International Political Economy, 20(2): გვ. 332–62, http://prutland.faculty.wesleyan.edu/files/2015/07/PR-Neoliberalism-in-Russia.pdf (საიტზე წვდომა: 11 სექტემბერი, 2020).

ცენტრალური დაგეგმარება მშობლიური იყო - საბჭოთა ცხოვრების სტილის განუყოფელი ნაწილი. პოლონელ ხალხს ჰქონდა „ევროპასთან გაერთიანების“ პერსპექტივა. ლიბერალიზაცია, სტაბილიზაცია და პრივატიზაცია ევროკავშირში გაწევრიანების გზად აღიქმებოდა, რაც მაშინ მათთვის მიმზიდველ პერსპექტივას წარმოადგენდა. რუსეთში კი „ევროპასთან შეერთებაზე“ ფიქრს ყოველთვის ერიდებოდნენ.

ამისდა მიუხედავად, გაიდარის გუნდის მუშაობა ხელს უშლიდა მის მიერვე დასახული ამოცანების შესრულებას. გუნდის წევრები საკუთარ თავებს „კამიკაძე“ გუნდს ეძახდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ხალხისა და ხელმძღვანელი რგოლების დიდი ნაწილი ემტერებოდა. ზოგადად ითვლებოდა, რომ მოსახლეობის განათლება ძალიან დაბალ დონეზე იყო და რეფორმის უპირატესობებში მათი დაყოლიებაც შეუძლებელი იქნებოდა - შესაბამისად, არც არავინ ცდილობდა პოლიტიკის მიზნების განმარტებას.

როგორ ზემოქმედებს მითი პოლიტიკაზე?

მითი, რომ რუსეთში დეპრესია და დაღმასვლა ლიბერალურმა რეფორმამ გამოიწვია, ხელს აძლევს რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას. მოსკოვთან ურთიერთობების წარმართვისას დასავლელ ლიდერებზე სწორედ ეს მითი მოქმედებს და არწმუნებს მათ, რომ რუსეთში ლიბერალური ეკონომიკური წესრიგი უბრალოდ წარმოუდგენელია; შედეგად, ყველა იჯერებს ილუზიას, რომ თავისუფლებისა და სამართლიანობის სახელით უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი უწყებების („სილოვაკი“) კორუფციისა და ქონების მიტაცების წინააღმდეგ მოქმედება უბრალოდ ქარის წისქვილებთან ბრძოლას ნიშნავს. თუმცა, სინამდვილეში, რუსეთსა და უფრო ეფექტიან, დინამიურ ეკონომიკას შორის ზუსტად ეს 2.6 მილიონი „სილოვაკი“ დგას. მართალია, ჯერაც არ ჩანს მათი ძალაუფლების შესუსტების პერსპექტივა, მაგრამ რუსეთის ბიზნესსაზოგადოების ნაწილს ნამდვილად აქვს ამის სურვილი. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში მისი გამორიცხვა არ შეიძლება.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

თუ ვაღიარებთ, რომ ეკონომიკურმა რეფორმამ თავისთავად ავნო რუსულ ეკონომიკას, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ რუსეთს თავისებური იმუნიტეტი აქვს ლიბერალური ეკონომიკური წესრიგისადმი, რაც ხელს უშლის სხვა, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვას. ისიც მართალია, რომ აშშ-ის მთავრობას უნდა გაეპროტესტებინა რუსეთში სილოვიკების მიერ ამერიკელი ინვესტორის მაიკლ ქალვის (Michael Calvey) დაპატიმრება გაყალბებული ბრალდების საფუძველზე. კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ დასავლეთის ძალები, ასევე, გააპროტესტებდნენ, რომ რუსეთის მთავრობა 5000-ზე მეტი რუს ბიზნესმენს ამყოფებს პრევენციულ პატიმრობაში;[178] უმეტესობა ასეთივე საეჭვო მიზეზებითაა დაკავებული.

[178] Milyukova, Ya. and Seregin, V. (2016), ‘Силовики против предпринимателей’ [სილოვაკების მეწარმეების წინააღმდეგ], RBC, 16 თებერვალი, 2016, https://www.rbc.ru/economics/16/02/2016/56c356ff9a794756f30a2aba (საიტზე წვდომა: 11 სექტემბერი, 2020).

ზოგადად, სკეპტიკურად უნდა იყოს აღქმული ნებისმიერი მოსაზრება, რომ რუსეთის ეკონომიკური პრობლემები დასავლურმა იდეებმა განაპირობა. 1990-იანი წლების ეკონომიკური რეფორმის გამოცდილება უტყუარად ასაბუთებს, რომ რაც რუსეთში ხდება, მისი რესურსებისა და ზომის გათვალისწინებით, თავად რუსების მიერვე გაკეთებული არჩევანის შედეგია.

მითი 14

„სანქციები არასწორი მიდგომაა“

უკვე არაერთხელ დამტკიცდა, რომ ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიუღებელ ქცევებზე რეაგირების მეტად ფასეული საშუალებაა - თუმცა, საჭიროა დრო, რომ სანქციებმა შედეგი გამოიღოს; ამასთან, მათი ეფექტურობა არ უნდა შეფასდეს შეუძლებელი კრიტერიუმებით.

ნაიჯელ გულდ-დევისი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

რუსეთს დასავლური სანქციები პირველად 2014 წლის მარტში, ყირიმის ანექსიის შედეგად დაუწესდა და მომდევნო პერიოდში, გამკაცრდა რუსეთის მხრიდან მზარდი დარღვევების საპასუხოდ. სანქციები რუსეთთან ურთიერთობის წარმოების საუკეთესო საშუალებად იქცა და, მაშასადამე, მათი შეფასების მეთოდიც მნიშვნელოვანია. სანქციების ეფექტურობის შესახებ დისკუსიებში ფიგურირებს სულ მცირე ოთხი ვერსია მითისა, რომ სანქციების გამოყენება „არასწორი მიდგომაა“ - ხანდახან, უაზროც კი:

— **სანქციები არ მუშაობს.** ეს მითის ყველაზე მნიშვნელოვანი ვერსიაა. ამ ვერსიის თანახმად, სანქციები არაეფექტურია, რადგან რუსეთის ქცევა ჯერაც არ შეცვლილა. რუსეთი განაგრძობს და გააფართოვა კიდეც თავის ყოვლად მიუღებელი ქმედებების სპექტრი. იგი განაგრძობს ყირიმის ოკუპაციას, უკრაინაში ინტერვენციას და სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციების განხორციელებას, როგორებიცაა კიბერთავდასხმები და სალისბერის ნეირო-პარალიზური ნივთიერების ინციდენტი.

— **სანქციები რუსეთს არ ვნებს**. მითის ამ ვერსიის თანახმად, რუსეთი ზედმეტად დიდი და მდგრადია, რომ სანქციებმა ავნოს. რუსეთის ზომის სხვა ქვეყნისთვის სანქციები არასოდეს დაუწესებიათ 1945 წლიდან მოყოლებული.

— **სანქციები ვლადიმერ პუტინს აძლიერებს**. ამ მითის მიხედვით, სანქციები პუტინის პოპულარობას ზრდის; მტრული დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთის დამცველის როლის თამაში პრეზიდენტს ხალხის (ელიტური წრეების ჩათვლით) „დროშის გარშემო შემოკრების“ ეფექტით სარგებლობის საშუალებას აძლევს.

— **სანქციები რუსეთს ჩინეთისკენ უბიძგებს.** ამ არგუმენტის

თანახმად, ბოლო წლებში ჩინურ-რუსული ურთიერთობები გაღრმავდა და ასეთი ჰარმონიული არასოდეს ყოფილა 1950-იანი წლებიდან მოყოლებული.

ვინ არიან მისი მიმდევრები ან მხარდამჭერები?

ზოგიერთი ანალიტიკოსი და პოლიტიკის შემქმნელი ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან ორ მცდარ მოსაზრებას იზიარებს. ზოგიც ფიქრობს, რომ რუსეთი „გადაურჩა“ და კვლავ გადაურჩება სანქციებს, ნაწილობრივ იმის დამსახურებით, რომ ფლობს მსოფლიოს მეხუთე უმსხვილესი უცხოური ვალუტის რეზერვებს, მშპ-ის 10 პროცენტის ეკვივალენტური მოცულობის სუვერენეულ ფონდს და რესურსებს, რომლითაც ადვილად გამოიხსნის სანქცირებულ კომპანიებს.[179] სხვები ამტკიცებენ, რომ „სანქციები პუტინს აძლიერებს“, კონკრეტულად კი ზრდის ელიტური წრეების სახელმწიფოზე დამოკიდებულებას მხარდაჭერისა და კომპენსაციის საჭიროების თვალსაზრისით.[180] ზოგი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ სანქციები საპირისპირო შედეგის მომტანია - უფრო კონკრეტულად, ისინი რუსეთს აიძულებენ ჩინეთთან ალიანსს, რაც დასავლურ ინტერესებს ემუქრება.[181]

ამ დროისთვის უკვე შვიდი წელია, რაც რუსეთი სანქციების რეჟიმში იმყოფება, რაც სანქციების ისტორიაში საკმაოდ მცირე პერიოდია. უფრო მცირე სამიზნეების წინააღმდეგ მიმართული სანქციების წინა რეჟიმების ეფექტურობას, როგორც წესი, მეტი დრო სჭირდებოდა.

რატომ არის ეს მითი არასწორი?

მოსაზრება, რომ სანქციები არ მუშაობს, მცდარია სამი თვალსაზრისით. პირველ რიგში, გადამწყვეტ მომენტებში სწორედ სანქციები იძლევა რუსეთზე (რუსეთის ქმედებებზე) ზემოქმედების საშუალებას. ფაქტები მოწმობს, რომ სანქციების გამკაცრების პერსპექტივამ, უკრაინის სამხედრო შეუვალობასთან ერთად, ხელი შეუშალა აღმოსავლეთ უკრაინაში რუსული მხარდაჭერით მოსარგებლე სეპარატისტული ძალების მიერ 2014 სექტემბერში სტრატეგიული ქალაქის მარიუპოლის დაკავებას. სანქციების რიდს, ასევე, შეიძლება

შეეჩერებინა რუსული და რუსული მხარდაჭერით მოსარგებლე სეპარატისტული ძალების წინსვლა, მას შემდეგ, რაც 2015 წლის თებერვალში უკრაინულმა ძალებმა უკან დაიხიეს დებალცევში.[182]

მეორე, ეს არგუმენტი არა მხოლოდ აკნინებს რუსეთისთვის სანქციების შექმნის მნიშვნელობას, არამედ, ასევე, უგულებელყოფს სანქციების გლობალურ გამოცდილებას. ამ დროისთვის უკვე შვიდი წელია, რაც რუსეთი სანქციების რეჟიმში იმყოფება, რაც სანქციების ისტორიაში საკმაოდ მცირე პერიოდია. უფრო მცირე სამიზნეების წინააღმდეგ მიმართული სანქციების წინა რეჟიმების ეფექტურობას, როგორც წესი, მეტი დრო სჭირდებოდა. მაგალითად, ირანს სანქციები ჰქონდა

[179] Miller, C. (2018), ‘How Russia Survived Sanctions’, Foreign Policy Research Institute, 14 მაისი, 2018, https://www.fpri.org/article/2018/05/how-russia-survived-sanctions (წვდომა: 17 თებერვალი, 2021).
[180] იხ., მაგალითად, Movchan, A. (2018), ‘New Sanctions Won’t Hurt Russia’, Foreign Policy, 26 September 2018, https://foreignpolicy.com/2018/09/26/new-sanctions-wont-hurt-russia-putin-oligarchs-rusal-deripaska (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[181] იხ., მაგალითად, New York Times (2019), ‘What’s America’s Winning Hand if Russia Plays the China Card?’, 21 ივლისი, 2019, https://www.nytimes.com/2019/07/21/opinion/russia-china-trump.html (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[182] Christie, E. H. (2016), ‘The Design and Impact of Western Economic Sanctions against Russia’, The RUSI Journal, 161(3); და Secrieru, S. (2015), ‘Have EU sanctions changed Russia’s behaviour in Ukraine?’, in Luengo-Cabrera, J. and Dreyer, I. (eds) (2015), On target? EU Sanctions as security policy tools, უსაფრთხოების კვლევების ევროპული ინსტიტუტი, ანგარიში 25.

დაწესებული 10 წლის განმავლობაში, სანამ 2015 წელს არ დაეთანხმა „ერთობლივ ყოვლისმომცველ სამოქმედო გეგმას“ (JCPOA). უფრო მეტიც, სანქციების უმეტესობა მიზნად ისახავს კოლექტიური ზემოქმედებას, რაც ხორციელდება ქვეყნის გადამწყვეტი სექტორებისთვის ტექნოლოგიებსა და ფინანსებზე წვდომის შეზღუდვით. რაც უფრო დიდი ხანი იმოქმედებს სანქციები, მით უფრო ეფექტიანი იქნება. მნიშვნელოვანი ზომების ბოლოდროინდელი მაგალითებია 2017 წლის აქტი სანქციების საშუალებით ამერიკის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და აშშ-ის ხაზინის მკაცრი სანქციები რუსი ოფიციალური პირებისა და ოლიგარქების წინააღმდეგ 2018 წლის აპრილში.

მესამე, სანქციების ზემოქმედება მოიცავს არა მხოლოდ მიუღებელი ქცევის შეცვლას, არამედ მის დემონსტრაციულად დაგმობას. კანონდამრღვევის სამაგალითო დასჯა განამტკიცებს დადგენილი და აღიარებული ქცევის წესებისადმი კოლექტიურ ერთგულებას და საერთაშორისო წესრიგის პრინციპებს. თუ ასეთი ნორმები და პრინციპები სიმბოლურად დაცული არ იქნება, მათი ლეგიტიმურობა შესუსტდება და გლობალური მასშტაბით ეჭვქვეშ დადგება. სანქციების რეჟიმის დაცვამ, ასევე, გააძლიერა უკრაინის საბრძოლო სული და რუსული ზეწოლისადმი წინააღმდეგობის ძალა.

რაც შეეხება მითის შემდეგ ვარიანტს, რომ ეს სანქციები რუსეთს არაფერს ვნებს, დიდი ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს არ შეუძლია მისი ეკონომიკის პირდაპირ დანგრევა. დასავლური სანქციები ამას არც ცდილობს. სანაცვლოდ, ისინი აგებულია იმგვარად, რომ ქვეყნისთვის გადამწყვეტ ენერგეტიკულ და ფინანსურ სექტორებს და, ბოლო დროს უკვე, პუტინთან დაახლოვებულ პირებსა და კომპანიებს ხარჯები გაუზარდოს ტექნოლოგიასა და ინვესტიციაზე წვდომის გრძელვადიანი შეზღუდვითა და საერთაშორისო იზოლაციით. აშშ-მ ნათლად წარმოაჩინა - განსაკუთრებით 2018 წლის აპრილიდან მოყოლებული - რომ შეუძლია წამყვან ოლიგარქებს ფინანსური სანქციებით ებრძოლოს. საკმაოდ ბევრი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სანქციების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება იმატებს რუს ოფიციალურ მოხელეებს, ელიტასა და ფართო საზოგადოებას შორის.[183] უფრო მეტიც, რუსეთი განაგრძობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც კარგად ასახავს სანქციებისადმი შიშსა და მათ მიმართ დაცულობის უზრუნველყოფის მცდელობებს (თუმცა, წვალების მიუხედავად, ბევრი არაფერი გამოსდის). 2018 წლიდან მოყოლებული, ეს პოლიტიკა მოიცავს ძირითად ანტისანქციურ სტრატეგიას, რეზერვების სწრაფ დედოლარიზაციას და დოლარის ტრანზაქციების გარეშე ვაჭრობის წარმართვას. რუსეთი, ასევე ცდილობს დასავლური ტექნოლოგიებისა და უნარების ჩანაცვლებას ქვეყნის შიგნით შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებით და აზიიდან ქვეკონტრაქტირებით.[184]

ამასთან, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ სანქციები პუტინს აძლიერებს. პირიქით: პუტინის პოპულარობა, რომელიც საკმაოდ დაზარალდა ყირიმის ანექსიის შემდგომ, უფრო დაეცა დასავლური

[183] Gould-Davies, N. (2020), 'Russia, the West and Sanctions', Survival, 62(1).
[184] Shagina, M. (2020), 'Drifting East: Russia's Import Substitution and Its Pivot to Asia', CEES Working Paper, University of Zurich, აპრილი, 2020, https://www.cees.uzh.ch/dam/jcr:ab647675-d360-4e05-bf96-1bce74dcb725/ CEES%20Working%20Paper%203.pdf (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).

მკაცრი სანქციების შემოღების შედეგად. 2021 წლის მარტისთვის, პუტინის მხარდაჭერის რეიტინგი 63 პროცენტი იყო, რაც ძალიან უახლოვდება მის ისტორიულად დაბალ მაჩვენებელს.[185] არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგიც: 2020 წლის იანვარში რუსების დაახლოებით 78 პროცენტი ფიქრობდა, რომ რუსეთი დასავლეთს უნდა განიხილავდეს მეგობრად და პარტნიორად, მაშინ, როცა 2017 წელს - მკაცრი სანქციების შემოღებამდე, ეს მაჩვენებელი 50 პროცენტი იყო.[186] უფრო მეტიც, არ არსებობს რაიმე ფაქტი, რაზე დაყრდნობითაც ვივარაუდებდით, რომ პუტინის ელიტურ წრეებში პუტინის რეიტინგი ან გავლენა გაიზარდა. მისი პოლიტიკის შედეგად გამოწვეულმა სანქციებმა ეს ელიტა საკმაოდ შეაშფოთა, რადგან დაემუქრა მათ წვდომას საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე. შედეგად, რუსეთიდან კაპიტალის გადინება დაჩქარდა, პუტინის მიერ გამოხატული სურვილების საპირისპიროდ. სანქციები, ეკონომიკის დეგრადაციის შიდა წყაროებთან ერთად, ელიტურ პოლიტიკას არათუ ამარტივებს, არამედ უფრო ანაწევრებს და ართულებს.

ამასთან, რუსეთ-ჩინეთის დაახლოებაზე მხოლოდ სანქციები არ არის პასუხისმგებელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია მართლაც დაჩქარდა და თანაც - სანქციების გამო - რუსეთისთვის ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, დაახლოება 2012 წელს დაიწყო (სანქციების შემოღებამდე) და უფრო სიღრმისეულ ფაქტორებს ეყრდნობა. ეს არის ურთიერთობების გარდაუვალი განვითარება ენერგეტიკის უდიდეს იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის, ძალიან ვრცელი საერთო საზღვრით, რომელთა რეჟიმებმაც უფრო და უფრო მწვავედ ანტიდასავლური კურსი აირჩიეს. ეკონომიკური სანქციები რომ განაპირობებდეს ჩინურ-რუსულ ალიანსს, უფრო ზოგადი ეკონომიკური კავშირები განსაკუთრებით ძლიერი იქნებოდა. მაგრამ ეს მათი ურთიერთობის ყველაზე სუსტი წერტილია. ჩინეთის საგარეო ინვესტიციების 1 პროცენტზე ნაკლები მიდის რუსეთში. გარიგების მკაცრმა ჩინურმა სტილმა რუსებს იმედი გაუცრუა, ხოლო ჩინეთს იმედი გაუცრუა ინვესტორებისადმი ადგილობრივმა უნდობლობამ და მტრულმა დამოკიდებულებამ. სანქციებმა თვითონ ჩინეთსაც შეუშალა ხელი ზოგიერთი გარიგების გაფორმებაში. ამასობაში, უფრო ჭკვიანი და გონიერი რუსები ჩუმად დარდობენ, რომ მათი ქვეყანა შეიძლება მალე შეიძლება შეუმჩნევლად აღმოჩნდეს სუბორდინაციის მდგომარეობაში.[187]

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

ისინი, ვინც სანქციების გაუქმებას ემხრობა მათი არაეფექტურობის საფუძველზე, იშვიათად (ან საერთოდ არ) გვთავაზობს ალტერნატიულ პოლიტიკას, რომელმაც შეიძლება უფრო მეტი გააკეთოს რუსეთის პოლიტიკის შესაცვლელად. ისინი მოუწოდებენ დასავლეთს, რომ გააუქმონ არსებული ზომები და უკეთესიც არაფერი მოიმოქმედონ.

[185] Levada-Center (2021), 'Putin's Approval Rating', https://www.levada.ru/en/ratings (საიტზე წვდომა: 22 Apr. 2021).
[186] Saradzhyan, S. (2020), 'Levada Polls Show Russian Public Opinion Toward West Is Thawing', Russia Matters, 21 თებერვალი, 2020, https://www.russiamatters.org/blog/levada-polls-show-russian-public-opinion-towardwest-thawing (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[187] რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის ასპექტები დეტალურადაა განხილული მე-8 მითში: „ჩვენ უნდა ჩამოვაგდოთ განხეთქილება რუსეთსა და ჩინეთს შორის, რათა ხელი შევუშალოთ მათ ტანდემს დასავლური ინტერესების წინააღმდეგ," და, ასევე, მე-9 მითში: „დასავლეთის ურთიერთობები რუსეთთან უნდა ნორმალიზდეს ჩინეთის აღმასვლის შესაჩერებლად."

ამდენად, მათი არგუმენტი, საუკეთესო შემთხვევაში, ცუდი სტრატეგიაა, უარეს შემთხვევაში - ბოროტი განზრახვა. თუ სანქციები გაუქმდება ისე, რომ რუსეთი არ შეიცვლის ქცევებს, მაშინ ყველა იფიქრებს, რომ დადგენილი ნორმების სერიოზული დარღვევა არაფერს ნიშნავს. ასეთი ნაბიჯი წყალს შეუყენებს სანქციის დამწესებელი სახელმწიფოების დამაჯერებლობასა და პრინციპულობას და რუსეთსაც და სხვებსაც აფიქრებინებს, რომ ნორმების დარღვევა ყოველთვის შეიძლება.

ისინი, ვინც სანქციების გაუქმებას ემხრობა მათი არაეფექტურობის საფუძველზე, იშვიათად (ან საერთოდ არ) გვთავაზობს ალტერნატიულ პოლიტიკას, რომელმაც შეიძლება უფრო მეტი გააკეთოს რუსეთის პოლიტიკის შესაცვლელად.

სანქციების გლობალური გამოცდილება სტრატეგიული მოთმენისკენ მოგვიწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ მითი ოფიციალურ დონეზე ფართოდ აღიარებული არ არის და მისი გავლენა დასავლურ პოლიტიკის შექმნაზე ჯერჯერობით უმნიშვნელოა - მართლაც, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება გაიზარდა - მაინც რჩება საფრთხე, რომ მითმა შეიძლება მომავალში პოლიტიკაში ფეხი მოიკიდოს. სანქციების წარმატება დამოკიდებულია მათ პრინციპულ და შეუვალ ერთგულებაზე წლების და ათწლეულების განმავლობაში, რასაც მოწმობს ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირის შეკავება დასავლეთის მიერ. სანქციები, ასევე, უნდა იყოს შეფასებული ისეთივე სტანდარტებით, როგორითაც საგარეო პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები. ის ფაქტი, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია მინსკის ხელშეკრულება ან არ შეუჩერებია უკრაინაში ინტერვენცია, კიდევ უფრო ნაკლებად ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ არ გამოსულა ყირიმიდან (მიზანი, რომელიც სანქციებს არასოდეს დაუსახავს) არ მეტყველებს ამ სანქციების არაეფექტურობაზე. ეს ყველაზე რთული მიზნებია; პოლიტიკას არ შეუძლია მათი მიღწევა დამოუკიდებლად.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

სანქციები, შეიძლება დასავლეთის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი იყოს, რამდენადაც ისინი დასავლეთის ყველაზე ძლიერი მხარეების სასარგებლოდ მოქმედებს: რუსეთის დამოკიდებულება ტექნოლოგიაზე, კაპიტალსა და დოლარში ტრანზაქციებზე; მისი ელიტური წრეების სურვილი, შეინახონ აქტივები მტაცებელი სამშობლოსგან შორს, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, დაეხმარა კიდეც მათ ამ აქტივების მოპოვებაში. სანქციები ის ზუსტი ინსტრუმენტია, რომელიც უმიზნებს კონკრეტულ ინდივიდებსა და სექტორებს, ფართო მოსახლეობაზე ზემოქმედების გარეშე, განსაკუთრებით, თუ შევადარებთ ნავთობის ფასის დაწევისა და შიდა სტრუქტურული ფაქტორების შედეგებს.[188] რუსეთს არ შეუძლია მსგავსადვე ეფექტური პასუხის გაცემა: 2014 წელს მის მიერ საკვების იმპორტის აკრძალვამ დასავლეთზე დიდი გავლენა ვერ იქონია, მაგრამ გაზარდა ქვეყნის შიგნით საკვებზე ფასები. ისე გამოვიდა, რომ რუსეთმა სანქციები საკუთარი ქვეყნის უღარიბეს მოსახლეობას დაუწესა. საბოლოო ჯამში, დასავლეთი არ ზარალდება და სარგებლობს სანქციების გამწვავებით. შესაბამისად, სანქციები მართლაც შეიძლება გამკაცრდეს, როგორც რუსეთის ოფიციალური და ელიტური წრეები შიშობენ და ვარაუდობენ.

[188] იხ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2019), რუსეთის ფედერაცია: 2019 Article IV consultation—press release; staff report, 2 აგვისტო, 2019, გვ. 53, https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2019/08/01/Russian-Federation2019-Article-IV-Consultation-Press-Release-Staff-Report-48549 (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).

ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ დიდი დრო არ გასულა, რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა უკვე ცხადყო პრაქტიკული და ნორმატიული ღირებულება.

პოლიტიკის შემქმნელები სწორად უნდა აღიქვამდნენ სანქციებს და არ უნდა აფასებდნენ ისეთი შეუძლებელი კრიტერიუმებით, რომლებსაც ისინი ვერ დააკმაყოფილებს. პოლიტიკას, ზოგადად, არ შეუძლია მტერზე პირდაპირი და მყისიერად დამანგრეველი ზემოქმედება, რომელიც ამ უკანასკნელს მაშინვე შეაცვლევინებს კურსს. პოლიტიკა მუშაობს ნელა, დროთა განმავლობაში გადაწყვეტილების მიმღები წრეებისა და მმართველობაში მყოფთა ინტერესებზე, აღქმებზე, მოლოდინებსა და რესურსებზე ზემოქმედებით, რაც უფრო ნათელი იქნება 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

საერთო ჯამში, სანქციებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

მითი 15

„მთავარი პუტინია - რუსეთი ერთი კაცის მიერ მართული, ცენტრალიზებული ავტოკრატიაა“

ვლადიმერ პუტინის რუსეთი ერთი კაცის დადგმული შოუ არ არის. ამ ქვეყნის მმართველობის ფორმის გააზრებისას უნდა გავითვალისწინოთ ძალაუფლებისა და ბიუროკრატიის კომპლექსური სტრუქტურა, რომლის მნიშვნელობაც მომავალში უფრო და უფრო გაიზრდება.

ბენ ნოუბლი და ეკატერინა შულმანი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

მაცდუნებელია ილუზია, რომ ვლადიმერ პუტინი ერთპიროვნულად პასუხისმგებელია რუსეთში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე; რომ პოლიტიკოსები და ბიუროკრატები შემდეგ პუტინის ბრძანებებს დაუყოვნებლივ აღასრულებენ, როგორც ხდება ხოლმე „ვერტიკალური ძალაუფლების“ სახელით ცნობილ სისტემაში; და რომ პოლიტიკური ინსტიტუტები, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო საკანონმდებლო და რეგიონული უწყებები, უბრალოდ პუტინის სურვილებს ახორციელებენ. მაშასადამე, ეს მითი უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების რუსული სისტემის, გადაწყვეტილებების განხორციელების ფორმებისა და ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების ხასიათის აღქმას.

პუტინის „პირდაპირი ხაზი“ - წლიური სატელევიზიო კითხვა-პასუხის სესია, რომლის დროსაც პრეზიდენტი ისმენს და შემდეგ პასუხობს მოსახლეობის სადარდებელს ქვეყნის ყველა რეგიონიდან - ამ მითის სამივე ელემენტს აერთიანებს. გარეგნულად ჩანს, რომ პუტინი იღებს ყველა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად და დაუყოვნებლივ, სესიაში მონაწილე ადამიანების პრობლემების მოსაგვარებლად. ის ოფიციალურ პირებს თავისი ბრძანებების აღსრულებას ავალებს და

პირდაპირ ესაუბრება მოქალაქეებს, ისეთი შუამავალი ინსტიტუტების გარეშე, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები და პარლამენტი.

რამდენადაც „ყოვლისშემძლე პუტინის“ მითი ამყარებს მცდარ შეხედულებებს რუსეთის შესახებ, მისი ფორმულირება შესაძლებელია ორგვარად: „დადებითი“ ვერსია - პუტინი კარგი „ცარია“ - გულისხმობს ძლიერ და კომპეტენტურ მმართველობას. რეალურად, ეს მითი პუტინს წარმოაჩენს უფრო ძლევამოსილ და შეუზღუდავ პოლიტიკურ ძალად, ვიდრე სინამდვილეშია. „ნეგატიური“ ვერსია - რომელიც არანაკლებ უშლის ხელს რუსული პოლიტიკის რეალისტურ აღქმას, გამოკვეთს გადაწყვეტილების მიღების პერსონალიზებული პროცესის პათოლოგიურ მხარეებს და, მაშასადამე, ხელს უწყობს დასავლეთში პუტინის, როგორც დიქტატორის კარიკატურიზაციას.[189]

ვინ არიან მისი მიმდევრები ან მხარდამჭერები?

ცნობილ და გავლენიან ანალიტიკოსებს, ოფიციალურ სახელმწიფო მოხელეებსა და ჟურნალისტებს არაერთხელ გაუკეთებიათ განცხადებები, რომლებიც ამ მითს შეესატყვისება. ფიონა ჰილის (Fiona Hill), ბრუქინგსის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა (Brookings Institution) და აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოში ევროპისა და რუსეთის მიმართულების ყოფილი უფროსი დირექტორის მიხედვით: „პუტინის რუსეთი ერთი კაცის შოუა. […] ბოლოს, სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებებს.“[190] სამი ნიუ-იორკელი ავტორის თანახმად: „ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ყოველი ასპექტი, მედიის ჩათვლით, მის [პუტინის] მიერ შექმნილ „ძალაუფლების ვერტიკალში“ მოექცა.“[191] გრეგორი ფაიფერის (Gregory Feiffer), მოსკოვში აშშ-ის ეროვნული საზოგადოებრივი რადიოს (NPR) ყოფილი კორესპონდენტის სიტყვებით: „პუტინის პრეზიდენტობის პირველ წელს, პარლამენტი იქცა ადგილად, სადაც კანონმდებლობა განუსჯელად [sic] ამტკიცებს პუტინის პოლიტიკას.“[192]

რატომ არის ეს მითი არასწორი?

ეს მითი აზვიადებს პრეზიდენტის ხელთ არსებული პერსონალური კონტროლის ხარისხს და უგულებელყოფს წამყვან ფაქტორებს, როგორიცაა, მაგალითად, კოლექტიური ორგანოების მნიშვნელოვანი როლი და პუტინის გარშემო მყოფი ხალხის მენეჯერული

[189] ამ დუალობის ნიშნად, The Economist-ის ერთ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ: ‘Both liberal reformers and conservative traditionalists in Moscow are talking about Mr Putin as a 21st-century tsar’ [„როგორც ლიბერალი რეფორმატორები, ისე მოსკოველი ტრადიციონალისტები ბატონ პუტინზე საუბრობენ, როგორც 21-ე საუკუნის ცარზე“]. The Economist (2017), ‘A tsar is born’, 28 ოქტომბერი, 2017, https://www.economist.com/leaders/2017/10/26/a-tsar-is-born (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[190] Hill, F. (2016), ‘Putin: The one-man show the West doesn’t understand’, Bulletin of the Atomic Scientists, 72(3): 140–44, https://doi.org/10.1080/00963402.2016.1170361 (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[191] Osnos, E., Yaffa, J. and Remnick, D. (2017), ‘Trump, Putin, and the New Cold War’, New Yorker, 6 მარტი, 2017, https://www.newyorker.com/magazine/2017/03/06/trump-putin-and-the-new-cold-war (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[192] Feiffer, G. (2008), ‘Putin’s Eight Years in Power Leave Dubious Legacy’, NPR, 6 May 2008, https://www.npr.org/transcripts/90134100?t=1610450452380 (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021). „კანონმდებლობის“ ნაცვლად უფრო შესაფერისი იქნებოდა სიტყვა „კანონმდებლები“.

პუტინს შეიძლება აქვს ყველა ტიპის გადაწყვეტილებაში ჩარევის შესაძლებლობა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის უნდა და ყოველთვის ერევა. და ხანდახან, კონკურენტული პოზიციების შეჯერებისას მისი, როგორც მსაჯულის უშუალო ჩარევაც კი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს კონკრეტული პოლიტიკის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღწევად

არაკომპეტენტურობა თუ პირად ინტერესებზე ორიენტირებული ქცევა. ყველა ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთში

დღევანდელი მმართველობის ფორმის შესწავლისას.

გადაწყვეტილების მიღებას რაც შეეხება, უშუალოდ პუტინზე ფოკუსირება იმ მნიშვნელოვანი როლის უგულებელყოფას ნიშნავს, რომლებსაც სხვა ორგანიზაციები და აქტორები ასრულებენ, მათ შორის, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, უშიშროების საბჭო და მთავრობა. ადმინისტრაციის ერთი წევრის სიტყვებით: „[კრემლის] ყველა გადაწყვეტილება სერიოზულ საკითხებზე კოლეგიალური და კოორდინირებულია. ბოლო გადაწყვეტილება დამოკიდებულია პრეზიდენტზე, თუმცა მასთან დასამტკიცებლად მიდის უკვე შეთანხმებული და შეჯერებული მოსაზრება.“[193] მიუხედავად იმისა, რომ ეს დახასიათება სხვა მხრივ შორსაა რეალობისგან, პუტინის წარმოჩენა პოლიტიკის ერთპიროვნულ მოკარნახედ არ ასახავს სხვა აქტორების როლს პრობლემების ფორმულირებაში, ინფორმაციის მიმართვაში, დეტალების შეჯერებაში, პოზიციების შემუშავებასა და პუტინისთვის წარსადგენი დღის წესრიგის განსაზღვრაში.[194] პუტინი მართლაც რომ ერთპიროვნულად წყვეტდეს ყველაფერს (რაც არ ხდება), მაინც გადამწყვეტი იქნებოდა ბიუროკრატიის ძალა, რომელიც განსაზღვრავს დღის წესრიგს და ხელმძღვანელის მაგიდამდე მისატანი საკითხების ჩამონათვალს. პუტინს შეიძლება აქვს ყველა ტიპის გადაწყვეტილებაში ჩარევის შესაძლებლობა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის უნდა და ყოველთვის ერევა. და ხანდახან, კონკურენტული პოზიციების შეჯერებისას მისი, როგორც მსაჯულის უშუალო ჩარევაც კი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს კონკრეტული პოლიტიკის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღწევად.[195]

გადაწყვეტილების განხორციელებას რაც შეეხება, გასაკვირი ფაქტია, რომ პრეზიდენტის ბრძანებები ხშირად არ სრულდება. 2020 წელს პრემიერ-მინისტრ მიხაილ მიშუსტინის (Mikhail Mishustin) დაკვეთით ჩატარებულმა მიმოხილვამ, რომელიც მიზნად ისახავდა პრემიერის მოადგილეების, მინისტრების და ოფიციალური მოხელეების მიერ პრეზიდენტის „დავალებების“ („პორუნჩენია“) შესრულების შეფასებას, გამოავლინა, რომ დავალებების უმეტესობა საერთოდ ვერ სრულდებოდა მითითებულ ვადებში.[196] მაგალითად, ფინანსთა სამინისტრომ პრეზიდენტის დავალებების 73 პროცენტი დროულად ვერ შეასრულა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, განუხორციელებლობა, ასევე, ახასიათებს ზოგიერთ მაღალი პროფილის პოლიტიკის ამოცანას, როგორებიცაა „მაისის განკარგულებები“ და „ეროვნული პროექტები“ - პუტინის მიერ დასახული ფინანსური დაპირებები და განვითარების მიზნები, მიტოვებული ამოცანებით და სამომავლოდ გადაწეული

[193] ანონიმური წყარო პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, ციტირებულია შემდეგ ნაშრომში: Pertsev, A. (2020), ‘Powerful, but not omnipotent’, Meduza, 3 November 2020, https://meduza.io/en/feature/2020/11/03/powerful-but-notomnipotent (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[194] Dossier Center-ის ანგარიშის თანახმად, მაგალითად, პუტინი „უფრო და უფრო დამოკიდებულია ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის [FSB] ინფორმაციაზე“ (გვ. 3), რითაც იზრდება ამ სახელმწიფო ორგანოს ძალა განსაზღვროს დღის წესრიგი. Dossier Center (2020), Lubyanka federation: How the FSB determines the politics and economics of Russia, https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2020/10/FSB-Report-Printed-Final.pdf (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[195] Noble, B. (2018), ‘Authoritarian Amendments: Legislative Institutions as Intra-Executive Constraints in Post-Soviet Russia’, Comparative Political Studies, 53(9), გვ. 1417–54. იხ. დისკუსია „საბიუჯეტო წესის“ შესახებ (გვ. 1428–32).
[196] Pashkovskaia, E. (2020), ‘«Двоечники» Мишустина. Кто из министров чаще всего «забивает» на поручения президента’ [მიშუტინის „ოროსნები“. რომელი მინისტრები ივიწყებენ ყველაზე ხშირად პრეზიდენტის დავალებებს], Baza, 3 ნოემბერი, 2020, https://baza.io/posts/139fdeb5-89db-436c-854f-fd8320fe14aa (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).

შესრულების ვადებით.[197] ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს შეუსრულებლობა, პუტინისადმი აშკარა დაუმორჩილებლობას გამოხატავდეს - ის უბრალოდ აჩვენებს, რომ უბრალოდ პრეზიდენტის მიერ ბრძანების გაცემის ფაქტი მის დაუყოვნებლივ აღსრულებას არ ნიშნავს.

რაც შეეხება ზოგადად პოლიტიკურ ინსტიტუტებს, პუტინმა შესამჩნევად დაასუსტა კრემლის გარდა პოლიტიკური ძალაუფლების ინსტიტუციური ცენტრები 2000 წელს მისი პრეზიდენტად არჩევის შემდგომ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი უბრალოდ ფასადურია. ავიღოთ, მაგალითად, ფედერალური დონის პარლამენტი, ფედერალური ასამბლეა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მეტწილად პრეზიდენტის დაქვემდებარებაშია, პრეზიდენტის ინიციატივებს ასამბლეის დღის წესრიგის მხოლოდ მცირე წილს შეადგენს. ქვედა პალატა - სახელმწიფო დუმა - ბევრად ნაკლებ მოწიწებას იჩენს მთავრობის მინისტრებისადმი, განსაკუთრებით კრემლის ყოფილი მაღალჩინოსნის, ვიაჩესლავ ვოლოდინის თავმჯდომარეობის პერიოდში. ამას გარდა, კანონშემოქმედების საპარლამენტო ფაზას შეუძლია ჩაგვახედოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებულ უთანხმოებაში, რაც ცხადყოფს იმ ნარატივების უზუსტობას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საკანონმდებლო ორგანო „განუსჯელად ამტკიცებს / ბეჭედს უსვამს“ პოლიტიკას, ასევე, მათიც, რომელთა მიხედვითაც, აღმასრულებლების პრიორიტეტები ნაკარნახევია პუტინის მიერ ან სრულად შეესაბამება მის სურვილებს.[198]

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

პუტინზე ფოკუსირება იწვევს, მინიმუმ, სამ პრობლემას: 1) სხვა ფაქტორებზე ყურადღების გამახვილების ხარჯზე პუტინზე ორიენტირებული აზროვნებით შეპყრობილობა; 2) პუტინის თითქმის ყოვლისშემძლეობის შესახებ ნარატივი, რომელიც აწყობს კრემლს; 3) საკითხის კომპლექსურობისა და კრიტიკის შეჯერების სირთულე.

ამ პრობლემათაგან პირველი რომ განვიხილოთ, ზედმეტად ბევრი დრო შეიძლება დაიხარჯოს - და უკვე დაიხარჯა - იმის გამორკვევის მცდელობებში, თუ რას ფიქრობს პუტინი ან „როგორ ხედავს“ კონკრეტულ საკითხებს სინამდვილეში. ალბათ, ამ მოსაზრების მიმდევრებს იმედი აქვთ, რომ პუტინის დაფარული ფიქრების ცოდნა პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაანალიზებისა თუ პროგნოზირების მთავარი გასაღებია. მაგრამ ეს მიდგომა გონივრული იშვიათადაა და ადვილად შეიძლება მკითხაობად და კრემლის ჭორებში (რომელიც შეიძლება ხშირად სულაც დეზინფორმაცია იყოს) ზედმეტი ფარული აზრების ძებნის პროცესად იქცეს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, დიდი ალბათობით, პუტინს არ აქვს მაინც და მაინც ფიქსირებული შეხედულებები - ლაპარაკი აღარ არის უკვე პიროვნულ პრიორიტეტებზე - სხვადასხვა პოლიტიკურ

[197] bne IntelliNews (2020), 'Russia's Putin sets new 2030 goals as National Projects scaled back', 22 ივლისი, 2020, https://www.intellinews.com/russia-s-putin-sets-new-2030-goals-as-national-projects-scaled-back-187975 (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[198] Noble, B. and Schulmann, E. (2018), 'Not Just a Rubber Stamp: Parliament and Lawmaking', in Treisman, D. (ed.) (2018), The New Autocracy: Information, Politics, and Policy in Putin's Russia, Washington, DC: Brookings Institution Press.

საკითხთან დაკავშირებით. პუტინი ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემფასებელს, მსაჯულს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნება დაპირისპირებული შეხედულებების ხასიათისა და წყაროების ანალიზი. დამატებით, პუტინზე, როგორც ინდივიდზე ფოკუსირება ექსპერტებსა და მიმომხილველებს ხელს უშლის იმ გარემოებებზე ყურადღების გამახვილებაში, რომლებიც მის აზროვნებას აყალიბებს. ეს გარემოებები შეიძლება შეუცვლელი დარჩეს პოსტპუტინურ მსოფლიოში და, შესაბამისად, დიდი ალბათობით, იმოქმედებს მის მემკვიდრეზეც.

მეორე, ამ მითის შენარჩუნება კრემლის წისქვილზე ასხამს წყალს. პუტინის ძლიერების ხატის პროექცია ხელს უწყობს კრემლის საინფორმაციო ამოცანას, რომ პრეზიდენტი ხელშეუხებელ და ძლევამოსილ ფიგურად წარმოაჩინოს - რაც, ალბათ, შურსაც კი აღძრავს სხვა არადემოკრატიულ სახელმწიფოებში.[199] როცა პუტინი ახორციელებს „ერთპიროვნულ კონტროლს," ეს უნდა აღიქმებოდეს, როგორც სისტემის გაუმართაობა და არა მისი საპრეზიდენტო ძალმოსილების ნიშანი. და ისეთი მომენტები - რომლებიც კარგად ჩანს „პირდაპირი ხაზის" ეთერში - ძირითადად პოლიტიკური თეატრის დადგმული სიუჟეტებია და არა რეალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი.[200]

პუტინის ძლიერების ხატის პროექცია ხელს უწყობს კრემლის საინფორმაციო ამოცანას, რომ პრეზიდენტი ხელშეუხებელ და ძლევამოსილ ფიგურად წარმოაჩინოს - რაც, ალბათ, შურსაც კი აღძრავს სხვა არადემოკრატიულ სახელმწიფოებში.

პუტინზე ყველაფრის გადაბრალების მესამე პრობლემაა შავ-თეთრი აზროვნება. თუ ყველა და, განსაკუთრებით, საზღვარგარეთის მთავრობების მიერ გაკრიტიკებული გადაწყვეტილებების ერთადერთი წყაროდ უშუალოდ პუტინს ჩავთვლით, მაშინ ეს საქმეს მეტად გაადვილებს და სიმშვიდის საფუძველსაც მოგვცემს. მაგრამ, ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ამ მიდგომის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობები - რუსეთის მმართველობის პროცესების ნიუანსური ანალიზი და მრავალშრიანობის წარმოჩენა - შეიძლება არასწორად აღიქვან, როგორც პუტინის გამართლების ან შებრალების მცდელობა. კომპლექსურობის აღიარება არ ნიშნავს მიტევებას ან დანაშაულში თანამონაწილეობას.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

კარგი პოლიტიკა უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პუტინის გარშემომყოფების როლის აღიარებით; იმ ფრუსტრაციის აღიარებით, რომლის წინაშეც დგება კონკრეტული მიზნების შეუსრულებლობით; და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ შესრულებული რეალური როლების აღიარებით, მაშინაც კი, თუ ისინი არ შეესაბამება დემოკრატიული მმართველობის ფორმას.

კარგმა პოლიტიკამ უნდა აღიაროს, რამდენი რამის გაგება შეიძლება რუსული პოლიტიკის შესახებ ოფიციალურ თანამდებობებზე მყოფი პირების საჯარო განცხადებების შესწავლით. ისიც მართალია, რომ ეს წყაროები სრულ სურათს არ შექმნის. მაგრამ მათი უგულებელყოფა და მხოლოდ ფასადად მოაზრება ამყარებს აზრს, რომ „იდუმალი და

[199] ამას აღნიშნავს ჰილიც: Hill (2016), 'Putin: The one-man show the West doesn't understand', გვ. 141: 'Overestimating him [Putin] can be as dangerous as underestimating him' [„პუტინის გადაჭარბებით შეფასება ისეთივე საშიში შეიძლება იყოს, როგორც მისი არასათანადოდ დაფასება"].
[200] RIA Novosti (2019), 'Итоги «прямых линий» Владимира Путина' [პუტინის „პირდაპირი ხაზების" შედეგები], 20 ივნისი 2019, https://ria.ru/20190620/1555662941.html (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).

ენიგმატური“ რუსეთის მიზნების გაგება მხოლოდ კულისებს მიღმა შეიძლება. ეს უბრალოდ არასწორია. დიახ, არსებობენ გავლენიანი ინდივიდები ოფიციალური თანამდებობების გარეშე, რომლებსაც ისეთი ამოცანების შესრულებას ავალებენ, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფო ჩართულობის უარყოფას, თუმცა, ძირითადი მოთამაშეების უმეტესი ნაწილი ძალაუფლების ოფიციალურ სტრუქტურებშია წარმოდგენილი.

მსგავსადვე, ოფიციალური ორგანოების მიერ შექმნილი დოკუმენტები უნდა იყოს უფრო სერიოზულად აღქმული. კანონშემოქმედებასთან დაკავშირებული საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები, მაგალითად, წარმოაჩენს მმართველობის რეალობის მრავალფეროვან სურათს, ფრაქციებს შორის მეტოქეობისა და ბიუროკრატიული არაკომპეტენტურობის ჩათვლით. სახელმწიფო პოლიტიკის ბევრად უფრო რეალისტური პროგნოზები შეიძლება გაკეთდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური პროექტისა და დუმას მიერ შეტანილი შესწორებების შესახებ, ვიდრე კრემლისშიდა ფრაქციულ ჭორებზე დაყრდნობით. ამ მასალების ანალიზი მოითხოვს ცოდნასა და უნარებს. მომავალში კარგი პოლიტიკა დამოკიდებული იქნება დასავლეთში რუსეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის ანალიტიკოსების უფრო ვრცელი კორპუსის შექმნაზე.

პუტინის მიღმა გახედვა არა მხოლოდ გონივრულია ამჟამინდელი მმართველობის გაანალიზების თავალსაზრისით, არამედ, ის მნიშვნელოვანია პუტინის შემდგომ პოლიტიკაზე ფიქრისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ პუტინს ამჟამად აქვს კონსტიტუციური არჩევანი, რომ პრეზიდენტად დარჩეს 2036 წლამდე, თაობის ცვლა გარდაუვალია, რაც განსაკუთრებით წამოსწევს მეორე რიგის, უფრო ახალგაზრდა ოფიციალური პირების მნიშვნელობას. ამას გარდა, COVID-19-ის კრიზისმა ცხადად წარმოაჩინა ის გადამწყვეტი როლი, რომელიც რეგიონულმა ელიტამ ითამაშა და, დიდი ალბათობით, კიდევ ითამაშებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში. ეს ნათლად გამოჩნდა კრემლსა და მოსკოვის ქალაქის მმართველობას შორის ურთიერთობებში პანდემიის დროს ისეთი ბზარი გაჩნდა, რომელიც შეიძლება უფრო და უფრო გაღრმავდეს. ამ დინამიკას საერთოდ ვერ შეამჩნევდნენ და არასწორად გაიგებდნენ ის ანალიტიკოსები, რომლებიც გადაჭარბებით აფასებენ რუსეთის ცენტრალიზაციის ხარისხს და, შედეგად, პოლიტიკის შემქმნელებს არაფერი ეცოდინებოდათ უახლოეს მომავალში მოსალოდნელ მნიშვნელოვან მოვლენათა განვითარების შესახებ.

ამ მითის არსებობა სრულიად ლოგიკურია. პუტინი მართლაც დიდ ძალაუფლებას ფლობს. მეხოტბეები და მოწინააღმდეგეები ერთნაირად ფოკუსირდებიან პუტინის ძალაუფლების დემონსტრირების განსაკუთრებულ ფაქტებზე. შედეგად ვიღებთ ფუნდამენტურად ერთპიროვნული და პერსონალიზებული სისტემის ზოგად სურათს, რომელშიც პუტინის გარდა აღარაფერია მნიშვნელოვანი. და პუტინი სულაც არ წარმოადგენს „იოსებ სტალინისა და ბონდის ფილმების ბოროტმოქმედის რაღაც ჰიბრიდს,“[201] რომელიც სახელმწიფო

[201] Galeotti, M. (2021), ‘No One Benefits From Renewed Demonizing of Russia’, Moscow Times, 14 იანვარი, 2021, https://www.themoscowtimes.com/2021/01/14/no-one-benefits-from-renewed-demonizing-of-russia-a72606 (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).

მმართველობის „უპრობლემო და გამართულ მანქანას“ მართავს.[202] პუტინი არ კარნახობს პოლიტიკის ყველა ასპექტს, განსაკუთრებით მისი პირადი ინტერესების ფარგლებს გარეთ.[203] პოლიტიკის შემქმნელები თუ განაგრძობენ პუტინის და, ასევე, მისი ხელშემწყობი (ან ხელისშემშლელი თუ შემზღუდველი, თუნდაც ირიბად) სხვა აქტორების ძალაუფლების ზღვრების უგულებელყოფას, საბოლოო ჯამში, მათი პოლიტიკის ამოცანა, კომპლექსური სახელმწიფო სისტემის ნაცვლად, ჩვეულებრივი კარიკატურა იქნება.[204]

[202] Gorokhovskaia, Y. (2020), ‘It may seem Putin controls the Russian state personally. The reality is more dangerous’, Guardian, 25 აგვისტო, 2020, https://www.theguardian.com/commentisfree/2020/aug/25/alexeinavalny-putin-russian-activist-russia (საიტზე წვდომა: 16 თებერვალი, 2021).
[203] Ananyev, M. (2018), ‘Inside the Kremlin: The Presidency and Executive Branch’, in Treisman, D. (ed.) (2018), The New Autocracy: Information, Politics, and Policy in Putin’s Russia, Washington, DC: Brookings Institution Press.
[204] 4 Greene, S. and Robertson, G. (2019), Putin v. the People: The Perilous Politics of a Divided Russia, New Haven, CT and London: Yale University Press.

მითი 16

„პუტინის შემცვლელი, მასზე უკეთესი იქნება“

იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ჩაანაცვლებს პუტინს, რუსეთში პოლიტიკური მდგომარეობა კვლავაც ხელს შეუშლის დასავლეთთან უფრო კონსტრუქციულ ურთიერთობებს.

ნიკოლაი პეტროვი

რაში მდგომარეობს ეს მითი?

დასავლეთში უკვე დიდი ხანია მტკიცედ სჯერათ, რომ რუსეთთან ურთიერთობები გაუმჯობესდება, როგორც კი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი (ბოლოს და ბოლოს) დატოვებს თანამდებობას, სულ მცირე, პუტინამდელ ან პუტინის ადრეული მმართველობის დროინდელ სტატუსს მაინც დაუბრუნდება - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც იყო მის პრეზიდენტობამდე ან მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში - 2000-04 წლებში. ეს ვარაუდი მცდარია და იგი გამომდინარეობს, სულ მცირე, ორი შეცდომიდან: პირველი - რწმენა, რომ რუსეთსა და დასავლურ ძალებს შორის ურთიერთობის გაფუჭება პუტინის მმართველობისას იყო ანომალია და არა - ნორმა. მეორე - ბრმა რწმენა იმ ფაქტისა, რომ რუსეთს შეუძლია (დღესდღეობით მისი პოლიტიკური მდგომარეობისა და რესურსების გათვალისწინებით) განავითაროს ინსტიტუტები და დემოკრატიული კულტურა, რათა დაშორდეს ავტორიტარულ მოდელს. არსებობს მიზეზები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ორივე დებულებას.

ვინ არიან მისი მიმდევრები ან მხარდამჭერები?

დასავლეთის პოლიტიკოსები და დასავლეთის მედიის დიდი ნაწილი ამ ილუზიის ტყვეობაშია.[205] რუსეთში პროტესტის ყოველ ტალღას მოჰყვება პროგნოზები, რომ პუტინის წასვლა გარდაუვალია და, რომ მის შემდეგ ყველა „დიდხანს და ბედნიერად“ იცხოვრებს - ან, სულ მცირე, რაღაც მაინც გაუმჯობესდება. პუტინს უცვლელად ხედავენ, როგორც

[205] იხილეთ, მაგალითად, მიმოხილვითი ანალიზი შემდეგ წყაროში: Götz, E. and Merlen, C.-R. (2019), ‘Russia and the question of world order’, European Politics and Society, 20(2): pp. 133–53, https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23745118.2 018.1545181. ‘In this view, the Putin regime is an anachronistic autocracy that finds itself on the wrong side of history, to borrow Barack Obama’s pithy phrase. This means that if another, more democratic regime comes to power, there are good chances that Russia will fully integrate into the existing liberal international order’ [„ამ თვალსაზრისით, პუტინის რეჟიმი არის ანაქრონისტული ავტოკრატია, რომელიც ისტორიასთან შეუთავსებელია, ბარაკ ობამას სხარტ ფრაზას თუ დავესესხებით. ეს ნიშნავს, რომ თუ სხვა, უფრო დემოკრატიული რეჟიმი მოვალ ხელისუფლებაში, რუსეთი შეძლებს სრულად ინტეგრირებას არსებულ ლიბერალურ წესრიგში.“]

ზღაპრულ ბოროტმოქმედს: როგორც პიროვნებას და, ასევე, როგორც საბჭოთა თაობის განსხეულებას, „კაგებესა“ და ფედერალური უსაფრთხოების ბიუროს სააგენტოების ყოფილ წევრს.

ცალკეული დასავლელი პოლიტიკოსების ყოველი მცდელობა, რომ ბოლოს და ბოლოს გაალღონ ყინული რუსეთთან ურთიერთობებში – იქნება ეს ბარაკ ობამა და აშშ-ის „გადატვირთვის“ წინადადება, ნიკოლა სარკოზი, ფრანსუა ჰოლანდი თუ ბორის ჯონსონი - სრულდება შეხედულებით (აქვე უნდა ითქვას, რომ არცთუ უსაფუძვლო), რომ „პუტინის პირობებში“ წინსვლა წარმოუდგენელია. ბევრი პოლიტიკოსი სწორედ ამ მარტივი და მოსახერხებელი მიზეზით ამართლებს რუსეთის ქმედებებზე ეფექტური რეაგირების მარცხს.

ასეთი ნარატივი თავისთავად ადვილად შეიძლება გააზვიადოს პოპულიზმის ელემენტმა, რომელიც თანამედროვე დასავლური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. შედეგად, შეიძლება შეიქმნას თვითგანვითარებადი დინამიკა, რომელშიც სტერეოტიპის პოლიტიზირებული გამოყენება საზოგადოებრივ აზრს უშუალოდ პუტინის რეჟიმის საწინააღმდეგოდ განაწყობს. თავის მხრივ, პოლიტიკური პოზიცია და პოლიტიკა რუსეთისადმი პოპულისტური შეხედულების ტყვეობაში აღმოჩნდება და უკვე ყველა იძულებული იქნება, ერთი და იგივე გაიმეოროს, რაც მითს კიდევ უფრო ღრმად გაუდგამს ფესვებს. ეს ფენომენი განსაკუთრებით შესამჩნევია აშშ-ში.

რატომ არის ეს მითი არასწორი?

ილუზია, რომ პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთის უმეტესწილად დესტრუქციული საგარეო პოლიტიკა მუდმივად არ გასტანს, წარმოადგენს თავის მოტყუებას, რომ რუსეთში პოლიტიკური კულტურა შეიძლება შეიცვალოს. პირველ რიგში, პუტინი და მისი ანტიდასავლური რიტორიკა რუსეთში კვლავ პოპულარულია, რადგან იგი უბრალოდ ახმიანებს ქვეყნის შიგნით არსებულ დამოკიდებულებს (რომელსაც ამყარებს უწყვეტი ანტიდასავლური პროპაგანდა).[206] ანტიდასავლური განწყობა, რომელიც, ცხადია, ბოლომდე უნივერსალური არ არის, პუტინმა გააღვივა და რუსეთის ბევრმა მოქალაქემ სიღრმისეულად გაითავისა - მათ შორის (გააჩნია კონკრეტულ თემას) ახალგაზრდებმაც.[207]

---

[206] ლევადას ცენტრის გამოკითხვის მიხედვით, პუტინის მხარდაჭერის რეიტინგი 2021 წლის მარტში 63 პროცენტი იყო. იხ., Levada-Center (2021), 'Putin's Approval Rating', https://www.levada.ru/en/ratings (accessed 14 Apr. 2021). დასავლეთისადმი სახალხო განწყობის თაობაზე, 2021 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტები უფრო და უფრო მოიაზრებენ რუსეთს „არაევროპულ“ ქვეყნად: Levada-Center (2021), 'Russia and Europe', 22 მარტი, 2021, https://www.levada.ru/en/2021/03/22/russia-and-europe (წვდომა განხორციელდა 14 აპრილს, 2021). აშშ-ის შესახებ შეხედულება დაბალანსებულია, თუმცა ცოტათი უფრო მეტი რესპონდენტი ნეგატიურად აღიქვამს ამ ქვეყანას: Levada-Center (2021), 'Attitude Towards the US', 9 აპრილი, 2021, https://www.levada.ru/en/2021/04/09/ attitude-towards-the-us (წვდომა საიტზე: 14 აპრილი, 2021). რაც შეეხება პუტინის საგარეო პოლიტიკას, 2019 წლის ივნისში ჩატარებულ კვლევაში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ორგანიზაცია FOM-მა მიერ (Public Opinion Foundation or POF) დასვა შეკითხვა: „როგორ ფიქრობთ, ბოლო დროს რუსეთის საგრეო პოლიტიკაში წარმატებები სჭარბობს, თუ მარცხი?“გამოკითხულთა დაახლოებით 48 პროცენტმა თქვა, რომ წარმატებას მარცხი სჭარბობდა, ხოლო 23-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ პირიქით, მარცხი მეტი იყო. უფრო მეტიც, მათ შორის, ვინც თვალს ადევნებს საგარეო პოლიტიკას, შესამჩნევად მეტი რესპონდენტი (50 პროცენტი) პოლიტიკას წარმატებულად თვლიდა. იხ., FOM (2019), 'Внешняя политика: мониторинг' [საგარეო პოლიტიკა: მონიტორინგი], 20 ივნისი, 2019, https://fom.ru/ Politika/14223 (წვდომა საიტზე: 17 თებერვალი, 2021).

[207] ლევადას ცენტრის დირექტორის მოადგილის, დენის ვოლკოვის მიხედვით, "ჩვენი ქვეყნის აგრესიული საგარეო პოლიტიკა არ იწვევს რუსეთის ახალგაზრდობის განსაკუთრებულ შეშფოთებას. აცალგაზრდების უმეტესობა კვლავ ფიქრობს, რომ რუსეთმა

ეს არ შეიცვლება პუტინის წასვლის შემდგომ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ რუსეთის საზოგადოება ისედაც განიცდის პოსტიმპერიალურ სინდრომს, რომელსაც ახასიათებს სიღრმისეული სიძულვილი დასავლეთისადმი, რომელიც, რუსების თვალთახედვით, არათუ არ აძლევს ქვეყანას ზესახელმწიფოდ დარჩენის საშუალებას, არამედ ღირსეულ ადგილსაც არ უთმობს საერთაშორისო სისტემაში. დასავლელი მიმომხილველებისა და ექსპერტების ყველაზე დადებით სცენარშიც კი, რომლის მიხედვითაც რუსეთს პროდასავლური ხელისუფალი ეყოლება, დასავლეთთან ურთიერთობის დრამატულად გაუმჯობესების ნებისმიერ ინიციატივას საკმაოდ დიდი წინააღმდეგობის (ინერციის) გადალახვა მოუწევს.

რწმენა, რომ რაც პუტინის მოჰყვება, პუტინზე უკეთესი უნდა იყოს პრობლემურია, რადგან იგი არაპირდაპირ განსაზღვრავს რუსეთის შესახებ არსებული პროგნოზების დიდ უმრავლესობას და, შედეგად, ხელს უწყობს დასავლეთში ინერციის შენარჩუნებას, სანამ პოლიტიკოსები ელოდებიან ისეთ ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება არც არასოდეს განხორციელდეს.

მეორე, პოსტპუტინურ რუსეთში რეალური და ეფექტური დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შენების შანსები ბევრად დაბალია, ვიდრე 1990-იანებში იყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთში თაობა ლამის უკვე ორჯერ შეიცვალა, ისინი პუტინის მმართველობის პერიოდში გაიზარდნენ და არათუ ანტისაბჭოთა, არამედ მკვეთრად პროსაბჭოთა მსოფლხედვით ხასიათდებიან. დიდი ხნის განმავლობაში ქვეყანაში არჩევნები თავისუფალი თუ სამართლიანი არ ყოფილა და არსებითი დემოკრატიის აქა-იქ შემორჩენილი შანსებიც სწრაფად უჩინარდება. ასევე, უკვე დიდი ხანია, ლეგიტიმურ და დამოუკიდებელ ადგილობრივ მთავრობაზე ოცნებაც კი წარსულს ჩაბარდა. გარდა სამოქალაქო ინსტიტუტების მცირე ჯგუფისა, რომელთა არსებობასაც კრემლი იღებს ან ასე თუ ისე ითმენს, რუსეთში სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს და, შესაბამისად, არ არსებობს ამის გამოცდილებაც. ამას, თავისთავად მივყავართ კითხვამდე: რამდენად რეალისტურია მოლოდინი, რომ პუტინის გადადგომის შემდეგ უცებ გამოჩნდებიან პროგრესული და განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები, მაშინ, როცა დღესდღეობით ამის ვარაუდის საფუძველიც კი არ არსებობს. 1990-იანი წლების დასაწყისში, დემოკრატიის წყურვილი აბალანსებდა ინსტიტუტებისა და ცოდნა-გამოცდილების ნაკლებობას და ფართო საზოგადოებაც შეთანხმებული იყო, რომელი დემოკრატიული მოდელის მიღება სურდა. არსებობდა პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი. დღეს ეს წყურვილი ჩაანაცვლა დემოკრატიზაციის მცდელობის შედეგებითა და თვითონ პოლიტიკური მოდელებით იმედგაცრუებამ.

მესამე, იმისთვის რომ ეს „მომავლის მშვენიერი რუსეთი“ რეალობად იქცეს, ქვეყანას დასჭირდება მმართველ ბიუროკრატიულ წრეებში ახალი პროფესიული კადრები და პოლიტიკის შემქმნელები, სწრაფი მობილიზაციის რესურსებთან ერთად. ამის მისაღწევად საჭირო პირობები დღეს რუსეთში არ არსებობს და, შესაბამისად, ძალიან დიდი დრო დასჭირდება ახალი მმართველი კადრის ნულიდან აღზრდას. ეს მდგომარეობა სრულიად განსხვავდება მიხეილ გორბაჩოვის პერესტროიკის დროინდელი რუსეთისგან, როცა ძველ სისტემაში

თავი უნდა წარმოაჩინოს "დიდ სახელმწიფოდ". მათ არც ყირიმის ანექსია აწუხებთ. ბევრი ახალგაზრდა მიესალმება რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას, თუმცა ისინი არ აპირებენ ბოდიშის მოხდას მათი ქვეყნის მოქმედებების გამო, არც დასავლეთთან კომპრომისზე წასვლის იდეა ხიბლავთ." Volkov, D. (2020), 'Ценности, ориентации и участие в политической жизни российского молодого поколения' [რუსეთის ახალგაზრდობის ფასეულობები, ორიენტაცია და პოლიტიკური ჩართულობა], Yevropeyskiy dialog [ევროპული დიალოგის ექსპერტული ჯგუფი], http://www.eedialog.org/ru/2020/06/12/cennosti-orientacii-i-uchastie-v-politicheskoj-zhizni-rossijskogomolodogo-pokolenija (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

გამოჩნდნენ ახალი წამყვანი კადრები, რომლებიც სწყუროდათ ცვლილები. საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს (ECFR) ბოლოდროინდელი მოხსენება „პოსტპუტინური დიპლომატების“ ზემოთქმულის ნათელი მაგალითია.[208]

როგორ მოქმედებს ეს მითი პოლიტიკაზე?

რწმენა, რომ რაც პუტინის მოჰყვება, პუტინზე უკეთესი უნდა იყოს პრობლემურია, რადგან იგი არაპირდაპირ განსაზღვრავს რუსეთის შესახებ არსებული პროგნოზების დიდ უმრავლესობას და, შედეგად, ხელს უწყობს დასავლეთში ინერციის შენარჩუნებას, სანამ პოლიტიკოსები ელოდებიან ისეთ ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება არც არასოდეს განხორციელდეს. დასავლური მედიასაშუალებების უმეტესობაც პოლიტიკოსების კვალს მიჰყვება და გამუდმებით იმეორებს ამ მეტად პოპულარულ და სასიამოვნოდ მოსასმენ მცდარ შეხედულებას, ნაცვლად იმისა, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ძველი შეხედულებები და ამ გზით ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი, რუსეთის პერსპექტივების შესახებ მეტი ინფორმირებულობისა და რეალისტური მოლოდინების უზრუნველსაყოფად.

ასევე მცდარია შეხედულება, რომ პუტინი ანომალიას წარმოადგენს, რაც ხელს უშლის დასავლეთს, თვალი გაუსწოროს საკმაოდ მწარე სიმართლეს, რომ რუსეთთან პრობლემები არ გაქრება ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე. ყოველივე ზემოთქმული არასახარბიელო პერსპექტივას ქმნის რუსეთის როგორც პროაქტიური, ასევე, თავდაცვითი პოლიტიკისთვის. მაგალითად, პოლიტიკური ცვლილების თვალსაზრისით სწრაფი გამარჯვების მიღწევის ძალისხმევა შეიძლება საპირისპირო შედეგის მომტანი აღმოჩნდეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში მთელი სისტემის გარდაქმნა იქნებოდა საჭირო (და არა უბრალოდ მისი მმართველი პირის ჩანაცვლება), არამედ იმიტომაც, რომ ნებისმიერმა წინდაუხედავმა და ნაადრევმა ცვლილებამ შეიძლება არასტაბილურობა გამოიწვიოს. დიდი ალბათობით, რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან ჩართულობა ძალიან გაჭირდება დაჩქარებული მიდგომის (fast-track approach) გამოყენებითაც, იქნება ეს საგანმანათლებლო ინიციატივებისა თუ პრაქტიკული მხარდაჭერის თვალსაზრისით. მაგალითად, საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, ტექნიკური სტრუქტურების რეფორმა უნდა განხორციელდეს ამომრჩევლების პოლიტიკური კულტურის ცვლილების მეტად შრომატევადი ამოცანის შესრულების პარალელურად.

დაბოლოს, იმ მითისადმი რწმენა, რომ პუტინის შემდეგ რუსეთში აუცილებლად არსებულ რეჟიმზე უკეთესი (დასავლური კრიტერიუმებით) დამყარდება თავისთავად მოიცავს იმედგაცრუების საკმაოდ თვალსაჩინო რისკს, რასაც შეიძლება თან სდევდეს გადაჭარბებული პოლიტიკური რეაგირება. როცა ილუზიები რეალობას ეჩეხება, შეიძლება ტოქსიკური მედია-პოლიტიკური ატმოსფერო შეიქმნას, რომელიც ზრდის პოლიტიკის შემქმნელებს შორის და ფართო საზოგადოებაში რუსეთის სტრატეგიული განზრახვების თაობაზე

[208] Liik, K. (2019), ‘The last of the offended: Russia’s first post-Putin diplomats’, ECFR, 19 ნოემბერი, 2019, https://www.ecfr.eu/publications/summary/the_last_of_the_offended_russias_first_post_putin_diplomats (საიტზე წვდომა: 17 თებერვალი, 2021).

რადიკალური შეხედულებებისა და უსაფუძვლო მტკიცებების მიმღებლობას, რაც ხელს უშლის დამაჯერებელი პოლიტიკის შემუშავებას.

როგორი იქნებოდა კარგი პოლიტიკა?

დასავლურმა ძალებმა უნდა შეიმუშაონ გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც ემსახურება მათ ზოგად ეროვნულ ინტერესებს, პუტინზე ან რომელიმე კონკრეტულ ინდივიდზე ფოკუსირების ნაცვლად. ეს სტრატეგიები უნდა დაეყრდნოს დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების დეტალურ და ფართომასშტაბიან კვლევას, რომელიც გაანალიზებს თითოეულ სფეროში არსებულ გამოწვევებს და მათთან გამკლავების პერსპექტივებს. სპეციფიკური ტაქტიკური ნაბიჯები უნდა ინტეგრირდეს და ჩაშენდეს გრძელვადიან სტრატეგიაში, რამდენადაც, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ამჟამინდელ პოზიციას, აკლია სიცხადე, თანმიმდევრულობა და მოქნილობა. პირველ რიგში, სასარგებლო იქნებოდა ბოლო დროს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზი და ურთიერთობების შენარჩუნებისადმი არსებული მიდგომების აუდიტი, შენარჩუნდეს მხოლოდ ისინი, რომლებიც რეალურად დადებითი შედეგის მომტანია და, ამასთან, შემუშავდეს სხვა, უფრო ეფექტური მიდგომებიც.

ზოგად პრინციპებზე დაყრდნობილი და, ასევე, კონკრეტული ქვეყნის მახასიათებლების შესაფერისად აგებული მკაფიო სტრატეგია ხელს შეუწყობს უფრო აქტიურ და პროდუქტიულ ჩართულობას როგორც დასავლური ქვეყნების საზოგადოებასთან, ასევე, რუსულ მხარესთან. აუცილებელია სტრატეგიის თითოეული ნაბიჯის განხორციელება ხარჯისა და სარგებლის მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე. ამასთან, მნიშვნელოვანია რუსეთში მიმდინარე მოვლენების მუდმივი მეთვალყურეობა და ანალიზი ქვეყნის მომავალ განვითარებაზე მათი [ამ მოვლენების] შესაძლო შედეგების შესწავლის მიზნით.

რუსეთის მიმართ პოლიტიკის ფორმულირებისა და რუს კოლეგებთან დიალოგის პროცესში, დასავლეთის ქვეყნების დიპლომატებმა, ასევე, უნდა გამიჯნონ რეჟიმი, სახელმწიფო და ქვეყანა.

სტრატეგია უნდა იყოს მრავალსახა და მრავალვექტორიანი. საკმარისი აღარ არის შეკავების, ჩართულობისა და იზოლაციის ტრადიციული პოლიტიკა. დასავლურმა სახელმწიფოებმა სრულად არ უნდა გამორიცხონ რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივა (პუტინის მმართველობის დროს თუ მის შემდგომ) ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა არქტიკა, შუა აღმოსავლეთი, COVID-19 და კლიმატური ცვლილება. კონსულტაციებისა და პრობლემების განხილვისას, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს შედეგებსაც და პროცესსაც, რაც გარემოებების სწრაფ ცვლილებაზე ეფექტური რეაგირების საშუალებას იძლევა.

რუსეთის მიმართ პოლიტიკის ფორმულირებისა და რუს კოლეგებთან დიალოგის პროცესში, დასავლეთის ქვეყნების დიპლომატებმა, ასევე, უნდა გამიჯნონ რეჟიმი, სახელმწიფო და ქვეყანა. პუტინის რეჟიმთან ურთიერთობისას, გონივრული მიდგომა იქნება რეჟიმის ცენტრალურ აქტორებთან მინიმალური კონტაქტი და პოლიტიკური დიალოგის ცალკეული ფორმატების არიდება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მის [რეჟიმის] ლეგიტიმაციას. ამის საპირისპიროდ უნდა გაძლიერდეს და გახშირდეს ორმხრივი კავშირები ექსპერტულ დონეებზე, სამოქალაქო აქტივისტებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან. დასავლეთისა და

რუსეთის ექსპერტული და პოლიტიკური ჯგუფები უნდა ცდილობდნენ უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებას.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია იმ ზოგადი მოდელის დარღვევა, როდესაც დასავლეთთან ნებისმიერ დიალოგში რუსეთის პოზიციას კრემლის მიერ წარგზავნილი პირი წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, სანქტ-პეტერბურგის დიალოგის შემთხვევაში.[209] რუსეთს აქვს ეროვნული ინტერესები, რომლებიც ლეგიტიმურად უნდა იყოს ფორმულირებული, გამოთქმული და გათვალისწინებული, თუმცა ისინი სულაც არ ემთხვევა პუტინის რეჟიმის სპეციფიკურ ინტერესებს. რაც უფრო მეტად დაეყრდნობიან ამ პრინციპს დასავლეთის სახელმწიფოები პოლიტიკის შემუშავებისას, მით უფრო მეტია შანსი, რომ რუსეთი პუტინის შემდეგ ბევრად უფრო ნორმალური ქვეყანა იქნება მსოფლიო ასპარეზზე, ვიდრე პუტინის დროს არის.

[209] გერმანულ-რუსული "სამოქალაქო საზოგადოების" ფორუმი დაარსდა 2001 წელს ვლადიმერ პუტინისა და გერჰარდ შროდერის, გერმანიის მაშინდელი კანცლერის პატრონაჟით. იხ., 'Петербургский диалог/Petersburger dialog' [პეტერბურგული დიალოგი], https://petersburger-dialog.ru.

დასკვნები

ადვილი არ ყოფილა ამ კრებულისთვის რუსეთის შესახებ მითებისა და მცდარი წარმოდგენების შერჩევა. რუსეთის შესახებ საკმაოდ მრავალი მოსაზრება არსებობს, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული, თუმცა, მაინც ორაზროვანია, მცდარ ინფორმაციას ან არასწორ ინფორმაციას ეყრდნობა, რაც ხანდახან საშიშია; ბევრ ანალიტიკოსს აქვს მისთვის პიროვნულად ყველაზე გამაღიზიანებელი მითების - ე. წ. *bêtes noires* - ჩამონათვალი. თუმცა, ეს ნაშრომი არ ეყრდნობა კონკრეტული პუნქტებში „საკუთარი სიმართლის მტკიცების“ სურვილს. ანგარიშის მიზანია გამოასწოროს ის მცდარი შეხედულებები - მითები - რომლებიც ცუდ პოლიტიკას განაპირობებს.

ამ ნაშრომის ყველა ავტორს შეეძლო სხვადასხვა თემაზე წერა და აქ წარმოდგენილი მითები რუსეთის შესახებ იმ უამრავი მყარად ფესვგადგმული, თუმცაღა ფუნდამენტურად არასწორი შეხედულებების მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია, რომლებთან ბრძოლაც მთელი მათი პროფესიული ცხოვრების ნაწილია. ამ კრებულში შესაყვანი სხვა მითებიდან, რომლებიც გამოცემისთვის არ შეირჩა, აღსანიშნავია შემდეგი: „რუსეთი აგრესიულად იქცევა საკუთარ საზღვრებს გარეთ, რათა ყურადღება გადაიტანოს საშინაო საქმეებში არსებული დაძაბულობისგან“ (ტყუილია – რუსეთს აქვს საგარეო პოლიტიკის ამოცანები მისი შიდა პოლიტიკისგან დამოუკიდებლად); ან „ევროპაში რუსეთის გარეშე უსაფრთხოება არ იარსებებს და მსოფლიოში ვერც ერთი მთავარი პრობლემა ვერ მოგვარდება რუსეთის ჩართულობის გარეშე“ (იგივე ესეც - თუ რუსეთი სიტუაციაში ჩარეულია, ის არათუ პრობლემას ვერ მოაგვარებს, არამედ, როგორც წესი, თვითონვე წარმოადგენს პრობლემას).

ყოველივე ზემოთქმული არ გულისხმობს იმას, რომ ხალხს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ეს მითები გაიმეოროს - დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გულწრფელი და პირდაპირი აზრების მრავალფეროვნება ღია დებატებში. ჩვენი განზრახვა სხვაა: რომ შეცდომაში შემყვანი და მცდარი დებულებები, რომლებსაც ქმნიან და ნერგავენ ჩვენი მტრები და არამხოლოდ მტრები, ასე ფართოდ ფესვგადგმული არ უნდა იყოს დასავლეთის ქვეყნების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. შერჩეული მითებიდან ყველას აქვს ერთი საერთო მახასიათებელი: ჩვენი ავტორების დაკვირვებით, ისინი პირდაპირ და უშუალოდ განაპირობებს რუსეთთან ურთიერთობაში დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკის შეცდომებს.

სწორედ ამ მცდარი შეხედულებებით ნაკარნახევი მოქმედებებია ყველაზე მთავარი პრობლემა. ამ საყოველთაოდ გავრცელებული და ტიპური შეცდომების შეგროვება და ანალიზი ინტელექტუალური პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გაწეულ ძალისხმევას არ წარმოადგენს; ამის მიზეზი მეტად კონკრეტულია. ავტორები არაერთხელ დარწმუნებულან იმაში, რომ რუსეთთან დაკავშირებული

პოლიტიკის შესახებ სერიოზულ დისკუსიაში ჩართვა, პირველ რიგში, მოითხოვს უსარგებლო, თუმცა მეტად ღრმად გამჯდარი მცდარი წარმოდგენების გაქარწყლებას. ეს დაბრკოლებები უნდა გაქრეს, რათა შესაძლებელი იყოს რუსეთის ისეთად აღქმა, როგორიც ის არის სინამდვილეში და არა ისე, როგორადაც დასავლელი მიმომხილველებისა და დამკვირვებლებისთვის მისაღები და მოსახერხებელი, თუმცა კი სრულიად შეცდომაში შემყვანი მენტალური კონსტრუქტები წარმოაჩენს. უცნაური პარალელია, რეალური და ეფექტური დისკუსიისკენ გზაზე ბარიერების მსხვრევის ეს პროცესი წააგავს ევროპელი და ამერიკელი თანამდებობის პირების ჩვეულ გამოცდილებას რუს კოლეგებთან ურთიერთობისას, სადაც სერიოზული დიალოგის წინაპირობაა იმ დეზინფორმაციასთან, მცდარ ინტერპრეტაციებთან, ტყუილებთან და სიყალბესთან გამკლავება, რომელიც ამ დიალოგს უძღვის წინ.

ყველა ამ დაკვირვების დეტალურად გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, რამდენიმე საერთო თემა გამოვკვეთოთ, რომლებიც შეიძლება ჩაიშალოს დასავლეთისთვის მოსკოვთან ურთიერთობის წარმართვისას უკეთესი შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ 10 ფუნდამენტურ პრინციპად,

მოსკოვთან ურთიერთობების უფრო ეფექტურად და რაციონალურად წარმართვის 10 პრინციპი დასავლეთის ქვეყნებისთვის

1. **შეიმუშავეთ და მიიღეთ სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა რუსეთის შესაძლებლობების, განზრახვებისა და მოქმედებების ობიექტურ შეფასებას.** არ შეიმუშაოთ და დაამტკიცოთ სტრატეგიები, რომლებიც გამოცდილებაზე მეტად ოპტიმიზმის სულისკვეთებითაა ნაკარნახევი; ასევე, სტრატეგიების მიღება სხვა შესაძლო ალტერნატივების სირთულისა და ნაკლებკომფორტულობის მოტივით თუ მხოლოდ ამ ანგარიშში გაქარწყლებულ მითებზე დაყრდნობით გაუმართლებელია.
2. **გახსოვდეთ, რომ კრემლი დასავლეთის მეგობარი არ არის.** რუსული რეჟიმის გავლენიანი კავშირების მქონე წარმომადგენლებს მოსწონთ დასავლეთის მდიდრული კურორტები, სამართლებრივი სისტემა, ბანკები, სკოლები, მდიდრული საცხოვრებლები (უძრავი ქონება) და ა. შ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იზიარებენ და ეთანხმებიან დასავლეთის პოლიტიკას, ფასეულობებს ან კანონის უზენაესობისადმი პატივისცემას.
3. არ მოურიგდეთ ან არ შემოირიგოთ რუსეთი სამომავლო თუ ნავარაუდები სარგებლის საფუძველზე. ასეთი სარგებელი არასოდეს იარსებებს. კონკრეტულად, **ერიდეთ რუსეთთან დიდი გარიგების მიღწევის ან ძირეული გეოპოლიტიკური გადაწყობის მცდელობებს.** ე. წ. „რეალისტური“ პოლიტიკა პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

4. **ელოდეთ, რომ რუსეთი იმედს გაგიცრუებთ.** გამოცდილება მუდმივად აჩვენებს, თუ როგორი ამაოა რუსეთის სანდო და კეთილგანწყობილ პარტნიორად მოაზრება. იცოდეთ, რომ რუსეთი ყოველთვის დაარღვევს ნებისმიერ შეთანხმებას, თუ მისი ინტერესები მოითხოვს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი შეთანხმების პირობების შესრულება გარანტირებულია მძლავრი ბერკეტებით.
5. **არ დანებდეთ.** აუცილებელია რუსეთზე მუდმივი ზეწოლა ძირეული დასავლური ინტერესების მნიშვნელობის ხაზგასმით და იმ მტრული ღონისძიებების დაგმობით (მიუღებლად გამოცხადებით), რომლებიც მათ წყალს უყენებს; შეინარჩუნეთ რწმენა, რომ დასავლური პოლიტიკური სისტემები, სანქციები და რეაგირების სხვა მექანიზმები ეფექტური იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში. მისდიეთ პრინციპს, რომ ნებისმიერ „მიუღებელ“ მოქმედებაზე რეაქცია თანაბარი ან ასიმეტრიული იქნება.
6. **მიიღეთ ის ფაქტი, რომ რუსეთთან არამეგობრული ურთიერთობა** ამ ეტაპზე **შესაფერისი და არსებული რეალობითაა განპირობებული.** მართლაც, რუსეთთან კარგი ურთიერთობა თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინებით მეტად შეუფერებელი იქნებოდა. „მეგობრობის“ რუსული გააზრება უცილობლად დააზარალებს ჩვენსავე და სხვების ინტერესებსაც.
7. **ეკონომიკურ სარგებელზე მაღლა დააყენეთ უსაფრთხოება.** რუსეთთან ბიზნესურთიერთობის ნებისმიერი ფორმით შემცირებისგან გამოწვეულ წაგებას ბევრად გადაწონის ზარალი, რომელიც გარდაუვალი იქნება, თუ არ მოხდება რუსეთის შეკავება და, შესაბამისად, დასავლეთის სახელმწიფოებზე, საზოგადოებებზე, მოქალაქეებსა და ძირეულ ინტერესებზე თავდასხმისა და მათთვის ძირის გამოთხრის არიდება. ხანდახან დგება ვითარება, როცა უსაფრთხოებისა და ეკონომიკური საჭიროებები ერთმანეთს ეჯახება და ამ ყველაფერს აუცილებლად მოჰყვება ფინანსური მსხვერპლი. თუმცა, ფინანსური ინვესტიცია პოლიტიკურ ხიდებს მხოლოდ მაშინ აგებს, როდესაც პოლიტიკური ინტერესები რეალურად თანხვდება.
8. **შეეწინააღმდეგეთ თანამშრომლობის მიზეზით ინტერესებისა და ფასეულობების კომპრომეტირების ცდუნებას,** თუნდაც იმის ფონზე, რომ თანამშრომლობა მართლაც შეიძლება რეალური იყოს სულ რამდენიმე სფეროში. იგივე პრინციპი მოქმედებს დიალოგზეც. არც თანამშრომლობა და არც დიალოგია ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც რუსეთსა და დასავლეთს შორის ფუნდამენტური განსხვავებების აღიარება.
9. **ელოდეთ ხმაურიან, მწვავე და შეურაცხმყოფელ პასუხებს მოსკოვისგან** დასავლური ინტერესების დაცვის სანაცვლოდ. ასეთმა რეაქციამ არ უნდა შეაკავოს პოლიტიკა, რადგან, ასეთ შემთხვევაში, შანტაჟი წარმატებული აღმოჩნდება.
10. **უზრუნველყავით ექსპერტული ცოდნის დაგროვება.** დასავლეთს სჭირდება ბევრად უფრო მეტი და ბევრად უფრო სპეციალიზებული ექსპერტი რუსეთის საკითხებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს რუსეთის მოქმედებების სანდო ანალიზი და, ასევე, არ მოხდეს კიდევ უფრო ბევრი მითის გავრცელება.

ზემოხსენებული პრაგმატული პრინციპები მომდინარეობს ავტორების გამოცდილებისაგან, რომლებსაც არაერთხელ უნახავთ, თუ როგორც იწვევს მუდმივ მარცხს მცდარ ვარაუდებზე დაყრდნობით აგებული პოლიტიკა. ვაჭრობა ჩრდილავს უსაფრთხოებას, ხოლო რუსეთთან თანამშრომლობითი ურთიერთობა ითვლებოდა და ისევ ითვლება სტანდარტულ და ბუნებრივ მოცემულობად, დიალოგი აღქმულია, როგორც თვითმიზანი, ექსპერტული შეფასება დაჩლუნგდა და ა. შ. ზემოთ ჩამოთვლილი ეს 10 პრინციპი, მაშასადამე, არის არა მხოლოდ ანალიზისა და გამოცდილების, არამედ მარტივი ლოგიკის შედეგიც.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ანგარიშის გამოქვეყნება საბოლოოდ შეაჩერებს აქ გამომჟღავნებული მითების შესახებ საუბარს. ამ მითებიდან ბევრმა უკვე იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები დასავლურ დისკურსში, რომ მათი ამოძირკვა ადვილი არ იქნება. თუმცა, ამ კრებულის ავტორებმა აჩვენეს, თუ როგორ არის განპირობებული (გარკვეულწილად) რუსეთთან ურთიერთობისას მუდმივად განცდილი მარცხი იმ ყალბი დებულებებით, რომლებმაც ფეხი მოიკიდა რუსეთის ფარგლებს გარეთ შექმნილ პოლიტიკასა თუ ანალიტიკურ კვლევებში. ამგვარი აზროვნების ეჭვქვეშ დაყენებით ავტორები იმედოვნებენ, რომ არამხოლოდ შეამცირებენ ანალიტიკოსების დროსა და ენერგიას, რომელიც იმავე მცდარი შეხედულებების გაქარწყლებაზე იხარჯება, არამედ, ასევე, დაეხმარებიან პოლიტიკის შემქმნელებს რუსეთთან ურთიერთობების ისეთი ვარიანტების შემუშავებაში, რომლებიც უფრო წარმატებული იქნება.

ეს წარმატება, ცხადია, დამოკიდებულია იმაზეც, რომ დასავლეთის ქვეყნებს კარგად ესმოდეთ საკუთარი შესაძლებლობები. მათი უნარი, რომ დაიცვან თავი და, იმავდროულად, გრძელვადიანი ზემოქმედება მოახდინონ, პირველ რიგში დამოკიდებულია არამხოლოდ მათი ინსტიტუტებისა და საზოგადოების მედეგობის გაუმჯობესებაზე, არამედ, ასევე, საკუთარ რეპუტაციაზეც - მათი დემოკრატიული ინსტიტუტების დამაჯერებლობის ხელშეწყობასა და აღდგენაზე. რაც ყველაზე მნიშნელოვანია, დასავლეთისთვის გადამწყვეტია, რომ ერიდოს მითებს როგორც საკუთარი თავის, ასევე, რუსეთის შეფასებისას.

რუსეთის შესახებ მითები ნარჩუნდება არა მხოლოდ ისე, როგორც სხვა მითები (ზეპირი და წერილობით ტრადიციის საშუალებით), არამედ, ისინი სარეველა ბალახივით ედება პოლიტიკურ დებატებს - სარეველასავით, რომელიც არამხოლოდ ბუნებრივად ვრცელდება, არამედ მის განახლებაზე, კვებასა და გამრავლებაზე რეგულარულად ზრუნავს კრემლის შიკრიკების, ლაქიებისა და მექანიზმების ვრცელი ქსელი. მათი სრულად ამოძირკვა ისევე შეუძლებელია, როგორც ლიბერალურ, დემოკრატიულ და პასუხისმგებლიან რუსეთზე ოცნებები. ამისდა მიუხედავად, დინჯი და ზედმიწევნითი გამარგვლა ნაბიჯ-ნაბიჯ გვაახლოებს კრიკეტის იდეალურ გაზონთან - პოლიტიკის დამოუკიდებელ (გავლენებისგან თავისუფალ) და ობიექტურ ანალიზთან, რომელსაც არ ამახინჯებს ყალბი დებულებები და მოსახერხებელი ილუზიები. ავტორები იმედოვნებენ, რომ ეს ნაშრომიც დიდი ხნის განმავლობაში გამოდგება გამარგვლის ეფექტურ საშუალებად.

ავტორების შესახებ

Duncan Allan / დანკან ალენი

დანკან ალენი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია, ასვე, დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიის, Octant Research & Analysis Ltd-ის დირექტორი. უკვე 28 წელზე მეტია, რაც გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ოფისის კვლევითი ანალიტიკოსების ძირითადი გუნდის წევრია და მუშაობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, განსაკუთრებით, რუსეთისა და უკრაინის საკითხებზე. იგი მუშაობდა ბრიტანეთის საელჩოებში მოსკოვსა და კიევში.

Annette Bohr / ანეტ ბორი

ანეტ ბორი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია. მას ცენტრალური აზიის საგარეო, საშინაო და ენერგეტიკული პოლიტიკის ანალიტიკოსად მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება აქვს; ავტორია ევრაზიაში რეგიონულ პოლიტიკასთან, არაფორმალურ მმართველობასთან, ენერგეტიკის საკითხებთან, ეთნიკურ და ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული მრავალი ნაშრომისა, თურქმენეთში ნავთობ-ავტორიტარიზმის შესახებ მონოგრაფიის ჩათვლით.

ანეტი რეგულარულად ამზადებს ბრიფინგებსა და ანგარიშებს მრავალი სხვადასხვა კორპორატიული ინვესტორის, სამთავრობო დეპარტამენტისა თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისთვის. იგი, ასევე, იყო სიდნეის სასექსის კოლეჯის (კემბრიჯის უნივერსიტეტი) მეცნიერ-თანამშრომელი, მანჩესტერის უნივერსიტეტისა და მიუნხენის რადიო თავისუფალი ევროპის / რადიო თავისუფლების ანალიტიკოსი.

ანეტს მიღებული აქვს კალიფორნიის უნივერსიტეტის (ბერკლი), ჰარვარდის უნივერსიტეტისა და კემბრიჯის უნივერისტეტის ხარისხები.

Mathieu Boulègue / მეთიუ ბულეგი

მეთიუ ბულეგი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია. მეთიუს კვლევა ფოკუსირდება ევრაზიულ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე, ასევე, რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო საქმიანობაზე. მისი კვლევების ნაწილი ეთმობა რუსეთ-NATO-ს ურთიერთობებს, რუსეთ-ჩინეთის თავდაცვისა და უსაფრთოხების, ასევე, არქტიკული სამხედრო უსაფრთხოების საკითხებს. ბულეგი, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკისა და უსაფრთხოების ანალიტიკოსის განათლება აქვს, რეგულარულად

აქვეყნებს სტატიებსა და ნაშრომებს ევრაზიული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის საკითხებზე.

სანამ Chatham House-ის გუნდს შეუერთდებოდა, მეთიუ საფრანგეთში რისკის მართვისა და სტრატეგიული კვლევის საკონსულტაციო ფირმის პარტნიორი იყო და ევრაზიული საკითხების დირექტორის თანამდებობა ეკავა. მან დაამთავრა ტულუზის პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტი (Sciences Po Toulouse) საფრანგეთში და ლონდონის სამეფო კოლეჯი (King's College) (საერთაშორისო კონფლიქტის კვლევების მაგისტრი).

Keir Giles / კაირ ჯაილზი

კაირ ჯაილზი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის უფროსი კონსულტანტი მკვლევარია. იგი, ასევე, მუშაობს კონფლიქტების შესწავლის ცენტრში (CSRC), რომელიც წარმოადგენს ევრაზიული უსაფრთხოების საკითხების ექსპერტების ჯგუფს.

კაირმა კარიერა ავიაციაში დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში, სადაც ის მუშაობდა საბჭოთა სამხედრო და ნახევრად სამხედრო თვითმფრინავებზე ყირიმში. BBC-ის მონიტორინგის სამსახურთან ერთად იგი სპეციალიზდა ყოფილი საბჭოთა სივრცის სამხედრო და ეკონომიკურ საკითხებში და 2005-10 წლებში მივლენილი იყო გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემიაში, სადაც იგი იკვლევდა რუსეთის მიერ შექმნილ სამხედრო, თავდაცვით და უსაფრთხოების გამოწვევებს.

კაირს არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული რუსეთის კიბერ და საინფორმაციო ომზე. იგი ავტორია პუბლიკაციისა: *Moscow Rules: What Drives Russia to Confront the West* (Brookings Institution Press/Chatham House, 2019), რომელშიც შესწავლილია რუსეთთან კონფლიქტის არახალი მიზეზები.

Nigel Gould-Davies / ნაიჯელ გაულდ-დევისი

ნაიჯელ გაულდ-დევისი სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) უფროსი მკვლევარია ევრაზიისა და რუსეთის საკითხებში; ასევე, რედაქტორი გამოცემისა: *Strategic Survey: The Annual Assessment of Geopolitics*.

IISS-ში მუშაობის დაწყებამდე ნაიჯელი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარი იყო აზიაში პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის პარალელურად. 2010-2014 წლებში ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენერგეტიკულ სექტორში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა სამთავრობო ურთიერთობების საკითხებში. 2000-2010 წლებში საგარეო და თანამეგობრობის ოფისის თანამშრომელი იყო, სადაც მისი მოვალეობა მოიცავდა მოსკოვში ეკონომიკის დეპარტამენტის ხელძღვანელობას, ბელარუსში ელჩის თანამდებობას და სტრატეგიული განყოფილების პროექტების დირექტორობას. 1996-2000 წლებში დევისი ასწავლიდა პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს ოქსფორდის

უნივერსიტეტში. იგი ავტორია ნაშრომისა: *Tectonic Politics: Global Political Risk in an Age of Transformation* (Brookings Institution Press/Chatham House, 2019). ნაიჯელს აქვს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები, ასევე, ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი.

Philip Hanson / ფილიპ ჰენსონი

ფილიპ ჰენსონი ბირმინგემის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ეკონომიკის ემერიტუს-პროფესორია. იგი მუშაობდა ხაზინაში, საგარეო და თანამეგობრობის ოფისში და რადიო თავისუფალ ევროპაში / რადიოთავისუფლებაში, ასევე, რამდენიმე სხვადასხვა უნივერსიტეტში: ექსეტერის, მიჩიგანის, ჰარვარდის, კიოტოს, სოდერთორნისა და უფსალას უნივერსიტეტებში. ასევე, იყო Oxford Analytica-სა და სხვადასხვა ბანკისა თუ კომპანიის ანალიტიკოსი / კონსულტანტი. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია *The Rise and Fall of the Soviet Economy: An Economic History of the USSR 1945 - 1991* (Routledge, 2003).

John Lough / ჯონ ლოფი

ჯონ ლაუ Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია. მან კარიერა დაიწყო საბჭოთა კვლევების (მოგვიანებით, კონფლიქტის კვლევების) ცენტრში და ორიენტირებული იყო საბჭოთა / რუსულ უსაფრთხოების პოლიტიკაზე. ლაუმ ექვსი წელი იმუშავა NATO-ში და მოსკოვში ალიანსის პირველი წარმომადგენელი იყო (1995–98).

ლაუს აქვს რუსეთის ნავთობისა და გაზის მრეწველობაში მუშაობის უშუალო გამოცდილება, როცა TNK-BP-ში კომპანიის საერთაშორისო ურთიერთობების გუნდის მენეჯერი იყო (2003–08). 2008-2016 წლებში იგი უძღვებოდა რუსეთსა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობასთან დაკავშირებულ საქმიანობას BGR Gabara-ში, საზოგადოებრივი საქმეებისა და სტრატეგიის საკონსულტაციო კომპანიაში.

Chatham House-ში საქმიანობის პარალელურად ჯონი სტრატეგიული საკონსულტაციო ფირმა Highgate-ის კონსულტანტია.

Orysia Lutsevych / ორისია ლუცევიჩი

ორისია ლუცევიჩი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის მკვლევარი და უკრაინის ფორუმის ხელმძღვანელია. მის პროფესიულ ინტერესს პოსტსაბჭოთა რეგიონის დემოკრატიულ გარდაქმნაში სოციალური ცვლილებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი წარმოადგენს. მისი ბოლოდროინდელი კვლევა აანალიზებს რუსეთის მიერ კონტროლირებული არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებას საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. Chatham House-ში გაწევრიანებამდე იგი ხელმძღვანელობდა ევროპის სახლის საქართველოს ოფისის დაარსებას და იყო უკრაინის ღია ფონდის დირექტორი. ორისიას აქვს ლვოვის უნივერსიტეტის საერთაშორისო

ურთიერთობების მეცნიერებათა მაგისტრის და მისურის უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხები.

Kate Mallinson / ქეით მალინსონი

ქეით მალინსონი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია. იგი პოლიტიკური რისკის აღიარებული დამოუკიდებელი ექსპერტია, კონსულტაციას უწევს უცხოურ კომპანიებს და მრავალეროვნულ თუ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში რეგულაციებთან, უსაფრთხოებასთან, საშინაო და გეოპოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ქეითი, ასევე, იკვლევს არაფორმალურ ქსელებსა და მმართველობას ცენტრალურ აზიაში, ხშირად სტუმრობს ამ რეგიონს და არჩევნების დამკვირვებლად მუშაობს ეუთოში. იგი მანამდე იცავდა Médécins Sans Frontières-ის („ექიმები საზღვრებს გარეშე) ინტერესებს უზბეკეთში (1999–2001), უკრაინასა (2001) და რუსეთში (1996–97).

იგი ხშირად არის მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კონფერენციისა და ღონისძიების საბჭოს წევრი, ასევე, ხშირად აკეთებს კომენტარს მედიისთვის მიმდინარე მოვლენებზე.

Anaïs Marin / ანაის მარინი

ანაის მარინი დამოუკიდებელი ბელარუსიელი ექსპერტი და Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია. 2018 წელს იგი დაინიშნა გაეროს სპეციალურ მომხსენებლად ბელარუსში ადამიანების უფლებათა სფეროში, მანამდე კი ამავე ქვეყანაში პოლიტიკის ექსპერტებისა და ადვოკატირების ქსელში იყო ჩართული. მან, ასევე, მონაწილეობა მიიღო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ რეგიონში განხორციელებულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებში.

ანაისს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები სხვადასხვა ანალიტიკური ცენტრისთვის, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ფინეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტი (FIIA, ჰელსინკი), უსაფრთხოების კვლევების ევროკავშირის ინსტიტუტი (EUISS, პარიზი) და, ბოლოს, ვილნიუსის პოლიტიკის ანალიზის ინსტიტუტი. აკადემიური საქმიანობის ფარგლებში, მარინს გამოკვლეული აქვს ავტორიტარული რეჟიმების საგარეო პოლიტიკა („დიქტაპლომატია“), ჯერ როგორც მარია სკლადოვსკა კიურის სტიპენდიანტმა (Collegium Civitas, ვარშავა) და 2019 წლის შემდგომ პოლონეთის მეცნიერებების ეროვნული ცენტრის გრანტით (ვარშავის უნივერსიტეტი). მისი ამჟამინდელი კვლევა ეყრდნობა რუსეთის „ბასრი ძალის“ ზემოქმედებას ევროპის დემოკრატიასა და რეგიონულ უსაფრთხოებაზე.

მარინს დაცული აქვს სადოქტორო და სამაგისტრო ხარისხები პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში (Sciences Po Paris/CERI).

James Nixey / ჯეიმზ ნიქსი

ჯეიმზ ნიქსი Chatham House-ს 2000 წელს შემოუერთდა და რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის დირექტორია 2013 წლიდან. იგი, ასევე, ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრის ასოცირებული მკვლევარი და ჟურნალ *UA: Ukraine Analytica*-ს რექტორთა კოლეგიის წევრია.

მისი მთავარი კვლევითი ინტერესი ეხება რუსეთის ურთიერთობებს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და წამყვან საერთაშორისო აქტორებთან. ჯეიმზი, ასევე, არის ავტორი სტატიებისა *Guardian*-ის, *Times*-ის, *Telegraph*-ის, *Independent*-ის, *Newsweek*-ის, *USA Today*-ის, BBC.co.uk-ისა და CNN.com-ისთვის. მას აქვს თანამედროვე ენებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ხარისხები, ასევე, ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება (მოსკოვის კორესპონდენტი 1990-იან წლებში).

Ben Noble / ბენ ნოუბლი

დოქტორი ბენ ნოუბლი Chatham House-ის ასოცირებული მკვლევარი გახდა 2020-ის დეკემბერში, შეუერთდა რა რუსეთისა და ევრაზიის პროგრამას. იგი რუსეთის საშინაო პოლიტიკის ექსპერტი და რუსული პოლიტიკის ლექტორია ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის სლავური და აღმოსავლეთ ევროპული კვლევების სკოლაში; ასევე, მოსკოვის სახელმწიფო კვლევითი უნივერსიტეტის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის უფროსი მკვლევარი.

დოქტორი ნოუბლი ხშირად აკეთებს კომენტარსა და ანალიზს რუსეთის საშინაო პოლიტიკის შესახებ აკადემიური სფეროს, პოლიტიკური და ფართო აუდიტორიებისთვის საჯარო ღონისძიებებზე, ასევე, მედიისთვისაც.

2019 წელს მას ბრიტანეთის აკადემიამ გადასცა Rising Star Engagement („ამომავალი ვარსკვლავის ჩართულობის“) არადემოკრატიულ ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოების დახურვის შესახებ შესრულებული პროექტის გამო. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში მუშაობის დაწყებამდე, იგი ჰერბერტ ნიკოლას უმცროსის კვლევითი სტიპენდიანტი იყო ახალ კოლეჯში, ოქსფორდის უნივერსიტეტში.

Nikolai Petrov / ნიკოლაი პეტროვი

ნიკოლაი პეტროვი არის ლონდონში Chatham House-ის ევრაზიისა და რუსეთის პროგრამის უფროსი მკვლევარი, ასევე, მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორი. Chatham House-ში მისი კვლევა ორიენტირებულია ვლადიმერ პუტინის რუსეთში გადაწყვეტილების მიღების ფარული პროცესის კვლევაზე. მას დაწერილი აქვს უამრავი ნაშრომი რუსეთის პოლიტიკის, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის, რუსეთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების, დემოკრატიზაციის, ფედერალიზმისა და არჩევნების შესახებ.

ნიკოლაი არის ევრაზიაში კვლევისა და უსაფრთხოებისადმი ახალი მიდგომების პროგრამის მონაწილე (PONARS ევრაზია), სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოსა და ევროპის დიალოგის ჯგუფის წევრი. იგი ფლობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დოქტორის ხარისხს.

Ekaterina Schulmann / ეკატერინა შულმანი

ეკატერინა Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია. იგი, ასევე, მოსკოვის სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების სკოლის (MSSES) ასოცირებული პროფესორი და რუსეთის ეროვნული ეკონომიკისა და საჯარო ადმინისტრირების საპრეზიდენტო აკადემიის (RANEPA) უფროსი ლექტორია. 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, იგი ადამიანის უფლებათა სამოქალაქო საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრი იყო.

შულმანს აქვს პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორის ხარისხი და სპეციალიზდება თანამედროვე რუსეთის საკანონმდებლო პროცესებში, ჰიბრიდულ პოლიტიკურ რეჟიმებში პარლამენტარიანიზმისა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებში. იგი ავტორია შემდეგი წიგნებისა: *Law-making as a political process* (მოსკოვის პოლიტიკური კვლევების სკოლა, 2014) და *Practical Politology: a guide to the contact with reality* (სტატიების კრებული, ACT, 2018, 2020); ასევე, იყო თანაავტორი წიგნისა: *The New Autocracy: Information, Politics, and Policy in Putin's Russia* (Brookings Institution Press, 2018), რედაქტორი: დანეილ ტრაისმანი (Daniel Treisman).

მას მიჰყავს ყოველკვირეული პროგრამა რადიო „მოსკოვის ექოში", რომელიც ეძღვნება პოლიტიკური სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და ცნებების პოპულარიზაციას, ასევე, ჰყავს საკმაოდ დიდი აუდიტორია YouTube-ის არხზე. მანამდე იგი მუშაობდა ადგილობრივ ადმინისტრაციაში სამოქალაქო მოხელედ, სახელმწიფო დუმას დეპუტატის ასისტენტად, პოლიტიკური ფრაქციების ანალიტიკოსად და ექსპერტად რუსეთის სახელმწიფო დუმას ანალიტიკურ დეპარტამენტში; იყო საკონსულტაციო კომპანიის საკანონმდებლო საქმეთა დირექტორი.

James Sherr / ჯეიმზ შერი

ბრიტანეთის იმპერიის ორდენოსანი ჯეიმზ შერი 2019 წლიდან ესტონეთის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარია ტალინის საერთაშორისო თავდაცვისა და უსაფრთხოების ცენტრში. იგი, ასევე, Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარი და ყოფილი უფროსია (2008–11).

შერი ოქსფორდის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ფაკულტეტის წევრი იყო 1993-2012 წლებში; ასევე, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს კონფლიქტის კვლევების ცენტრის მკვლევარი 1995-2008 წლებში; და გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტის კვლევითი დირექტორი (1983–85).

მას არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული საბჭოთა და რუსული შეიარაღების, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის, ენერგეტიკული უსაფრთხოების, შავი ზღვის რეგიონის, რუსეთთან გამკლავების უკრაინული ძალისხმევის, თავად დასავლეთისა და მისი საშინაო პრობლემების შესახებ.

ჯეიმზ შერის ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიენიჭა 2020 წელს დაჯილდოების საახალწლო ცერემონიალზე (საახალწლო დაჯილდოების კანდიდატების სია - New Year's Honours List) მსოფლიოს მასშტაბით დიდი ბრიტანეთის ინტერესების ერთგულებისა და გაწეული სამსახურისთვის.

Kataryna Wolczuk / კატარინა ვოლჩუკი

კატარინა ვოლჩუკი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარი და ბირმინგემის უნივერსიტეტის რუსეთის, ევროპისა და ევრაზიის კვლევების ცენტრის (CREES) აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკის პროფესორია.

მას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ანალიტიკურ ცენტრებთან (ინგლ., *think-tanks)*, მთავრობასა და საერთაშორისო მედიასთან თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ასევე, დეტალურად აქვს ნაკვლევი პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ვოლჩუკი არის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევრაზიული ინტეგრაციის, ასევე, უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ არაერთი პუბლიკაციის თანაავტორი და მონაწილეობს მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ კონფერენციებსა თუ ღონისძიებებში.

Andrew Wood / ენდრიუ ვუდი

სერ ენდრიუ ვუდი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია, სადაც ის მუშაობს რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე. იგი იყო ბრიტანეთის ელჩი იუგოსლავიაში 1985-1989 წლებში, ასევე, რუსეთში (ბრიტანეთის ელჩი) 1995-2000 წლებში, ხოლო მანამდე - 1964–66 და 1979–82-შიც მსახურობდა მოსკოვში. 2000 წელს დიპლომატიური სამსახურიდან წასვლის შემდგომ, იგი მუშაობს რამდენიმე ფირმისთვის, რომლებსაც ინტერესები აქვთ რუსეთსა და სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში.

სამადლობელი მიმართვა

ამ წიგნის გარეკანზე მოცემულ ჩამონათვალში არ შედის იმ სამი ადამიანის გვარი, რომელთა გარეშეც ეს ანგარიში იმის ნახევარიც კი არ იქნებოდა, რაც დღეს არის. ამ წიგნის ჩვიდმეტივე ავტორი თანაბრად მადლიერია ამ სამი ადამიანის შეუფასებელი შრომისა:

როგორც ყოველთვის მომხიბლავმა და იუმორის გრძნობით აღსავსე ლუბიჩა პოლაკოვამ (Ľubica Polláková) ყველაფერი გააკეთა, რომ დაეკვალიანებინა გზააბნეული ავტორები და პროექტის მიმდინარეობა შეუფერხებლად წარმართულიყო (კოვიდ-19-ისგან გამოწვეული გართულებული გარემოებების ფონზე). მან, ასევე, დაგეგმა ყველა თავისთვის საერთო სტრუქტურა, მთლიანი ანგარიშის თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

ვალერი აკიმენკომ (Valeriy Akimenko) დახვეწა ნაშრომის სტრუქტურის ერთგვაროვნება და იტვირთა სამუშაო ვერსიების კრიტიკულად შეფასების, შემოკლებისა და რედაქტირების ტიტანური შრომა.

Chatham House-ის რედაქტორმა ჯეიკ სტეტჰემმა (Jake Statham), რომლის გონიერებასა და მახვილ თვალს სხვადასხვა დროს არაერთი ავტორი გადაურჩენია შერცხვენისგან, სრულყო ანგარიშის საბოლოო ვერსია შინაარსის და აზრის გამართულობის, ორაზროვნების გამორიცხვისა და ტექსტის საერთო ლაკონიურობის უზრუნველყოფით.

ცხადია, ასეთ პროექტებში ზოგიერთ ავტორს მეტი შრომა უწევს. ჩვენს შემთხვევაში ეს იყო კაირ ჯაილზი, რომელიც მთელი ამ პროექტის მიმდინარეობისას უწყვეტად ამოწმებდა ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობას, რაც გადამწყვეტი იყო ანგარიშის საერთო თანამიმდევრულობისა და გამართულობის უზრუნველსაყოფად.

ასევე, უღრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყოფილ კოლეგებს, ქვინტონ სკრიბნერსა (Quinton Scribner) და ეკატერინა ალეინიკოვას (Ekaterina Aleynikova) კვლევის ადრეულ ეტაპზე გაწეული დახმარებისთვის; განსაკუთრებული მადლობა ამჟამინდელ კოლეგებს - ანა მორგანსა (Anna Morgan) და ადამ კოვალსკის (Adam Kowalski) გამოყენებული ლიტერატურის ანალიზისა და დაგეგმვისთვის; ანონიმურ რეცენზენტებს და სხვა ექსპერტებს, რომლებმაც არ დაიზარეს და მეტად კონსტრუქციული კომენტარი და შენიშვნები მოგვაწოდეს როგორც მთლიანი ნაშრომის, ასევე, მისი ცალკეული ნაწილების შესახებ; დაბოლოს, თავად Chatham House-ის

დირექტორის მოადგილეს, რენატა დუონსა (Renata Dwan) და კომუნიკაციებისა და გამოცემების მმართველ დირექტორს ალისტერ ბერნეტს (Alistair Burnett) ამ ანგარიშის შემაჯამებელი ნაწილისა და სხვა სექციების დახვეწისთვის.

ჯეიმზ ნიქსი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ჯონ გერსონს (John Gerson) ამ ანგარიშის იდეის მოწოდებისთვის.

დაბოლოს, მადლობას ვუხდით აშშ-ის ევროპული სარდლობის რუსულ სტრატეგიულ ინიციატივას (შტუტგარტი), რომელთა მიერ ამ პროექტისთვის გაწეული მხარდაჭერა - როგორც ფინანსური, ასევე, მორალური - ფასდაუდებელია.

ადამიანმა შეცდომები უნდა აღიაროს - შესაბამისად, თავისთავად ცხადია, რომ ფაქტებსა და ანალიზში გაპარულ ნებისმიერ შეცდომაზე სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტორებს გვეკისრება. შეუმცდარობის პრეტენზია არ გვაქვს, თუმცა კი, იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეს სამუშაო გულდასმით და კეთილი მიზნებით შევასრულეთ.

მოცემული პუბლიკაცია დაფინანსებულია აშშ-ის ევროპული სარდლობის (შტუტგარტი, გერმანია) რუსეთის სტრატეგიული ინიციატივის ფარგლებში

ნაშრომში მოცემული მოსაზრებები, არგუმენტები, შეხედულებები და დასკვნები არ წარმოადგენს აშშ-ის ევროპული სარდლობის რუსეთის სტრატეგიული ინიციატივის, თავდაცვის დეპარტამენტის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს. პუბლიკაცია ქვეყნდება ფართო საზოგადოებისთვის.

ყველა უფლება დაცულია. იკრძალება საავტორო უფლებების მფლობელის წინასწარი ნებართვის გარეშე ამ პუბლიკაციის ნაწილების ან მთლიანი პუბლიკაციის გავრცელება ნებისმიერი შესაძლო ფორმით - ელექტორნულად თუ მექანიკურად, მათ შორის, ქსეროასლის, უკანონო ჩაწერის, ან ინფორმაციის აღდგენა-შენახვის ნებისმიერი სისტემის საშუალებით. კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ გამომცემლებს.
Chatham House არ გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს. ამ პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება(თ) ავტორე(ებ)ს.
Copyright © The Royal Institute of International Affairs / საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი, 2021